

652 /
1962 / 2



1
1962

652 /
2

6

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო



საქართველოს
კავშირი

ლიტერატურულ-მხატვრული და
 საზოგადოებრივ-პოლიტიკური
 უშინალო

საპარტიზო სსრკ-ს მხარეების
 კავშირის ატარის განყოფილების
 ორბანო

შ ი ნ ს ა კ რ ს ი

ქ. მშავია — შენთან ვარ მარად (ლექსი) . . . 8

პ. ლორია — დაუსჯელი დამნაშავე (მოთხრო-
 ბა) 5

პ. რურუა — ლექსები 18

ბრ. ცაცხლაძე — იღუმადი სტუმარი (ლექ-
 სი) 19

ვ. გოგლიჩიძე — მამის ვარსკვლავი (მოთხრო-
 ბა) 20

ჯ. ჯაყელი — ლექსები 25

ბ. სამხარაძე — დაღდა ძვირფასი სამოცდარი
 (ლექსი) 28

ი. ყაპიშვილი — გემი ნავსადგურში შევიდა
 (მოთხრობა) 29

ნ. თაბაკაძე — ლექსები 36

მ. მუჯირი — ლექსები 37

რ. ლორია — ნუ, ნუ, ძვირფასო... (ლექსი) . . . 39

ნ. წარმოთელი — პორტის შუქურა (ლექსი). . . 40

შ. ანდერსონი — დაკარგული რომანი (მოთხრო-
 ბა, ინგლისურიდან თარგმნა გ. მაჭუ-
 ტაძემ) 41

8806

1

1962

იანვარი
 თებერვალი

პ რ ი ტ ი ბ ა და კ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

შ. ქურიძე — კაპიტალისტური დასავლეთი გა-
 ლაქტიონ ტაბიძის ლირიკაში 45

ალ. ჩავჭავჭავაძის „ჩარდი-
 ლის“ XXII-XXIII თავების
 შესახებ 55

დ. ნაცვალაძე — მარიამ ერისთავის ლექსები. . . 61

ს. თურნაშვილი — ვერკორის შემოქმედება და მისი
 ფილოსოფიური რომანი 64

ბ. ჯინეზაძე — სიტყვა „მედვიცინის“ ეტიმოლო-
 გიისათვის 67

ლიტერატურული კალენდარი

ლ. ჩიქოვანი — საბავშვო ლიტერატურის ამაგ-
 დარი 69



ტურისტის ჩანაწერები

ლ. გელაძე — ალექსანდრიიდან კაირომდე . . . 71

აზარის წარსულიდან

ა. ახვლედიანი — ოლქა, ოლქობა 76

შ. მებრელიძე — ერთი საგულისხმო ისტორიული ფაქტი 79

ტექნიკის სიხლენი

ლ. ძნელაძე, ნ. კოსტავა — ადამიანი კოსმოსში 81

წიგნის თარო

პ. აბაშიძე — ზოგიერთი შენიშვნა „უნიდაგოს“ გამო 84


ბ. გორგინიძე — ხასარგებლო მონოგრაფიული ნაშრომი 86

ს. არველაძე — „უკვდავი სიცოცხლე“ 87

საბირა და იუმორი

ი. ტრახტმანი — გარდამავალი ჭარიბა (მოთხრობა, გადმოაქართულა გრ. ნუცუბიძემ) . . . 89

უურნალ „ლიტერატურული აქარის“ 1961 წლის ნომრების შინაარსი 93



რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ს. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი),

ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

ქსენია მუხომბი

შენთან ვარ მარად!

შენთან ვარ მარად!
ეს შენ ხარ, შენა,
ხალხთა გულეში
მარად ჩაუქრობ მზედ რომ კიბობ!
ეს შენ იყავი, —
იმ უკუნეთში
შუქს რომ აფენდი საგანთაღოდ!
და როცა სისხლი დიოდა ღელედ,
იმედით, რწმენით და გატაცებით
შენკენ იწვდიდნენ გათოშილ ხელებს
შენი ერთგული ჯარისკაცები.
არ დაგიღვედნენ ქარბუქს და ავღარს,
შენთვის სიცოცხლეს არ იშურებდნენ,
შენი ნათელი მიზანი სწამდათ,
შენი მაღალი დანიშნულება.

დიდ განსაცდელის მრისხანე დრო-ქამს,
პარტიავ, შენი გვეფარვიდა დროშა!..

წლებმა ქუხილით გადაიარეს,
წლებმა ნგრევის თუ წლებმა შენების,
შენ გვიშუშებდი მწვევე იარებს,
იდექ შუქივით, გზას გვიჩვენებდი,
შენ გამაღლებდი,
შენ გამაღიდრებდი
ახალი განცდით და შთაგონებით,
გულებს გვინთებდი,
გზებს გაგვიგნებდი
და მოგყვებოდნენ მილიონები.

შენ მოგყვებოდნენ, პარტიაე, ბრძენო,
წინამძღვარო და მესაქვე ჩვენო!

ოცნების ზღვა ხარ,
იმედის ზღვა ხარ

დაუშრეტელი ლალი ზვირთებით.
შენით უდაბნო ვაქციეთ ბალად,
შენით ვაშენეთ გზები, ხიდები,
შენით ვისწავლეთ ღრუბლებთან ფრენა,
შენით დავიპყრობთ ახალ მწვერვალებს,
შენა ხარ ჩვენი შვება და ლხენა,
გულს გვიფერადებ და გვიელვარებ.
და ახლა, როცა კაცის გონებამ
უკვე კოსმოსის შეხსნა კარები,
როს სამყაროში შეუშფოთებლად
სივრცეს სერავენ თანამგზავრები,

ესეც შენა ხარ, პარტიაე დილო,
შენი ხელია და შენი სითბო!

შენს ზრუნვას ვხედავთ გაჩენის დღიდან,
შენი ალერსი გვზრდიდა პატარებს,
მთასავით მაღალს,

ცასავით წმინდას

დღეს კომუნისტის სახელს ვატარებ.
გული კვლავ შენზე ფიქრებით მიძგერს,
შენ მამლერებ და მმოსავ იმედით,
ჯიბეში შენი მანდატი მიღევს,

სიცოცხლესავით მოსაფრთხილები.

და მზად ვარ ყველა სიმძიმე ვზიდო,
არ მეშინია დელგამის, ქარწვიმის,
შენთან ვარ მარად, პარტიაე დილო,
შენი შვილი და შენი ნაწილი.

ვიდრე ამ მკერდში გული მიღელავს,
სიცოცხლის ტრფობით ღვივის, ინთება,
არ მომწყინდება შენზე სიმღერა,
შენზე ფიქრები არ მომწყინდება.



პაკემე ლოკი

დაუსჯელი დამნაშავე

ცალკე ოთახი არ გვაქვს და ორსაწოლიან ოთახში მოგიწევთ დაბინავებაო, რომ მითხრეს, მაინცადამაინც არად ჩამივლია. მართობას არც ისე დახარბებული ვარ და ამ უცხო ქალაქში სასიამოვნოდ კი იქნება, ხმის გამცემი თუ მეყოლება გვერდით.

ინეინერი კაცია, სულ რაღაც ორი საათით დაგასწროთ, რამდენიმე დღეს დარჩებაო, მეზოდიშებოდა. სასტუმროს მუშაკი.

— არა უშავს. კაცთმოძულე არა ვარ. — დავამშვიდე სასტუმროს მუშაკი და მითითებული ნომრისაკენ გავსწიე.

მართლაც, ჩემთვის სულერთია, ვინც უნდა იყოს ჩემი თანამგზავრი თუ თანამობინადრე. ყოველი ადამიანი ერთი საინტერესო წიგნია. თუ შეძლებ მის გადამწას და წაითხვას, მეტად საინტერესო მითხრობას ან რომანს გაცნობი.

ალბათ, ახლაც მელოდება ასეთი ახალი წიგნის გადამწა და გადაკითხვა.

ასეთი მოლოდინით მივადექი დასახელებულ ნომერს ჩემი ჩემოდნით.

დაკავუნება აღარ დამჭირებია, კარი ნახევრად ღია იყო და დაუკითხავად შევედი. ტახტზე, რომელიც მარჯვნივ კუთხეში იდგა, ერთი კაცი წამოწოლილიყო, თვალი ჭერისათვის მიეპყრო და მშვიდად სუნთქავდა.

— გამარჯობათ. — მივესალმე მე და ოთახი შევათვალიერე.

უცნობმა სალამზე კი მიპასუხა, მაგრამ მეტი ინტერესი არ გამოუჩვენებია და პირველი გაცნობის მთელი სიძნელე ჩემზე გადმოიტანა.

— თქვენი სტუმარი ვარ. — ღიმილით ვუთხარი მე, ჩემოდანი დავდგი და ჩემთვის განკუთვნილ საწოლთან მივედი.

— გასაგებია. — ცალი თვალით გადმომხედა ჩემმა მეზობელმა და ოდნავ შეიხრა.

მე საკუთარ თავს მივხედე — ხელბარგი დავალაგე, საგზაო ტანსაცმელი გამოვიცვალე, ხელპირი დავიბანე, მოვშილიფდი და სავარძელზე ჩამოვისვენე.

უცნობს არც ახლა მოუქცევია ყუარადღება. ისევ იწვა პირალმა და კვლავ მისჩერებოდა ჭერზე ამოჩემებულ წერტილს.

სიჩუმის დარღვევა ისევ მე ვიკისრე.

— ძალიან ცხელი დღეები დაიჭირა. — გამოლაპარაკებისათვის ამ უადვილეს და გაცვეთილ ხერხს წავეტანე, მაგრამ მეზობელი ახლაც რომ არ გამოემხმართა, ავდექი, ფანჯარასთან მივიდო და გამოვადე.

— ნიავს ხომ არ უფრთხით?

უცნობმა შემომხედა.

— მკითხეთ რაიმე?

— გამჭვალავი ქარის ხომ არ გეშინიათ-მეთქი.

— არა. — ჩუმიდ თქვა მან და ისევ ჰქვრს მიაპყრო თვალი. თითქოს შვება იგრძნო, ლაპარაკი რომ მოათავა და პასუხიც გამცა.

მოქანცული თუა და მოსვენება სურს, გავიფიქრე და აღარ მიცდია საუბარში ჩამება. ჩუმიდ შევათვალე რე ჩემი მეზობელი.

სერიოზული კაცი ჩანს, ორმოცდაათს გადაცილებული. მოკლედ შეკრეჭილ უღვაშებში ვერცხლი შერევია. ასეთივე ვერცხლი მოძალებია მაღალ შუბლზე დაყრილ თმას. დიდრონი, ლამაზი თვალები განსაკუთრებით უმშვენებს სახეს და რაღაც მარადუბუკურ, მოუტეხელ ძალაზე მეტყველებს.

რაც უფრო სიტყვაძუნწობდა ჩემი თანამობინადრე, მით უფრო მეტ ინტერესს იწვევდა ჩემში და მისი ახლოს გაცნობის სურვილს მიღვიძებდა.

რამდენიმეჯერ კვლავ ვცადე კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება, ყველა შესაძლებელი შეკითხვა მოვიგონე, მაგრამ უცნობმა ყველაზე მოახერხა უმოკლესი პასუხის გაცემა.

— დღეს ჩამობრძანდით?

— დიახ.

— მითხრეს, ინჟინერი ბრძანდებით თურმე.

— მართალია.

— ალბათ, რომელიმე მშენებლობა გაბარიათ?

— დიახ.

— კმაყოფილი ხართ პირობებით?

— დიახ.

შეკითხვები რომ დამელა, ხილი მივაწოდე. მან მადლობა გადამიხადა ისე, რომ ჩემკენ არ მოუხედავს. არც მიწოდებული ხილი აუღია.

შევატყვე, მეტად უხალისო და გულჩათხრობილ კაცთან მქონდა საქმე და ისევ მე მოვიხიე პირი. რა ამბავი არ გავიხსენე, რა არ მოვყვიე, რა საკითხს არ ვავკარი განზრახ ხელი, იქნებ, გულს

მოხვდეს და გამოძენმაუროს-მეთქი. მაგრამ მისი მდუმარების სიმაგრე და ვერ ავიღე.

როცა რაიმეს ვყვებოდი, ყურადღებით მისმენდა, ზოგჯერ განიცდიდა კიდევაც ნაამბობს, სახის გამომეტყველება ეცვლებოდა, თავსაც გაიქნევა-გამოიქნევა ხოლმე, მაგრამ, როგორც კი სათქმელს მოვრჩებოდი, კვლავ ჰქვრს მიშტერდებოდა და ამოჩემებულ წერტილს მოძებნიდა.

ალბათ, დიდ რამეზე ფიქრობს!..

ან დიდი ღარდი აპყიდებია და აწუხებს...

ან ვინმე ბრყვი მეოცნებეა, რომელიც თავისი თავის იქითვერავის ზედავს და ამჩნევს.

ღმერთმანი, ან სულელი და უგუნურია, ან დიდი ვინმე ფილოსოფოსი.

რამდენნაირი ადამიანი არ შეგხვდებოდა კაცს ქვეყანაზე. ზოგს სრულიად შემთხვევით გაიცნობ, ორ სიტყვას გაცვლით ურთიერთშორის და ძველი ნაცნობებით დამეგობრდებით, ზოგი სალამზე პასუხის გაცემას მოაყოლებს თავის ამბავს და ერთბაშად მთელ ცხოვრებას წინ გადაგიშლის. არიან სიტყვაძუნწი ადამიანებიც, მაგრამ შეკითხვებზე რომ ვრცელი პასუხი არ გაგცეთ, თავის მხრივაც არაფერი გკითხონ, ასეთი აქამდე არსად შემხვედრია.

ესეც შენი წიგნი, გადამალე და წაიკითხე, თუ ბიჭი ხარ.

მეზობელი აღარ შემიწუხებია შეკითხვებით, მაგრამ მისმა ჩიუტმა ღუმილმა ერთხელ კიდევ მაფიქრებინა, რაღაც უნდა დამიჯდეს, ეს დაუწერელი წიგნი უნდა წავიკითხო-მეთქი.

* * *

დილით კარებზე კაკუნმა გამომაღვიძა.

ჩემი თანამობინადრე უკვე ამდგარიყო, ხელპირი დაებანა, ღია ფანჯარას მისდგომოდა და უხმოდ გასცქეროდა ახალგაღვიძებულ ქუჩას.

კაკუნი რომ გაიგონა, თითქოს გამოფხიზლდა, ჩუმიდ მოტრიალდა, ფეხაკ-

რევით მივიდა კართან და გამოალო.

— აჰ. მამა!! — შესძახა ვილაკამ, ქარივით შემოიჭრა ოთახში და ჩემს თანამობინადრეს მოეხვია. — რას შვები, მამა, როგორ ხარ. ქალაქში ჩამოხვედი და აქ დაბინავდი? როგორ არა გრცხვენია? შემთხვევით გავიგე და სულ შემოვირბინე, რაც სასტუმროებია ქალაქში. კიდევ კარგი, გიპოვე. ასე უნდა?!

— კარგი, ნუ ფიცხობ. ალბათ, ასე იყო საჭირო. ხომ კარგად ხართ?

— ახირებული კაცი ხარ, მამაჩემო. — შემფოთდა ახალმოსული. — ჩვენი ამბავი კი გაინტერესებს და შინ არ მოგვაკითხე. ხომ ყველანი კარგად ხართ?

— კარგად. — მოკლედ მიუგო ჩემმა მეზობელმა.

— ალბათ, კვლავ სამსახურის საქმეზე ჩამოდი. რა იქნა, ვერ მორჩით მაგ გეგმის დამტკიცებას?

— მოვრჩებით. — და რომ შეატყო ახალმოსული შეკამათებას აპირებდა, მაჯაზე მოჰკიდა ხელი.

— ხმადაბლა ილაპარაკე. აქ უცხო კაცია.

— უცხო კაცი? — თითქმის ჩურჩულით თქვა ახალმოსულმა. — მხატვრით, ბატონო, — მომმართა მე, რაკი შემატყო, არ მეძინა. — ვერ შეგნიშნეთ.

— არა უშავს რა! — დავამშვიდე მე და ჩუმად შევათვალეირე.

ჩემს წინ ოცდაათიოდ წლის ვაჟკაცი იდგა, ახოვანი, ლამაზი, მსუბუქად და კოხტად ჩაცმული.

— არა, მაინც რამ გაფიქრებინა სასტუმროში ღამის გათევა? — არ ისვენებდა ახალგაზრდა. — სირცხვილით სად გამოვყო თავი? თქვენთან დიდი ბოდინი, ბატონო. — ისევ მე მომიბრუნდა იგი. — მამაჩემი ვახლავთ. აქ ჩამოსულა და ჩემთან არ მოვიდა, სასტუმროში დაბინავებულა. არა, როგორ მოგწონთ, თქვენ ეს ამბავი?

— ალბათ, თქვენს შეწუხებას მოერიდა. — გამოვესარჩლე თანამობინადრეს.

— რას ბრძანებთ! — ეწყინა ახალგაზრდას. — მამა-შვილობაში შეწუხება და

მორიდება? მამა, ბატონო, ჩემი შვედი რი მამა. — ბეჯითად გაიმეორა მანქანის მძღველი.

— მჯერა, მჯერა. — კმაყოფილი დიმილით შევხედე მამა-შვილს. — გეტყობათ მამა-შვილობა. გაჭრილ ვაშლივით გავხართ ერთმანეთს.

— მართლა? — გაეხარდა ვაჟიშვილს. — ყველანი ეგრე ამბობენ. ცოტათი გამწყარალია, მგონი, ჩემზე მამიკო, თორემ... დიმიტრი ვასილის-ძევე, წავიდეთ სახლში, თინიკო გველოდება. — ახალგაზრდამ მკლავზე მოჰკიდა მამას ხელი და თვალეზში შეაჩერა.

— არჩილ! — და მამამ შვილს ხელი გააშვებინა. — ახლა საქმეზე მივდივარ. მოვრჩები, გამოვივლი. თქვენს უნახავად არ წავალ.

— ღმერთო მომკალი. — გულისტკივილით ამოიძახა ვაჟმა. — მამა, რას ამბობ? ხომ არ გვიწყრები, მამიკო? — ამოდენა ვაჟკაცი ბავშვივით ჩამოეკიდა მამას კისერზე.

— რად უნდა გიწყრებოდე? — გული აუთრთოლდა დიმიტრის. — რა დაგიშავებია? — თავზე გადაუსვა ხელი და შუბლზე აკოცა. — სადილობისას მოგაკითხავ. ახლა კი დრო არა მაქვს. — უცებ მიტრიალდა, კუთხეში მივიდა, ჩემოდანი გახსნა, ნაირნაირი ნახაზი ამოღო და ბეჯითად ჩათვალეირა.

— მეტად თავისებური ადამიანია. — მომიახლოვდა ახალგაზრდა სტუმარი. — რასაც იტყვის, ვერ გადაათქმევინებ. ერთი შეხედვით, თითქოს მიუკარგები და გულცივი კაცია, სინამდვილეში კი ბავშვივით უმანკო და გულსათუთი. ჩვენს გვარში მეორე არ მეგულეება მავგვარი კაცი.

— რა გვარი ბრძანდებით? — სწორედ კარგ დროს მომეცა საბაბი ასეთი კითხვა მიმეცა.

— ვაშაძე. — სწრაფად მომიგო ახალგაზრდამ. — იმერეთიდან ვახლავართ. მშობლები დღესაც იქ ცხოვრობენ. მაგას რომ ხედავთ, — ცალი თვალით გაიხედა მამისკენ, — ჩვენს რაიონში მუშაობს, სახელმოხვეტილი მშენებელი ინჟინერია, ამავე დროს შეუღარებელი



მეურნე და მეოჯახე. ისეთი ვენახი აქვს, გესიამოვნებათ. მთავრობისა და პარტიის ყურადღებაც არ აკლია. ორი ორდენი აქვს. რამდენიმე დღის წინათ, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, საპატიო ინჟინრის წოდებაც მიეკუთვნა. მისი პირადი საქმე სულ მაღლობითა და ქებით არის სავსე. ოთხ შვილში მე ვარ უფროსი. აგერ მეხუთე წელია უმაღლესი დავამთავრე, სამსახურში მოვეწყვე, ცოლი შევირთე, საბუღარო გავიჩინე და გვარიანად ვცხოვრობ. ჰოდა, ერთი მიბრძანეთ, როგორ არ მეწყინება, მშობელი მამა გვერდს რომ ამივლის და სასტუმროში გაათევეს ღამეს?

— იქნებ, ბინაზე ხართ ვიწროდ და...

— რას ბრძანებთ! ასეც რომ იყოს, მაშინაც არ ეპატიება მამას შვილთან მიუსვლელობა, მაგრამ. მაღლობა ღმერთს, თავშესაფარი კარგი მაქვს. ორი სული ცვხოვრობთ განიერ ოთახებში. — და ახალგაზრდამ ორიოდ წუთის განმავლობაში მთელი მისი ოჯახის ამბავი და მდგომარეობა გადამიშალა თვალწინ.

თურმე ყმაწვილობაში ასეთივე გულახდილი და ენაწყლიანი ყოფილა დიმიტრი ვაშაძეც. კარგი მომღვინე და მოსაუბრე, მაგრამ...

— ჩემი მამამთილის გარდაცვალების შემდეგ გამოიცვალა ასე და გულჩათხრობილი გახდაო, ამბობს დედაჩემი. — ამიხსნა ახალგაზრდამ და მაშისკენ გაიხედა, რომელიც ამ დროს წასასვლელად გამზადებული თმას ისწორებდა.

— დიდი ხანია, რაც ბაბუათქვენი გარდაიცვალა? — ვკითხე მე.

— არ მახსოვს. ძალიან პატარა ვიყავი. კარგი ვაჟაკი ყოფილა ბაბუაჩემი. ღონიერი, მკლავმაგარი. ახლაც კი იგონებენ მის კეთილკაცობას ჩვენს სოფელში.

ალბათ, კიდევ ბევრს ილაპარაკებდა ახალგაზრდა ვაშაძე, მაგრამ ამ დროს ჩემი ყუჩი თანამობინადრე მორჩა მზადებას და ილიაში პორთფელამოჩრილი კარებისკენ წავიდა.

— კეთილად შეხვედრამდე! — მომხედა მე და შემდეგ შვილს მამაკითხა: — შენც წადი. შუადღისას შემოგივლი. — მიბრუნდა და სწრაფად გავიდა.

— მაპატიეთ, ერთხანს მაინც გავყევიბი. — მოიბოდიშა ახალგაზრდამ და მამას ფეხდაფეხ გაჰყვა.

* * *

საღამოს რომ დავბრუნდი, ჩემი ოთახის კარი გუმინდელივით ღია დამიხვდა. ჩემი თანამობინადრეც იმავე პოზაში იწვა და ისევ ისე მისჩერებოდა ჭერზე ამოჩემებულ წერტილს.

— საღამო მშვიდობისა, ბატონო დიმიტრი. — მხიარულად მივესალმე როგორც ძველ ნაცნობს და მაგიდასთან ჩამოვჯექი.

— გაგიმარჯოთ. — არც კი გაკვირვებია, სახელით რომ მივემართე.

— შვილთან ბრძანდებოდით?

— ვიყავი.

— კარგი ვაჟი გყოლიათ.

დიმიტრიმ არაფერი მიპასუხა.

— სამმართველოში ბრძანდებოდით?

— ვიყავი.

— დიდხანს დარჩებით ქალაქში?!

— სანამ საქმეებს მოვრჩები.

— მე კი ხვალ საღამოს უნდა გავემგზავრო. — თითქოს დანანებით ვთქვი და, რაკი წინასწარ ვიცოდი, ჩემი თანამობინადრე შეკითხვებით არ შემაწუხებდა, თავად ვიკისრე ჩემი წასვლის მიზეზი და საქმიანობა მომეთხრო. — მოგეხსენებათ რა დიდი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე: კომუნისმის აშენება, ადამიანთა ამ დიდი ხნის საოცნებო წყობილების დამყარება დიდ ენერჯიასა და ძალ-ღონეს მოითხოვს. სხვებთან ერთად ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაეხსაც არა გვაქვს იოლი საქმე. სადაც ახალი წამოწყება და მშენებლობაა, ჩვენც იქ უნდა გავჩნდეთ. ცხოვრებას თავში უნდა ვედგეთ და მივუძლოდეთ...

საკმაოდ გრძელი მონოლოგი გამომივიდა, მაგრამ ამას არ დავკერძო და თან-

დათან ვუმბატე, რასან იგი არ დაინტერესდა ჩემი გაცნობითა და საქმიანობით. კვლავ მე მოვიბიე პირი და, რაც კი რამ გამაჩნდა სახელდახელოდ, ყველაფერი ამოვალაგე.

— მწერალი ბრძანდებით? — მოულოდნელად იცვალა პოზა ჩემმა თანამოსაუბრემ (ასეთ ვინმეს თუ შეიძლება ეწოდოს თანამოსაუბრე) და ამოჩემებულ წერტილს თვალი მოაშორა.

ეს მისი პირველი შეკითხვა იყო და შესიამოვნა.

— დიხ. ვმუშაობ ლიტერატურის დარგში. თუმცა არც ისე სახელმოხვეჭილი ვახლავარ, მაგრამ დიდ საქმეში მცირე წვლილი მეც შემაქვს. რატომ მკითხეთ, ეტანებით მხატვრულ ლიტერატურას?

— იშვიათად. — გამოტყდა დიმიტრი. — დრო არ მრჩება... მაშ თქვენ მწერალი ბრძანდებით? სასიამოვნოა! — ნელ-ნელა წამოიწია და წამოჯდა. — ქაბუტობაში მიყვარდა წიგნების კითხვა... ახლა მხოლოდ სპეციალურ ლიტერატურას თუ ვათვალიერებ.

— ესეც საჭირო და სასარგებლო საქმეა. — მოვუწონე მე. — მაინც ამ უკანასკნელად მხატვრული არაფერი წავიკითხავთ?!

— მეტად მცირე. — მიპასუხა მან, მაგრამ რამდენიმე ახალი ნაწარმოები დამისახელა.

მე უფრო ყურადღებით შევათვალიერე უცნაური მეგობარი.

— არც ისე ურიგო მკითხველი ბრძანებულხართ. — შევაქე მე. — ალბათ, ზოგიერთ მწერალს პირადად იცნობთ?

— მაგრამ ძალიან ახლოს არა. რამდენიმეჯერ მოვიწადინე რომელიმესთან დაახლოება, დამეგობრება, მაგრამ რატომღაც ვერ მოვახერხე.

— შემიძლია ამ საქმეში წამოგეშველოთ. — დიმილით ვუთხარი მე. — ბევრ შესანიშნავ ქართულ მწერალს ვიცნობ.

— გმადლობთ. ჩემთვის თქვენი გაცნობაც საკმარისია. თუ მწერალი მართლაც ადამიანის გულის მესაიდუმლეა,

თქვენც შეგიძლიათ არგოთ ჩემს სწეულებას.

— თქვენს სწეულებას?!

— და სხვასაც ააცილოთ უნებლიე უბედურება.

— მაპატიეთ, რა შუაშია აქ უბედურება?

— ჰო, იქნებ თქვენ სულიერი მწუხარება არ მიგაჩინათ უბედურებად!

— რას ბრძანებთ, ყოველგვარ მწუხარებას ხომ რაიმე უბედური შემთხვევა იწვევს, მაგრამ ყამი და დროთა მსვლელობა თანდათანობით კურნავს ყოველგვარ სენს და მწუხარესა და წყლულმოდებულ გულსაც აშუშებს. — ეუბასუხე და შევეცადე უფრო ჩამეთრია საუბარში.

— კურნავს და აშუშებს. — ნაღვლიანად გაიმეორა მან. — მაგრამ ყოველგვარ სწეულს როდი რგებს ასეთი წამალი. არის ნაღველი, რომელიც საფლავშიც ჩაჰყვება სწეულს და იქაც შეაწუხებს.

— და ამიტომაც არ უნდა ჩაიყოლიოს. — ვუთხარი მე. — ადრევე უნდა მოიცილოს და აქვე დატოვოს.

— ეს მართალია. — ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თქვა დიმიტრიმ. — ვისაც ძალა შესწევს და ნებისყოფა აქვს, აგრე უნდა მოიქცეს, მაგრამ ხომ არიან ადამიანები, რომლებსაც... როგორ ვითხრათ, დანაშაულის გამხელისა ეშინიათ და... საერთოდ, გულჩათბრობილნი და შუბლშეკრულნი დადიან ქვეყნად.

— მაგალითად, როგორც თქვენ. — გავუთამამდი მე.

— შემნიშნეთ? — შუბლზე გადაისვა ხელი დიმიტრიმ. — ეგ მართალია. სხვებიც ასე ამბობენ ჩემზე. ოჯახშიც მაგაზედაა ლაპარაკი. არჩილს გარდა, ერთი ქალი და ორი ვაჟი კიდევ მყავს. მხიარული, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები. ისინი რომ ყრიაბულს ასტყენენ, სახლის ჭერიც კი მხიარულობს. ხშირად შემომისხდებიან ირგვლივ და ჩემს აყოლიებასაც მოიწადინებენ, მაგრამ...

— ვერ უწევთ თანაგრძნობას?

— ვედილობ, მაგრამ ვერ ვახერხებ... ერთი სიტყვით, ცუდი მამა ვარ. ცუდი მამა. ცუდი მამა... მამაჩემი კი... — მაგიაზე ნიდაყვდაყრდნობილი ხელი შუბლზე შემოიდგა და დადუმდა.

დიდხანს ველოდი მის ალაპარაკებას. მაგრამ რომ ვერ ვეღირსე, ისევ მე ვიკისრე სიჩუმის დარღვევა.

— საინტერესოა, როგორი კაცი იყო, როგორი გულის პატრონი...

— მამაჩემი? — შუბლზე ხელი არ შეუშვია, ისე შემომხედა დიმიტრიმ.

— დიახ, განსვენებული ვასილი.

დიმიტრიმ გაკვირვებით ამომხედა.

— საიდან იცით მისი სახელი?

— აკი თქვენმა ვაჟმა მოგმართათ მამის სახელით?

— ჰო. კარგი დამახსოვრების უნარი გქონიათ. — და ცოტა ხნის დუმისის შემდეგ მკითხა. — მშობლები გყავთ?

— მხოლოდ მამა. — ვუბასუხე მე. — ძალიან მომიხუცდა, მაგრამ რომ დამინახავს, ჰაბუკად იქცევა.

— ხშირად ნახულობ?

— ხშირად. მასთან რომ ვზივარ და ვსაუბრობ. ასე მგონია, ჯერ კიდევ ბავშვი ვარ და მისი მარჯვენის შემყურე.

— დედა ხომ გახსოვთ?

— როგორ არა. სამამულო ომიდან რომ დაბრუნდი, ახალგაზრდაცვლილი დამიხვდა. საფლაოში ჩაიტანა უბედურმა ჩემი ნახვის სურვილი. მერე როგორ ვუყვარდი! ერთხელაც არ მახსოვს მისი ხელი. მამაჩემს კი ბევრჯერ მიეუბერტყივარ ძალიან მაგრად. ახლაც კი მეშინია მისი... ალბათ, მამები მეტწილად ასეთები არიან. რას იტყვით, თქვენ?

— ჩემდა სამწუხაროდ, მამაჩემს ასეთ ბრალდებას ვერ წავუყენებ. — წუხილით მიპასუხა დიმიტრიმ. — გაინტერესებთ ჩემი ამბავი? — დიდი ხნის დუმისის შემდეგ მკითხა თანამოსაუბრემ.

— ძალიან. თუ დამავალებთ და...

— მაგრამ იმ პირობით, თუ ჩემს ვინაობას კალამს არ მიანდობთ და ჩემი სენით შთამომავლობასაც არ მომიშვამავთ.

— პირობას გაძლევთ, რასაც მოვალეობით. საიდუმლოდ შევინახავ.

დიმიტრიმ ბეჯითად ჩამხედა თვალებში.

— არა, ასეთ პირობას არ გადებინებ. მე მხოლოდ ჩემი ვინაობის გამჟღავნებას ვერიდები. რაც შეეხება ჩემს ნაამბობს, ის უსათუოდ გამოაქვეყნეთ. ერთის შეცდომა მეორეს გაკვეთილად გამოადგება.

— ამგვარ პირობაზე ხომ სიხარულით დაგეთანხმებით! — აღტაცებით შევძახე მე.

დიმიტრიმ საათს დახედა.

— დრო რომ იჩქარის?

— ჩემი გულისთვის მოსვენებას ნუ მოიკლებთ.

— მე თქვენს გამო ვამბობ.

— ჩემზე ნუ ფიქრობთ. მე შემძლია რამდენიმე ღამე დავთმო მეგობართან ტუბილ საუბარში. — დავამშვიდე იგი.

დიმიტრი წამოდგა, ოთახში გაიარგამოიარა. ღია ფანჯრიდან ქალაქს გადახედა, რამდენიმეჯერ შეისუნთქა სუფთა ჰაერი, შემდეგ მობრუნდა, ჩემს პირდაპირ სავარძელში ჩაჯდა და წამოიწყო.

* * *

— დიახ, ასე იყო. — განაგრძობდა დიმიტრი. — დედას პატარები დავრჩით. — მე ექვსი წლის ვიყავი, ჩემი და ოთხს ასრულებდა. მამაჩემი მხნე, გამრჯე და ჯანმავარი კაცი იყო, პროფესიით ზენიკალი; მაგრამ რა საქმე იყო, ხელიდან რომ არ გამოსვლოდა. სამუშაოდან დაბრუნებული, კარგი მეოჯახე ქალივით დატრიალდებოდა ოჯახში.

მეუღლის გამოცლამ მეტად დააღონა ვაჟკაცი. დიდი ხნით დიმიტრი დაავიწყდა და, მაშინ რომ ნაოჭი ჩაეყეცა შუბლზე, უკანასკნელ დღემდე შერჩა. ხშირად ღამით, შევილებმა არ გამიგონო, ჩუმად გაიპარებოდა გარეთ და სახლის კედელს ამოფარებული დიდხანს ბავშვივით ქვითინებდა.

ერთხანს გათხოვილი მამიდა გვივლიდა, მაგრამ მალე საკუთარმა ოჯახმა და ქმარ-შვილმა მოითხოვა და იძულებული გახდა წასულიყო.

იმის შემდეგ მამას გაუორკევდა ტვირთი. დილით ადრე ადგებოდა, საუხუმს გაგვიზადებდა, ტანსა და ფეხზე ჩაგვაცმევდა, ხელ-პირს დაგვაბანინებდა, გვასაუხმებდა, დაგვარიგებდა და სამუშაოდ გარბოდა.

მზიან დარწი მე და ჩემი და ეზოში ვთამაშობდით, წვიმიან დღეებში კი სახლში ვიჯექით და სათამაშოებით ვიქცევდით თავს.

კარგა ხანს ვიყავით ასე. ვეჩვეოდით ობლობასა და სიმარტოვეს. კეთილი მამა მულამ ჩვენზე ფიქრობდა. თვალუბში შემოგვეყურებდა. როცა მოწყენას შეგვამჩნევდა, ხელს მოგვხვევდა, აქეთ-იქით მუხლებზე შემოგვისვამდა და სიმღერას წამოგვიწყებდა. ამ სიმღერაში მისი ნაღვლიანი მოთქმა მესმოდა, მაგრამ მანც მიხაროდა, რომ მამა მღეროდა.

ხანი რომ გავიდა, მამას მეორე ცოლის შერთვა ურჩიეს, მაგრამ უარი თქვა. შეიძლება არ გამიმართლოს, ვინმე უფულო ადამიანი შემხვდეს და ბავშვები დამეჩაგროსო.

დრო მიდიოდა. ჩვენც ვიზრდებოდით და ჩვენი ტკბილი მამის წყალობით ისე შევევლით ცხოვრებაში, საბაბი არ გვექონია ბედის უმადური ცყოფილიყავით.

ჩემი და მეტად ლამაზი ქალი დადგა. ძლივს მოასწრო საშუალო სკოლის დამთავრება, რომ გათხოვდა. კარგი ვაჟი შეხვდა, ბეჯითი და ყურადღებიანი, თბილი ოჯახი შექმნეს და ტკბილადაც ცხოვრობდნენ.

მე ინსტიტუტში ვსწავლობდი. გავიზარდე, დავეყავი. თქვენ რომ ბრძანეთ, სწორედ ისეთი ვიყავი, როგორიც ჩემი ვაჟია, თუმცა უფრო ამაყი, პატივმოყვარე, ფიცხი და ზოგჯერ მეტისმეტად ჩქარი და თავშეუკავებელი. ისეთ უბრალო რამეზე ავფეთქდებოდი და ვკარგავდი წონასწორობას, ყველას უკვირდა. ბევრჯერ სანანებლადაც გამხდომია ასეთი საქციელი.

ინსტიტუტი რომ დავამთავრე და სამუშაო მომცეს, მამამ შვებით ამოისუნთქა. შვილების წინაშე ჩემი მოვალეობა

პირნათლად მოვიხადე და აწი შემძლიერ სულიერი სიმშვიდე ვიქონიო, სიბერის დღეები ტკბილად გავატაროო.

— ახლა ერთი შენი ცოლ-შვილიც მომასწარი და შემდეგ, თუ მოვკვდები, არად ჩავადებ. — მითხრა ერთხელ დამირჩია დამეჩქარებინა დაოჯახება.

— მაგასაც მოეწრები, მამაჩემო! — დავამშვიდე მე. — თუ კაცი ცყოფილვარ, ერთითად ავინაზლაურებ შენს ამავსა და შრომას.

— კარგად იყავით, შვილო, და ჩემი ამაგიც ანაზლაურებული იქნება. — მხარზე ხელი დამადო მამაჩემმა და თვალუბში ჩამხედა. — იქნებ, უკვე შეარჩიე ვინმე?

— შერჩევას რა დიდი ამბავი უნდა მამაჩემო. — ღიმილით ვუთხარი მე. — თუ მე ვერ შევძლებ, სხვას მოვიშველებ. ვფიქრობ, შენც არ დამამადლი ასეთ წამოშველებას.

— არა, შვილო, ასეთ საქმეში მესამე პირის ჩარევა არ გამოდგება. საკუთარი საბედო და სამეგობრო პიროვნება თვითონ უნდა შეარჩიო. თავად უნდა იკისრო პასუხისმგებლობა საკუთარი ოჯახისა და საზოგადოების წინაშე. ისიც უნდა გაითვალისწინო, რომ ნაბიჯი, რომელსაც ამ შემთხვევაში გადადგამ, საბოლოოა და მისი უკან გადმოდგმა აღარ შეიძლება.

— ეს ძველი ამბავია, მამაჩემო. — შევეკამათე მე. — დღეს შეიძლება დაშვებული შეცდომის უმტკივნეულოდ გამოსწორება. თუ ვინცობაა ერთმანეთისათვის შეუფერებელი აღმოჩნდებიან, შეუძლიათ დაარღვიონ ურთიერთშორის დადებული ვალდებულება და ახალი გზა მოძებნონ.

— არა, არა. ასეთი რამ არ გამავლნო. — შეწუხდა მამაჩემი. — ამ შემთხვევაში ჩადენილი შეცდომის გამოსწორება შეუძლებელია...

— რატომ, განა კანონი არ გვაძლევს ამის უფლებას?

— მაგრამ სინდისი? — შემაწყვეტინა მამაჩემმა. — აქ კანონი უკიდურესი შემთხვევისათვის არის ნაგულსხმე-



ვი... სინდის-ნამუსი, შეილო, სინდის-
ნამუსი, აი, რა უნდა დააყენო კანონზე
უფრო მაღლა... ჰო, ბევრს ნუ დააყოფ-
ნებ. თვითონ ხელავ, ოჯახს მომვლელი
სკირდება, შენ — მზრუნველი და მომ-
ხელავი. მე კი ძველებურად აღარ შემიძ-
ლია. დღე-ღამეზე, ვინ იცის, რაა მოსა-
ლოდნელი...

— მაგას ნუ იტყვი, მამაჩემო, ჯერ
კიდევ მხნედ ხარ და სულ ასე კარგად
უნდა მეყოლო... ისე კი, ოჯახის მოვ-
ლის სიმძიმე აქამდე რომ ვერ შეგხსენი
მხრებიდან. დამნაშავე ვარ. გეყო, რაც
ვინ-ვავლახი გადაგატყდა თავს. ცოტა
კიდევ მადროვე და ისეთ რძალს მოგგე-
რი, სულ თავზე გვევლებოდეს.

ჰოდა, მართლაც მალე შეეფსრულე
მამას დანაპირები.

ბევრი არ მიფიქრია, ხანგრძლივი სიყ-
ვარულით გული არ დამიწყულუღებია,
არც ქუჩა ამიტალახებია ვინმეს ფანჯა-
რასთან. ქალი მომეწონა, სხვებმაც მირ-
ჩიეს და, რამდენიმე შეხვედრისა და მო-
ლაპარაკების შემდეგ, ერთმანეთის და-
მეგობრება გადაწყვიტეთ.

მამამ მოიწონა არჩევანი. ცას დაეწია
სისხარულით, ჩემი დიმიტრის ცოლი შე-
ღირსაო. თავისებური სიყვარულით შე-
ხვდა რძალსაც. დალოცა, დაასაჩუქრა,
მოვალერსა.

— იცხოვრეთ და იბედნიერეთ, შვი-
ლებო, ახარეთ და ამრავლეთ მამისეუ-
ლი ფუძე და ოჯახი. — გვითხრა მან
ტკბილად, ორი დიდი ოთახი ჩვენ დაგ-
ვითმო და თვითონ მომცროს შეეფარა,
სადაც ახლაც ეკიდა დედაჩემის სიყრ-
მის სურათი, ხოლო ტახტი მისი ხელით
ნაქარგი ბალიშებით ელაგა.

ტკბილად და გემრიელად ვცხოვრობ-
დით.

ჩემი მეუღლეც არ გამოდგა ურიგო
ქალი. შესაფერი პატივისცემით ეპყრო-
ბოდა მამამთილს, მაგრამ...

მარადიული არაფერი ყოფილა.

როგორ გითხრათ, თვითონაც არ ვი-
ცი, როდის გაჩნდა პირველი ბზარი.

მოსაწყენი თუ დარჩა მესამე პირი
ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ოჯახში.

მესამე პირი!
იქნებ. მეც ვთვლიდი მამას მესამე
რად?

არა, ამ ბრალდებას ვერ მივიღებ. მე
იგი მძევარდა ისე ტკბილად და კეთი-
ლად, როგორც პატარაობისას, მაგრამ...

ისწავილეთ გამოდიან ისეთი კეთილშო-
ბილი ქალები, რომლებსაც ქმრის
მშობლებთან ოჯახში ერთად ცხოვრება
მოსწონდეთ. თუმცა ამაში მათ ვერ
დავდებთ ბრალს, რადგან ქმარში ისინი
საკუთარ მშობლებს ცვლიან და, რა და-
საძრახხია, თუ ქმრის მშობლებს ვერ
შეეფუონ?

დიმიტრიმ შეისვენა, თამბაქო გააბო-
ლა და შემომხედა.

— არ ვიცი, შეიძლება აჯობებდა პირ-
ველი დღიდანვე მამის ოჯახს გამოვყო-
ფოდი და ცალკე გვეცხოვრა, მაგრამ
წარმოიდგინეთ, ამის საბაბს ვერ ვხედავ-
დი. არც ჩემი მეუღლე იჩენდა ასეთ
მიღრეკილებას. იგი სათუთად ეპყრობო-
და მამაჩემისადმი ჩემს სიყვარულსა და
ბავშვურ დამოკიდებულებას. არც არა-
ფერი დანანებია მოხუცისათვის, თუმ-
ცა შვილი რომ შეგვეძინა და მამაჩემი
ახალშობილს ძიძად გაუხსნა და აკვანთან
ჩაუსასხლდა, შევატყვე, ეს საქციელი არ
მოეწონა და მამამთილს სხვაგვარად
დაუწყო ცქერა.

ჩვენი პატარა მეტად ჭირვეული გა-
მოდგა. მთელი ღამეები გაწამებული
ვიყავით მისი ტირილითა და ჩხავილით.
ისევ ბაბუამისი თუ დაამშვიდებდა,
თორემ ჩვენ ვერაფერს ვხდებოდით.

ჩემი მეუღლე მამაჩემს აბრალებდა
ბავშვის ამ უზნეობას.

ზედმეტი ფერებითა და ალერსით წა-
მიხდინა ბავშვი, — გაიძახოდა და ხში-
რად მოხუცს პირშიც ესაყვედურებოდა.

ჩემს ცოლს ზოგჯერ მეც ვუჭერდი
მხარს და მამას ვესაყვედურებოდი. ხში-
რად მკვახვდაც შევკამათებვიარ ხოლმე.

მოხუცი ყურადღებასაც არ გვაქცევ-
და. აინუნშოაც არ ავდებდა ჩვენს საყ-
ველურსა და ჩხუბს.

ამ ნიადაგზე თითქოს რაღაცნაირი უთ-
ანხმობა წარმოიშვა. ჩემი მეუღლე უფ-

რო და უფრო ღვარძლიანად ეკიდებოდა მამამთლს, უხშირა საყვედურებს, არც ისე იშვიათად წყევლიდა კიდეცა. ეტყობოდა, მამაჩემი უკვე აღარ სარგებლობდა კვლავინდებური პატივისცემით რძლის გულში. ახლა ნამდვილად მესამე პირად იქცა მამაჩემი და...

წარმოიდგინეთ, მეც ასე მომეჩვენა. დიას, მომეჩვენა და სამწუხარო ის არის, რომ ეს მოჩვენება ვერ მოვიშორე.

ბზარი იზრდებოდა. ფართოვდებოდა. ოჯახში უსიამოვნება მატულობდა. მამამთილს სულ უფრო ხშირად ეკამათებოდა ჩემი მიუღწევე, რამდენიმეჯერ მეც ვაწყენინე მშობელს. მართალია, მერე ვინანე და შეეწუხდი, მაგრამ ამის შესახებ მამაჩემისათვის არაფერი მითქვამს, ბოდიში არ მომიხდია. მამამ იცოდა ჩემი ხასიათი, იცნობდა ჩემს ბუნებას და ჩემგან არაფერი სწყინდა, მაგრამ ჩემი ცოლის უბრალო შელაპარაკების დროსაც კი აუფერადდებოდა ლოყები.

ერთ უხიაკ დღეს ჩემი ცოლი სადღაც წავიდა და ბავშვი მოსავლელად მე დამიტოვა. ეს ყველაზე მძიმე მოვალეობა იყო, მაგრამ უარის თქმაც ხომ არ შეიძლებოდა?

მართალი გითხრათ, ძალიან ვამიჭირდა. საღამომდე რამდენიმეჯერ მივტყუებე ორი წლის ბავშვი.

— მამათქვენი შინ არ იყო?

— როგორ არა, შინ იყო. — მიპასუხა დიმიტრიმ. — შინ იყო და ბავშვსაც მეტნაწილად ის უვლიდა, მაგრამ მე მაინც საკმაო ჯაფა და გულისხეთქა შემხვდა.

საღამო ხანს, მობეზრდა ჩვენს პატარას ჩვენი წვალბა, თუ მოიდალა; როგორც იქნა, დაიძინა.

დავრჩით მე და მამაჩემი მარტო. ერთხანს კეთილად ვისაუბრეთ, ვილაპარაკეთ წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე. შემდეგ შევეყვით, შემოვყვით, შევკამათდით, შევედავ-შემოვედავეთ ერთმანეთს და...

დიმიტრიმ თავზე შემოიდგა ხელი და დაღუძმა.

ვლუმდი მეც.

— ნეტავ იმ დღემდე არ მიმეღწეოდა, თუ არა იხერას ამოაყოლა ჩემმა თანამოზიზნადრემ.

— ნუთუ ისეთი რამ აკადრეთ მამას?

— დიას, ვაკადრე... ვაკადრე, — დამნაშავის ხმით ამოილაპარაკა დიმიტრიმ და თავი ჩაჰკიდა.

ერთხანს კიდეც ვერაფერი ვკითხველუმდი და ვფიქრობდი, თუ რა აკადრამამას ისეთი, რომელიც აქამდე ცეცხლად შემონთებია გულზე.

— ალბათ, ამაგი არ დაუფასეთ და ურიგოდ მოიხსენიეთ?

დიმიტრიმ უფრო დაბლა დახარა თავი.

— რატომ მანამდე არ შემახმა მარჯვენა. სანამ იგი მშობლის წინააღმდეგ აიწეოდა.

— აჰ! — უნებლიედ წამომცდა მე. — ეს ვერ მოგსვლიათ კარგი ამბავი, პატივცემული დიმიტრი. ალბათ, ძალ-ღონე არ შესწევდა, თორემ დაუსჯელს არ დაგტოვებდა.

— ნეტავი დასჯით გავებენიერებინე. — ჩაილაპარაკა დიმიტრიმ.

— გაპატიათ?

— არა, არ მაპატია. დამსაჯა, უსასტიკესად დამსაჯა. დამსაჯა ისე, რომლის მსგავსად ჯერ არაფერს დაუსჯიათ.

— ნუთუ სამართალმა გამოიჩინა ასეთი სიმკაცრე?!

დიმიტრიმ თავი წამოსწია და გაკვირვებით შემომხედა.

— რომელ სამართალზე მელაპარაკებით? განა რომელიმე მოსამართლე გამოგებინდა კანონთა კრებულში ისეთ მკაცრ პარაგრაფს, რომლის ძალით ასე მძიმედ დამსჯიდა? არა, ამგვარი სასჯელი არასოდეს არ დაწერილა და ვერც ვერასოდეს დაწერს კანონმდებელი.

— მაპატიეთ, მაგრამ თუ არ მიშველეთ, გამიჭირდება მიგისვდეთ. — ვუთხარი მე. — რა უნდა იყოს ისეთი სასჯელი, რომელმაც ასე დატანჯოს ადამიანი?



— აი ეს არის გამოსაცნობი. — ჩაი-
ლაპარაკე ჩემმა თანამოსაუბრემ. —
ზევერს ჰგონია, დამნაშავეს სასტიკად და-
სჯა მხოლოდ კანონთა კრებულში ჩაწე-
რილი მუხლის საშუალებით შეიძლება.
ეს ძველებური შეხედულებაა და მისა-
სალმებელია საბჭოთა მთავრობის მი-
თითება, რომლის ძალითაც კანონს და-
მნაშავეს დასჯასთან ერთად მის გამოს-
წორებასა და აღზრდას აკისრებს. თქვენ
იციტ, უმხილებელი და დაუსჯელი დამ-
ნაშავე რამდენად უფრო დასჯილი და
დაჩაგრულია, ვიდრე დასჯილი და მხი-
ლებული?

— თუ მას სინდის-ნამუსი გააჩნია და
წესიერია! — ჩავურთე მე.

— ეგ მართალია. — დამიდასტურა
დიმიტრიმ. — მაგრამ ადამიანები ხომ
სწორედ ასეთი თვისებით განსხვავდები-
ან პირუტყვისაგან? მეტყველება, გონი-
ერება და სინდის-ნამუსი.

ეს საკითხი საკამათო არ არის და არც
ჩვენ გავვიხდითა საპაექროდ. შევთანხმ-
დით, რომ წესიერი ადამიანი უნებლიედ
თუ აღმოჩნდება საბრალდებულო საქმე-
ზე, მისთვის სასჯელად მითითება და
ჩაყვედურებაც საკმარისია, მაგრამ ჩემი
თანამოსაუბრის დასჯის ამბავმა ძალიან
დამაინტერესა და ვთხოვე ეამბნა, რით
დამთავრდა მამა-შვილის ინციდენტი.

— დიახ, ეს არის მთავარი. — თქვა
დიმიტრიმ. — ეს არის, რის თქმაც აქამ-
დე ვერ გამიბედავს, ეს არის, რაც ამ
ოცდაათი წლის განმავლობაში ტანჯავს
ჩემს გულსა და სულს.

— უბედნიერესი ვიქნებოდი, — გა-
ნაგრძობ ჩემმა თანამოსაუბრემ, — ასე-
თი რამ არ შემხვედროდა და მამის წი-
ნაზე არ შემეცოდა. მისი სახელის მოგო-
ნებაზე ყრუანტელი არ მიცვიდეს და
მის საფლავთან მისვლის არ მეშინოდეს.
მაგრამ, რადგან საძრახი საქმე ჩა-
ვიდინე და მშობელს შევცოდე, დავს-
ჯილიყავ მაინც სამართლიანად და ნაწი-
ლობრივ ცოდვის სიმძიმე შემსუბუქე-
ბოდა. დაერთვა, ეცემნა, მოვეკალი, ან

სამართალში მივეცი და დავესაჯე, რა-
ღაც სიმწვავე, ფიზიკური ტანჯვა მოე-
ყენებინა ჩემთვის.

— მშობლის გული ლმობიერია. გაბა-
ტიათ, რა ვუყოთ მერე! — ვცადე დამე-
მშვიდებინა წარსულის მოგონებით აფო-
რიაქებული ადამიანი.

— თქვენ ფიქრობთ, მაპატიო? არა. არ
მაპატიო.

— მაგრამ მაინც რით გამოხატა სას-
ჯელი? როგორ მოიქცა? რა გითხრათ? —
ვკახხე და პასუხის მოლოდინში სმენად
გადავიქეცი.

— რა მითხრა? როგორ მოიქცა? არა-
ფერიც არ უთქვამს, ხმაც არ ამოუღია,
კრინტიც არ დაუძრავს. დამბლადაცმუ-
ლივით ჩამოუტყვივდა ხელები. გაშრა,
გახვედა, სახეზე მკვდრის ფერი დაედო.
ერთხანს იღვა ასე გაქვავებული და
რალაცნაირი უცხო თვალებით მომჩერე-
ბოდა, თითქოს მე კი არ მხედავდა, სად-
ღაც უფრო შორს სიღრმეში იხედებო-
და. ალბათ, დაუწერელი კანონების წიგ-
ნში ჩემი დასჯის ყველაზე მკაცრ საშუ-
ალებას ეძებდა...

და იპოვა კიდევაც...

წყვილი კურცხალი წყნარად მოწყდა
მის თვალებს, ლოყებზე ნელა დაცურდა
და იატაკზე პირდაპირ ჩემს წინ დაიმსხ-
ვრა და დაშალა.

მხოლოდ მამის ვიგრძენი, რაც მოხდა
და გული ჩამწყდა.

— ვაიმე, მამავ, ჩემო საყვარლო
მშობელო, დამნაშავე ვარ, ცოდვილი.
უღირსი შვილი ვდგავარ შენს წინაშე.
გინდა ახლავე დავეშვები მიწაზე და შე-
ნი ძლიერი ფეხებით გამსრისე, როგორც
ქვეწარმავალს გასრისენ. დახოქილი გე-
ვედრები. გთხოვ, მაპატიე... მაგრამ არა,
არა ვარ შებრალდების ღირსი. ნუ მაპა-
ტიებ; დამსაჯე, როგორც გინდა, გამციტ-
ხე. გამამართახე, ოღონდ შენ გამისწო-
დი, თვითონ შენ გამოიტანე სასჯელი
და სისრულეშიც შენ მოიყვანე. დამარ-
ტყი შენი მძიმე ხელები, ჩემს მოვლაში
რომ გაცდენენ და მიილიენ. ხომ ხედავ,
როგორ შევცდი, როგორ დავკარგე სინ-

დისი და ჭკუა-გონება?! მაპატოე, ძვირფასო, დამაყენე სწორ გზაზე, ჩემო კეთილო და ტკბილო მამიკო!

და დიმიტრის ახლაც აევსო თვალები ცრემლით.

— ეს სიტყვები რომ მოისმინა, რა თქვა? არც მერე გაპატია? — ვკითხე გულშეღონებულმა.

— მას ეს სიტყვები არ მოუსმენია.

— როგორ?

— ამ სიტყვებს მხოლოდ ჩემს გულში ვამბობდი, ჩემთვის, ჩემი თავისთვის. ხმამაღლა კი... გამბედაობა არ მეყო... ვერ ვთქვი მის გასაგონად, იქნებ, ჩემი სიჯიუტე და ავადმყოფური თავმოყვარეობაც იყო, ენა რომ შემიკრა...

მამა უსიტყვოდ მიბრუნდა და უხმოდ, როგორც მოჩვენება, გავიდა თავის ოთახში.

დავრჩი გულანოცლილი...

არა, არ შემიძლია, მაშინდელი ჩემი მდგომარეობა გადმოგეთ.

ალბათ, თვითონ დავადებდი საკუთარ თავს უმკაცრეს მსჯავრს და განაჩენსაც თვითონვე მოვიყვანდი სისრულეში, ცოლას მოსვლას რომ არ შეეშალა ხელი.

ჩემი მეუღლე მეტად კმაყოფილი და მხიარული დაბრუნდა და, როგორც ყოველთვის, თავისი შთაბეჭდილების გაზიარებას აპირებდა, ალბათ, მაგრამ, ეტყობა, ალიან სახეშეშლილი ვიყავი, რომ დაზაფრული მაშინვე მომვეკარდა და მიზეზი მკითხა.

მე კარგახანს ხმა ვერ ამოვიღე, მაგრამ როცა ლაპარაკის უნარი დამიბრუნდა, მიზეზად პატარა არჩილის ჭირვეულობა მოვიგონე და, თუმცა ვკრძნობდი, ცოლმა არ დამიჩერა და ეჭვის თვალით დამიწყო ცქერა, მაგრამ მე მაინც არ ჩავთვალე საჭიროდ სხვაგვარი ახსნა-განმარტება.

წამების ღამე გავატარე. ერთხელაც არ მომიხუტავს თვალი. ჩემს თვალწინ მთელი ჩემი ცხოვრება ჩაიდურცლა, დარდიან-მზიანი ღლეები...

აი, ჩემი ბავშვობა, ყრმობა, სიჭაბუკე, დავაყვაცება.

სიზმარით ჩაიქროლეს ფერად ფერადმა ამბებმა და ნაირნაირმა სურათებმა:

აგერ მე პატარა ბიჭს, მთელი დღე თანატოლებთან სირბილით მოქანცულს, ტახტის კუთხეში მიმძინებია კატის გვერდით. ვიღაც ფრთხილად მხდის ტანზე, საწოლში მაწვენს და ნახად მეაღერსება, ისე ტკბილად და საყვარულთ, როგორც მხოლოდ მამას შეუძლია...

აგერ, სკოლაში მივცუნცულე. ამაყად ვაბიჯებ ფეხს. ეს ახალი ფეხსაცმელი მამამ მიყიდა, ეს შარვალიც მან დამიუთოვა, წიგნებზეც მან გადამიკრა ფერადი ქაღალდი. ასე კარგად სხვას ვის შეუძლია, აბა, გააკეთოს ეს საქმე?

ეს თავმომწონე სტუდენტიც მე ვარ, თანატოლებთან რომ მეჩქარება. მხოლოდ მამამ იცის, რა უჭირს და აწუხებს მის ვაჟიშვილს და ღიმილით მიაქვს შრომით დაკოყრალი მარჯვენა ჯიბისაკენ.

და ყველგან მამა და მამა.

ავადმყოფო შვილის სასთუმალთან თავდახრილი და შეწუხებული, თუ მისი პირველი წარმატებებით შუბლგახსნილი და იმედმოცემული...

ყველგან სათნო, კეთილი, მზრუნველი, ალერსიანი და თავდადებული. იმან ხომ შვილებს მისცა, შვილებს შეაღია ყველაფერი, რაც ბუნებამ მისთვის გაიმეტა...

— გადაგიხდი, ძვირფასო, ყველაფერს გადაგიხდი... არ ვიცი, ახლა წარმოვთქვი ეს სიტყვები, თუ ყურში ჩამესმა ჩემი წინანდელი დანაპირები.

უცებ გამოვერკვე ბურუსიდან...

გადაგიხდიო... აჟი გადავუსხადე კიდევაც...

ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა მე ჩავიღინე ასეთი საშინელი საქმე?

ახლა რა ვქნა?

როგორ მოვიქცე?

პასუხი ვერ გამიცია ჩემი თავისთვის.

შევიღე მამის ოთახში, პირქვე დავემხო მის საწოლთან, ვაღიარო ჩემი საში-

ნელი დანაშაული და არ წამოვდგე ფეხზე, ვიდრე შენდობას არ ვედირებ?

— კარგი იქნება!

— ეს ყველაზე გონიერი აზრია!

— ნამდვილად ვაქაცუური გადაწყვეტილებათ!

ჩამძახიან ყურში უცხო ხმები და ერთი ძარღვიც არ არის ჩემს სხეულში, საწინააღმდეგოს რომ ამბობდეს.

მამ, რატომ არ ვდგები, რომელი უხილავი ძალა მიჭერს და მბორკავს საწოლზე?

რატომ არ ემორჩილება ჩემი სხეული გონების ამ კეთილ გადაწყვეტილებას?

ნეტავ რას ფიქრობს მამა ახლა?

რას აკეთებს?

ძინავს წყნარად, გულმშვიდად, თუ შფოთავს და ბორკავს, როგორც მძიმე მწუხარების დროს იცოდა?

იქნებ დავიწყა კიდევაც ჩემი საქციელი...

ნათქვამია, „ვირის წიხლი არ მეწყინება“...

დაე, ნუ ეწყინება და ტყენას მამაჩემი მაპატიებს. დაე, ჩამთვალოს ვირად, მუტრუჟად. მაგინოს და მლანძლოს, რამდენიც ენებოს, ოღონდ დავიწყოს ეს წყენა და გულში ნუ ჩაიძარხავს...

ვიწვი, ვიტანჯები და შესლილივით გბორგავ ლოგინზე.

ზოგჯერ იმედის ნაპერწკალი გაიჭროლებს და წავეპოტინები...

უთუოდ დამშვიდდა, გულს გადაეყარა და მაპატია...

მაგრამ ის წყვილი კურცხალი, ნელა რომ დაგორდა დაწვებზე და ჩემს ფეხებთან დაიმსხვრა?

დავიწყებს იმას ან ის, ან მე?

არა, იმის დავიწყება არ შეიძლება.

საკუთარი მარჯვენა შემჯავრდა, შემეზიზნა. შემახებოდეს მაინც! შემალბე-

ბოდეს ეს ჩემი სხეულის ურჩი თვითნება ნაწილი, საკუთარი ხელოვნურე უწყალოდ რომ მიღალატა...

რამდენიმე წლის სიცოცხლე გავატანე იმ საზარელ დამეს...

დილით გათენებამდე წამოვიჭერი ლოგინიდან, ფეხაკრეფით მივუახლოვდი მამაჩემის ოთახის კარს და ფრთხილად შევალე.

მამა მშვიდად იწვა საწოლზე, და პირველი, რაც დავინახე, ფანჯრიდან შემოჭრილი დილის ცივგზე მისი ნათელფენილი, ვერცხლისფერი თმით დამშვენებული შუბლი იყო...

თქვენ გსურთ გაიგოთ, რა მითხრა მამამ სინანულით სავსე ჩემს აღსარებაზე?

მამას აღარაფერი უთქვამს მეტად... ის სამუდამოდ დაღუმებულიყო...

— აჰ!

— დიახ, აღარ იყო ჩემი კეთილი და სათნო მამა... ცივი სიკვდილი ზეიმობდა მის ოთახში და თავბრუ დამესხა.

გონებადაკარგული მივვარდი ცივ და უსულო სხეულს. მინდოდა ჩავხვევოდი, გულში ჩამეკრა, ზედ დავეკდომოდი მის მკერდს, მაგრამ უცერად თავზარდაცემული შევდექი.

დიდხანს ვიდექი გონებადაბნეული და ქვად ქცეული...

ბოლოს, მაინც მოველ აზრზე და მამას დახვდე.

წყვილი კურცხალი, წუხელ რომ ჩემს ფეხებთან დაიმსხვრა, იმათი, ალბათ, უკვე მერამდენე განმეორება, ჯერ კიდევ შერჩენოდა გაყინულ დაწვებს...

შემეშინდა...

იმ წყვილი კურცხლის შემეშინდა. ჩემი დანაშაული რომ იცოდნენ და ახლა-

თითქოს ცოცხალ არსებად ქცეულნი, ჩემი გამოუსწორებელი და მიუტევებელი საქციელისთვის პასუხს მთხოვდნენ და მასამართლებდნენ...

მამაჩემი გულის უეცარ დამბლას გადაეტანა.

— ასეთი შემთხვევა არც ისე იშვიათად გვხვდება მის ასაკში, — ამიხსნა ექიმმა.

იმან რა იცოდა, როგორ წავეხმარე იმ საშინელ სენს ძვირფასი მშობლის...

არც სხვამ იცოდა და ვერც გაიგეს ვერასოდეს...

მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა...

რამდენი რამ შეიცვალა ჩვენს ირგვლივ და ჩემს საკუთარ ოჯახში. პირველ შეილს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. იმატა ახლობლებმა და მეგობრებმა. ერთგულმა შრომამ და საზოგადოებრივმა საქმიანობამ სახელი და დიდება მომიტანა და, თითქოს არავითარი საბაზი არ უნდა მქონდეს დარდისა და მკვუ-

ნვარებისათვის, მაგრამ ის დანაშაულებელი რომელსაც ვერაინ გამიგებს და ვერ დამსჯის, მოსვენებას არ მაძლევს. საკუთარი უმხილველი დანაშაული მაწევს გულზე და მტანჯავს.

და პაუზის შემდეგ დაუმატა:

— უთუოდ აჯობებდა მამის ცხედართან მეღიარებინა ჩემი დანაშაული და სახალხოდ მომენანიებინა.


— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მამათქვენის სიკვდილის მიზეზი თქვენა ხართ? — შევეკითხე მე, მხოლოდ იმიტომ, რომ მის გულში ოდნავი სიმშვიდე შემეტანა.

დიმიტრიმ არაფერი მიბასუხა. ისევ დაიბრუნა თავისი ჩვეული სიჩუმე და მეტად ხმა აღარ ამოუღია.

მე კი არ ვიცი, კვლავ ისე ჩაბნელებული დარჩა მისი გული, თუ ამ მოულოდნელმა აღსარებამ მოუტანა რაიმე შვება.



9088



პირენ რუხუ

ბჭკარები

ზამთარს მოსდევს გაზაფხული,
სულ სუსხი სად ყოფილა!
გაძარცველა მთა და ბარი,
მაგრამ კვლავ შემკობილა.
ჩვენ სამშობლოს აყვავება
მუდამ გვწამდა, გვჯეროდა!

მიტომ ჩანგი იმედის ჰანგს
ბორკილებშიც ჟღეროდა.
მსურს ამ ლექსის ყველა ბჭკარი
იქცეს სასიმღეროდა,
ისე როგორც იეთიმ-გურჯის
ბჭკარებს ხალხი მღეროდა!

ვარსკვლავები

ვარსკვლავები კიაფობენ,
ციმციმებენ, ინთებიან.
ვარსკვლავები მოძრაობენ,
ჯგუფდებიან, ერთდებიან.
ვარსკვლავები თვალებს ნაბავს
და სხივების აფრქვევს ნათელს!

ვარსკვლავები წყვდიად ღამით
კელატრების ანთებს სანთელს.
ვარსკვლავები ცის ეშხია,
მშვენება და სილამაზე!
ღამით მათზე მომხიბლავი
არაფერი ბრწყინავს ცაზე!

შემოდგომა

დღე მიიწურა და დაილია
ღონემილეულ ფოთლების შუაში,
გაქრა ზაფხული და იდილია,
მზე შავ ღრუბლების ეხვევა თალხში.
შემოდგომა... ყვითლდება არე,
მოწყენილობას გრძნობს მთა და
ველი!

მაგრამ წავა დღე ეს მგლოვიარე,
ნისლიანი და ნაღველის მგვრელი,
მთებს კვლავ აპრილი შემოსავს
ნაზად,
გადიწმინდება ცის სივრცე მღვრია
და აყვავდება თვალის წარმტაცად
ვაჟა-ფშაველას დეკა და ღვია!



გრიგოლ ტახტაძე

იღუბალი სტუმარი

შემოაფინა ფრთხილად კარები
ხმამ იღუმალმა,
წყნარმა,
შაქარამ, —
კუმტს და მღუმარეს,
მოიარებით
ვარდის ფურცლები შემომაყარა.
თითქოს თავისით აუღერდა ქნარი,
ოქროცურვილი ვერცხლის სიმებით,
გულისფანცქალი ვიგრძენი ჩქარი
უცხო ღიმილის აციმციმებით.
და თუ წუთის წინ მიჩნდა არაფრად
არც სიყვარული, არც რამ ქონება. —
დაგუბებული სევდა და ზაფრა
უცებ გაჰფანტა ზეშთაგონებამ.
ემატებოდა სინათლე ბინას,
იმედსაც სითბო ემატებოდა
და როგორც წინათ,
დიდიხნის წინათ
გული ტრფილით ამბორგებოდა.
მე ვუმღეროდი ახალ რიყრაყებს,
მოვარდნილიყო სიტყვა სათქმელი
და ჩემი ქვეყნის ქალებს და ვაყებს
ყველას გაეღო მსურდა სარკმელდ.
მსურდა სამშობლოს გადასწვდენოდა
საგაზაფხულო სიმღერის ტალღა, —
ვისაც კაეშნით გული სტკენოდა,
თავი იმედით აეღო მაღლა.



შიგალი გოგლიძე

მამის ვარსკვლავი

ქვეყნად არ მეგულება მეორე ისეთი კამკამა და ლამაზი მდინარე, როგორც ლუხუტაა, ჩვენს სოფელს. რომ ჩამოუდის და ლამის სიჩუმეში წყნარად დუღუნებს. მიყვარს იგი, თავდავიწყებამდე მიყვარს. შეიძლება იმიტომაც, რომ ჩემი ბავშვობა ამ მდინარის ქალებში გამეგბნა საღდაც...

მიყვარს აგრეთვე ღამით ვენახში გავლა. იქ თვალს ახარებს მთვარის შუქზე მოელვარე ჩაქარვებული მტევნები. ვენახის ბოლოს ტირიფი დგას. იგი გაშლილი ტოტებით დასცქერის ლუხუტას.

— ქეთო, გავიაროთ ვენახში, — ვთხოვ ჩემს მეუღლეს.

— გვიანაა, ახლა რა გინდა ვენახში?! — მეკითხება ქეთო და თან კარებს ფრთხილად, უხმაუროდ ხურავს.

— გავიაროთ, კარგი ჰაერია... მალე დავბრუნდეთ.

— ბავშვი?

— ეს-ეს არის ჩაეძინა, რა უჭირს.

ხარის ქედით მოთელილ ბილიკს გავყევით. თუთის რტოებისაგან მოწნული ჭიშკარი შევადრეთ და ვენახში შევედით. მდინარის სუსტმა ხმაურმა მოაღწია ჩვენამდე.

აი ისიც, ჩვენი ლუხუტა! საბრალო, ისე დალეულა, ისე დასუსტებულა, ნავადმყოფარს დამსგავსებია. ახლა მას

ყველაზე გაუბედავი ბიჭუკელაც კი გადაივლის ფეხდაფეხ... თითქოს მის სიძაბუნეს მისტირისო, ტირიფი უძრავად დგას, ოდნავადაც არ ირხევა.

ხის ქვეშ ჩამოვჯექით. გაღმიდან იარაღსხმულ ლაშქარებით მოსდგომია ნაპირს. ტანაყრილი სიმინდი. მთის ფერდობზე ვენახები ჩამუქებულან.

— შეხედე! — წამოიძახა ქეთომ და ხელი აღმოსავლეთისკენ გაიშვირა, — რამოდენა ვარსკვლავი მოწყდა...

მართლაც, საკმაოდ მოზრდილი ვარსკვლავი დაეშვა დედამიწისკენ და ისე მომეჩვენა, თითქოს იქ, მაღლა, სასაფლაოზე მდგარი ცაცხვების ტოტებზე დაიფერვლა.

ტანში სიცივე ვიგრძენი. წელზე ხელი მოვხვიე ქეთოს და თავი უბეში ჩავუღდე.

— რა უცნაური ხარ, — მესმის ქეთოს საყვედური.

მე ხმას არ ვიღებ.

— დათო, რა უცნაური ხარ, — იმეორებს იგი.

— რადა?.. რადა ვარ უცნაური, ქეთო?

— აბა რას გავხარ?.. რა მოგივიდა?.. ზაფხულის ღამეს ცას ყოველთვის უამ-

რაჟი ვარსკვლავი წყდება. რა არის აქ უცნაური?

— ჰო, შენ მართალი ხარ, ქეთო... თუმცა, დამიგდე ყური. როგორ თქვი წელან? ვარსკვლავი მოწყდაო? იცი თუ არა შენ, როდის წყდებათ ვარსკვლავები?

ქეთო განცვიფრებული მიყურებს.

— ჰო, თუ იცი, როდის წყდებათ ვარსკვლავები?

ქეთო დუმს. მე კარგად ვიცი მისი ჩვევა. სახეზე ნაკლებად შეამჩნევ წყენას, მაგრამ თუ თავის მშვენიერ ნიკაპს დაუწყო თითებით წვალება, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც ეწყინა. და აი ქეთო აწვალებს ნიკაპს, აწვალებს და დუმს.

— იცი რა, დათო, — გაგულსებით მეუბნება, — გეყოფა, ნუ დამცინი... მეც კარგად ვიცი, რომ ვარსკვლავები არასდროს არ ცვივიან ციდან...

— შენ ვერ გამიგე. განა დაგცინი? აბა დამიგდე ყური... მაშინ ექვსი წლის თუ ვიქნებოდი... შენ ჩვენს სოფელში არ იყავი მაშინ, შენ გვიან მოდი ჩვენს სოფელში. ჰო, მაშინ ექვსი წლის თუ ვიქნებოდი და ვიცოდი მხოლოდ, რომ იყო მზე, იყო მთვარე და ვარსკვლავები... და როცა ვარსკვლავი მოწყდებოდა ცას, ბებია ყოველთვის პირველს გადაიწერდა. მე დედა არ მასხოვს, ქეთუნი... მამამ კი ერთ დღეს მხარზე ჩანთაგადაკიდებულმა ჩამკოცნა და წავიდა... წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ბებია ყოველთვის მარწმუნებდა, — მამა სანადიროდ წავიდა და შეიძლება დაავიანდესო.

თოფი?!

თოფი თან არ წაუღია მამას.

ხომ არ დაეიწყინა?! როგორ ინადირებს?!

მიდიოდა დრო. მამა არსად ჩანდა.

დროდადრო მოხუცი ლადია მოვიდოდა უზარმაზარი ჩანთით, ბებიას სამკუთხა ქალაღს დაუტოვებდა, მე თავზე გადამისვამდა ხელს და წვიდოდა.

ერთხელ წისქვილში გვიანობამდე შევრჩით მე და ბებია. გარეთ მოუტოვდა

დოლობზე ვიჯექით, ველოდით სიმინდის ჩამოფქვევას. მაშინაც, როგორც ახლა, იქ, აღმოსავლეთით, ცას მოწყდა ვარსკვლავი და კუდდაგრძელებული წამოვიდა მიწისკენ. ბებია მწრაფად გადაიწერა პირველი და რაღაც ჩაიბუტბუტა.

— ბებო, რატომ ჩამოვარდა ვარსკვლავი? — ვეკითხები მე.
მას რაღაც უნდა მითხრას და თითქოს არც უნდა.
მე არ ვეშვები.
და ბებია მისხნის:

— ყველა ადამიანს თავისი ბედის ვარსკვლავი აქვს, შვილო. ამიტომ არიან ისინი ასე მრავალი... ჰოდა, როცა ადამიანი კვდება, მისი ვარსკვლავიც წყდება ცას, ქრება...

ტანში ყრუანტელი მივლის. თმა მეზურძენება. გაუბედავად ვიხედები ცისკენ. საღლა შორს, სივრცეში ისევ წყდება პატარა, სულ პატარა ვარსკვლავი და უმალ ქრება.

წისქვილიდან წამოვედით. გზაზე ერთხელაც არ ამიხედავს მალა.
წელიწადზე მეტი გავიდა, რაც მამა წავიდა.
მე სკოლაში შესასვლელად ვემზადებოდი.

მამა კი არსად ჩანდა.
კედელზე ძველებურად ეკიდა მამჩემის სანადირო თოფი და ექვი გულს მიღრღნიდა.

ერთ დღეს შუა სოფელში გაისმა ქალის შემზარავი კივილი. დიდი ხანი არ გასულა და ახლა ეს კივილი ლუხუტას გაღმა გამეორდა, შემდეგ ისევ გამოიღმა, უფრო გვიან სოფლის ბოლოს შეიცხადეს ვიღაც და გახშირდა სოფელში შავკაბიანი ქალები.

მე ვიცოდი, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს, მხოლოდ ერთი ვერ გამეგო — რისთვის არ ასაფლავებდნენ მიცვალებულებს?!

მაშინ ახალი სიტყვა — „ომი“ ვისწავლე.

ისიც გავიგე, რომ ეს სიტყვა რაღაც საშინელებას ნიშნავს... რომ, საღლაც შორს არის ეს ომი და იქ მხოლოდ კა-

კა

კა

კა

კა

კა

კა

კა

კა

კა



ცები მიდიან და ომობენ... ესვრიან ერთმანეთს თოფებს და შეიძლება მოკვდნენ კიდევაც... აჟი მოკვდნენ ჩვენი სოფლიდან წასულნი!..

ერთი მაინც ვერ გამეგო — რისთვის ესროდნენ თოფებს ერთმანეთს?

სახლში მივედი. ბებია სამზადში ფუსფუსებდა. არც კი შევემოჩნევივარ, ისე ავედი სამზადიდან ოთახში. მამის საწოლზე წამოვწეჭი და იქვე კედელზე დაკიდებულ თოფს შევაველე თვალი.

ფიქრებში წასულს არ გამიგია, როგორ შემოვიდა ბებია ოთახში.

— ადე, შვილო, გეშვიება, ცხელი მჭადი და ყველი მაქვს.

მე არ მინდოდა არც ჭამა, არც სმა.

ომში უთოფოდ წასული მამის ჯავრი მიკლავდა გულს.

— ბებო, სად წავიდა მამა? — ვკითხე მოულოდნელად.

ბებო შეცბუნდა. მაინც მშვიდად მიბასუხა:

— სანადიროდ, ბებო შემოგვევლოს.

— არა, მამა სანადიროდ არ წასულა.

— რას ამბობ, შვილო!

— ჰო, მამა ომშია... ომი კი ცუდია, ძალიან ცუდია, იქ შეიძლება მამა მოკვდეს... მამას თოფი არ წაუღია, იქ კი თოფს ესვრიან ერთმანეთს... რატომ არ გაატანე მამას თოფი?... ან რად წავიდა მამა ომში?!!

ცრემლი ვერ შევიკავე.

ბებიამ გულში ჩამიკრა. დამიყვავა. როგორ არ ეცადა აეხსნა ჩემთვის, თუ რად წავიდა მამა ომში და რომ მას ვერავენ მოკლავს. და მალე დაბრუნდება შინ.

პირველ სექტემბერს ერთ ცუგრუმელა გოგოს მიმიჯინა მასწავლებელმა გვერდით. ჩვენ თანატოლები ვიყავით, მაგრამ რატომღაც იგი ძალზე პატარა შეჩვენა. ასეც იყო. მთელი თავით მაღალი აღმოვჩნდი მასზე.

— რა გქვია? — ვკითხე.

— ცუცა. შენა?

— დათო.

და ჩვენ ერთად ვწყუშბალაობდით ლუხუტაში. დავბოდიით მინდვრებში,

ტყეში ვაგროვებდით რკოს, ვკრავდით სოკოს...

თანდათან განელდა ფიქრი მოწყვეტილ ვარსკვლავებზე და ომზე.

მიდიოდნენ დღეები.

მოდიოდა ლადია ფოსტალიონი თავისი ღიდი ჩანთით და მოჰქონდა მამის ბარათები. მე და ცუცა ენის ბორძიკით ვუკითხავდით ბებიას მამის მონაწერს.

ცუცა ლუხუტასგაღმა ცხოვრობდა.

აქეთ, ჩემს მხარეს, უკეთესი საბალახოები იყო ლუხუტას ჭალებში.

გამოდენიდა ცუცა თავის თეთრთავა ძროხას თეთრთავა ბოჩოლათი და ჩვენ ერთად ვაბალახებდით საქონელს.

ჩანთაში ყველთან და მჭადთან ერთად წიგნიც გვედო.

— დათა, მე მალე წავალ აქედან... ჩვენ სხვა სოფელში გადავიღვართ, იქ ვიცხოვრებთ...

მე გავშრი, არ ვიცოდი რა მეთქვა.

— ცუცა, რატომ მიდიხართ სხვა სოფელში?

— არ ვიცი, დედა ასე ამბობს, იქ, ბებიასთან უკეთესად ვიცხოვრებთო.

— არა, არ წახვიდე, ცუცა!.. ნუ წახვალ! იქ ხომ ლუხუტა არ იქნება... აი არც ის ვაშლის ხე იქნება იქ!.. არც ტყე... სად შეაგროვებ ღრუტუნასათვის რკოს?..

— დედა მიდის, მეც ხომ უნდა წავიდე?

— ჩემთან დარჩი, ცუცა... დარჩი. მე ბებიას ვეტყვი, ბებო კარგი ქალი... დარჩები?... დარჩები ცუცა?!

ცუცა არ დარჩა...

მარტოდ დარჩენილს აღარ მიტაცებს ბებიას ზღაპრები.

მასწავლებლის სიტყვებიც ძნელად ეკარება გულს.

ცუცა აღარ ზის ჩემს გვერდით.

ვზივარ მარტო და ვიგონებ ცუგრუმელა ცუცას.

მამა სადღაც შორს ომში წავიდა... დედა? ნეტავ როგორი იყო დედა?... ასე მგონია, ბებომაც დამტოვა...

ღრო მიდიოდა.

აღარ მოდიოდა ლადია ფოსტალიონი.

ბებიას მოუსვენრობა დაეტყო. მოტყუა, მოიხარა და მეტი დაუინებით დაუწყო მიწას ყურება.

მე კი...

მე კი, პირიქით — ცაში ვარსკვლავების თვალთვალს მოვუხშირე.

— შენ რაღაცას ჯავრობ, აბა მითხარი რა გადარდებს, დათუნი? — მეკითხებო ბებია.

ბებიას კისერზე მოვეხვიე და გულამომჯდარმა ვუთხარი:

— ბებო, ჩემო ბებო, რამდენი ვარსკვლავიც ჩამოვარდება, ხომ იმდენი ადამიანი კვდება დედამიწაზე? ხომ ყოველ ადამიანს აქვს თავისი ვარსკვლავი?

ბებია შეკრთა.

— მერე, შვილო?

— ხომ შეიძლება ამდენ ვარსკვლავში მამის ვარსკვლავიც ერიოს?!

ბებო ცოტა ხანს წარბშეკრული, გაჯავრებული მისვამდა თავზე ხელს. შემდეგ თვალუბში ჩამხედა და მითხრა:

— ამაღამ გიჩვენებ მამაშენის ვარსკვლავს... როგორ დამავიწყდა და ამდენ ხანს არ გიჩვენე!

— მართლა, ბებო?! — შევძახე გახარებულმა, წამოვხტი და კისერზე მოვეხვიე, თვალეები დავუოცენე.

იმ საღამოს მართლაც მიჩვენა ბებია ვარსკვლავი, რომელსაც მამაჩემის ვარსკვლავი უწოდა. ეს იყო დიდი, დიდი კაშკაშა ცისკრის ვარსკვლავი.

ზაფხული მიილია.

შემოდგომა მოადგა სოფელს.

მე და ბებია ვენახში გავედით ყურძნის საყრდენად. უკაცობა ვაზის თვითეულ ძირს ატყვია. ნაცემივით ჩალურჯებულან მოუფერებელი, მზრუნველ ხელს მოკლებული ციკქა და ცოლიკოური. ისევ ძველშავი თუ აამებს თვალს.

საპალნაიანი ქური ძლივს ამოვავსეთ სამტერმოყვარულო დვინით. მალე შემოდგომამ თავისი ქნა — ცივი, წვიმიანი ამინდები დაიჭირა. თითქოს ქვეყანა დაეიწროვდა, დაპატარავდა, სქელი შავი ღრუბლები სახლის სახურავებამდე

ჩამოიზნიქა, კაცს აჯამეთის ტყის დაწვევა ცი უჭირდა.

გალიოდნენ დღეები. გამოდარებას არაფერი ეშველა. სიზმრად მექცა მოწმენდილი ცა და ვარსკვლავები.

ეჭვი გულს მიღრღნიდა.

ჩემი შიში ბებიას გავანდი.

— ნუ გეშინია, შვილო, — მითხრა ბებიამ, — მალე გამოიდარებს და ნახვ, მამიკოს ვარსკვლავი ისევ თავის ადგილზე იქნება.

გამოდარებას კი არაფერი ეშველა.

ერთხელ, სოფელში რომ ქვრივი ქალივით შემოვიდა საღამო, ბებომ მითხრა:

— ფქვილი გველევა, შვილო... მე წისქვილში წავალ, შენ შინ დარჩი, ცუდი ამინდია...

ბებიამ კოდიდან სიმინდის ამოღება დაიწყო.

მე ტომარა დავუჭირე.

— მეც წამოვალ, ბებო.

— არა, გაცივდები.

— შენ არ გაცივდები?

— არა, შენ დაწექი, მე მალე მოვალ.

— ბებო, რატომ დღე არ წაიღე საფქვაი?

— არ მეცალა, შვილო, ახლა წავიღებ, დილით მზად იქნება.

— მეც წამოვალ, ბებო, რა...

— ხომ არ გეშინია, ბიჭო, მარტო დარჩენა?

— არა.

— ჰო, შვილო, შენ ახლა პატარა როდი ხარ... მამაშენი შენს ტოლობაზე აჯამეთში დადიოდა მარტო.

— რატომ დადიოდა მამა ტყეში, ბებო?

— შეშა, ფიჩხი მოჰქონდა, ოჯახისათვის ზრუნავდა.

ბებიამ ტომარას თავი მოუკრა, მერე მალლა ავიდა, ლოგინი გაშალა და დამიძახა:

— დაწექი, დათო.

მე მალლა ავირბინე. ტანზე გავიხადე და ცივ ლოგინში გავეხვიე.

— არაფერზე იფიქრო, შვილო. მე მალე დავბრუნდები.

ბებია წავიდა.
თვალი დავხუჭე. როცა გავახილე,
ბინდბუნდში კედელზე ძლივს გავარ-
ჩიე მამის თოფი.

დიდხანს, დიდხანს ვუტკივრე თოფს.
არ ვიცი, როდის წამომებარა ძილი...

წისქვილის წინ ძველ, მოუკოდავ
დოლაბზე ვზივარ. გარკვევით მესმის
ღარში მიშვებული წყლის შხუილი. სა-
რეკელა თითქოს საფქვევის თვითეულ
კაკალს ითვლის, მისი შეწყობილი გუ-
ლისცემა აამებს სმენას.

მოულოდნელად ირგვლივ ყველაფე-
რი განათდა, თითქოს გათენდა. ავიხედე
და... დიდი კაშკაშა ვარსკვლავი სულ
დაბლა ჩამოსულიყო... მიახლოვდება.
დაფუკვირდი... ეს ხომ მამაა, ჩემი საყ-
ვარელი მამა!

მამა მიდიმის, სულ ახლოს მოდის
ჩემთან, მეც მისკენ გავრბივარ... ვერ
იქნა, ვერ დავიმორჩილე ფეხები!..

მამამ ისევ ვარსკვლავის სახე მიიღო.
ახლა მან უკან დაიხია... მე მისკენ გავრ-
ბივარ, ის კი ჩემგან გარბის. მალე ვარ-
სკვლავი მალდა, სულ მალდა ავიდა, მე-
რე უეცრად მოწყდა ცას, კუდი საშინ-
ლად დაიგრძელა, შხუილ-შხუილით წა-
მოვიდა, წისქვილთან ახლოს წყალში
ჩავარდა, ღარში გაეჩხირა და წისქვილი
დადგა...

— მამაა... მამაა!

ზეზე წამოვვარდი. და აივანზე გავიჭე-
რი. ცას გავხედე. ირგვლივ წყვილიადა.
ქარი თუთის რტოებს ატლამუნებს და
ცივი წვიმის თქემს სახეში მასხამს.

— რა მოგდის, შვილო, ბებო შემო-
გველოს, — ვიშვიშებს ბებია და ისევ
მაწვენს ლოგინში. საბანს მახურავს,
მამშვიდებს.

— ბებო, ვარსკვლავი მოწყდა, დიდი
ვარსკვლავი ჩამოვარდა, ბებო! — აცახ-
ცახებული ვამბობ მე და საბანს ცრემ-
ლებით ვასველებ.

— არა, არა, დათუნი, ეს სიზმარია,

მოჩვენებაა! აი, ნახავ, გადაიღებს წვეშა,
გამოიდარებს და ნახავ...

ორი კვირა ვიწეკი.

ორჯერ დამანახა ფანჯრიდან ბებომ
დიდი კაშკაშა ვარსკვლავი. სიცხემ ისე
მომთენთა, სიხარულიც არ შემეძლო.

* * *

ახლა ბებიაც აღარ არის...

სიკვდილი აღარ ადარდებდა ბებოს...
ერთადერთი საჯაგრო მე ვყავდი. „ომმა
მომიკლა შვილი და გული, ომმა დამი-
ჩაგრა შენი თავი, ღმერთმა ნუ მოგასწ-
როს მეორედ ომის საშინელებას, შეი-
ლო“... ჩემს ლოცვაში დალია სული.

ახლა აღარც ბებია არის...

ქეთომ ღრმად ამოისუნთქა.

მე გავჩემდი.

იმ მწარე დღეების მოგონებამ წუთით
ყველაფერს ელფერი წაართვა. თითქოს
ლუხუტამაც ჩაიკმიდა ხმა. ტირიფმა
უფრო დაბლა დაუშვა გაძქილი თმები.
წამოვდექით.

— შეხედე, რა დიდებულად ანათებს
შენი დიდი, დიდი კაშკაშა ვარსკვლავი,
დათო! — ამბობს ქეთო აღტაცებით და
ცისკრის ვარსკვლავზე მიმითითებს.

— ჩემი?! არა, ქეთო, იგი მამაჩემის
ვარსკვლავია... იგი ჩემთვის მამის თვა-
ლებით ანათებს მარად!

ვენახიდან გამოვედით.

იმავე ბილიკს დავადექით და წყნა-
რი ნაბიჯით მივუახლოვდით სახლს.

მთვარის სიზმარეულ შუქში გახვეუ-
ლა სახლი. სახლში რბილ საწოლში
მშვიდად, მშვიდად ძინავს ჩვენს ბავშვს.

მან არ იცის, რა არის ვარსკვლავე-
ბი...

მან არ იცის, რა არის ომი...

საერთოდ მან ჯერ არაფერი არ იცის
და ძინავს მშვიდად.

როცა გაიზრდება, რას არ გაიგებს,
რას არ ნახავს, რას არ განიცდის, მაგ-
რამ მინდა ბებოისავით დავლოცო იგი:
ღმერთმა ნუ მოგასწროს, შვილო, ომის
საშინელებას.



ჯეაქ ჯაყელი

მშენებელ ქალს

ჯერე აპყეები ხარაჩოს და...
ნათელ სურვილთან
პირისპირ დგახარ მშენებელი,
აღესილი ძალით.
მერმე
ოჯახი...
მერმე
სუფრა.
ღვინო სურითა.
რამდენი რამე.
მშენებელი,
შშობელი,
რძალი...
ერთში ერთდება,
მთლიანდება.
და ეს შენა ხარ. —
ცხოვრების ხეზე მოხვეული ოქრო-ვენახად.
მზით ბადაგდები.
გადადიხარ სავსე ნაპირებს,
იმედად მაინც გეგულება კაცის
მკლავები.
სავსე ხარ, როგორც ანთებული ტრფობის საკირე,
სავსე ხარ, როგორც გაზაფხულის ცა
ვარსკვლავებით.
არც არასოდეს ყოფილიყავ ხელმოცარული,
გაზაფხულებავ, აყვავებავ მზისა და ნუშის.
და შენი კდემა, სათაყვანო კდემა ქალური
გვათბობდეს, როგორც განფენილი სიამე გულში.

* * *

ჩრდილი წახრილი, დედა მლოცველი,
მწვანე ბორცვები გადანამქერი,
მამის მკლავები, ცელი მომცელი,
თეთრი ცხენი და თეთრი ჩანჩქერი,
ცისკარი, მიწა, მზე და ბუხარი,
ბაღნარი, და რომ უვლიდა ინებს,
ჩამორბენილი შველის მუხნარი
ცალცალკე ველარ წარმოვიდგინე,
ცალცალკე ველარ წარმოვისახე. —
გულს სიყვარული გადამფონია
და ყველა ერთად, ვით ერთი სახე,
ერთი მგონია, ვით სიმფონია.
და მეღვენთება სულში ყანობა,
მოვარიანი და ძალა ფიცისა.
და ასე ვიცი, ერთიანობა —
ეს არის აზრი დედამიწისა.

* * *

მე მიფიქრია ბევრი და ბევრი
და უფრო ბევრი მიოცნებია...
მე ვიცი რაა კავი და კევრი,
ან ღვინით რატომ ილოცებიან.
მე ვიცი, რაზე ფიქრობს მეთევზე,
როცა ერთს ელის და მოდის ასი.
მე ვიცი, სხალთის ტაძრის კედელზე
რად ამოჰკვეთეს ხმალი და ვაზი,
რად ემართება კეთროვანს კეთრი,
რად ეყვავება ბალახებს ყვავი.
მე ვიცი, რაა შავი და თეთრი
და რად არსებობს თეთრი და შავი.
მე მიფიქრია ბევრი და ბევრი
და უფრო ბევრი მიოცნებია.
მე ვიცი, რაა კავი და კევრი,
ან ღვინით რატომ ილოცებიან.

დაიზრდებით და გაიტანთ ხნულებს

ღისშვილებისადმი

ბიჭებო, თქვენი დიდობა მინდა
და თქვენთვის მინდა დღეც და ხვალიცა.
შვილის სახელი ესოდენ წმინდა
მამულისათვის უნდა დაიცვათ.

უნდა დაიცვათ სხვისი ღიმილი,
კარგი ნატვრა და სითბო გულების,
ცაზე ვარსკვლავი ოქროს ღილივით,
მთაზე ჩახჩახა ნაკადულები.
ფერი ზღვისა და ლაქვარდებისა,
საუკუნენი წუთისოფლის,
ვინმეს თარიღი დაბადებისა
და უკვდავება ხელუყოფელი.

უნდა დაიცვათ!

ანდა იქნება

მე უსაშველოს გავალებთ რამეს?!
მაგრამ მე მინდა თქვენი ფიქრები
გადასწვდეს ნათელ ცას მოკამკამეს,
ღამიძიმდით, როგორც სავსე თავთავი,
ცხოვრების გზები გაიზაფხულეთ,
ვიცი, ჯერე ხართ დაუწვართავი,
დაიზრდებით და გაიტანთ ხნულებს.



გიორგი სამხაიაძე

დადგა ძვირფასი სამოცდაორი

კალენდარს მოსწყდა ბოლო ფურცელი,
 გზა დარჩა უკან ნათელი, შორი,
 შრომით დაღლილი წავიდა ძველი,
 დადგა ძვირფასი სამოცდაორი.
 ახალო წელო, სულ წინ იარე,
 იყავ მშვიდობის მეკვლე და მცველი,
 კომუნიზმის მზეს ჩაეზიარე,
 ვარდით მოჰქარგე მთები და ველი.
 მიეც სიმხნევე ხატულა აკვნებს,
 ააღლუნე მტრედების ბუდე,
 იმ ქვეყნებს ძმურად მიეთაყვანე,
 სადაც ამსხვრევენ მონობის ხუნდებს.
 მიწიდან ზეცას გაუდე ხიდი,
 მისწვდი კოსმოსის შორეულ სივრცეს,
 გქონდეს სიცოცხლე ლალი და მშვიდი,
 უბრალო ქვაც კი ყვავილად იქცეს.





იუზა ყაჭიშვილი

გემი ნავსადგურში შევიდა

მალხაზი მთელი დღე მარტო ბანაობდა. პლაჟი ხალხით იყო სავსე, მაგრამ ნაცნობი ვერავინ ნახა. იდგა ნაპირთან და უყურებდა როგორ ირწეოდნენ წყალში მეღუზები. აგვისტოს მცხუნვარე მზით გათანგული პლაჟი ყრუდ გუგუნებდა.

პლაჟი დასავლეთის მხრიდან ეკვროდა ქალაქს. მოშორებით ზღვა ხმელეთში ღრმად იჭრებოდა და უბეს აჩენდა. იქ ნავსადგური იყო. პლაჟიდან ჩანდა როგორ შედიოდნენ ნავსადგურში უზარმაზარი თეთრი გემები. ხანმოკლეებულ ჯებირს რომ გასცდებოდა გემი, ზღვას სანაპირო მაგნოლიები ფარავდა და მობანავეებს ეჩვენებოდათ, თითქოს გემი ხმელეთზე მიცურავდა.

უკვე შუადღე იყო. ზღვა ლურჯად ლივლივებდა. სანიშნო ანძასთან, ქოლვისებური საჩრდილობლის ქვეშ, ორი ბიჭი იწვა. ერთი უფრო მალაღი იყო. გამხდარი. ლოყაზე ნაიარევის მკრთალი ზოლი აჩნდა. ხალათის ჯიბიდან სიგარა ამოიღო, მოუყიდა. ანაზღად ნაპირთან მალხაზს მოკრა თვალი.

— შეხედე! — თქვა და ამხანაგს ნიდაყვი გაკრა.

ბიჭმა გაიხედა.

— ვერ იცანი?

ბიჭმა თავი დაუქნია.

მალაღი უფრო ახლოს მიიწია მისკენ; ავისმომასწავებელ, იღუმალ ხმაზე აჩურჩულდა.

ქველი ამბავი იყო, ოთხიოდე წლის წინანდელი ამბავი.

თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე ხალხით გატევილი ტრამვაი მირაზრახებდა. მალხაზიც იმ ტრამვაით მგზავრობდა. მის წინ ლამაზი ქალიშვილი იდგა, ხელი სკამის საზურგისთვის ჩაეჭიდა. ვილაცამ უხეშად გაკრა მხარი და ლამაზ ქალიშვილს მალაღი ბიჭი ჩამოეფარა. უცებ ვაგონი შეინჯღრა, ხალხი შეჩოქოლდა. მალხაზმა თვალი შეასწრო, როგორ ჩააცურა მალაღმა საათი ფეხსაცმლის ყელში. წამით მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა. „ქურდია...“ გაიფიქრა მალხაზმა.

ტრამვაი გაჩერდა, ხალხი ჩამოვიდა. ქალიშვილმა მაჯაზე დაიხედა და ატირდა. მალხაზმა დინჯად მიმავალ ორ ბიჭზე მიუთითა მილიციელს. ქალიშვილმა ბიჭებს ჯიბეები გაუჩხრიკა, მაგრამ საათი ვერ ნახა. მილიციელმა ბიჭების გაშვება დააპირა. „ფეხსაცმლები გაუსინჯეთ“, — თქვა მალხაზმა. მალაღმა ამღვრეული თვალებით შეხედა მალხაზს. მათში ზიზღი და შექარა გამოსჭვიოდა. მილიციელმა საათი ქალიშვილს დაუბრუნა.

ოდნავ წამოუბერა ნიავმა და ნავსადგურიდან დამწვარი ქვანახშირის სუნით

მოიტანა. მაღალმა შავი სათვალე გა-
იკეთა. სახეზე ბოროტი ღიმილი დასთა-
მაშებდა.

— ეცადე შორს გაიტყუო, გესმის?..
— უთხრა ამხანაგს. — შენ ვერ გავო-
ბებს.

ბიჭმა თავი დაუქნია და ჩამწვარი სი-
ვარა რიყის ბრტყელ ქვაზე დაასრისა.
მოძრაობისას მკერდზე და ილიის ქვეშ
მკვრივი კუნთები ამოებურცა.

— ხომ არ გეშინია?

— რას მიჭარავ! — თქვა ბიჭმა და
ათითებით ასანთის ღერი გატეხა.

მაღალმა მხარზე დაადო ხელი.

— მიდი აბა, რაღას უყურებ.

ბიჭი უხერხულად შეიმშუშნა.

— რომ მიცნოს?..

— გიყი არ იყო, სად ემახსოვრები.

ბიჭი წამოჯდა და ზურგით მიეყრდნო
საჩრდილობლის ღერძს. ნიდაყვებზე
მიკრობილი სილა ჩამოიბერტყა, გაბმით
დაუსტვინა.

— რა იყო, გეცოდება? — მაღალმა
ჩაშავებული ღრძილები გამოაჩინა. —
ცინებში ჯდომა გიხაროდა?

ბიჭმა თავი მუქარით გაიქნია, ადგა
და საჩრდილობლიდან გავიდა.

მაღლაზი იდგა წელამდე წყალში და
ლიფსიტების გუნდს აკვირდებოდა. მზე-
ზე თევზები მომწვანო-მოლილისფროდ
ვლავლენ. მერე კაცის ჩრდილი წამო-
ადგა თევზებს ნაპირიდან. დაფრთხნენ
და მყისვე გაუჩინარდნენ ღრმა წყალში.

ბიჭი დგაფუნით შევარდა ზღვაში,
ცოტა გაცურა, მალე ისევ მოტრიალდა
და შორიასლო გაუჩერდა მაღლაზს. მ-
დღუზა ამოიყვანა წყლიდან, ხელში აათა-
მაშა. მერე მედღუზა ნაპირზე ისროლა.

ბავშვები ყრიაშულით მისცივიდნენ
მედღუზას, მაგრამ ის რიყის გახურებულ
ქვებში ჩაიდვენთა და გაქარწყლდა. ბი-
ჭმა უხერხულად მოისრისა შუბლი.

— თვალში არ ამოისვა ხელი. — უთ-
ხრა მაღლაზმა.

— რატომ? — ბიჭი უფრო ახლოს მი-
ვიდა.

— აგწვება, მედღუზამ ასე იცის.

ბიჭმა ხელები გაიბანა წყალში, ზღვის
კენ მიტრიალდა.

ზღვა მობანავეებით იყო სახვე. უფ-
რო იქით უამრავი პატარა ნავი ნანა-
ობდა. შორს, ჰორიზონტის ლურჯ ხა-
ზთან ოდნავ შეიმჩნეოდა მზით განათე-
ბული კვამლი. კარგა ხანს უყურა ამ წე-
რტილს, მერე ისევ მაღლაზს მიუბრუნდა.

— შორს რად არ ვაღიხარ?

— ვერ ვცურავ კარგად, თანაც მარ-
ტო ვარ, მეზარება.

— მეც მარტო ვარ... — თქვა ბიჭმა
და წყალში შეტომა.

მაღლაზი უკან მიყვა.

ბიჭი სულაც არ აშხეფებდა წყალს,
მუხლებს ოდნავ ხრიდა და მოკლე ბიძ-
გებს იღებდა. წყალში ყვითლად ელავ-
და მისი ფეხისგულები.

— შენ, ძმაო, მშვენივრად ცურავ. —
უთხრა მაღლაზმა.

— ისე რა...

წყალზე მოტივტივე ბალონს გაუს-
წორდნენ, რომელზეც წითელი ალამი
იყო მიმაგრებული. მაღლაზი შეჩერდა.
ბიჭმა ათიოდე მეტრი გაცურა და შემო-
ბრუნდა.

— ამაზე შორს ჯერ არ გავსულვარ. —
უთხრა მაღლაზმა.

— რატომ, შენც კარგად ცურავ.

— ცოტას კიდევ წამოვალ შენი იმე-
დით. რა გქვია?

ბიჭმა ჩაყვინთა და გაუჩინარდა. მერე
თავი ამოყო და თმიდან წყალი ჩამოი-
წრიტა.

— რა გქვია? — გაუმეორა კითხვა
მაღლაზმა.

— ლერი. — ძუნწად თქვა ბიჭმა.

— მე — მაღლაზი.

— ჰოო?

ერთმანეთის მხარდამხარ მიდიოდნენ.
წყალი თბილი იყო.

— ფეხბურთს თამაშობ? — კითხა მა-
ღლაზმა.

— ცოტ-ცოტას.

— ჩვენ გვყავს ქარხანაში გუნდი. შა-
რშან პირველი ადგილი ავიღეთ.

— მართლა?..

— წელს ხალხი შემოგვაკლდა, გვი-

ჭირს. კარგად თუ თამაშობ, ჩვენთან მო-
გაწყობ.

— არ ვარ აქაური. — ყრუ ხმით თქვა
ბიჭმა. მისი თვალები კვლავ წააწყდა
კვამლს. კვამლი გაზრდილიყო და ღრუ-
ბელივით იწვა ჰორიზონტზე. იქ გემი
მოჩანდა. გემი ჯერ ძალიან შორს იყო.

— მე აქაური მეგონე, — უთხრა მალ-
ხაზმა. — ნაცნობი სახე გაქვს.

ბიჭმა უხერხულობა იგრძნო. ჩაყვი-
ნთა და ჰაერის ბუშტები ამოუშვა მალ-
ლა. მოშორებით ამოყო თავი, სველი
თმა უკან გადაიყარა.

— შენ აქაური ხარ? — კითხა მალ-
ხაზს.

— მეორე წელია უკვე აქ ცხოვრობ.
სოფლიდან გადმოვსახლდით.

გულაღმა ამობრუნდნენ. წინ ფარ-
თოდ ჩანდა სანაპირო ზოლი, ქალაქის
მიღმა შემოჯარული მთებიც გაზრდი-
ლიყვნენ. ცოტა შეისვენეს და ისევ გა-
ცურეს. წინ უკვე თითო-ორი კაცი
იყო. მალხაზი საკმაოდ გაუთამამდა
ზღვას.

— რა კარგი წყალია, — თქვა მან. —
ამან კაცი როგორ უნდა დაახრჩოს.

ისინი ყველაზე შორს გავიდნენ.

ბიჭი მხრის ათიოდე მოსმით დაწინა-
ურდა. მერე შემობრუნდა და ვერტიკა-
ლურად გაჩერდა წყალში. ხელ-ფეხს
ოდნავ ამობრავებდა, მოქუფრული გას-
ცქეროდა პლაჟს. მან დაინახა რა გავი-
რვებით მოცურავდა მალხაზი. ახლო-
მახლო კაცის ჭაჭანება არ იყო, ნაგებიც
ქვევით გაიკრიფნენ, ნავსადგურისაკენ.
მზეზე იღუმალად ლიცლიცებდა წყალი.

მალხაზი ბიჭთან მივიდა. გაკვირვებუ-
ლი მიაჩერდა მის დაძაბულ სახეს.

— რა მოგივიდა, ლერი, ცუდად ხარ?
ბიჭს არაფერი უთქვამს.

— გეტყობა დალილი ხარ, — უთხ-
რა მალხაზმა. — გულაღმა გადაწევი.

— მოდი ახლოს!.. — მკვახედ ესრო-
ლა ბიჭმა.

მალხაზი ახლოს მიცურდა. ბიჭი მხრე-
ბში სწვდა და დაბლა დაიქნია. ზედაპი-
რზე ზედიზედ გასკდა ჰაერის ბუშტები.
მერე ფეხებით შედგა ჩაძირულს და

მძღავრად წაუძახა ფსკერისაკენ. თვე-
თონ წელამდე ასკდა წყალს ამ მოძრაობით.
ანაზღად მაშველი გლისერი დაი-
ნახა, სწრაფად მოცურავდა მათკენ.
გლისერის მინამ კაშკაშა მზე აირეკლა
და სახეში მიანათა. ქშენით და ფრუტუ-
ნით ჩავარდა წყალში.

მალხაზი მის ფეხებთან ამოაგდო წყა-
ლმა. ეტყობოდა, უკვე ეგემნა ზღვის სი-
მლაშე, ხველა ახრჩობდა.

უკვე გარკვევით ისმოდა როგორ თუ-
ხთუხებდა წყალში გლისერის მოტორი.
ბიჭი სასიწარკვეთილი უსმენდა ამ
ხმას. „დავიღუპე“, ფიქრობდა იგი, „აი,
მოვლენ ახლა და ესეც იტყვის, რომ
დახრჩობა მოვუნდომე“.

მალხაზი, როგორც იქნა, დამშვიდდა.
ხარბად შეისუნთქა ზღვის გრილი ჰაერი,
წყალში გასწორდა და ბიჭს ნაწყენი
ხმით უთხრა:

— ეს რა ხუმრობა იყო, კინაღამ და-
ვიხრჩვი.

ბიჭმა გაკვირვებით შეხედა. წყალი
გადასცდა, დაახველა. ზღვისკენ მიტრი-
აღდა და ტუჩი მოიკვიტა. დაღვრემი-
ლი გაჰყურებდა ჰორიზონტს. იქ მან ის-
ევ დაინახა გემი. მილიდან ბოლქვებად
ამოდირდა შავი კვამლი, რომელიც იშ-
ლებოდა და დიდ ფართობზე ფარავდა
ცას. გარკვევით ჩანდა გემის ანძები და
საკვამლე მილი.

მალე გლისერი წამოადგათ თავს.
გლისერმა სვლას უკლო, რკალი მოხა-
ზა და წყალზე გადაფერდა. კედელზე
წყლის განათებული ლანდი ალიცილიც-
და.

— გაბრუნდით უკან! — იყვირა მე-
საჭემ.

ბიჭებმა ხმა არ გასცეს.

— დალილი თუ ხართ, გაგიყვანთ!

— მიდი, საჭმე ნახე! — უქმეხად უთ-
ხრა ბიჭმა.

მესაჭემ წყენით გადახედა და სიჩქა-
რის ბერკეტს უსიტყვოდ გამოკრა ხელი.

მოტორი მკვეთრად ახმაურდა. გლი-
სერი ერთბაშად მოწყდა ადგილს და მე-
რცხალივით გაეკრა ტალღებს. უკან გა-
იყოლა წყლის აქაფებული კუდი.



მზე უკვე დასავლეთისკენ გადახრილიყო. წყალი სარკესავით ლაღლაპებდა. იმ ადგილას, სადაც გლისერმა ჩაიარა, წყლის სარკე გაიბზარა და გადატყდა. ბიჭს მოეჩვენა, თითქოს გლისერი უსასრულობაში მიდიოდა.

ისევ გულაღმა ისვენებდნენ წყალზე.

— რას ერჩოდი იმ კაცს, — უთხრა მალხაზმა. — გავეყვანეთ თუ გავგიყვანდა.

— არ იყო საჭირო. — მკვახედ მიუგო ბიჭმა. შეტრიალდა და მხარულთი გასცურა სიღრმისკენ.

მალხაზმა გაკვირვებული მზერა გააცოლა, მაგრამ არაფერი უთქვამს. უკან მიყვა და მალე კიდევაც წამოეწია.

მარცხენა მკლავზე ბიჭს მსხვილი ასოებით ეწერა: „არ დაგივიწყებ, ძვირფასო დედა!“

— გავბრუნდეთ უკან, — უთხრა მალხაზმა. — საღამოს აფთიაქში საქმე მაქვს.

— აფთიაქში? — გაიმეორა ბიჭმა.

— ჰო, დედას წამლები უნდა წავუღლო.

ბიჭმა დაბნეულად გაიხედა წინ. ჰორიზონტზე მკაფიოდ ჩანდა გემი. მილიდან ახლა ნაცრისფერი ბოლი ამოდიოდა.

უხმოდ განაგრძეს ცურვა. ჩამოწოლილ მყუდროებაში ისმოდა როგორ უტლაშუნებდნენ ხელისგულებს წყალზე.

— დავიღალე უკვე, — უთხრა მალხაზმა. — თუ გამიჭირდა, მიშველი?

— ჰო, გიშველი... — წაილაპარაკა ბიჭმა.

მომზრებით სასეირნო თბომავალმა ჩაიარა. „გელიადორი“ — ეწერა ლუზის ქვეშ. თბომავლის რადიოკვანძიდან ზღვას ეფინებოდა ქალის ტკბილი, საამური ხმა. მგზავრებმა შენიშნეს ბიჭები. იცინოდნენ, ხელს უქნევდნენ. მალხაზმაც დაუქნია ხელი მგზავრებს. ბიჭი კვ დაძაბული უყურებდა მათ.

„გელიადორმა“ კურსი ნაპირისაკენ აიღო. მუსიკის ხმაც თანდათან მიწყდა.

— რა კარგი სიმღერა იყო! — თქვა

მალხაზმა. — შენ არ მოგეწონა? — მომეწონა. — ნაღელიან ბიჭმა.

— მე მაქვს კარგი ფირფიტები, — უთხრა მალხაზმა. — წავიდეთ ამ საღამოს, მოვასმენინებ.

ბიჭი დაფიქრებული უყურებდა.

— შენ რაღაც უგუნებოდ ხარ, — უთხრა მალხაზმა. — ჩემგან ხომ არაფერი გეწყინა?

— არა, რა უნდა მწყენოდა...

— რა ვიცი, სახე კი ჩამოგტირის... — დიმილით უთხრა მალხაზმა.

ბიჭი ოდნავ წინ გაიჭრა.

— ასე შორს გამოსვლა რაში მოგეპრიანა, — უთხრა მალხაზმა. — მე შენი ხატრით მოვდივარ.

დასავლეთით, ჰორიზონტის ლურჯ ხაზს გადაღმა, ბიჭმა დაინახა უზარმაზარი თეთრი საოკეანო გემი. იმის იქით ცაზე უძრავად ეკიდა ქულა ღრუბელი. ღრუბელი ჰგავდა სპეტაკ თოვლს. ბიჭმა გემის მოძრაობაც გააჩნია ამ ღრუბლის მიმართ.

— გავბრუნდეთ, ლერი, — უთხრა მალხაზმა. — ტანსაცმელი უპატრონოდ მივატოვე, თანაც მეჩქარება.

იგი ნაპირისაკენ მიტრიალდა.

ბიჭმა თვალი შეასწრო, როგორ ამოსხლტა წყლიდან თევზი, თითქოს ხანჯლის წვერი ამოყო ვინმემ ერთი წამით. თოლიამ ჰაერში წრე მოხაზა, ზედაპირზე ფრთები აატკაცუნა და წყალში თავწარგული მსხვერპლს გაედევნა.

ბიჭი ნაპირისაკენ შემობრუნდა.

შორს ვიწრო ზოლად გამოჩნდა პლაჟი, მერე ერთ სიბრტყეზე გაფენილი ქალაქი და ქალაქის მიღმა შემოჭარული ვეება მთები.

— არ უნდა გამოვსულიყავით ასე შორს, — უთხრა მალხაზმა. — გავგიჭირდება გასვლა.

— ვითომ?..

გვერდიგვერდ მიცურავდნენ. მალხაზს განსაკუთრებით ეტყობოდა დაღლა. გულაღმა ამობრუნდნენ და შეისვენეს. ნელა ირწეოდნენ სუსტ ტალღებზე.

პლაჟზე თანდათან გამოისახა ფანჯა-

ტურები და საჩრდილო ტოლების კონტურები. ნათლად გამოჩნდნენ ადამიანებიც. ხმა კი არსაიდან ისმოდა, თითქოს ირგვლივ ყველაფერი დააყრუა და ოქროს მტვრით დაჰფარა მზემ. წყალი უფრო გათბა და დაიწმინდა.

მალხაზი სანაშნო ანძას უყურებდა, რომელზეც პატარა თეთრი ალაში ფრიალებდა. წყალში სწორედ იმ ალაგას შემოვიდნენ, მაგრამ ანძა ახლა ასიოდე მტვრით ხელმარჯვნივ მოიტოვებს.

— ჩვენ ხომ პირდაპირ მოვცურავდით, — უთხრა ბიჭს. — არსად არ გადაგვიხვევია.

— დინების ბრალია, — უპასუხა ბიჭმა.

— რას იზამენ დღეს ჩვენი ფეხბურთელები?

— დღეს თამაშობენ?

— ჰო, მოსკოვის „დინამოსთან“.

— წააგებენ. მაგათთან სულ აგებენ.

— მოდი სანაძლეო, რომ მოიგებენ. — უთხრა მალხაზმა. — ამ საღამოს თითო ბოთლი ისედაც გვეყუთვნის.

ბიჭმა უკვე სულ ახლოს დაინახა გემი. ის უყურებდა ქიმის ნესტოებში მსხვილი ჯაჭვებით გამობმულ ღუზებს, უყურებდა ილუმინატორების მწკრივს. რომელიც სამ რიგად გასდევდა გემის კედელს. საკვამლე მილიდან ბოლქვებად ამოდიოდა თეთრი ბოლი.

ბიჭი თავისუფლად მიაპობდა ტალღებს და მხრის ათიოდე მოსმით დაწინაურდა. მალხაზი გაჭირვებით მიყვებოდა უკან. უცებ ფეხზე იტაცა ხელი, ძარღვი გაენასკვა. იჭმუნებოდა და ტკივილისაგან წყალში ფართხალებდა.

— ლერი!.. — დაიძახა შიშნარევი ხმით.

ბიჭი შეჩერდა, მაგრამ არ მობზუნებულა. გაქვავებული სახით გაპყურებდა სივრცეს. წამით თვალი მოკრა შეეუღმფრენს, რომელიც მის პირდაპირ მოფრინავდა ზღვისაკენ. მოეჩვენა, თითქოს შეეუღმფრენი სახეში ეჯახებოდა.

— ლერი!.. — გაიგონა ისევ მალხაზის სასოწარკვეთილი ხმა, რომელიც სანაზნეროდ წყალმა ჩაახშო.

მიტორიალა და წყალში ჩაყვინთა. მოშორებით მალხაზი დაინახა, ხელბის ასავსავებდა და წყალს ყლაპავდა. მტვრით და. წელზე ხელი მოავლო და ფეხების მოძრაობით ზედაპირზე ამოიყვანა.

მალხაზი წყალს გაებრუებინა, სახე შეცვლოდა. უკვე დაეჯახნა საბედისწერო შიშს, რომელიც ასე უცებ ეუფლებოდა კაცს ზღვაზე. მოქმედებდა მხოლოდ ერთი ინსტინქტი, — ჩაეჭიდოს რამეს, არ ჩაიძიროს. წელზე ხელი მოხვია ბიჭს და მასთან ერთად სიღრმეში შთაინთქა.

ბიჭმა სცადა ძალით გაეხსნა თითების ხლართი, მაგრამ ვერ შეძლო. მაგრად შემოევლო მალხაზს. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და გააკეთა მკვდარი მარყუჟი: მაჯებში ჩაავლო ხელი, მკლავების სალტე გაჭირვებით ჩამოაცურა დაბლა; მოდრეკილი მუხლები ამ სალტეში გამოატარა, გაიწია და დაუსხლტა. ღრმად შეისუნთქა სუფთა ჰაერი.

მალხაზი იქვე ფართხალებდა წყალზე.

— ნუ გეშინია! — დაუყვირა ბიჭმა. ფრთხილად მოუარა უკან და ხელი ბიჭებით წაიყვანა ნაპირისაკენ.

მალხაზმა შიშისაგან განსჯის უნარი დაკარგა. ებლაუჭებოდა ბიჭს და არ იცოდა, რომ ამით ორივეს სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა.

— ნუ გეშინია! — ისევ დაუყვირა ბიჭმა.

მალხაზი კვლავ ცდილობდა ჩაბლაუჭებას.

ბიჭი განზე გაიწია და სილა გააწნა.

მალხაზი დაშინდა, უკვე ვეღარ ბედავდა ხელის ჩაჭიდებას. ბიჭს ეს უნდოდა, თავისუფლად წაიყვანა ნაპირისაკენ.

ისევ გაენასკვნა მალხაზს ძარღვი, კრუნჩხვა დაეწყო.

— გამართე ფეხი! — დაუყვირა ბიჭმა, თან მასაქს უკეთებდა.

მალხაზმა დრო იხელთა და ყველზე მოებლაუჭა ბიჭს. კვლავ ჩაიძირნენ მუქმწვანე ზღვაში. ზედაპირზე პატარა ტალღა ამოიბურცა, მალე ისევ გაბრტყელდა და წყალი უწინდებურად ალაპლაპდა მზეზე.

ბიჭმა მხარზე უკბინა მალხაზს, მაგრამ ხელი მაინც ვერ გააშვებინა. კისრის ძარღვები დაჭიმა. დაახლოებით წუთთა გაიარა ასე, მერე ყურში ვერცხლის ზარები აწკარუნდნენ და ვიღაცამ დაიწყო თვლა:

„ერთი, ორი, სამი...“

„ასამდე გავძლებ“. — გაუელვა ბიჭს გონებაში. ფილტვებიდან გამოზოგვით უშვებდა ჰაერს. წყალში თავდაყირა ეკიდნენ და მან დაინახა, როგორ აგორდა ჰაერის ვერცხლისფერი ბუშტები მალხაზის გლუვ ზურგზე. მზეც დაინახა, მაგრამ ცაზე კი არა, წყლის ზედაპირზე, უცნაურად გაბრტყელებული და მოლაპლაპე მზე.

„შვიდი, რვა, ცხრა...“ — რაც უფრო უჭირდა, მით უფრო სწრაფად ითვლიდა იდუმალი ხმა. ისევე აწკარუნდნენ ვერცხლის ზარები. პირველად ეს ხმა ბუნდოვანი იყო, მერე გაძლიერდა და ტვინში ჩაქექდა.

უცებ ბედნიერი აზრი მოუვიდა: „წავალ სიღრმისაკენ!“ გულში იმედის სხივმა იელვა. ხელების სუსტი მოძრაობით იწყო მან ჩაძირვა. ყურებში საშინელი ძალით აწვებოდა წყალი, საცაა გაჰყლებდა წნევა, მაგრამ ნებისყოფის უდიდესი დაძაბვით მაინც განაგრძო ლტოლვა სიღრმისაკენ.

მალხაზმა ინსტინქტით იგრძნო, რომ გარემო, საითაც ბიჭს მიჰყავდა, აუტანელი იყო. იგრძნო, რომ მალლა ტოვებდა სიცოცხლეს, ჰაერს. მან თავისი ნებით გახსნა თითების ხლართი და ორავენი წავიდნენ მალლა...

სულზე მიუსწრეს მასველებმა...

ბიჭი მალე მოსულიერდა. ყურებიდან სისხლი სდიოდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. სახე შეიმშრალა და მალხაზს გადახედა. იგი მუხლებზე გადაეწვინათ მენავეებს და ხელოვნური სუნთქვით ცდილობდნენ გონზე მოეყვანათ. მუცე-

ლი უზომოდ გაბეროდა მალხაზს, ისე უზომოდ, რომ სატინის შავ ტრუსს სათავეში აღარ აჩნდა არც ერთი ნაოჭი.

მენავეები ნიჩბებს მიუსხდნენ და ნავი ნაპირისაკენ გააქანეს.

ნავი საჩრდილობლიდან ასიოდე მეტრის მოშორებით მიაღდა ნაპირს.

ბიჭი თავისით გადმოვიდა ნავიდან.

მენავეებმა მალხაზი სასწრაფო დახმარების პუნქტში წაიყვანეს. უკან ხალხი აედევნა, ზოგიც ბიჭს შემოეხვია ირგვლივ. ათსნაირი შეკითხვა დააყარეს:

— როგორ იყო?

— რანაირად მოხდა?

ის იღვა გაოგნებული, ხელებჩამოყრილი. არავის არ უპასუხებდა. მერე ვიღაცამ ჩამოიბრინა სასწრაფო დახმარების პუნქტიდან და თქვა:

„გადარჩება!“

ამ სიტყვებმა ბიჭი გამოაცოცხლა, თავი ასწია და ბარბაცით ჩაუყვა პლაცს. ვიღაც მხარში ამოუდგა, მაგრამ მან უსიტყვოდ, თითქმის უხეშად მოიშორა.

ხალხი მიიწმომიწია, გზა მისცეს. ყველამ მოკრძალებული მზერა გააყოლა.

— ამას გადაურჩენია...

— ყოჩაღ, ძმაო, ყოჩაღ!

— ღმერთი გადაგიხდის, შვილო, სიკეთეს! — გაისმოდა აქეთ-იქიდან.

ამასობაში საჩრდილობელს მიაღდა. უაზროდ გაუშტერა თვალი ამხანაგს: ის ისევე მხარ-თეძოზე იწვა და სიგარას ქაჩავდა.

— რა ქენი? — ავი ღიმილით ჰკითხა მაშინვე.

ბიჭი ისევე გაოგნებული უყურებდა.

— როგორ არის საქმე? — გაუმეორა კითხვა და სათვალე მოიხსნა.

— გადარჩება! — მიუგო ბიჭმა. ცხელ ქვიშაზე გულადმა გაწვა და თვალები დახუჭა. მზეში იწვა, მაგრამ მაინც აიტანა სიცივემ.

— რა მოხდა? — კითხა ამხანაგმა.

ჯიბიდან სიგარა ამოიღო და გაუწოდა. —
აჰა, მოსწიე!

ბიჭმა სახე მიიბრუნა.

— რა იყო, გაჯობა? — კვლავ გაუმე-
ორა კითხვა.

ბიჭი მხოლოდ ქუთუთოებზე გრძნო-
ბდა მზის სითბოს. თვალები დახუჭული
ჰქონდა და მზე დიდ ყვითელ ლაქად ეჩ-
ვენებოდა.

მზე ჩადიოდა, პლაჟზე თანდათან შე-
მეჩხერდა ხალხი.

ბიჭი წამოჯდა და ზღვას გახედა. სა-
ღამოს პირზე ზღვა ძალიან ლამაზი იყო.
შავრამ მას მაინც შეეზიზლა წყალი. სი-
ცივემ აიტანა, მთელი ტანი უძაგძაგებდა.

დაცარიელებულ პლაჟზე ქაღალდის
ნაგლეჯებს აფრიალებდა ნიავი. ბიჭმა

უპატრონოდ მიყრილი ტანსაცმელი და-
ინახა ნაპირთან. წამოდგა, ტანსაცმელი
აიღო და სასწრაფო დახმარების პუნქტ-
საკენ წავიდა.

ამხანაგმა გაკვირვებული მზერა გაა-
ყოლა.

ბიჭს უცებ ის გემი გაახსენდა, წედან
რომ უახლოვდებოდა ნაპირს. აღმოსავ-
ლეთისაკენ გაიხედა და დაინახა, რო-
გორ ჩასცილდა გემი ხავსმოდებულ ჯე-
ბირს. მილიდან კვამლი აღარ ამოდიოდა.
ჩვეულებრივ ახლაც გემის ზედა ნახე-
ვარი ჩანდა. დაბლა მას ფარავდა ნავსა-
დგურის შენობები და დაბურული მაგ-
ნოლიები. ამიტომ ბიჭს მოეჩვენა, თით-
ქოს გემი ხმელეთზე მიცურავდა თეთრ
სახლებს შორის.



ნიკოლოზ თაღაევამ

სამშობლოს

ხმაშეწყობილად შენ გიმდერიან,
მოჩქევს ლექსი და ჰანგი ჩანჩქერად,
ეს სიყვარული ისე ძველია,
როგორც ამ ქვეყნად კაცის გაჩენა.
რომელი ლექსიც არ უნდა ვქარგო,
მახარებს შენი მზე და დიღები,
ყველაზე დიდო, ყველაზე კარგო,
სამშობლოვ ჩემო, გეხმატკბილები.
შენი ღიმილი შევისისხლხორცე,
შენი ტკივილი მეც მიტირია,
ჩემი სიმღერა, ჩემი სიცოცხლე,
სამშობლოვ, შენთვის შემეძირია.

ჩემს სოფელს

სულ შევფოფინებ შენს სილამაზეს,
დეღეთა ჩუხჩუხს და ქარის ზუზუნს.
მე შენი მიწის თვითეთულ მტკაველს
ვეალერსები, ვით დედის ძუძუს.

რ ვ მ ე ნ ა

რწმენა სიცოცხლეს ანიჭებს ძალას,
სიბნელის ყინულს ამტვრევს და
აღზობს,
რწმენა ეკლიან გზებს ისე კვალავს,
არ გაგაქარებს დარდს გულთან ახლოს.



თეარ მუჯირი

არ დაიჯერო

სულს გაზაფხულის წვიმით ვავსებდი,
არა მაქვს ვალი არც მიწის, არც ცის.
რა ვქნა, ბუნებით დავრჩი ასეთი,
ხან მოლიმარი და ხანაც მკაცრი...
კოყრებიანი ხელები მიყვარს,
გაშავებული ზეთით და მიწით,
ვინც ამ ცხოვრების დინებას მიჰყვა
და მადლიანი ღიმილი იცის.
თუმცა ცა ასე მშვენიერდება,
თუმცა კორდებზე ირწევა ნისლი,
რალაც არ მჯერა ბედნიერებამ
მოგიკაკუნოს კარებზე მისით.
რა ვქნა, ბუნებით დავრჩი ასეთი,
ხან მოლიმარი და ხანაც მკაცრი,
ვხარობ ამ მიწის სიმაისეთი,
მიყვარს სალამი კაცური კაცის.
ბედნიერებას მე თვითონ ვჭედდი.
მიგრძნია მისი სურნელიც, გემოც;
თუ თქვენს ვინმეზე:
წყალობსო ბედი, —
არ დაიჯერო, ძვირფასო ჩემო!

პატარა ბავშვი

პატარა ბავშვი ატირდა ღამით,
ღამით, როდესაც ქარი მღეროდა,
როდესაც მთვარე ავღრით ნაწამი
იჭკრიტებოდა ღრუბლის ჩეროდან.

პატარა ბავშვი ატირდა ღამით
და მთელი სახლი ფეხზეა უკვე.
შეაწუხაო იქნება რამემ,
მაგიდის შუქი რატომ ჩაუქრეთ.
პაწაწინა კი ტირის და ტირის,
წამით გაყუჩდნენ ხეები გარეთ,
ემოიპარა იქნებ ნადირი
და აბრიალებს ცეცხლიან თვალებს.
ბავშვი თავისთან გადაჰყავს დედას,
დედის ლოგინი თბილია ძლიერ,
თბილი აქვს ძლიერ ხელები დედას
და დედის მკერდიც თბილია ძლიერ.
ცა ვარსკვლავებით უბეს აივსებს,
ცოტაც და ბავშვმაც ჩასთვლიმა ღზენით...
და მერე ისევ, და მერე ისევ
ზღაპარს ყვებიან მაღალი ხენი.

* * *

შენ ვერ მიუხვდი ამ გულის წადილს,
შენ ვერ მიუხვდი ამ გულის თრთოლვას,
ასე მგონია ცისკარზე წადი
და შენი კვალი დაფარა თოვლმა.



ჩეხუზ ღოჩია

ნუ, ნუ, ძვირფასო...

რა ტანმაღალი იყო ვაშლის ხე
და მოშრიალე მხნედა,
სხივები ზედ რომ ჰამაკს გაშლიდნენ,
მეხარბებოდა, დედა!
ავიწვევდი და ავცოცდებოდი,
მივისწრაფოდი ძალდა,
ტოტზე უშიშრად შემოვდებოდი,
ვისდა ახსოვდა დაღლა.
შენ ქვევით იდექ... ჩემთან დარდიან
ფიქრებს ატანდი სიოს:
— მეტს ნუ აღიხარ, ნუ, ნუ აღიხარ,
ჩამოვარდები, შვილო!..
არ გიჯერებდი, მაგრამ რომელი
შემაჩვენებდით ციფას.
ხელისგულივით ჩანდა სოფელი
ჩემთვის იმ მაღალ ხიდან.
ასე მგონია, ახლაც ამ ფიქრებს
ფურცლებს რომ ვანდობ მხნედა,
მინდა ცხოვრების ხეზე ავფრინდე,
მაღლა, სულ მაღლა, დედა.
გხედავ, დგახარ და... ტანმოცახცახე
ჩემს დარიგებას ცდილობ.
ნუ, ნუ, ძვირფასო, ნუ მომაძახებ:
— ჩამოვარდები, შვილო!..



ნუგზარ ნაკათალი

პორტის უშუშრა

სქელმა ნისლებმა უსასრულო სივრცე დაბურეს,
ნაცრისფერია ზღვა ღამეშხ, როგორც ბაქანი,
აკორდებივით მეორდება ტალღის დგაფუნი,
ტალღა თბომავალს მძიმედ აქანებს!
სასურველ ნაპირს სიბნელეში ვეღარ მოლანდავ,
ღამე ეცემა მოაჯირებს შავი თითებით,
მიაპობს ტალღებს
ანთებული ჩვენი ხომალდი,
ქარს და სტიქიონს შენაჭიდები!
აწავითარი დახვევა და შერიგებანი.
ნიიწევს გემი,
ზღვაზე რჩება ქაფივით ხაზი,
ნაცნობი ჰანგით ავსებულა თეთრი გემბანი,
ირწევა გემი ვალსების ხმაზე.
გუგუნებს ქარი,
გოლიათი ტალღის მშობელი,
და სიწყნარეზე მეტად გინდა ზოგჯერ გუგუნი,
მერე
ფიქრივით შორეული
და ახლობელი
მძიმე ნისლებში გამოჩნდება პორტის უშუქურა!





შეკვერ ანდრეასონი

დაკარგული რომანი

ყველაფერი ეს სიზმარსა ჰგავდა, — თქვა მან, მწერალმა კაცმა. იგი თვეობით მუშაობს წიგნზე, შეიძლება წლობითაც და ჯერ სიტყვაც კი არ დაუწერია ქაღალდზე. მე მინდა ვთქვა, რომ მუშაობს მხოლოდ მისი გონება: ის, რაც წიგნი უნდა ყოფილიყო, იქმნება და იქვე იფანტება.

მის წარმოდგენაში რიალებენ ათასნაირი სახეები.

ჰო, კინლამ დამეიწყდა მეთქვა: ერთ საკმაოდ ცნობილ ინგლისელ რომანისტზე ვლაპარაკობ.

ერთ დღეს ჩვენ ერთად ვესირობდით ლონდონის ქუჩებში და მაშინ მიამბო ყველაფერი. რამდენიმე საათი დავყავით ერთად. მახსოვს, თემზის სანაპიროზე მომიყვა თავის დაღუპულ რომანზე.

ერთ საღამოს სასტუმროში მეწვია. საუბარში ჩემს ზოგიერთ მოთხრობას შეეხო. „თქვენ ხანდახან თითქმის მწვერვალებს აღწევთ“, — მითხრა მან.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ შევთანხმდით, რომ მწვერვალებისათვის ჯერ არავის მიუღწევია. განა ვინმეს რომ ოდესმე ამისათვის მიეღწია, ტყვიით ვაეხვრიტა ამოღებული ნიშანი, მაშინ ხელმეორედ ხომ არასოდეს ცდიდა კალამს? თუმცა ისიც კია, რომ ძველებიდან

ზოგი ვინმე ძალიან ახლოს იდგა სასურველ მიჯნასთან. იქნებ, ეგ იყო კიტსი ან შექსპირი? ჯორჯ ბოროუ ანდა დეფო?

ნახევარ საათს ვიხსენებდით სახელებს.

სადილი ერთად ვკამეთ და მერე გავისეირნეთ. იგი პატარა, შავგვრემანი, ნერვული კაცი იყო. ქუდს ქვემოთ უწესრიგოდ ჩამოყროდა კულულები. მის პირველ რომანზე ჩამოვავდე სიტყვა.

აი ამ კაცის ცხოვრების მოკლე ისტორია. წარმოშობით იგი ინგლისის რომელიღაც სოფლის ღარიბი ფერმერის ოჯახიდან იყო. როგორც ყველა მწერალი, თავიდანვე წერის უინმა შეიპყრო. განათლება არ მიუღია. მეოცე წელიწადს დაქორწინდა. მისი ცოლი, ინგლისის სახელმწიფო ეკლესიის მღვდლის ქალიშვილი, როგორც ჩანს, სასიამოვნო ქალი იყო.

მე მგონია, ამ ჯურის ქალი არ უნდა შეერთო. თუმცა წინასწარ ვინ იცის, რომელი ქალი შეიყვარო, ანდა ვისზე დაქორწინდე? ის ქალი მასზე მაღლა იდგა მდგომარეობით. ქალთა კოლეჯი დაემთავრებინა და საუცხოო განათლება მიეღო.

ქალს იგი, ალბათ, ბრიყვად მიაჩნდა.

„ის მე აგრეთვე ნახ მამაკაცად მთელი-
და. ჯანდაბას მისი თავი“, — სიტყვას
მიაყოლა მან, — არა ვარ ნახი. მძულს
სინაზის ყოველგვარი გამოვლინება“.

იმ ღამეს ჩვენ ძალზე დაღუაზლოვდით
ერთმანეთს. ვსვარნობდით ლონდონის
ქუჩებში, ხანდახან რომელიმე ბარში
შევუხვევდით და თითო-ოროლას გადა-
ვკრავდით.

მასხოვს, შეგვეშინდა, საუბრის დამ-
თავრებამდე ბარები არ დაიკეტოსო და
თითო ბოთლი სასმელი თან წამოვიღეთ.

ის კი აღარ მასხოვს, რა მოვუყევი
ჩემს თავსა და თავგადასავალზე. მისი
ლაპარაკიდან ისე გამოდიოდა, რომ სუ-
რდა ცოლი ერთგვარ კერბთაყვანის-
მცემლად გაეხადა. მაგრამ იმ ქალს არ
ჰქონია ამის მიდრეკილება.

ორი ბავშვი ჰყავდათ.

უეცრად მან მთელი გატაცებით და-
იწყო წერა — ამაზე იტყვიან, აღარ
ხუმრობსო.

თქვენთვის ცნობილია ამ ტიპის ადა-
მიანი. თუ იგი წერს, წერს, მორჩა და
გათავდა. იმ ქალაქში, სადაც ცხოვრობ-
და, სამუშაოც ჰქონდა. მგონია კლერკი
უნდა ყოფილიყო.

წერას რომ ხელი მიჰყო, რასაკვირვე-
ლია, გული აიყარა სამუშაოზე, ცოლ-
სვილზე.

ღამ-ღამობით უყვარდა მინდვრად ხე-
ტიალი. ცოლი გამუდმებით ეჩხუბებო-
და. ცხადია, ასეც იქნებოდა. იგი საშინ-
ლად ნერვულობდა.

როცა მამაკაცი რომელიმე ქალის ქმა-
რია და როცა ქალს უყვარს იგი, მაგრამ
შემდეგ რაღაც თუ ვიღაც ავიწყებს მის
გულს, ვერცერთი ქალი ვერ აიტანს
ამას.

რა თქმა უნდა, მე მხატვრებს ვგუ-
ლისხმობ. მხატვარი ხომ პირველხარის-
ხოვანი საყვარელია! კაცმა რომ თქვას,
იქნებ მარტო ის არის ნამდვილი საყვა-
რელი.

და სწორედ ეს ხალხი ხანდახან შეუ-
ბრალებლად ფეხით სთელავს თავის პი-
რად სიყვარულს.

წარმოიდგინეთ ამ ოჯახის მდგომარე-

ობა. სახლში, სადაც იმ დროს ისინი
ცხოვრობდნენ, საძინებელი ოთახში
მოთ იყო მოთავსებული. ეს იყო ჯერ
კიდევ მაშინ, როცა იგი ინგლისის პატა-
რა ქალაქში ცხოვრობდა.

სამუშაოდან რომ ბრუნდებოდა, იგი
ზემოთ აღიოდა და კარს იკეტავდა. ხში-
რად ავიწყდებოდა ქამა. ხანდახან ცოლს
ერთ სიტყვასაც არ ეტყოდა.

იგი წერდა და წერდა, წერდა და და-
წერილს გვერდზე ყრიდა.

მერე მან სამუშაო დაკარგა. „ჯანდა-
ბასო“, მიაწყველა.

აღარაფერი აღარდებდა. რას მიქვია
სამუშაო, რას მიქვია ცოლ-შვილი! ცო-
ტა უგულო ხალხი ხომ უნდა იყოს ამ
ქვეყანაზე!

მალე შინ საქმელი გამოელიათ.

იგი კარჩაკეტილი ოთახში იჯდა და
წერდა. სახლი პატარა იყო და ესმოდა
ბავშვების ტირილი „ჯანდაბას თქვენნი
მოდგმა“, — ბუზღუნებდა იგი. ცხადია,
ამის თქმა სრულებით არ უნდოდა. მე
ვიცი, რასაც გულისხმობდა. ცოლი აღი-
ოდა ზემოთ და ჩაკეტილ კართან კიბე-
ზე ჩამოჯდებოდა. იგი ოთახში იჯდა და
წერდა. ცოლი საწყალობლად ტიროდა,
ტიროდა ძუძუთა ბავშვიც.

სულგრძელი არსებობა, არა? — მოთხ-
რა ინგლისელმა რომანისტმა, როცა ამ
ამბავს მიყვებოდა. „კეთილი სული,
ა?“ — მიაყოლა მან. „ემმაკმა წაიღოს“,
თქვა მან ბოლოს.

ყველაფერი რომ გასაგებ იყოს, გე-
ტყვი, — იგი თავის ცოლზე წერდა.
რომანი ცოლზე დაწერა, თავისი პირვე-
ლი რომანი. დროთა განმავლობაში ეგ
რომანი შეიძლება მის საუკეთესო ნა-
წარმოებად იქცეს.

ერთი მხრივ, ქალის მძიმე მდგომარე-
ობის საოცრად ნატიფი გაგება, მეორე
მხრივ — ასეთი აგდებული. უხეში და-
მოკიდებულება პირადად მისდამი.

კარგია მაინც, თუ სული გაგვანჩია,
ეგეც ბევრ რამედ ღირს, ა?

საქმე იქამდე მივიდა, რომ ყოველ
წუთს ჩხუბობდნენ.

და მერე ერთ ღამეს მან დაარტყა

ქალს. კარის ჩაკეტვა დავიწყნოდა და ქალი ოთახში შეუფარდა.

ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა ბოლოს და ბოლოს მიაგნო ქალის დამახსიათებელ დეტალებს, მისი არსების გაგებას. ყველა მწერალი მიხვდება მის მდგომარეობას. გრძნობიდან გამოსულმა დაარტყა ქალს და წააქცია. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ქალმა მიატოვა ის. სხენაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. წიგნი კი მაინც დაამთავრა. ეს იყო ნამდვილი წიგნი.

ახლა მის უკანასკნელ რომანს მივუბრუნდეთ. ცოლმა რომ მიატოვა, იგი ლონდონში წავიდა და მარტო დასახლდა. მეორე რომანის დაწერას აპირებდა.

პირველმა რომანმა საყოველთაო აღიარება მოუპოვა.

მეორე რომანი ისევე ძნელად იწერებოდა, როგორც პირველი. იქნებ, იმის ბრალიც იყო, რომ ძალზე გადაიღალა.

რასაკვირველია, დარცხვენილი იყო. რცხვენოდა თავისი საქციელისა, რომ ცოლს ასე უღიერად მოეკიდა. ამაზე რომ არ ეფიქრა, შეუსვენებლივ მუშაობდა თავის მეორე რომანზე. თუმცა, როგორც მითხრა, ერთი-ორი წლის განმავლობაში არაფერი გამოუვიდა. დაწერილს სიცოცხლე აკლდა.

თვეები თვეებს მისდევდა. თანდათანობით ჩამოცილდა ხალხს. ბავშვებს რა მოუვიდა? იგი ფულს უგზავნიდა ცოლს. ერთხელ კიდევაც ინახულა. განშორების შემდეგ ცოლი მამის სახლში ცხოვრობდა. იგი მივიდა მასთან და ქალი გარეთ გამოიყვანა. შემდეგ მინდორზე გაისეირნეს. „ჩვენ არ ვიცოდით რაზე გველაპარაკა, — მითხრა მან, — ქალი ტირილს მოყვა და გიჟი მიწოდა. მაშინ მე ისეთი თვალებით შევხედე, როგორც ოდესღაც, ხელი რომ დავარტყი. იგი მიბრუნდა და სახლისაკენ გაიქცა. მეც ავდექი და წამოვედი“.

ერთი კარგი რომანი რომ დაწერა, ცხადია, მეორის დაწერა მოუნდა. ხასიათების განვითარება, სიტუაციები, ერთი სიტყვით, ყველაფერი მოფიქრებული მქონდა. — მითხრა მან. საათები

ისე გადიოდა, იჯდა და წერდა. მეორე ქეჩებში სეირნობდა, როგორც იმ დამბის სეირნობდით მე და ის.

მაინც არაფერი გამოდიოდა.

თავისთავზე რაღაცნაირი თეორიაც კი შეადგინა. მეორე რომანი ჩემში ისე იყო მომწიფებული, როგორც დასაბადებლად გამზადებული ბავშვი, — მითხრა. ცოლ-შვილი მუდამ ახსოვდა და სინდისის ქენჯნას გრძნობდა. სიყვარულით ისევ მიყვარდათ, — მეუბნებოდა, მაგრამ ნახვის სურვილი კი აღარ მქონდა.

ხანდახან ისე ეჩვენებოდა, თითქოს ისინი სძულდა კიდევაც. ერთ საღამოს მას შემდეგ, რაც ადამიანებს ჩამოცილდა, დიდხანს ებრძოდა თავისთავს და მეორე რომანი დაწერა. ეს ასე მოხდა:

მთელი დღია თავის ოთახში გაატარა. ეს იყო პატარა ოთახი, რომელიც ლონდონის ღარიბ უბანში დაიქირავა. იმ დილით ადრე ადგა. საუზმე არც გახსენებია. მაგიდას მიუჯდა. არც ამ დილით ნაწერი ვარგოდა.

შუადღის სამ საათზე ჩვეულებებისამებრ გაისეირნა.

თან ბლომად წაიღო საწერი ქაღალდი. „ისეთი განწყობილება მქონდა, რომ მეგონა ყოველ წუთს წერას დავიწყებდი“, — მითხრა მან.

სასეირნოდ ჰაიდ-პარკში წავიდა. კაშკაშა, მოწმენდილი დღე იდგა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად სეირნობდა. იგი მერხზე ჩამოჯდა.

წუხელს მეორე არაფერი ექაშა. გადაწყვიტა, ერთი იღეთი ეცადა. „მოგვიანებით გავიგე, რომ პარიზში ახალგაზრდა პოეტებიც იყენებენ ამ ოინს საესვებით სერიოზულად“, — მითხრა მან.

ინგლისელები ამას „ავტომატურ წერას“ უწოდებენ.

ფანქრის წვერი ქაღალდს დააბჯინა და ნებისმიერი სიტყვების გამოყვანა დაიწყო. ქაღალდი აბსურდული სიტყვების უცნაური გროვით გაივსო. ცოტახნის შემდეგ თავი მიაწება წერას.

იჯდა მერხზე და გაპყურებდა მოსეირნე ხალხს.

ახლა იგი იმ მამაკაცით იყო დაღლილი, რომელსაც მისთვის მიუწვდენელი ქალი შეყვარებია.

ვთქვათ, რაღაც აბრკოლებით, ან კაცია ცოლიანი ანდა ქალია გათხოვილი. ისინი მრავლისაღმთქმელი თვალებით უყურებენ ერთმანეთს, ისე კი ყველაფერი ძველებურად რჩება.

კვლავ ლოდინი და ლოდინი. ბევრი ადამიანი ლოდინში ატარებს მთელ თავის სიცოცხლეს.

და უცერად მან რომანის წერა დაიწყო. თემა, რა თქმა უნდა, ქალ-ვაჟის სიყვარული იყო. ასეთ კაცს სხვა რა თემა უნდა აინტერესებდეს? იგი მომიყვა, რომ ბევრს ფიქრობდა თავის ცოლზე და ნანობდა თავის უხეშ საქციელს. განუწყვეტლივ წერდა და წერდა. საღამო მიიწურა და დამე ჩამოდვა. საბედნიეროდ, მთვარე ანათებდა. იგი ისევ წერდა. მან თქვა, რომ ასე გატაცებით არასოდეს უმუშავნია და, ალბათ, ვერც იმუშავებს. საათი საათს მისდევდა. იგი კვლავ მერხზე იჯდა და გატაცებით წერდა.

ერთ ივრაზე დაწერა რომანი და შინ დაბრუნდა.

ასე კმაყოფილი და ბედნიერი ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარო, — მითხრა.

„მგონია, თითქოს თავისი მიეუზღე ცოლ-შვილს, ყველას და ყველაფერს, —

მითხრა მან. — იქნებ იმათ ეს ვერასოდეს გაიგონ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?“. ვერასოდეს გაიგონ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?“. 

მთელი თავისი სიყვარული, რაც კი გააჩნდა, ამ რომანში გადმოღვარა.

რომანი შინ წაიღო და მაგიდაზე დადო.

განუზომელ კმაყოფილებას გრძნობ კაცი, როცა იცი, რომ რაღაც გააკეთე.

მერე სახლიდან გავიდა, რომ დაპურებულიყო.

დანაყრდა თუ არა, ქალაქში გაისვინრა. არ იცის რამდენხანს იხეტიალა ასე. შემდეგ შინ წავიდა და დაწვა. ალიონი მოწეულიყო უკვე. მთელი დღე იძინა.

როცა გაეღვიძა, მაშინვე რომანს ეცა.

„მე ხომ ვიცოდი, რომ არავითარი რომანი იქ არ იდო, — მითხრა მან. — მაგიდაზე, რა თქმა უნდა, სუფთა ფურცლებს გარდა არაფერი აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: ასეთ ბრწყინვალე რომანს ველარასოდეს დავწერ“.

ეს თქვა და გაიცინა.

არა მგონია, ამ ქვეყანაზე ბევრმა ზუსტად იცოდეს, თუ რაზე იცინოდა იგი მაშინ.

თუმცა ხომ შეიძლება ვცდებოდე და თორმეტიოდე კაცმა მაინც იცოდეს ეს ამბავი?

ინგლისურიდან თარგმნა ბიორბი მახუბაძემ.



შოთა ქაჩიძე

კაპიტალისტური დასავლეთი გადაკვირვება გავიძის ღიჩიკაში

კაცობრიობამ გამოიყენო კაპიტალიზმის ნამდვილი სახე. ასეულ მილიონობით ადამიანი ხედავს, რომ კაპიტალიზმი ეკონომიური ანარქიისა და პერიოდული კრიზისების, ქრონიკული უმუშევრობისა და მასობრივი სიღატაკის, საწარმოო ძალების მტაცებლური ფლანგვის წყობილებაა, რომელიც განუწყვეტლივ გვიქადის ომებს. კაცობრიობას არა სურს შეუთრგდეს და არ შეუთრგდება ისტორიულად დრომოჭმულ კაპიტალიზმის სისტემას.

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამიდან)

პოეტური მოღვაწეობის მეორე პერიოდში, როგორც ცნობილია, დიდად გაფართოვდა გალაკტიონ ტაბიძის პატრიოტული ლირიკის თემატიკური რეალი. კერძოდ, მასში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ლექსებმა კაპიტალისტურ დასავლეთზე. გარდა ცნობილი ციკლისა „შორი გზები მოვიარე“, რომელიც ოცდაათიანი წლების ბოლოს შექმნა პირადად ნახულისა და განცდილის საფუძველზე, პოეტმა კაპიტალისტური „სამოთხის“ საეპოქო სრული სურათი მოგვცა ცალკეულად აღინდელ თუ გვიანდელ ნაწარმოებებში. ყველა ისინი გამთბარია ექსპლუატირებულთა, მათ შორის კოლონიურ ხალხთა სიყვარულით, გამსჭვალულია მზაგვერდებზე ჩავრულთა სრული და გარდუვალი გამარჯვების რწმენით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულსკვეთებით და თვალნათლად წარმოგვიდგენენ ჩვენი სოციალისტური სინამდვილის განუზომელ უპირატესობას. აი ამიტომ ამ ლექსებს სავსებით სამართლიანად მიაკუთვნებენ გალაკტიონ ტაბიძის პატრიოტულ ლირიკას.

კაპიტალისტური დასავლეთისადმი პოეტის დამოკიდებულებაში მკვეთრად შეიმჩნევა ორი

მხარე, ორი საწყისი: ერთი მხრივ, იგი გვიჩვენებს თვითონ კაპიტალიზმის ანტიხალხურ, ექსპლუატატორულ არსს, ხოლო მეორე მხრივ, ხალხთა წლითწლით მზარდ უკმაყოფილებასა და წინააღმდეგობას, მათს თავდადებულ ბრძოლას თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. რა თქმა უნდა, ორივე ეს საწყისი ლექსში, როგორც წესი, ერთად არის წარმოდგენილი და ერთი მეორიდან გამომდინარეობს, თუმცა ზოგჯერ ისეც ხდება, რომ პოეტი ერთ რომელიმე მხარეს აძლევს უპირატესობას და მასზე ამხვილებს ყურადღებას.

ამ ორი მხარის, ორი საწყისის ასეთი მჭიდრო კავშირი და ერთიანობა, თავისთავად ცხადაა, თვითონ ცხოვრებამ, კაპიტალისტურმა სინამდვილემ განაპირობა. რამდენადაც კაპიტალიზმი ანტიხალხური, ექსპლუატატორული საზოგადოებაა, იგი არ შეიძლება აკმაყოფილებდეს და მით უმეტეს მოსწონდეს მშრომელთა უფართოეს ფენებს, რომლებიც თავიანთ თავზე განიცდიან ჩაგვრისა და ექსპლუატაციის მთელ საშინელებას. ბევრ ლექსში, რომლებიც კაპიტალისტურ დასავლეთზე შექმნა, გალაკტიონ ტაბიძემ სწორედ ამ უკანასკნელ მომენტს გაუსვა ხაზი



და დიდი რეალისტური ძალით გამოაშკარავა კაპიტალიზმის ანტიხალხური ბუნება, მისი სიღამაზლე და დრომოჭმულობა, კაპიტალისტური ყოფის ღრმა შინაგანი წინააღმდეგობანი და საკვირველი კონტრასტები.

ერთ-ერთი ასეთი კონტრასტი, მთავარი და გადამწყვეტი წინააღმდეგობაა სიმდიდრისა და სიღატაკის პოლიარჩხაცია, ე. ი. ზღაპრული სიმდიდრის დაგროვება საზოგადოების სრულიად უმნიშვნელო ჯგუფის ხელში, მაშინ როცა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მოკლებულია არათუ სიმდიდრეს, არამედ ადამიანური ცხოვრების ელემენტარულ პირობებსაც კი.

მართალია, ბურჟუაზიის იდეოლოგები დღეს ზევსს ლაყობენ რაღაც „სახალხო“ კაპიტალიზმზე, რომელმაც თითქოს შეცვალა „ძველი“ კაპიტალიზმი და რომელიც თითქოს სპობს ქონებრივ პოლიარჩხაცას, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — არა ერთ რომელიმე, არამედ უკლებლივ ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოში, უპირველეს ყოვლისა კი ამერიკის შერატებულ შტატებში ცადახილული სასახლეები და უბინაობა, ბრჭყვიალა თეატრები და უმუშევრობა, სიმდიდრე და სიღატაკე განუსრული თანამგზავრება:

თუ რომელიმე სასახლეს აგებს, რომლის სიმაღლე არის ზღაპარი, როცა ქუჩაში ღარიბ-ღატაკებს არ გააჩნიათ თავშესაფარი? შილიარდერი აგებს თეატრებს, რომლით ბრჭყვიალებს მთელი ევროპა, როდესაც მუშებს ქუჩებში ათრეგს გაუფროსი უმუშევრობა.

(„ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი“)

სხვა ლექსში („ჩემი სამშობლო მინატანია“), რომელიც ამერიკის შერატებულ შტატებზე დაწერა, ვალაკტიონ ტაბიძემ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა კაპიტალისტური სინამდვილის ეს ძირითადი კონტრასტი. აქაც, ისევე როგორც ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში, თვალში გეცემათ სიმდიდრე ზღაპრულ სიღარიბესთან,

სიმდიდრე, დღეს რომ მრავლეს აწვავლებს, კაპიტალისტური ყოფის საშინელებანი, მისი კონტრასტები განსაკუთრებით ვრცლად და ყოველმხრივად გვიჩვენა პოეტმა ლექსების ციკლში, რომელიც მან შექმნა ევროპაში მოგზაურობის შედეგად. როგორც ცნობილია, 1935 წელს ვალაკტიონ ტაბიძემ მონაწილეობდა კულტურის დაცვის მსოფლიო კონგრესის მუშაობაში, რომელიც პარიზში გაიმართა. იქ, საფრანგეთში, აგრეთვე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში პოეტმა საკუთარი თვლით ნახა, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში ბურჟუაზიის მოყიდულ კალმოსანთა მიერ ცაში აყვანილი კაპიტალისტური „სამოთხე“. ყველგან, სადაც კი იყო, ვალაკტიონ ტაბიძემ იხილა ერთი აუწყრელი სიღატაკე, უმუშევრობა და ბევრი სხვა სოციალური უკუ-

ღმართობა. თვით პარიზის ქუჩებშიც კი, რომელიც განთქმულია თავისი სიმდიდრითა და სიღამაზით, მან ნახა ათასობით უბინო, უმუშევარი, მათხოვარი, ლუქმაპურის მაძიებლები. ვინ იცის, რამდენი „ღამაში სიმღერა ხარჯა“ ქუჩის მომღერალმა, რათა როგორმე გაეტანა თავი, ეშოვა დღიური საკვები,

მაგრამ არავინ ჩასთვალა არად: მას ძონძი მოსავს, მდიდრებს კი — ფარჩა. ქაბანჩა — ქმნილი ცრემლების ღვარად — აი სულ — რაც მის ცხოვრებას დარჩა. („ქუჩის მომღერალი“)

ან რა დარჩა ცხოვრებიდან „ყოფნა დაღლილ“ ბებერ უმუშევარს? მას არც სახლი აქვს და არც კარი, ცივ სარდაფში მარტოღმარტო კედება. სიცოცხლეში, სანამ ჯანი მოსდევდა, იგი უმოწყალოდ გაყვლიფეს და შემდეგ, როგორც გამოწურული ლომონი, შორს გადაისროლეს. მისი ცხოვრება განუსწყვეტელი შრომა და ტანჯვა, ერთი გამშული კენესა იყო. ახლა ის არაფერს და არავის ელის, ვარდა სიკვდილისა. მოკვდება და მის ცხედარს არავინ არ დაიტრებებს, პირიქით:

სადმე ვერავი გაღიხარარებებს, როცა ვაიგებს სიკვდილის ხეღვას. შენი სიყვლილი იმას ახარებს, როგორც ცხოვრება ახარებს ყველას.

(„სიკვლილი უმუშევრისა“)

მერედა რატომ ხდება ასე? ვანა პარიზს, ნეაპოლს, ლანკაპირს, რურს, კაპიტალისტურ ქვეყნებს სიმდიდრე აკლიათ? სრულიადაც არა. ყველგან სიმდიდრე და დოღლათია — ქალაქადაც და სოფლადაც, ერთ-ერთ ლექსში, მაგალითად, ვალაკტიონ ტაბიძემ სულ რამდენიმე სტროფონით შესანიშნავად ხატავს ევროპული სოფლის ხეღვსა და ბარაქს. რა არ არის იქ! — საქვეყნოდ სახელგანთქმული ზერები და ნარიჩვი, თუთა და ფორთოხალი. მაგრამ ყველაფერი ეს, მთელი ეს დოღლათი, რომელიც შრომელიადამიანის მარჯვენა შექმნა, ხალხს კი არა, სხვებს, კაპიტალისტებს ეკუთვნის, ისინი არიან მისი განუსყოფელი ბატონ-პატრონები.

სხვისია მძიმე მტევენები ვაზზე, შეგება, სიმდიდრე და სიღამაზე.

(„უცხოელი ბავშვი“)

სწორედ იმიტომ, რომ ყველაფერი, ქვეყნის მთელი სიმდიდრე კაპიტალისტებს ეკუთვნით, შრომელი ადამიანები მოკლებული არიან ცხოვრების სინარულს — მათ ყველგან დასდგეს შიმშილით სიკვდილის აჩრდილი. ისინიც კი, ვისაც სამუშაო ან მიწის მცირე ნაკვეთი აქვთ, თავს ბევრად უკეთ როდი გრძობენ, ვიდრე სრულებით უქონენენ. ჯერ ერთი, კაპიტალისტებს ყოველ წუთს შეუძლიათ წაართვან მუ-



შებს სამუშაო, ხოლო გლეხებს მიწა, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, განა მუშას თავისი ღატაკური ხელფასით, ან გლეხს მცირე მოსავლით ძალა შესწევს ოჯახს შეუქმნას მშვიდი და მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება? „საქონლისთვის ერთი ბლუქა, თვისთვის პურის ნამცევი“ რომ იშოვოს, გლეხი, როგორც პოეტო ამბობდა ერთ-ერთ ადრინდელ ლექსში, იძულებულია ერთდროულად ემბოლოს ექსპლოატატორებსაც და ბუნებასაც. ამის გამო მას სრული უფლება აქვს უთხრას თავის მჩაგვრელებს,

რომ ყოველი გოჯა მიწის მწარე ბრძოლის ველია.
ო, ნამდვილი ბრძოლის ველი მძაფრი, დაუცხრომელი,
სადაც თქვენცა და ბუნებას ცხარედ ებრძვის მშრომელი.
(„პარიზელები უჩივიან მოწყენილობას“)

ექსპლოატატორებსა და ბუნებას ასევე ებრძოდა წინათ, კაპიტალიზმის დროს, ჩვენებური, ქართველი გლეხიც და თავისი ევროპული თანამოსამეგების მსგავსად ბედს უჩიოდა „ვერ გადვირჩინე წლის სარჩო, ვერ გამოვიძლე კუჭიო“. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან კაპიტალიზმის პირობებში ვერც მიწა და ვერც შრომა ვერ უზრუნველყოფს მშრომელ ადამიანს, რამდენადაც თითქმის მთელი მთი კირნახელი სხვებს, სოფლისა თუ ქალაქის ბურჟუებს მიაქვთ, მათ უტყვივდება ხელში, თვითონ გლეხი კი ხშირად ცარიელზე რჩება. ამგვარ სასტიკ, არაადამიანურ ექსპლოატაციას, როგორც წესი, თან ერთვის სრული უფლებებობა, ადამიანურ ღირსებათა შელახვა. გლეხი ის დაბალი ღობეა, რომელსაც ყველა კვირდარა ექსპლოატატორი უტყერემონიოდ აბიჯებს ფეხს:

სიღარიბე, დამცირება,
ბრაზი, შეურაცხყოფა,
ჩვენთვის ესე ჩვეულება,
როგორც ჩალის ჩაწყობა.

(„პარიზელები უჩივიან მოწყენილობას“)

სიღატაკე, შიმშილი და უფლებებობა კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა ხვედრიც. მცირე ხელფასი, რომელსაც მეწარმე იმეტებს მუშებისათვის, მათი ოჯახების მხოლოდ დაბალ საარსებო დონეს თუ უზრუნველყოფს, და ეს ბურჟუაზიას საეგებიტო ნორმალურად მიაჩნია. კაპიტალისტისათვის მუშა უბრალო სამუშაო ძალაა, რომელსაც ისე მოეყვლება, როგორც სურს, და არავითარ ვალდებულებას არ გრძნობს შეუქმნას მას ცხოვრების ნორმალური პირობები. პირიქით, იგი ცდილობს რაც შეიძლება მეტი წაგლიჯოს მუშას, რათა ამ გზით გაზარდოს თავისი შემოსავალი. მეწარმე-კაპიტალისტის ამგვარი საქციელი ფიცი კაპიტალიზმის ბუნებიდან მომდინარეობს. კაპიტალიზმი ხომ ავებუ-

ლია ადამიანის მიერ ადამიანის, ბურჟუაზიის მიერ პროლეტარიატის ექსპლოატაციას? მას შეუძლია იარსებოს მხოლოდ და მხოლოდ მუშებისა და საერთოდ მშრომელი ადამიანების შრომის მითვისებით, მათი უსარცხვილო ყველფით:

კაპიტალიზმი ცდილობს დაბას მუშათა კლასი მაგარი ურვით, მის ნერვებისგან კიდევ ზედმეტი ღირებულების მთლად ამოწურვით.
(„გამბედაობა“)

ზედმეტი ღირებულება — აი რა არის კაპიტალიზმის კუშირი, მისი კერპი, მისი სიმდიდრის წყარო და იმისათვის, რომ მეტი მოიგოს, მუშის მეტი შრომა მითვისოს, იგი მზადაა ყოველგვარი ბოროტმოქმედება ჩაიდინოს. მან არ იცის რა არის ჰუმანიზმი, ჰუმანური გრძნობა. განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს კაპიტალიზმის ანტი-ჰუმანური, ანტიხალხური ხასიათი კრიზისების დროს, როცა ზედინედ იხურება საწარმოებში და წარმოუდგენელი სისწრაფით იზრდება უმუშევართა არმია, ძვირდება ცხოვრება. კაპიტალისტი არ დაგიდევს, რომ ყოველივე ამის გამო მკვეთრად უარესდება მშრომელთა ცხოვრების პირობები, ეცემა მათი ისედაც დაბალი საარსებო დონე. პირიქით, იგი ცდილობს მუშებს დააკისროს კრიზისის მთელი სიმძიმე და, საქონლის მაღალი ფასები რომ შეინარჩუნოს, ხშირად სპობს ხალხის ხელით შექმნილ დოვლათს, წყალში ყრის ან საწვავად იყენებს სორბალს, როცა მილიონობით ადამიანს ლუკმაპური ენატრება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. კაპიტალისტი სწორედ ეს ანტიჰუმანური, ანტიხალხური საქციელი ჰქონდა მხედველობაში გალაკტიონ ტაბიძეს, როცა აღშფოთებით წერდა:

მაგრამ როცა იქ მწვევე კრიზისი ბოროტებში მყარდ მშრომელს მუსრს ავლებს,

გემიდან ტვირთებს უშვებენ ზღვაში და ახურებენ ხორბლით ორთქლმავლებს.
(„ოქტომბრის სიმფონია“)

რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო დიდი დანაშაული, უფრო დიდი ბოროტმოქმედება? და განა ბუნებრივი არ არის ვიკითხოთ: რა გამართლება აქვს კაპიტალიზმის, ისეთი საზოგადოებრივი წყობილების არსებობას, რომელსაც მასებისათვის მიაქვს მხოლოდ უმუშევრობა, სიღატაკე, შიმშილით სკვდილი, რომელიც ფიქვემ თელავს მშრომელი ადამიანის პირად ღირსებასა და ელემენტარულ უფლებებს? რატომ არ უნდა დაიწერეს და მოისპოს იგი? კაპიტალიზმი უკვე დიდი ხანია ადარ წყაროადგენს პროგრესულ საზოგადოებრივ წყობილებას, პროგრესულად იგი იქცა რეაქციულ, კაცობრიობის წინსვლის შემაფერხებელ ძალად და ახლა, პოეტის სამართლიანი თქმით, „იმ კაპიტალის მძიმე უღლისგან არსად არ არის ოარის დარება“, დადგა დრო, როცა პროლეტარიატმა უნდა წეს-

რულოს თავისი წმიდა ისტორიული მისია კაპიტალიზმის მესაზღვრისა და განახლის ჩვენი პლანეტა, მიწის მიაბაროს ლეშაქცეული კაპიტალისტური წყობილება:

უნდა დაინგრეს და შეიცვალოს,
უნდა განახლდეს ჩვენი პლანეტა,
განა არ კმარა, რაც ის მონობის
გაუნელებელ ქარში იცდიდა.

(„აფიკვა“)

მაგრამ როგორ და რა გზით შეიძლება ჩვენი პლანეტის განახლება?

გალაკტიონ ტაბიძე რევოლუციონერი პოეტი იყო და, ცხადია, ამ კითხვას რევოლუციონერის შესაფერისი პასუხი ვასცა: იმისათვის, რომ კაპიტალიზმი მოისპოს და ყველგან დაისადგუროს თავისუფლად, ბენდიერმა ცხოვრებამ, აუცილებელია კლასის ბრძოლა კლასის წინააღმდეგ, ყველა მშრომელის, მთელი ხალხის შეკავშირება და ორგანიზებული რევოლუციური გამოსვლა. არა მორჩილება, არა ბედთან შერიგება, არამედ ბრძოლა, მხოლოდ თავდადებული ბრძოლა — აი რა იხსნის კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს ბურჟუაზიული წყობილების საშინელებათაგან, აი რა მოუტანს მათ ცხოვრების სიხარულსა და ბედნიერებას. მას სისულელედ, სიბრძნეად მიაჩნდა იმ ადამიანების საქციელი, რომლებიც დღვის მოწყობის იმედით ცოცხლობენ და ფიქრობენ, თითქოს ბურჟუაზია თავისი ნებით აიღებს ხელს მშრომელთა ექსპლოატაციზე და მასებს თვითონ მიანიჭებს ბედნიერებას. ასეთი მყუდროება-სიმშვიდისა და ბოროტების წინააღმდეგობის ობიექტულ-რელატიური მისწრაფებანი მკაცრად გააქრობი-კა გალაკტიონ ტაბიძემ ერთობა აღრინდელ ლექსში „და მაინც კენესლე!“...

რაა იმაზე მეტი სიბრძნე,
სიღარიბესთან რომ სიმშვიდეა.
მისით სიკვდილის კარებთან იყვე
და მაინც კენესლე: ღმერთი დიდია!

მართალია, ბრძოლა მოითხოვს მსხვერპლს. მოითხოვს სისხლს, ადამიანთა სიცოცხლეს, მაგრამ უბრძოლველად კაპიტალისტური ყოფის უკუღმართობათაგან ყოველდღე განა ცოტა ხალხი იხოება? არა, ბედის მორჩილება არ შეშვენიის ადამიანს, რომელსაც ისტორიამ დააკისრა იყოს ძველი წყობილების, კაპიტალიზმის მესაზღვრე:

ჩვენი ხომ იმისთვის გავჩენილვართ
და ის გვაქვს მიზნად
მივცეთ სიცოცხლე, თუ ვაპქრება
ლღე შხამიანი.

(„თავისუფალი და ძლიერი ადამიანი“)

ვინც შხამიანი ღღის გაქრობისათვის ბრძოლას გაუბრძის, ვისაც სისხლი და მსხვერპლი აშინებს და სირაქლემასავეთ თავს ფრთებში მალავს, იგი არსებითად ლაჩარია, ხოლო არაფერ ისე არ ეზიზღებოდა გალაკტიონ ტაბიძეს, როგორც ლა-

ჩარი, სულეტირად დამონებული ადამიანი, რომელიც თავს არიდებს რაიმე გართულებას, ეჭვგარეშე ლეგარ შეტყავებს და არ ესმის, რომ სუბიექტურად კვდეს, ვიდრე მბრძანებლის ჩემქმბი ლეგარ.

რა თქმა უნდა, ყველა, ვისაც მახვილი არ აღეშმართავს კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ლაჩარი როდია. ბევრმა არ იცის, როგორ და რა გზით შეუძლია მოიპოვოს თავისუფალი, ბენდიერი ცხოვრება, არ ესმის, რომ სილატაქე, რომლისთვისაც თავი ვერ დაუღწევია, კაპიტალიზმის არსებობის პირდაპირი შედეგია. დაბალი კლასობრივი, რევოლუციური შეგნება — აი რა უშლის მათ ხელს აქტიურად ჩაებას განმათავსუფლებელ მოძრაობაში. ასეთ ადამიანებს გალაკტიონ ტაბიძე სულ სხვანაირად ეკიდებოდა, რაც ყველაზე მეტად ჩანს ლექსში „უბინაო დედა“, რომელიც ევროპაში მოგზაურობის შედეგად დაწერა. იგონებს რა უბინაო ბავშვიან მუშა ქალს, პოეტი მთელი სულითა და გულით თანაუგრძობს მას, „იმ ყოფაში არ მენახე ნეტა“, მაგრამ ამავე დროს არ მალავს თავის უკმაყოფილებასაც იმის გამო, რომ იგი და მისი მსგავსნი უფლებას აძლევენ კაპიტალისტებს ასე უბრალებლად გაუწიონ მათ ექსპლოატაცია.

მთელი ქვეყნის რას გიზამდათ მტრობა,
რომ გქონოდათ ერთი მტკიცე გრძობა:
საარაყო ბრძოლის ნებისყოფა,
ბავშვის დედა, უბინაო დედა!

სწორედ „ერთი მტკიცე გრძობისა“ და „საარაყო ბრძოლის ნებისყოფის“ უქონლობაა, პოეტის აზრით, ის ძირითადი მიზეზი, რაც ახანგრძლივებს ძირმძალი კაპიტალიზმის არსებობას. და რაც უფრო მალე ამაღლდება მასების კლასობრივი, რევოლუციური შეგნება, მით უფრო მალე დაემსხება ბურჟუაზიის ბატონობა, მით უფრო სწრაფად განთავისუფლდება კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატი და ყველა ექსპლოატირებული. ამიტომ იყო, რომ პოეტი ყოველთვის მსურველად მიესალმებოდა მასების რევოლუციურ გამოსვლებს, სოციალური ხასიათი ექნებოდათ მათ უბრატესად თუ ეროვნული, რადგან მთავარია იგრძნობოდას უკმაყოფილების, ბედის დაუმორჩილებლობის სტუისკვეთება. კიდევ მეტი, გალაკტიონ ტაბიძე არა მარტო მიესალმებოდა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ყოველგვარ რევოლუციურ გამოსვლას და თანაუგრძნობდა მას, არამედ, ამასთან ერთად, როგორც რევოლუციონერ პოეტს. თავის პირდაპირ მოვალეობად მიაჩნდა ყოველმხრივ ხელი შეეწყობა ბრძოლის, სოციალურ ბოროტებასთან შეურთებლობის იდეით შთაგონებული ხალხებისათვის, რომლებსაც აღარ სურდათ მოემინათ ექსპლოატატორთა ბატონობა და ისწრაფოდნენ შრომის განთავისუფლებისა და კაპიტალის ბორკილებისაგან.

უკვე აქედან ჩანს, რომ გალაკტიონ ტაბიძე ბურჟუაზიული ქვეყნების მშრომელთა განმათავისუფლებელ მოძრაობას, მათს ბრძოლას კაპი-



ტალიზმის წინააღმდეგ აღიქვამდა არა როგორც რაღაც შორეულ მოვლენას, რომელსაც პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა მისი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, არამედ როგორც უადრესად სისხლბორცველ საქმეს, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნისმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაშიც და მთელ დედამიწაზეც. ეს გარემოება ვალაქტონ ტაბიძის ლექსებს აძლევს დიდ უშუალობას, შინაგან სითბოსა და ზემოქმედებებს ძალას.

თუ რა ახლოს მიჰქონდა გულთან ვალაქტონ ტაბიძეს კაპიტალისტური დასავლეთის მუშათა ყოველი დიდი რევოლუციური გამოსვლა ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ, ამას ნათლად მოწმობს ქართული პოლიტიკურ-პუბლიცისტური პოეზიის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში, მისი ერთ-ერთი შედევრი „გაფიცვა“, რომელიც პოეტმა ოცინი წლების მიწურულს შექმნა და რომელიც სოციალურ უწყდმართობასთან ბრძოლის, მასთან შეურიგებლობის სულისკვეთებასთან ერთად გამსჭვალულად პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კეთილშობილური იდეით.

ეს ლექსი, როგორც ცნობილია, ვალაქტონ ტაბიძემ მიუძღვნა პოლენელ ფეიქრებს, რომლებმაც პილსუდსკის სისხლიანი ფაშისტური რეჟიმის პირობებშიც კი გაბედულად აღიბაღლეს ხმა ჩავგრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ და ცხადყვეს თავიანთი მაღალი პროლეტარული შეგნება, მზადყოფნა — არ დამორჩილებოდნენ კაპიტალის ბატონობას. შეადარა რა პოლენეთის საფეიქრო მრეწველობის უდიდესი ცენტრის — ქალაქ ლოძის მუშათა გაფიცვა შავი ღრუბლებით დაფარულ ცაზე ელვის გაკვრას, მეზის გაფარდნას, პოეტმა მასში სამართლიანად დაინახა არა მარტო ლოძელ ფეიქართა, არამედ მთელი კაპიტალისტური სამყაროს მუშათა კლასის გამოფხზულების, უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლისათვის მათი შემართების, მომავალი დღის, სხივანათებული განთიადის უდავო ნიშანი. პოეტის თქმით, იგი ცხადყოფდა პროლეტარიატის მტკიცედ გადაწყვეტილებას, რომ „კვარა დღემილი და მოთმინება“ და რომ „იგი მუქარას უთვლის კაპიტალს და ბრძოლისაკენ მიეჩქარება“.

მშრომელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის ზრუნვით შთაგონებულ პოეტს გულწრფელად ახარებდა პროლეტარიატის შეგნების ასეთი ზრდა და მასების რევოლუციური გამოსვლა კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ მაინცდასავსებით კანონზომიერ მოვლენას, რომელსაც თვით ცხოვრების ლოგოვა მოითხოვდა:

ძირს მუქთახორა! — სთქვით, მშრომლებმა ეს ბორცვები რად უნდა ზიდონ, რისთვის არ უნდა ჰუხუნდეს ქვეყანა პროლეტარული ძალაუფლებით.

პოეტის ეს წრფელი, გულის სიღრმეში დაბა-

დებულო სიტყვები მოწმობდა, რომ ვალაქტონ ტაბიძე ბოლომდე რევოლუციონერი ზრუნვისათვის განახლებას ერთადერთ ხელს მიაჩნდა შემუშავარი ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ექსპლოატატორთა ბატონობის დამხობა და ხალხის ხელისუფლების დამყარება. ამიტომ მიესალმა იგი ასე გულმხურვალედ პოლენელი მუშების გაბედულ კასობრივ გამოსვლას და მიეწვლი ნებით ლექსებს:

ყოველ ასეთგვარ ქარიზხალს მოაქვს შრომის სუფევის აღიარება.

სავულისხმთა, რომ რომანტიკული სულისკვერება, რომელიც „გაფიცვა“ თავიდან ბოლომდე გასდევს, არსად არ ცხადდება რეალურ საფუძვლებს, არსად არ ღალატობს ცხოვრების სიმართლეს. რეალისტმა პოეტმა კარგად იცოდა, რომ ლოძელი მუშების გაფიცვა, რამდენადაც დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა მას, მაინც მხოლოდ ერთი ენობილი იყო პროლეტარიატის განმანათლებლებელი მოძრაობის მატანეში და არ შეეძლო დაემხო ხალხის საძულველი რეჟიმი პოლენეთში, თავისუფლება და ბედნიერება მიეცა ხალხისათვის. კაპიტალიზმის დასაშხობად აუცილებელია პროლეტარიატისა და ყველა მშრომლის შეგნებული რევოლუციური გამოსვლა. როგორც ცალკეული ნაკადულები ერთდებიან და ქმნიან მდინარეს, ისე მუშები, გლეხები, ვრის ყველა პროგრესული ფენა ერთ დიდ მდინარედ უნდა შეერთდნენ, რომელსაც ერთადერთი ძალუხს წალეკის ძველი, რობოტული კაპიტალისტური წყობილება. ვალაქტონ ტაბიძეს მტკიცედ სჯეროდა, რომ ეს დღეც დადგებოდა, რომ ცალკეული გაფიცვები და დემონსტრაციები, რომლებიც მხოლოდ არყვედნენ ექსპლოატატორთა ბატონობის ტახტს, ბოლოს და ბოლოს აუცილებლად გადაიზრდებოდნენ რევოლუციაში. ისინი თითქმის გუგუნია, ვულკანის ამოხეთქას რომ წინ უსწარბს, და თუმცა გუგუნს ყოველთვის არ მისდევს ვულკანის ამოფრქვევა, მაგრამ ერთხელაც იქნება, იგი აუცილებლად მთელი ძალით ამოქმედდება. ამ რწმენით, ამ იდეით არის გამსჭვალული პოეტის აღფრთოვანებული სტრიქონები:

გაუმარჯოს დროს, როცა ვეზუვის

გული ამოხეთქს ერთხელ სრულად.

სავსებით უემველია, რომ ვეზუვი აქ რევოლუციის სიმბოლოა, მისი შესანიშნავი მხატვრული სახეა. ვულკანთან რევოლუციის შედარებას საფუძვლად ის აზრი უდევს, რომ როგორც ვულკანი წარმოიშობა დედამიწის წიაღიდან, ისე რევოლუცია იბადება ხალხის წიაღში და როგორც არ არსებობს ძალა, რომელიც წინ აღუდგება ვულკანს, ისე არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს რევოლუციის დამარცხება, როცა იგი საყოველთაო-სახალხო გაქანებას მიიღებს. მართალია, იმ დროს, როდესაც ვალაქტონ ტაბიძის „გაფიცვა“ დაიწერა, პროლეტარულ რევოლუციას ჰყავდა ისეთი ძლიერი და

საშინი მტერი, როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმში, მაგრამ მართო არც აჯანყებულნი იგარბოდნენ თავს. ახალ ისტორიულ ეპოქაში, რომელსაც საფუძველი დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩაუყარა, რევოლუციის თუ რევოლუციურ გამოსვლებს ყოველ ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყანაში საერთაშორისო მუშათა კლასთან ერთად უკვე მხარს უჭერდა ისეთი მძლეობის სახელმწიფოც, როგორც სსრ კავშირი. ამ უკანასკნელ ფაქტორს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი განუმტკიცებდა მოიერიშე მუშათა კლასს ბურჟუაზიაზე გამარჯვების რწმენას და საბჭოთა პოტი გლაკტიონ ტამბეც, როგორც მოსლოდნელი იყო, მიესალმებოდა რა ლოქელი ფეიქრების გაფიცვას, ამავე დროს მთელი თავისი ხალხის სახელით აღუთქვამდა მათ საჭირო მხარდაჭერას და სოლიდარობას. „ჩვენც თქვენთანა ვართ!“ — მიმართავდა იგი პოლონელ მუშებს და მათი სახით კაპიტალიზმის წინააღმდეგ ყველა მებრძოლს. ამ ერთი შეხედვით სრულიად უბრალო სიტყვებში დიდი გრძობა და დიდი აზრია. ისინი გამოხატავენ საბჭოთა ხალხისა და კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ღრმა ინტერნაციონალურ კავშირს, მათს სრულ სოლიდარობას.

უფრო გვიანაც, ოცდაათიან და მომდევნო წლებში, გლაკტიონ ტამბეც კვლავ შეუწყობდა ელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს განმათვისიფლებელი მოძრაობის მიმდინარეობას კაპიტალისტურ ქვეყნებში და კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ განუწყვეტელი, წლითიწლით იზრდებოდა კაპიტალიზმის წინააღმდეგ მოიერიშეთა არმია. ამ არმიის რიგებს ავსებდნენ მშრომელები, რომლებმაც ვერ კიდევ გუშინ არ იცოდნენ რა უნდა ეკეთებინათ, ვერ ხედავდნენ ნათელ პერსპექტივას, სინათლის სხივს კაპიტალისტურ წყვილიაღში, ხოლო ზოგი მათგანი, გამოსავალს რომ ვერ პოულობდა, თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობდა. თუ რა არის მათი ამგვარი „სასწაულებრივი“ სულიერი გარდაქმნის მიზეზი, ეს შესანიშნავად გვიჩვენა პოეტმა „ლუმანიტიმ“, რომელიც აგრეთვე ევროპაზე შექმნილი ლექსების ციკლს განეკუთვნება და ერთ-ერთი მუშის მაგალითით გვაცნობს მშრომელი მასების კლასობრივ-რევოლუციური შეგნების ამაღლების ჩვეულებრივ პროცესს.

„ლუმანიტიც“ გმირი ფრანგი უმუშევარია. სარ არ იარა მან, მაგრამ ვერსად სამუშაო ვერ იშოვა. გაუბილებული და ულუკმაპუროდ დარჩენილი, იგი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო: „გულის სიმხნევემ ის მიატოვა“ და განიზრახა თავი თოქვალ, რადგან სხვა გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან ვერ ხედავდა.

და უცებ ზვავი,
ხმათა მოვარდნა:


„იყიდე
„ლუმანიტიც““

„ლუმანიტიც“
„ლუმანიტიც“

ფრანგი კომუნისტების გაზეტმა „ლუმანიტიც“ უმუშევარ პროლეტარს მითითა იმ ერთადერთ გზაზე, რომელსაც უნდა დაადგეს თვითონი მშრომელი, ვისაც კი სურს თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრება. და აღამინი, სულ ცოტა ხნის წინათ თავის მოკვლა რომ სურდა, ძირფესვიანად გარდაეცხა, შერცხვა თავისი სულ-მოკვლეობისა და უყოყმანოდ ჩაგვა კაპიტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში. მან შეიძინა ყველაზე ძვირფასი ცხოვრებაში — რწმენა ნათელი მიმავლისა, მტერზე — კაპიტალიზმზე გარდუვალი გამარჯვების იმედი და სრულიად სხვა აღამინად წარმოგვიდგა, რევოლუციონერად, რომელიც ისწრაფის „ბრძოლით დააცხროს გულის იარა“.

აი ასე უბრალოდ და დამაჯერებლად გვიჩვენა გლაკტიონ ტამბეც რიგითი მშრომელების იდეურ-სულიერი გარდაქმნის გზა, ხაზი გაუსვა რა მარქსისტულ-ლენინური იდეების აღმაფრთოვანებელ და შთამაგონებელ ძალას ამ საქმეში, იდეებისა, რომლებიც მოძვე კომუნისტური პარტიების მეცადინეობით აღწევენ მასების სულ სხვადასხვა ფენაში და ეუფლებიან მათს შეგნებას. ამავე დროს მან ცხადყო, რომ მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური პარტია გამოხატავს და იცავს ხალხის ინტერესებს ყველა ქვეყანაში, მხოლოდ და მხოლოდ იგია მშრომელი მასების ბელადი, იგი რაზმავს და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საიერიშოდ მიჰყავს პროლეტარიატი და ყველა ექსპლოატირებული.

პროლეტარიატისა და ყველა ექსპლოატირებული ბრძოლა სოციალური თავისუფლებისათვის გლაკტიონ ტამბეცს პოეზიაში, ისევე როგორც ცხოვრებაში, მჭიდროდ უკავშირდება აღმოსავლეთის, ე. ი. აზიისა და აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ კავშირს ღრმა სოციალურ-პოლიტიკური ფესვები აქვს და სრულიად არ წარმოადგენს შემთხვევით მოვლას. ეროვნული ჩაგვრა ყოველთვის იყო და არის კლასობრივი ჩაგვრის შედეგი, მისი ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულება. ამდენად კლასობრივი ჩაგვრის, ე. ი. კაპიტალიზმის მოსპობა მერტრობლიაში თავისთავად გულისხმობს კოლონიურ ხალხთა ეროვნულ და, გარკვეულ ვითარებაში, სოციალურ განთავისუფლებასაც. მეორე მხრივ, ბრძოლა კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული თავისუფლებისათვის არყვეს საერთაშორისო იმპერიალიზმის საფუძველებს, ასუსტებს კაპიტალიზმის მოთვლილი სისტემას და, მასადაამე, ქმნის მისი საბოლოო დამარცხების ხელსაყრელ პირობებს, ე. ი. აადვილებს პროლეტარიატის გამარჯვებას. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ერთი, რომელიც სხვა ხალხებს ჩაგვრავს, არ შეიძლება თვითონ იყოს თავისუფალი, აი რატომ იყო, რომ ლექსში



„ინდოევლების იყო მიტინგი“ 1930 წელს ვალაკტიონ ტაბიძე წერდა:

მრავალი დღევის იქნება თემა ქვეყნის უფლება, სანამ ინდოეთს არ მიეცემა თავისუფლება. და ეს სჭირდება თვით ინგლისის ერს, მის გულს, მის გრძნობას, სიმშვიდის საკითხს, ინგლისს, ვეროპას.

აღმოსავლეთის ბედისაღმდეგ თავის ინტერესს პოეტი იმითაც სხნიდა, რომ ჩვენს ქვეყანას საუკუნეთა მანძილზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან, ხოლო ჩვენი ხალხი კარგად იცნობდა და უყვარდა მისი მალალი, ჭეშმარიტად განუმეორებელი კულტურა. ეს ასეც იყო, რაც ბუნებრივია, აძლიერებდა პოეტის ზიზზს იმპერიალისტი მეკობრეებისადმი, რომლებმაც ძალით დაიპყრეს აღმოსავლეთი და შეაფერხეს მისი განვითარება. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ვალაკტიონ ტაბიძე მთელი სულითა და გულით თანაუგრძობდა აღმოსავლეთის ხალხებს, რომლებიც ორმაგ ჩაგვრას (სოციალურსა და ეროვნულს) განიცდიდნენ და სილატაკეში სულს დაფარდნენ. იმპერიალისტებმა უნდა დაეტოვონ კოლონიები და დაუბრუნონ მათ ყველაფერი, რაც კი ძალით წაგლიჯეს. ხელები შორს აღმოსავლეთისაკენ! — მოითხოვდა ვალაკტიონ ტაბიძე მთელ მოწინავე და პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად. ამ დიდი, კეთილშობილური იდეითაა შთაგონებული პოეტის ლექსი „რომ ღვთობა დიდი არ დაიჩრდილოს“:

აღმოსავლეთი გვიყვარდა ჩვენ ყველაზე უფრო, და დაყენებით გავცქეროდით ეფრატს და ნილოსს, შუა გაკიმულს არაბეთის ნახევარ კუნძულს; რომ ღვთობა მისი არასოდეს არ დაიჩრდილოს: თანასწორობა, მიწა საერთო, დაე, ბორკილებს ნუ აღებენ, მშრომელს მიეცეს რაც წაერთო, წყვედიადს უფრო ნუ აწყვედიადებენ.

კოლონიურ ხალხთა ბედის, მათი ეროვნული და სოციალური განთავისუფლების პრობლემა მთელი მისი სიგრძივ-სიგანით ვალაკტიონ ტაბიძემ თავის პოეზიაში აღძრა ჯერ კიდევ 1924 წელს, როდესაც გამოაქვეყნა ცნობილი ლექსი „აღმოსავლეთი“. იგი პოეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომელშიც არა მარტო ამხილა იმპერიალიზმის ყაჩაღური, მხეტეური არსი, არამედ ამავე დროს გამოთქვა დამონებულ კოლონიურ ხალხთა გარდუვალად გამარჯვების რწმენა. ეს მით უფრო საკულისხმოა, რომ „აღმოსავლეთი“ იმ დროს იწერებოდა, როცა იქ ის-ის იყო ჩაღდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რამაც თავი-

სი განვითარების მწვერვალს მხოლოდ ჩვენს დროში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწია.

ისტორიულად ცნობილია, რომ აღმოსავლეთ-აზია და აფრიკა დიდი ხნის მანძილზე განიცდიდნენ როგორც ევროპელი, ისე ამერიკელი იმპერიალისტების სასტიკ ექსპლოატაციას, იმპერიალისტებისა, რომლებიც უსირცხვილოდ ძარცვავდნენ დედამიწის ამ უმდიდრეს ქვეყნებს. მართალია, ისინი ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ თავიანთი განუყოფელი ბატონობა კოლონიებში წარმოგვიდგინონ რაღაც კულტურულ მისიად, ცივილიზაციის დანერგვად, მაგრამ ეს ძველისძველი, ვაცვეთილი ოინია. ვალაკტიონ ტაბიძე სარკასტული სიმძაფრით აშუქარავებს იმპერიალისტთა ამ მტკიცების სრულ სიყალბეს, მის უსაფუძვლობას, როცა კოლონიურ ხალხებს ახასიათებს, როგორც ისეთ ხალხებს, რომლებიც „კულტურული“ ბორკილის ქვეშ იმყოფებიან. „კულტურული“ ბორკილი — აი ყველაფერი, რაც მბრძანებელმა იმპერიალისტებმა მისცეს კოლონიურ ხალხებს იმ უღვევლი სიმდიდრის სანაცვლოდ, რაც როგორც ველებმა, სტინესებმა და სხვებმა წაიღეს ან დღესაც მიაქვთ აზიიდან და აფრიკიდან.

სხვა ლექსში („გამბედაობა“) ვალაკტიონ ტაბიძე კვლავ იყენებს გამოთქმას „კულტურული ბორკილი“ და უფრო კონკრეტულად გვაცნობს კოლონიური ქვეყნების მშრომელთა მძიმე, უსიხარულო ცხოვრებას:

კოლონიალურ მუშების ბედი ნუ დაესიზმროს ჩანს და ჯამაათს, იმ „კულტურული“ ბორკილის მუშა მუშაობს 14 და 18 საათს.

სამაგიეროდ, საზღვარი არა აქვს უცხოელი კაპიტალისტების ფუფუნებას, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან და არ იციან ეროგორ მოკლან დრო. „ისინი თავს აწონებენ ერთი მეორეს, სუნდან, დადიან ან ამთქნარბენ“. მათს გართობას ემსახურებიან „კოლონიალური მუშების“ ოფლით და შრომით აგებული ძვირფასი თეატრები, კაბარეები, კინოდარბაზები. აქ იყრიან ისინი თავს, რათა დაიშაყოფილით თავიანთი ბინძური ვენებანი.

თეატრებია დიდი პატარა, ბრწყინავს კაბარე; კინემოტოგრაფს შემოატარა სული გარყვნილი და მომთაბარე, ბრწყინავს რეკლამა, ნერვებს აწვალებს, აგერ საეჭვო გამოჩნდა დამა, შანსინეტკები იფერენ თვალებს...

(„აღმოსავლეთი“)

აი ასეთი მკვეთრი კონტრასტებით იყო აღსაქვ აზიისა და აფრიკის მთელი ცხოვრება: ერთი მხრივ, თავადებული შრომა და სილატაკე, ხოლო მეორე მხრივ, — უქნარობა და სიმდიდრე. კოლონიური ქვეყნების ხალხები ქმნი-



დენ კოლოსალურ დოვლათს, რომელსაც ურცხვად ითვისებდნენ იმპერიალისტები და ითვისებდნენ ისევე დაუსჯელად, როგორც საუტუნის წინათ. აღმოსავლეთის ცხოვრება გარეგნულად თითქოს არც კი შეცვლილა — მას კვლავ ეძინა და თავისი შრომით კვლავ ამდიდრებდა უცხოელ დამპყრობლებს:

სძინავს აღმოსავლეთს,
ის ძმინარე ქსოვს ხალიჩა-ფარჩას,
ხატავს ყვავილებს და იაღონებს,
რომ ქსოვილები მშვენივრად დარჩნეს
ისევე ვერძობის მდიდარ საღონებს.

და სწორედ იმის გამო, რომ ასე იყო, აღმოსავლეთი იგვიანებდა გამოვლიძებას, ე. ი. რევოლუციურ გამოსვლას კოლონიზატორთა წინააღმდეგ, ვალაკტიონ ტაბიძემ მას „სულ ახალი დროის ჰამლეტი“ უწოდა. რა თქმა უნდა, იგვიანებდა იმას არ ნიშნავდა, რომ დღემილი თუ ძილი მარადიული იქნებოდა. არა, აღმოსავლეთის დღემილი — ეს ისეთი დღემილი იყო, ქარიშხლის ამოვარდნის წინ რომ დისადგურებეს ხოლმე. ამას გრძნობდა, ხედავდა პოეტი და ამიტომაც წერდა:

მოჯადოებულ ბურუსში მყოფი
სდგება, იღვიძებს აღმოსავლეთი.

აღმოსავლეთის ხალხთა ვადვიძებას, მათი რევოლუციური შეგნების ამაღლებას დიდად შეუწყო ხელი და მნიშვნელოვანწილად განაპირობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში. აზიისა და აფრიკის მშრომელებმა სსრ კავშირის სახით შეიძინეს უანგარო მეგობარი და ამავე დროს თვალნათლივ დაინახეს, თუ როგორ, რა გზით შეეძლოთ მოკბოვებინათ თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება. სსრ კავშირის მავალითი აღაფრთოვანებს აღმოსავლეთს, განუმტკიცებს კოლონიზატორებზე გამარჯვების რწმენას, ხოლო როცა გაქვს მისაბაძი მავალითი, როცა მიზანძ ცხადია და წარმტაცი, არ არსებობს სიძნელე, არ არსებობს დაბრკოლება, რომლის დაძლევაც არ შეიძლებოდა. აღმოსავლეთიც უშიშრად, გაბედულად ჩაება საკოპობრიო ბრძოლაში საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სამარცხვინო კოლონიური სისტემის სრული მოსპობისათვის. „სულ ახალი დროის ჰამლეტი“, რომელმაც დაძლია შინაგანი მერყეობა და წინააღმდეგობა, გამოვიდა აქტიური მოქმედების ფართო შარაგზაზე და ახლა

მას არ აზინებს ცეცხლის ფანტელი
და მუხლებამდე ქვიშა სადები,
არც უღაბნობის კორიანტელი,
არც მომავალი ბარიკადები.
დახტიერლობს ცეცხლის ამური
მოულოდნელი სიმბურვალეთი.
მან მოიარა ყველა ქვეყნები
და ინახულა აღმოსავლეთიც.
ცეცხლის ამური და ტყდობა ღერის
თავისუფლების ნაზი ფერი,

მღეროდა მასზე და ახლაც მღერის,
როგორც არავის არ უმღერია. საქართველოს
კომუნისტური პარტია
და თუ მოვიდა გრივალი ისევე
და გაზაფხულის ველი მოლია,
ის სიცოცხლისთვის იბრძოლებს ისე,
როგორც არავის არ უბრძოლია.

დრომ, ისტორიის მსვლელობამ სასეგებით გაამართლა ვალაკტიონ ტაბიძის ეს რწმენა. ვითერთი კაცი, აღმოსავლეთი აღდგა კოლონიზატორთა წინააღმდეგ და სიცოცხლისათვის, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ისე იბრძვის, „როგორც არავის არ უბრძოლია“. მას არ აზინებს იმპერიალიზმის არც მუქარა, არც ტყვია და მათარხი. სულ მოკვდ დროში იმპერიალიზმის კოლონიურ სისტემას თავი დააღწია, თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვა აზიისა და აფრიკის ათობით ქვეყანამ, მათ შორის ისეთმა უდიდესმა კოლონიურმა თუ ნახევრად კოლონიურმა ქვეყნებმა, როგორც იყვნენ ჩინეთი, ინდოეთი და სხვ. შორს აღარ არის ის დღე, როდესაც უკანასკნელი კოლონიური ქვეყანაც გაქრება მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან და მთლიანად მოისპობა სამარცხვინო კოლონიური სისტემა. მართალია, ახლა, როცა ბრძოლა საბოლოოდ წააგეს, იმპერიალისტები საქვეყნოდ გაივიან, თითქოს კოლონიურმა ხალხებმა თვითონ კი არ მოიპოვეს დამოუკიდებლობა, თვითონ კი არ დაღვარეს ამისათვის სიხსლი, არამედ მათ, კოლონიზატორებმა, მოიღეს მოწყალეობა, თავიანთი ნებით მიანიჭეს თავისუფლება, მაგრამ ისინი ვერავის ვერ მოატყუებენ. მთელმა მოწინავე და პროგრესულმა კაცობრიობამ იცის, რომ იმპერიალისტები თავისი ნება-სურვილით არაფერს დათმობენ, ერთ გოჯა მიწასაც კი. იმპერიალისტი ყოველთვის იმპერიალისტია, რა დროსაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი, და „მის მდიდარ ჯიბეს თუ არ სწვდით ხელით, ხელიდან ის ჯოხს არ გადაგდებს“. და განა ამას არ ადასტურებენ ალჟირის, კონგოს, ანგოლისა და სხვა კოლონიური ქვეყნების ამბები? განა ამას არ ადასტურებს ის ინტრიგები, პროვოკაციები და პირდაპირი ანტრევეციების ცდები, რასაც მიმარტყან იმერიკელი იმპერიალისტები თავიანთი ყოფილი კოლონიის კუბისა და მისი მამაცი ხალხის მიმართ?

აღმოსავლეთის ვადვიძება და კაბიტალისტური აღმოსავლეთის მშრომელთა მოძრაობის ზრდა ახალი ისტორიული ეპოქის ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, რომლებიც ერთმანეთს შეერწყნენ როგორც ერთიანი ანტიიმპერიალისტური ძალა. სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა, რომ პროლეტარიატისა და ყველა ექსპლოატირებულთა დარტყმას ფორმტიდან და ჩაგრული ერებისას ზურგიდან საერთაშორისო იმპერიალიზმი ვერ გაუძლებდა და ადრე თუ გვიან იძულებული გახდებოდა შედიხედ დაეთმო პოზიციები. მსოფლიო იღვა ახალ რევოლუ-

ციურ ქართველთა და დიდი ვარდაქმნების წინაშე. ლექსში „სამოცდათი წლის პოეტი ქუჩაში მიდის“ ვალაკტიონ ტაბიძემ ასე გადმოგვცა ეპოქის საერთო სულსკვეთება, მოვლენათა განვითარების ძირითადი მიმართულება და ტენდენცია:

მსოფლიო! დრო კია ვალო კარები
იმპერიალისტური, ოქროთი მოვერცხლილი
ვალის.

ჩაგრული ერები და პროლეტარები
აზიის, აფრიკის, ამერიკის და ავსტრალიის
ებრძვის მჩაგვრელთა ყინს:
წინ, ამხანაგო, წინ!

კაპიტალიზმი, რა თქმა უნდა, გრძნობდა ამას, გრძნობდა თავისი აღსასრულის მოახლოებას, იცოდა, რომ „ჩაგრული ერები და პროლეტარები“ აიძულდნენ ერთხელაც იქნებოდა გაეღო „ოქროთი მოვერცხლილი ვალის“ კარები და, თავი რთვორზე რომ გადაერჩინა, სიცოცხლის ღღენი რომ გაეხანგრძლივებინა, მიმართა ნაცად ხერხს — მასობრივ რეპრესიებს რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ. მან იეროში მიიტანა კომუნისტურ პარტიებზე, მუშათა ორგანიზაციებზე და თითქმის მისმა დემოკრატიის უკანასკნელი ნაშთები, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანია, იტალია და სხვ.) არ მოერბა არც აწვარა ფაშისტური დიქტატურის დამყარებას.

კაპიტალიზმი სხვა გამოსავალს
ვერ ხედავს, მუშების დარბევის გარდა.
(„გამბედაობა“)

მაგრამ ყოველივე ამით გამოდგა. დრომოჭმულ და ლეზადქცეულ კაპიტალიზმს ვერ უშველა ვერც მასობრივმა რეპრესიებმა და მუშების დარბევამ, ვერც სისხლანმა ფაშისტურმა დიქტატურამ. კატასტროფული მარცხისაგან იგი ვერ იხსნა ვერც უკანასკნელმა იმედმა — ახალმა უმძიმესმა დანაშაულმა მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ — მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებამ, რომელსაც კაპიტალიზმი მრავალი წლის მანძილზე საველდაგულოდ ამზადებდა. ეს ომი, როგორც ცნობილია, იმპერიალისტებმა თავისი მახვილი მიმართეს მსოფლიოში მაშინ ერთადერთი სოციალისტური ქვეყნის — სსრ კავშირის წინააღმდეგ, სურდათ სა მოესპოთ ის და მასთან ერთად სოციალიზმიც. მაგრამ კოვში ნაცარში ჩაუვარდა. მათ არა თუ ვერ მოსპეს სსრ კავშირი და სოციალიზმი, არამედ თვითონ გახდნენ იძულებულნი შეეწირებულებოდნენ. სულ მოკლე დროში კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის ჩამოშორდნენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები, მათ შორის დიდი ჩინეთი, ხოლო ამ რამდენიმე წლის წინათ ახალი სოციალისტური სახელმწიფო გაჩნდა ზედ ამერიკის კონტინენტთან — კუბის კუნძულზე. შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა და წარმოუდგენლად გაიზარდა სოციალიზმის მიმზიდველობითი ძალა.

სოციალიზმის მიმზიდველობითი ძალის შეუჩერებელი ზრდა მთელ მსოფლიოში, მართლაც კომუნისტური პროპაგანდის შედეგი კი არ არის, როგორც ამას ამტკიცებენ ბურჟუაზიის იდეოლოგები, არამედ უპირველეს ყოვლისა აიხსნება ამ საზოგადოებრივი წყობილების საპროტესტოობით და კაპიტალიზმის წინაშე მისი განუზომელი უპირატესობით. მართალია, სოციალიზმი დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს, მაგრამ მოკლე დროშიც მან პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ მხოლოდ და მხოლოდ იგი ანიჭებს ხალხებს თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას. ევროპაში რომ მოგზაურობდა, ვალაკტიონ ტაბიძე უნებურად აღარებდა ერთმანეთს იქაურ და აქაურ ცხოვრებას, კაპიტალისტურ და სოციალისტურ სინამდვილეს და კიდევ უფრო მტკიცედ დარწმუნდა, რომ გზა, რომელიც საბჭოთა ხალხმა აირჩია, ისტორიული სწორი გზაა, რომ „ოქტომბერია ესტონიის ლოკომოტივი“. ერთ-ერთ ლექსში იგი ამის თაობაზე ამბობდა:

რას, რას იპოვი აწ, საზღვარგარეთ,
რომ ის ჩასთვალა მზედ ანდა მთვარედ?
არ ღირს მსოფლიოს მთელი სიმდიდრე
ერთ გაქროლებად სამშობლო მხარედ.
(„ჩვენში და მათთან“)

მწელია უფრო კონდესირებულად გამოთქვა ჩვენი სოციალისტური სამშობლოთი სიამაყის გრძნობა! იგი, ეს გრძნობა, ემყარება არა ერთგულს ან რასობრივი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობას, მის ღირსებებს, უპირველეს ყოვლისა კი იმ ფაქტს, რომ ჩვენში აღძვირდა თავისუფალია კაპიტალის ბორკილებისაგან და თავს ლაღად, ბედნიერად გრძნობს.

სხვათა მოჯამაგირობით
რომ სწყველიდა ბედისწერას,
თავისუფალს, თავის შრომით
ბედს აწვდიან ფერად-ფერადს.

(„საღაღად დარჩა, შორს, სტოკჰოლმი“)

დიდი სამამულო ომის შემდეგ, ომისა, რომელიც თავისუფლებისმოყვარე ძალების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა სოციალიზმის განუზომელი უპირატესობანი კაპიტალიზმის წინაშე და კაპიტალიზმის დრომოჭმულობა, მისი რეაქციული, ანტიხალხური ბუნება. ორი ქვეყნის — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მავალითზე ვალაკტიონ ტაბიძემ ლექსში „ორი ლელო“ თვალნათლივ გვიჩვენა, თუ რა უფსკრულია სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის, რა სულ სხვადასხვა პოლუსზე დგანან ისინი, ამასთან ცხადყო, თუ ვის მხარეზეა ისტორიული სიმართლე და მომავალი. მაშინ როცა სსრ კავშირში „ბრწყინავს ჩვენი ხალხის ოლით ღღე, მოსილი დიდებით, დანამშვენი გრძნობათ კონით, აზრათ მარგალიტებო“, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნამდვი-

ლი წყვილია: „დაუფარავთ ძაძა-ვლასით გრძნობა და ფანტაზია“. სხვანაირად რომ ვთქვათ, სოციალიზმი სინათლეა, დღეა, ხოლო კაპიტალიზმი — სიბნელე და უკუნეთი ღამე. მაგრამ პოეტი როდი კმაყოფილდება კაპიტალიზმის ასეთი ზოგადი დახასიათებით. იგი ნათელყოფს, რომ კაპიტალიზმი — ეს ხალხთა უბედურებაა, სიღატაკე, უმუშევრობა და უფუფლებობა. იგი ბნელი ღამის ვამპირია, სისხლისმსმელი მხეცია, რომელიც ყველაფერს ნთქავს, მაგრამ მაინც გაუმადლარია და სულ ახალ-ახალ მსხვერპლს ეძებს. არ არსებობს დანაშაული, რომელიც მას არ ჩაედინოს ან არ სჩადიდოდეს და საესებით მართალია პოეტი, როცა კაპიტალიზმს აღფოთებთ მიმართავს:

ყოველხანად უტიფარი
არის შენი მსველელობა:
ჩნდეს ქვეყანად ცეცხლის ღვარი,
წვა, ძარცვა და მკვლელობა.

აი ყველაფერი, კაპიტალიზმის მთელი „დამსახურება“ კაცობრიობის წინაშე და, თავისთავად ცხადია, ასეთ საზოგადოებრივ წყობილებას ვერ მოითმენს ხალხი. მართალია, ბურჟუაზიას თავი მოაქვს იმით, რომ კაპიტალიზმი უკვე რამდენიმე საუკუნეა არსებობს და აცხადებს, თითქოს იგი მარადიული საზოგადოებრივი წყობილებაა, მაგრამ ეს თავის ამაო ნუგეშია. ახლა სხვა დროა, სხვა ვითარებაა, ძალთა სულ სხვა თანაფარდობაა და კაპიტალიზმს, რომელმაც სასიკვდილო შხამი „რა ხანია დალია“, უკვე ვერაფერი ვერ იხსნის. მის უკანასკნელ ბურჯებს არყვეს სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლთა იერიშები და შორს აღარ არის ის დღე, როცა ისინი დაინგრევიან და მათთან ერთად ჩაიქცევა უკანასკნელი ექსპლოატატორული წყობილების — კაპიტალიზმის დამპალი შენობა. ამ აზრს გამოხატავენ პოეტის სიტყვები, მიმართული კაპიტალიზმისადმი:

იდექ დიდხანს,
მაგრამ დღესაც,
დღესაც განა ასეა?

დიან, ასე არ არის და სწორედ ესაა კაცობრიობის ბედნიერება. დაღვა უამი კაპიტალიზმის სიყვდილისა და უამი სოციალიზმის სიციცხლისა. ყველგან, მთელ კაპიტალისტურ სამყაროში ერთი მძლავრი ხმა გაისმის:
კმარა ბორკილი!

(„რევოლუციის ნიაღვრები“)

დრო კაპიტალიზმის მტერია და ექსპლოატირებულთა მეგობარი. ხვალისდელი დღე, მომავალი მთლიანად ეკუთვნის კაპიტალის ბორკილებისაგან თავისუფალ ხალხს, სოციალიზმს. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს სოციალიზმის ტრიუმფალური წინსვლის შეჩერება დედამიწაზე. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ძირმომავალი და სასიკვდილო ავონიით შეპყრობილი კაპიტალიზმის გადარჩენა. და ახლა, როცა სრულიად უეჭველია, რომ სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ვივანტურ ორთაბრძოლაში კაპიტალიზმს გარდუვალი დაღუპვა ელის, ჩვენ კიდევ უფრო მეტი რწმენით, სრული დაჯერებით ვიმეორებთ საყვარელი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონებს, რომლებიც მანკერ კიდევ 1929 წელს დაწერა:

აქ იბრძვის მხოლოდ ორი სისტემა,
მაგრამ პირველი მეორესა სცვლის.
არ არის სხვა გზა არავითარი —
სოციალიზმი სძლევს კაპიტალიზმს.
(„ოქტომბრის სიმფონია“)

„სოციალიზმი სძლევს კაპიტალიზმს“ და ამით ბოლო მოეღება უდიდეს ბორბტებას დედამიწაზე — დამიანის მიერ ადამიანის, ერის მიერ ერის ჩაგვრას, ბოლო მოეღება ომებს და მთელი კაცობრიობა მოიპოვებს დიდი ხნის ნანატრ თავისუფალ, ბედნიერ ცხოვრებას. ამ დღეს უმდგროა, ამ დღის დადგომისათვის იბრძოდა გალაკტიონ ტაბიძე თავისი რევოლუციური ლექსებით და ამიტომ მისი პოეზია მარად უკვდავი იქნება, როგორც ის საქმე, რომელსაც იგი უანგაროდ და მთელი გატაცებით ემსახურებოდა.





აქედან რა ჩავლივხილ

ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ XXII-XXIII თავების შესახებ

ქართული ლიტერატურის უკვდავი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილს“ ამჟამად აქლია XXII—XXIII თავები. ამასთან დაკავშირებით მკვლევარი პ. ინგოროყვა წერს: ცენზურის წყალობით „ჩვენ დღეს არ გვაქვს „აჩრდილის“ სრული ტექსტი. პოემის 22 და 23 თავი დაკარგულია. „აჩრდილის“ ბოლო რედაქციის პირველ-ნაწირი ავტორგრაფები არ შენახულა, ხოლო ნაბეჭდ ტექსტში ეს ორი თავი ამოშლილია ცენზურის მიერ. რას შეიცავდა ეს ორი დაკარგული თავი, ამის შესახებ არავითარი პირდაპირი ცნობა წყაროებში არ მოიპოვება“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. 1, 1951 წ., გვ. 372). შემდეგ პ. ინგოროყვა დაასკვნის: „ამ დაკარგული თავების აღდგენა შეუძლებელია 1858-1859 წლების პირველი ვარიანტის მიხედვით; საქმე ის არის, რომ „აჩრდილის“ ბოლო რედაქციაში შეცვლილია პოემის არქიტექტონიკა. მართალია, 1858-1859 წლების ვარიანტში არის ზედმეტი სტროფები—სურათები ისტორიიდან—მაგრამ ეს ადგილები ავტორს, ჩანს, შეგნებულად არ შეუტრია ბოლო რედაქციაში, როგორც ამას გვიჩვენებს ილიას წერილი დ. ერისთავისადმი. ამრიგად, ამ ორი თავის შინაარსის აღდგენა, ვიდრე ახალი მასალები არ აღმოჩნდება — შეუძლებელი ხდება“ (იქვე, გვ. 372).

რამდენადაც ვიცით, ახალი მასალები ჯერჯერობით არ აღმოჩენილა, ხოლო რაკი პ. ინგოროყვამ პოემის ვარიანტების გამოყენება შეუძლებლად მიიჩნია აღნიშნული თავების შინაარსის აღსადგენად, შეიქმნა „ზოგჯერ თქმითაც დაშვებების“ სიტუაცია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ დღემდე არავის არ გამოუთქვამს აზრი „აჩრდილის“ დაკარგული თავების აღდგენის თაობაზე. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გვსურს წამოვყენოთ

ზოგიერთი მოსაზრება პოემის XXII-XXIII თავების შინაარსის აღდგენის შესახებ. „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასო“, უთქვამს გენიოს რუსთველს და გვაპატიოს ილიას აჩრდილმა, თუ რამე არასწორად ვთქვით.

1

„აჩრდილის“ დაკარგული თავების გამო უნდა დაისვას ორი საკითხი: ა) როგორი იქნებოდა მათი თემატიკური შინაარსი, ე. ი. რა თემები შეიძლებოდა გამოესახა მათში პოეტს, და ბ) როგორი იყო მათი ზუსტი ტექსტი.

ჯერ შევჩერდეთ პოემის დაკარგული თავების თემატიკაზე.

დაკარგული ადგილები შედიოდა პოემის მეორე ნაწილში, სადაც გადმოცემულია საქართველოს წარსული. საბოლოო რედაქციის XVIII-XIX-XX თავები მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა ვეებას გადაუვლია საქართველოს თავზე, ორი ათასი წლის განმავლობაში რა სისხლი უღვრია, მაგრამ ქედი არავის წინაშე არ მოუხრია. ქართველებმა დიეცეს მამული, რჯული და დედა ენა. მართალია, ზოგჯერ მოძალადე იყრობდა ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ფარნაოზ მეფემ მტერს თავზარი დასცა, დაამხო ყმობა, მონობა და ეს მოფინა თავისუფლება. ამ აზრის გამოხატველი სტროფების შემდეგ მოდის XXI თავი. რადგან დაკარგული თავები ამ თავს მოკყევა და ამასთან ისინი წინ უსწრებენ XXIV თავს, ამიტომ აღვადგენთ მთელ იმ ლოგიკურ კონტექსტს, რომელშიც მოქცეულია პოემის საძიებელი ნაწილები. ეს გზა ნათლად გაგვითვისისწინებს გამოტოვებული თავების თემატიკურ შინაარსს.

XXI თავში ნათქვამია, რომ ფარნაოზის



შემდეგ ქართლის შვილს არ ჩაუვია ხმალი ქარ-
ქაშში.

და თავდადებას მამულისათვის
ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ.
ერსა რაღაა!... გაპქრენ ის დღენი,
გაპქრა იგიცა ძალ-გულოვნება
და საკვირველნი მამათ საქმენი
ცხლანდელ შენს შვილს არ აგონდება.

XXII-XXIII

XXIV

წამხდარა ყველა ის ღონე და ის ძლიერება,
მტვრად გარდაქმნილა ახოვანი იგი

ცხოვრება.

აწ იგი თითქო თვის ღენაში შეეყენებულა...¹
თუ ამ კონტექსტს დავეუკერებდით, აშკარა
ვანდება, რომ გამოტოვებული ნაწილი მოგვით-
ხრობდა ჩვენი წინაპრების გმირულ საქმეზე.
„გაპქრა იგიცა ძალ-გულოვნება და საკვირველ-
ნი მამათ საქმენი ცხლანდელ შენს შვილს არ
აგონდება“, ნათქვამია XXI თავის დასასრულს
და ცხადია, რომ გამოტოვებულ თავებში ილია
შვილებს შოაგონებდა მამათა საკვირველ გმი-
რობასა და საქმეებს. XXIV თავის დასაწყისი
ტაუბი: „წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლი-
ერება“ იმას ნიშნავს, რომ წინა XXII-XXIII
თავებში გამოსახული ყოფილა ის ღონისძიება-
ნი, რომელთა განხორციელების მეოხებით წარ-
სულში შექმნილა საქართველოს ძალოვანი,
ლაბაში ცხოვრება. ჩვენი აზრით, სხვაგვარი გა-
გება გამორიცხებულია, რადგან თქმა „ის ღონე
და ის ძლიერება“ სწორედ იმაზე მიუთითებს,
რაც XXII-XXIII თავებში აღწერილი, ხოლო
XXI თავის მიხედვით ეს „ის“ უნდა იყოს მამათა
საკვირველი საქმენი.

ახლა უფრო კონკრეტულად უნდა ვაჩვენოთ,
თუ ვინ არიან ის მამანი და როგორია მათი სა-
კვირველი საქმენი. სწორედ ამის შესაძლებლო-
ბას იძლევა „აჩრდილის“ პირველი და მეორე
ვარიანტი. ამ ვარიანტებში მოხსენიებული არიან
ისტორიული პირები, რომლებსაც განსაკუთრებ-
ლით დიდი დამსახურება მიუძღვით საქართვე-
ლოს ძლიერების შექმნაში.

უპირველეს ყოვლისა ესენი არიან დავით აღ-
მაშენებელი, თამარ დედოფალი, დიმიტრი თავ-
დადებული, შოთა რუსთველი და სხვ.

დაიწყოთ იმით, რომ პოეტის საბოლოო
ტექსტში ერთი სიტყვიტაც არ იხსენიება გენი-
ოსი შოთა რუსთველი და მისი „ვეფხისტყაოსან-
ნი“. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ილია თით-
ქოს დაკმაყოფილებულა მხოლოდ იმით, რომ
რუსთველის ერთი აფორიზმი „რა ვარდმან მისი
ყვავილი გახაზოს, დაამქნაროსა, იგი წვადა და
სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“ ეპიგრაფად
მიუცია მთელი პოემისათვის. მაგრამ ვანა შეიძ-
ლებოდა, რომ ილიას „აჩრდილის“ ძირითად

ტექსტში არაფერი ეთქვა თვით შოთა რუსთვე-
ლისა და მისი შედევრის „ვეფხისტყაოსანში“
შესახებ? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა „აჩრდი-
ლის“ პირველი და მეორე ვარიანტი, რომლებ-
შიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსჯელობას
შოთა რუსთველზე, ამასთან ყველგან ეს მსჯე-
ლობა დაკავშირებულია თამარ დედოფალთან.
მოვიტან მხოლოდ ერთ ადგილს მეორე ვარიან-
ტიდან, რადგან აქ იგი უფრო ვრცლად და და-
ზუსტებულად არის წარმოდგენილი პირველი ვა-
რიანტთან შედარებით. მეორე ვარიანტის 29-ე
თავი გადმოგვცემს იმ მომენტს, როდესაც დი-
დებულ თამარს გვერდს უშვებდნენ ლამაზი
კაბულები:

და იმ მშვენიერ კაბუტთ კრებაში,
იმ თავისუფალ ბედნიერ ხალხში
დიდი რუსთველი ნახად დამდერდა
მას, ვისთვისაც ხალხს გული უძვეერდა.
იგი აძლევდა რუსთველის ქნარსა
იმ მშვენიერსა აღმადრენსა,
რომელიც ესლა ქართველსა უყვირს
და რომელზედაც ხან ხარობს, ხან სტირს,
როგორცა გამქრალ თვის ვარსკვლავზედა
და მიფარებულ დიდებაზედა.
დიდო რუსთველი! დაღუმიდა ქნარი
ღონის და ძალის აღმათროლარი!
იგი ოდესღაც ტბილად გალობდა,
ესლა ადარ არს, ხალხი დაობდა!²

ეს ადგილი, სათანადო სტილისტური შესწო-
რებით, ვფიქრობთ, აუცილებლად იქნებოდა
პოემის დაკარგულ XXII თავში. ამას ასე და-
ზუსტებით იმიტომ ვამბობთ, რომ, ჩვენი აზ-
რით, ყოვლად დაუჭერებელია, ილია ჭავჭავა-
ძე საქართველოს ისტორიული წარსულის გა-
მოსატყვის შესდგომოდა და რუსთველი და მისი
„ვეფხისტყაოსანი“ გამოეყენებინა მხოლოდ
როგორც საეპიგრაფო მასალა და არა როგორც
შოთაგონებისა და ხობების ობიექტი.

ილიას მთელ შემოქმედებასა და პუბლიცის-
ტიკაში შოთა რუსთველი ხომ მუდამ ასეთ
სანიშნუშო შედევრად არის წარმოდგენილი! ამის
ცხადსაყოფად საკმარისია ილიას მხატვრული
შემოქმედებიდან დავასახელოთ „გლახის ნაამ-
ბობი“, ხოლო კრიტიკული წერილიდან ერთ
სეთ ადგილს მოვიტან, სადაც ილია ამბობს
„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ: „ჩვენ, ქართვე-
ლებს, სამართლიანად მოგვაქვს თავი მით, რომ
ეგ დიდებული პოემა, შექმნილი ჩვენის ერის
დიდებულობის დროსა, ჩვენის კაცისაგან და
ჩვენს ენაზედ დაწერილია, ყველამ იცის, რომ
ამით ჩვენ თავს ვიწონებთ, ესახელობთ, ვქაღუ-
ლობთ“ (ტ. III, 1958 წ., გვ. 166). ვანა დასა-
ჯერებელია, რომ ასეთი სასქადაულო, თავმო-

2 უფრ. „მნათობი“, 1926 წ., № 3, გვ. 123
ამ ნომერში პ. გელეიშვილის მიერ გამოქვეყნე-
ბულია „აჩრდილის“ მეორე ვარიანტი (ხაზგასმა
ტექსტში ჩემია — ა. ჩ.).

1 ხაზგასმა ყველგან ჩემია — ა. ჩ.

საწონებელი, სასახლო ავტორისა და პოემის შესახებ ილია არაფერს არ იტყვიდა „აჩრდილის“ საბოლოო ტექსტში?

„აჩრდილის“ საბოლოო ტექსტში სრულებით არ არიან მოხსენიებული დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე, მაშინ, როცა პოემის პირველ და განსაკუთრებით მეორე ვარიანტში მათ შესახებ ნათქვამია:

„იყო დრო, როცა ქუთით ნათელი მეფე დავითი აღმაშენებელი მართალის ხელით მართავდა ხალხსა და თვის გვირგვინსა სახელგოვანსა თვით ამჟჳ შუბლზედ არ შეინძრებოდა, ორ მტრის სამეფოს ვით ხეს არხვედა და მის პორფირის მშვიდსა ჩრდილშია ხალხი თვის ბედსა და ხვედრს ლოცავდა, და თავის მეფის მშვიდ ღმირშია თვის დამხსნელს ვარსკვლავს დინანსავდა. მის შემდეგ, მერე იშვა თამარი, ზედ დაჰყვა რუსთვის უებრო ქნარი, ქართველთ თამარი, ქართველთ დიდება, ქართველთ სახელი, ამპარტავნება! მას აქეთ განჰქრენ საუკუნენი, სამეფოებიც ბევრნი დაეცნენ ბევრ ხალხთ ცხოვრება, ბევრ ხალხთ საქმენი,

ვით მეტეორნი ცაშია ჩიქრენ; გარნა თამარის დიდმა სახელმა განჰფანტა მტვერი საუკუნეების და აწ ექვსას წლის შემდეგ ქართველმა იციის სახელი თავის დიდების. დიდო თამარი! შენი სახელი იცოცხლებს, ვიდრე ცხოვრებს ქართველი, ეგვა ჭილდო დიდ ცხოვრებისა! ესეა წესი ამა ქვეყნისა!³

ბოლოს ხაზგასმული ტაეპები არ არის პირველ ვარიანტში, ამ თვის ზოგიერთი ადგილი კი თავისი იდეურ-მხატვრული შინაარსით სავსებით შეეფერება „აჩრდილის“ ესთეტიკურ ავტორიტეტს.

პოემის საბოლოო რედაქციაში სრულებით არ იხსენიება აგრეთვე დიმიტრი თავდადებული, ხოლო მეორე ვარიანტში მის შესახებ წერია:

„სისხლი, სულ სისხლი ჰფარავს და ჰფარავს შენს წარსულს ჟამსა, შენს ბედის ვარსკვლავს;

თვით მეფენიც კი თვის ცხებულს თავსა სხვერპლათ აძლევდნენ მშობლიურ ხალხსა! განა დიმიტრი თავდადებული იქნება როსმე დავიწყებული?!

(დასახელებული „მნათობი“, გვ. 120-121).

„აჩრდილის“ ვარიანტიდან აქ მოტანილი ზოგი ტაეპი უცვლელად, ზოგიც გადამუშავებუ-

ლი სახით, აუცილებლად შევიდოდა პოემის აქამდე უცნობ თაეებში, ხოლო ზოგიც უარყოფილი იქნებოდა, რადგან ასეთია საერთოდ წარმოებდა ვარიანტებზე ილიას მუშაობის მეორეობა.

პირველი ვარიანტის 30-ე თაეში შეჯამებულია დავით აღმაშენებლის, თამარ დედოფლის, დიმიტრი თავდადებულისა და შოთა რუსთველის შესახებ გამოთქმული აზრები, ამასთან მასში მკვეთრად მოჩანს საქართველოს აღდგენისა და მისი ბედნიერი მომავლის შექმნის იდეა. ეს თავი შედგება თექვსმეტი ტაეპისაგან და მეორე ვარიანტში მას შეესაბამება 33-ე თაევი, რომელიც შეიცავს ოცდარე ტაეპს, ე. ი. ავტორის დაუმთავრებელი ტაეპი და მთელი ეს თავი ილიას ამ სახით ჩამოუყალიბებია:

„ნუთუ ეს ხალხი, რომელთ დამბადეს დავით, დიმიტრი, დიდი თამარი, რუსთველი და მის ძლიერი ქნარი, ნუ თუ ეს ხალხი აღარა აღსდგეს! ნუ შიშობ, ველო! შენს მშვენიერს ხალხს წარუტლენ წელნი ძილის ჟამისა, ხალხი აღინთებს კიდევ თვის ვარსკვლავს, სისხლი (შრომა) მამათა დაიხსნის შეილსა!.. შეილი აღსდგება, შეიკრებს ძალსა და ბედნიერსა შეაქმს მყობადსა. ესლა გზა კაცის არს გაკვალილი და უნდა ნდომა და მხნეი გული, რომე მიხვდეს ის ბედნიერ ჟამსა და შეეყაროს ტკიბის მომავალსა. წარუტლენ ეს წელნი ძილის ჟამისა და გაბრწყინდება მზე მომავლისა!.. ოჰ, ღმერთო! ამა ხალხთ გაღვიძება დიდ ძილის შემდეგ რა ტკიბი იქნება.⁴

ჩვენ აქ არ მოვიტანია ბოლო ოთხი ტაეპი, რადგან პოეტურად ძალზე სუსტია და ამიტომ შეიძლებოდა ილიას არ შეეტანა ისინი პოემის საბოლოო რედაქციაში.

დანარჩენ ტაეებში კი, ე. ი. ჩვენს მიერ შემოთხოვნილ თაეში შეიძლებოდა ავტორის შეეტანა მხოლოდ ზოგიერთი სტილისტური შესწორება, მაგალითად, „ველოს“ ნაცვლად დაეწერა „ქართველო“, როგორც ეს პოემის მე-9 თაეში გააკეთა. აქ პირველად ეწერა: „მაგრამ, ეჰ, ველო, სად არის გმირი“, ხოლო საბოლოო რედაქციაში ეს ტაეპი ასე წარმოვიდგინებთ: „მაგრამ ქართველნი, სად არის გმირი“. ამის ანალოგიურად შეიძლებოდა 33-ე თაეში პირველად ნათქვამი „ნუ შიშობ ველო“ ილიას საბოლოოდ ასე შეეცვალა: „ნუ შიშობ ქართველო“ და ამით ტექსტი აშკარად გაუმჯობესდებოდა, უფრო სრულყოფილი გახდებოდა, ხოლო იდეურ-მხატვრული სრულყოფისათვის ბრძო-

³ დასახელებული „მნათობი“, გვ. 121-122 (ხაზგასმა ყველგან ჩემია — ა. ჩ.).

⁴ დასახელებული „მნათობი“, გვ. 124-125 (ხაზგასმული ტაეპი ჩამოტებულია I ვარიანტიდან განსხვავებით — ა. ჩ.).

ლა ილიას პოეტური ოსტატობის მარადიული პრინციპია.

ყოველივე ამის გამო, დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ ჩვენს მიერ პოემის ვარიანტიდან შემოთ გამოყოფილი ტაყები აუცილებლად იქნებოდა „აჩრდილის“ საბოლოო ტექსტში, როგორც აშკარად დეკარგული XXIII თავის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

მომავლის რწმენით გამსჭვალული, საქართველოს ბედნიერი მყობადის მქადაგებელი სტროფები ცენზორს რომ არ გამოეპარებოდა და მათ ამოიღებდა, ეს თავისთავად ცხადი უნდა იყოს.

2

აღნიშნული ისტორიული პირები აღარ არიან მოხსენიებული „აჩრდილის“ საბოლოო ტექსტში, მაგრამ არსიდან აჩ ჩანს, რომ ისინი არ იხსენიებოდნენ იმ XXII-XXIII თავებში, რომლებიც ცენზურამ ამოიღო. მკვლევარი პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ სურათები ისტორიიდან ილიას „შეგნებულად არ შეუტანია ბოლო რედაქციაში, როგორც ამას გვიჩვენებს ილიას წერტილი დ. ერისთავისადმი“. ამ წერილის შინაარსი მართლაც დამაფიქრებელია, მაგრამ ვიდრე მის შესახებ საბოლოოდ რამეს ვიტყვოდეთ, მანამ უნდა გავიხსენოთ, რომ „აჩრდილის“ პირველი ვარიანტი ეკუთვნის 1858-1859 წლებს, მეორე ვარიანტი—1859-1860 წლებს, ხოლო მესამე ვარიანტის სახით ილიამ ხელახლა გადაამუშავა პოემა 1872 წელს. როგორც პ. ინგოროყვა ამბობს, ეს „გადაამუშავება“ შეეხო პოემის პირველ ნაწილს (თავები 1-18), ხოლო პოემის ბოლო, რომელიც უმოთავრესად ისტორიულ სურათებს შეიცავს (19-25 თავები) — ეს ნაწილი პოეტს არ შეუსწორებია და არც დაუბეჭდავს“ (ტ. I, 1951 წ., გვ. 369). „აჩრდილის“ ეს მესამე ვარიანტი დაიბეჭდა 1872-1873 წლებში, პოემის ბოლო რედაქცია კი მიეკუთვნება 1872-1881 წლებს. საქმე ის არის, რომ „1872 წლის შემდეგ ილიამ შეიტანა პოემაში ისტორიული ნაწილიც, შვიდი თავი (19-იდან 25-მდე) და პოემას მისცა ის სახე, რომელიც მას დღეს აქვს... ბოლო ნაწილში შეკვეცილია მხოლოდ ისტორიული სურათები... პოემის ეს ბოლო რედაქცია ილიამ დაბეჭდა „ივერიაში“ 1881 წელს... ცენზორმა ახლაც ამოაგდო მთელი რიგი ადგილებისა, სახელდობრ: პოემის მეორე ნაწილში სრულიად ამოშალა ოთხი თავი (22, 23, 24, 25)... დასასრულ, 1892 წელს, „აჩრდილი“ დაიბეჭდა „ქართულთა აშხანაგობის“ გამოცემაში. აქ ადგილებია ის ადგილები, რომლებიც „ივერიაში“ არ დაბეჭდილა, გარდა 22, 23 თავისა, რომლებიც ცენზურამ არც 1892 წელს გაუშვა“ (იქვე, გვ. 371-372, ხაზგასმა ჩვენია — ა. ჩ.).

როგორც პოემის ტექსტის ამ თავგადასავლიდან ჩანს, მესამე ვარიანტში (1872 წ.) პოემის

ბოლო ნაწილი, რომელიც „უმოთავრესად ისტორიულ სურათებს შეიცავს... პოეტს არ შეესაბამებია და არ დაუბეჭდავს“, ხოლო პოემის ბოლო რედაქციაში ილიას შეუტანია ისტორიული ნაწილიც, მაგრამ შეუტყვევავს. გამოდის, რომ ცენზორის მიერ ამოღებულ ორ თავში ისტორიული სურათები არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც საბოლოო ტექსტში ისტორიული სურათები მოჩანს, როგორც პოემის მესამე ვარიანტში შეუტანელი ისტორიული სურათების შეკვეცილი სახე. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ პ. ინგოროყვას მითითების თანახმად, მესამე ვარიანტში ისტორიული ნაწილი პოეტმა იმეტომ ამოიღო, რომ თვითონ ილიას სიტყვით, ჩვენს ისტორიაში არ მოჩანს ხალხი, ხოლო „მეფეებისა და ომების სახე“ მას არ იზიდავდა. ასეთი აზრი მართლაც ჩანს ილიას წერილში დ. ერისთავისადმი. „როთ იყო გამოწვეული ისტორიული ნაწილის გამოშვება? სვამს საკითხს პ. ინგოროყვა და უპასუხებს: „ამის პასუხს იძლევა ფიქტი ილია ერთ კერძო წერილში, რომელიც მიმართულია დავით ერისთავისადმი. ...ილია წერს: „ამ აჩრდილმა ტყავი გამაძრო, ისტორიულს ნაწილზე... შეეცაღ და ერთი ნაბიჯი წინ ვერ წავადგი. რა ვქნა? ვამბობ, ამ აჩრდილთა თავი დავანებო მეტქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომების და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს. მე კი ასეთი აგებულგის ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია, და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არ ჩანს. ვწუხვარ და ვდრტვიანვ, და განკითხვა არსით არის“. (ი. ჭიჭიკაძე, ტ. I, 1951 წ., გვ. 369-370).

ილია ჭიჭიკაძე ამ მართლაც ასეთი შეხედულებისა იყო ხალხის როლზე ისტორიაში, ამას ამტკიცებს მისი ცნობილი წერილი „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენი ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა... ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ვერ ფარდა-აუხდელია და უცნობი ჩვენთან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაო კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა“ (ტ. IV, 1955 წ., გვ. 175).

ილია მუდამ ცდილობდა ეჩვენებინა ხალხის დიდი როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ამ მხრივ იგი თვალსაჩინო წარმატებასაც აღწევდა, მაგრამ ხალხის როლის ასეთი მართებული შე-

ფუნჯება იმას არ ნიშნავს, რომ ეს თვალსაზრისი იყოს „აჩრდილიდან“ ისტორიული ნაწილის გამოტოვებისა თუ შექვეცის მიზეზი. ცნობილი ისტორიული პირები: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დიმიტრი თავდადებული არ ყოფილან ისეთი მეფეები, რომელთა სახეებს არ მიეზიდათ ილიას გულისყური და ამის გამო ისინი პოემიდან ამოედო. ილიას მართლაც სწამდა, რომ „საქმე ხალხია“, მაგრამ ვანა ეს იმას ნიშნავს, რომ ილიამ ხალხი დაუპირისპირა ისეთ მეფეებს, როგორც იყვნენ დავითი, თამარი და დიმიტრი? ეს ისტორიული პირები, როგორც ზევით დავინახოთ, თავდაპირველად იხსენიებიან პოემის ძირითად ვარიანტებში, საიდანაც შესაბამისი სტროფები შევიდოდა პოემის საბოლოო ტექსტის XXII-XXIII თავების შემადგენელ ნაწილად. თუ შემდეგ ეს სტროფები აღარ აღმოჩნდა პოემის საბოლოო ტექსტში, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა იმაში, რომ ილიას მეფეთა სახეები არ იზიდავდა, არამედ ცენზურის უკანონო მოქმედებაში, იმ კალმის წალთების ბარბაროსობაში, რომლებიც სპობდნენ და ანადგურებდნენ ყოველივე ქართულს, ეროვნულს, რაზეც ხაზგასმით მიუთითებს მკვლევარი პ. ინგვროყვა თავის საფუძვლიან გამოკვლევებში ილია ჭავჭავაძის შესახებ. მხოლოდ ამის გამო არ იხსენიება დასახელებული მეფეები პოემის საბოლოო ტექსტში და არა იმიტომ, რომ თითქოს დავით, თამარ და დიმიტრი მეფეებს ილია ჭავჭავაძე ხალხს უპირისპირებდა. მეფეც არის და მეფეც. დაბეჭდვით უნდა ითქვას, რომ დასახელებულ მეფეთა სახეები ძალზე იზიდავდა ილია ჭავჭავაძის. ამას მოწმობს მისი პოემა დიმიტრი თავდადებულზე. ილია არ მოერიდა დიმიტრის მეფობას, ეს სიტყვა ნაწარმოების სათაურშიც კი შეიტანა და პოემას „მეფე დიმიტრი თავდადებული“ უწოდა. დიმიტრი თავდადებული ისეთი პიროვნებაა, რომელიც მეფობას იყენებს არა პირადი ნებარებისათვის, არამედ თავისი ხალხის, ერის, ქვეყნის ძლიერებისა და დამოუკიდებლობისათვის. აი, როგორ ესმის მეფობა დიმიტრის:

მე მეფე ვარ და მეფობის
რიგიც ვიცი რაში არა...
ფუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს,
მგელს დაუდგოს თავის ცხვარი.
დიმიტრი მეფემ თავი დასდო ქვეყნის გა-
დასარჩენად:
მამ რად არის მეფე მეფე,
თუ არ ქვეყნის პირთა მძლეა?
თუნდაც მოკვდეს ქვეყნისათვის,
ეგ სიკვდილი სიცოცხლეა.
მეფე დიმიტრი თავდადებულმა კარგად იცის,
რომ

არ არის მეფდარი, ვინ მოკვდეს
და ხალხს შესწიროს ღღენია,
მეკვლად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.

ამიტომ იყო, რომ „ხალხი პირქვე მყის
დაემხო საკვირველი მეფის წინა“.

ილიას ჭეშმარიტი სიტყვები: „მე კი ასეთი
აგებულების კაცი ვარ, რომ მეფეებისა და
ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე“ ისე ტრა-
ფარეტულად არ უნდა გავივით, თითქოს, ილი-
ას არც ერთი მეფის სახე არ იზიდავდა. პირი-
ქით, ზოგიერთი მეფის სახე მას ძალზე ხიბლავ-
და და იზიდავდა. ამის ერთი მაგალითი უკვე
დავასახელებთ. ძლიერ შთამაგონებლად მოგ-
ვითხრობს ილია თამარ მეფის შესახებაც თავის
ცნობილ წერილში „აი ისტორია“ (ტ. IV,
1955 წ. გვ. 63-68). ვანსაუთრებთ მწიშენ-
ლევანის ამავე ტომში მოთავსებული წერილი
„დავით აღმაშენებელი“. აი რა საინტერესო აზ-
რებს ვხვდებით ამ შესაბამის სტატიას: „ერი
თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და
გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და
შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს“.
ილიას გაგებით, თურმე, ასეთ გმირებს შეიძლე-
ბა მიეკუთვნოს ზოგიერთი მეფე და მათ შო-
რის დავით აღმაშენებელი, რომელსაც „უტყუა-
რმა ვანაჩენმა ერისამ... აღმაშენებლის სახელი
დაარქვა საუკუნო სახსენებლად. ამ მართლად
დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქარ-
თველობას, აოხრებულ ქვეყანა აშენა, მტერი
გაუფრთხო და გაუფანტა, და ღღეს თუ ჩვენ
ჩვენს ბინაზედ ვართ, — ეს იქნება იმისი დვა-
წლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება
სახელსა მისსა!“ (გვ. 181). ილიას რომ ზოგი-
ერთი მეფის სახე არ იზიდავდეს, ვანა იგი
ასეთ მაღილებელ სიტყვებს უძღვნიდა დავით
მეფეს? ი. ჭავჭავაძე კი უფრო და უფრო
ხაზს უსვამს დავით მეფის დამსახურებას, არ
ზოგავს სიტყვებს მისი დეაწლის შესამკობად:
„აი ეს დიდებული მეფე — რა დიდებულ კა-
ტურ-კაცის სახელსაც მოგვივლენს თვალწინ
და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს
ხელთა. აი ამისთანა კაცის ხსენება გამაოცხ-
ლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა
მომაკვდინებელ ცოლად უნდა ჩათვალოს ერ-
სა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გა-
მოზარდა... წელიწადში ერთხელ მიინც გავიხ-
სენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი
დიდებული მეფე, დიდებული კაცი“ (იქვე, გვ.
183). მამსადაამე, მეფე თურმე შეიძლება იყოს
დიდებული და თავმოსაწონებელი კაცი, ასეთ
დიდებულ მეფეთა რიცხვს ეკუთვნიან დავით
აღმაშენებელი, თამარ დედოფალი და დიმიტრი
თავდადებული.

აი, ამ დიდებულ მეფეებს იხსენიებდა ი. ჰავჭავაძე „აჩრდილის“ აღრიხდელ ვარიანტებში და, თუ პოემის საბოლოო რედაქციაში ისინი არ აღმოჩნდნენ, ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ საბოლოო ტექსტს აკლია XXII-XXIII თავები, რომლებშიც, ჩვენი ღრმა რწმენით, იქნებოდა მათი დეაწლის აღმნიშვნელი არაერთი სტროფი.

რასაკვირველია, პოემის ამოღებულ XXII-XXIII თავებში ქართველი ხალხი უფრო ღრმად და ვრცლად იქნებოდა წარმოდგენილი, მაგრამ ილია არც რუსთველის, დავით მეფის, თამარ დედოფლისა და დიმიტრი თავდადებულის უკვდავ სახეებს დაივიწყებდა.

ასეთია, ჩვენი აზრით, ცენზურის მიერ პოემიდან ამოღებული თავების თემატიკური შინაარსი, ხოლო მათი ტექსტუალური გამოხატულება უნდა ვეძიოთ იმ ვარიანტებში, რომლებიც სათანადო გადამუშავებული სახით შეტანილი იქნებოდა პოემის ამჟამად დაკარგულ XXII-XXIII თავებში და რომელთა ნიმუშები ჩვენი ზემოთ მოვიტანეთ. სხვაგვარი დასკვნა ყოვლად შეუძლებელია, რადგან რუსთველის, დავით აღმაშე-

ნებლის, თამარ მეფისა და დიმიტრი თავდადებულის სახელები უკვალოდ არავითარ შემთხვევაში არ გაქრებოდა „აჩრდილის“ საბოლოო ტექსტიდან, თუ არა ცენზურის მიზეზით. სრულიად უტყველია, რომ სწორედ ამ ისტორიულ პირებს ეხებოდა ცენზურის მიერ ამოღებული და ჭერჭერობით დაკარგული XXII-XXIII თავები პოემისა. ამ თავების კვალი შემონახულია „აჩრდილის“ პირველ და მეორე ვარიანტში, რომლებიც აქამდე არ ყოფილან ჯეროვნად გამოყენებული დაკარგული თავების აღსადგენად. ამიტომ პოემის დაკარგული თავების აღმოჩენისათვის საარქივო ძიების პარალელურად კვლევა იმ მიმართულებითაც უნდა გაიშალოს, რომ ვარიანტების გამოყენების, საფუძველზე მიეფუასლოვდეთ პოემის საძიებელი თავების ზუსტ ტექსტს.

ასეთია „აჩრდილზე“ ჩვენი შენიშვნების დასკვნითი ნაწილი. მართალია, ეს დასკვნა გამოვიტანეთ „აჩრდილზე“ რაიმე „ახალი მასალების“ აღმოჩენამდე, მაგრამ, ვფიქრობთ, მასში მაინც მოიპოვება ჭეშმარიტების მარცვლი და ამიტომ იგი რამდენადმე ხელს შეუწყობს „აჩრდილის“ საბოლოო ტექსტის დადგენას.



დავით ნახავაძე

მაკიაშ პარისის დამსახური

ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში ლიტერატურულ წყაროებს შემოუნახავს თავდადებული და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული არაერთი ქართველი ქალის სახელი. მათ შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკუთვნის მარიამ ერისთავს. იგი იყო ქსნის დიდგვაროვანი თავადის იოანე ერისთავის შვილი, რომელთა სახელოვანმა წინაპრებმა ბევრი დიდებული ფურცელი ჩასწერეს ქართველი ხალხის ისტორიაში.

მ. ერისთავის პირველი ლექსი „ნა“ დაიბეჭდა 1857 წლის სექტემბრის „ციცქარში“. ლექსი ავტორს მიუძღვნა თავისი მკურნალი ექიმისათვის, რომელსაც მძიმე ავადმყოფობისა და სიკვდილისაგან უხსნია პოეტი. ლექსმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო მუსიკალობით, სისადავით, მხატვრული ფერებით და ფაქიზი განცდებით. ეს იყო ერთგვარი გამოწვევა ქართველი ნიჭიერი ქალებისა საზოგადოებრივ ასპარეზზე, მათი წახალისება, რათა გაბედულად შემოედოთ ლიტერატურის კარები.

მკურნალი ექიმი, რომელსაც მ. ერისთავმა ლექსი მიუძღვნა, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ნაწარმოების შინაარსიდან ჩანს, რომ იგი დიდი პატივისცემით სარგებლობდა მაშინდელ თბილისში.

აწ ყოველნი ერნი შენის ჳერებთ
განკვირებულნი,
როკვენ, ხარობენ, სურის გიძღვნიან სიტყვა
ქებულნი,
ტაძრად სულისა გასხვენ ერთად ბრძენთა
კრებულნი:
ემსგავსე მხსნელსა გიხმობთ დღეს შენგან
განკურნებულნი.

აი როგორ ღრმა პატივისცემით ახსიათებს პოეტი ქალი თავის სახელოვანთქმულ მკურნალს და დასასრულს წერს:

აქა ყოველნი სულნი აღმიძვირან შენდა
საქებლად
და შენ მექნების ძალი მაღლის
მაგვირგვინებლად.

1857 წელს „ციცქარის“ მეთორმეტე ნომერში თვით მკურნალის რედაქტორმა იოანე კერესელიძემ მ. ერისთავს მიუძღვნა ლექსი, რომელშიც ავტორმა გამოხატა ქართველი ინტელიგენციის სურვილი, რათა მარიამ ერისთავს გვერდში ამოსდგომოდნენ სხვა ნიჭიერი ქართველი ქალები და მათი შიარი „ძეგლად აღმართულიყო“ „ივერიის ციციკარზე“.

მიუხედავად ამისა, კონსერვატულმა შეზღუდულობამ თავისი გაიტანა. მარიამ ერისთავს არათუ თანამესაგრენი არ აღმოუჩნდნენ, თვითონაც კი ჩამოშორდა ლიტერატურულ ცხოვრებას, მოკრძალება არჩია და თავისი ლექსები აღარ გამოაქვეყნა. მალე უკურნებელმა სენმა ქართულ მწერლობას ხელიდან გამოაცალა გასული საუკუნის პირველი პოეტი ქალი, რომლის გარდაცვალების გამო „ციციკარი“ წერდა: „ქართლიდან მივიღეთ სამწუხარო ცნობა. ამ ახლოს ხანებში გარდაცელილა მწერალი ქალი — კნაყნა მარიამ ერისთავისა. თუმცა ბევრი არა დაგვიბეჭდია ამ განსვენებულის თხზულებათაგან, რადგანაც არა სურდა თავის გამოჩენა, გარნა რედაქცია საკმაოდ იცნობდა მისი მწერლობის მნიშვნელობას. წარსულს წელს დაგვბეჭდეთ თორიოდე ლექსი, რომელიც მოვიბოვეთ მცნობათაგან. არ არის ეჭვი, ბევრი თხზულება დარჩებოდა განსვენებულს. იმედი

გვაქვს, ნათესავები წარმოგვიგზავნიან რედაქციაში დასაბუქდათ.

სამწუხაროდ, გარდა უკვე დასახელებული ლექსისა, მარიამ ერისთავის მთელი შემოქმედებითა მართლაც მხოლოდ ორიოდე ლექსი დაგვრჩა: ერთი „არშვიის მოშორება“ და მეორე დიდი მოცულობის ისტორიულ-პატრიოტული ნაწარმოები „იკორთა“, რომელშიც მკვეთრად ჩანს პოეტის იდეალები და ნიჭი.

„არშვიის მოშორებაში“ ავტორი გვაცნობს სატრფოს დაშორებით გამოწვეულ სევდას:

გონება მას შევიწირე,
თვალთ ცრემლი მოვიხშირე,
გულს დანა დავიგმირე,
სიცოცხლეც დამშთა მცირე.

სასურველი არსება, რომელსაც დარდითა და ნაღვლიანი განცდებით მისტორის პოეტი, სატრფოს განშორება ბუნების ზეიმის ჟამს, გაზაფხულზე, როცა არე-მარე მოქარგულია ფერად-ფერადი ყვავილებით. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააძლიერა პოეტის ჭმუნვა და თავისი დარდი ბუნების მშვენიერებასთან კავშირში გადმოგვცა:

ვიცი, მამშორდა განრისხებული
რომ განვიციდიდი მისის ველსა,
ამყად მდიმარს, ნაზად მსურნელსა,
პოი, ვედარ ვჭერტ მზისა ნათელსა.

მარიამ ერისთავის შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „იკორთა“, რომელიც „ცისკარში“ გამოქვეყნდა 1861 წლის ნოემბერში. ეს ნაწარმოები ავტორის გარდაცვალების შემდეგ ყურნალის რედაქციისათვის გადაუცია პოეტ ქალ ეკატერინე ერისთავს. მთელი ლექსი გამსჭვალულია ქართველი რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი სევდით.

პოეტი ქალი ნაღვლიანად შეპყურებს იკორთის ტაძრის ვალავანს, სადაც განისვენებენ სხელოვანი ქსნის ერისთავები, რომლებიც ოდესღაც გმირულად იცავდნენ ჩვენი ქვეყნის ღირსებასა და დამოუკიდებლობას.

ტაძარო, ვრცელო, რავდენთ სავანთ ხარ
დამსახველი;
რავდენთა სპეკალთ უძვირფასესთ თავის
შორს მცეკლი,
შენში ცხოველობს ქსნის ერისთავთ
დროები ძველი,
მათი სიწმინდე და სიმდიდრე ნიჭი
ყოველი.

ამ „წარსულ დროთა მოგონება“ პოეტში აღძრავს ღრმა ნაღველს, რადგან ქსნის ერისთავთა ბურჯს, „ხელოვნებით აღგებულ“, „ჩუქრთმებით დანაკვეთებულ“ იკორთის ციხე-სიმაგრეს „აწ დარღვევა“ ემუქრება. პოეტს სჯერა, რომ ციხის დახანჯებულ ქვეშე ამოკვე-

თილი ერისთავთა სახელები ზევრ ქართველს მოკვების ცრემლს, სინანულსა და მწუხარებას ამავე დროს ავტორის შეგნაღვლიან ფიქრებს. დამძიმებულ სულსა და რომანტიკულ განწყობილებას ერისთავთა გმირული წარსული ერთგვარად აქარვებს. მის თვალწინ აღიმართებიან დევგმირ წინაპართა სახეები, რომელთა ვასაცოცხლებლად პოეტი არ იშურებს საღებავებს და მათ გვიხატავს, როგორც „სიბრძნის სხივის მზებერ გამფენთ“, „გოლიათებს“, რომელთა სისხლით მორწყული მიწა ახლაც მთავის.

არვინ შობილა მათს დროებში მათის
მსგავსებით,
უდიდებია თვით გონებას ამ
განსხვავებით...
აქ მდინარებენ მათის სისხლის ის
ნაკადულნი,
მათგან მორწყულნი მათი მტევრნი, აწცა
ყვავიანი.

ავტორი იგონებს სამშობლოსათვის თავდადებულ შალვა, ელიზბარ ქსნის ერისთავებს და ასე უმღერის მათ:

ვით ორნი მზენი ცის სამყაროს სხივ
მიტებარენი,
ეგრეთა კრთიან და ანთიან აქ მდებარენი,
შალვა, ელიზბარ მისთვის ერთად
მოელვარენი,
განაწინან მადლი, განანათლონ ივერთ
მხარენი.

შემდეგ პოეტი წარმოგიდგენს ბუნების სურათებს, ედემის ბაღს, სადაც გმირთა სულის „განსალიდებლად“ „შლილობენ“, იფურჩქნებიან ვარდ-ყვავილები. ავტორი არ იფიქრებს მტრის ხელისაგან მითურო იაკობის მსგავსად „აღუწყვილ“, „მირონ უხვობით“ აღსაესე ბიძინა ჩოლოყაშვილს, რომლის ნიჭმა და ვაჟაკობამ იხსნა ქვეყანა მოძალადე ყიზილბაშებისაგან. სახელოვანი გმირების ნამოღვაწარნი, პოეტის თქმით, „ვარსკვლავებით უთვალავნი არიან“. მათი ნაწამები სხეულიდან გადმონადენი სისხლის წვეთები მნათობებით „ელვენ, ნათობენ“ და ჩვენს გულებში სიამაყის გრძნობებს აღძვრან:

მრავლობენ დეაწლნი ვით ვარსკვლავნი
ძნელ აღსაწერად,
მათ სისხლთა წვეთნი ციმციმებენ შენს
ატმოსფერად,
ელვენ, ნათობენ, ირიხობენ სხვა და სხვა
ფერად,
რომლისა სრულსა ტრფიალებით
მოესულვარ მზერად.
პოეტი წარმოიდგენს, თითქოს, დიდების ტა-

ძარში დგას სამივე გმირი და ღმერთს ვევედრება საქართველოს „მეოხებას“. გმირებს თავზე ჰბურავთ ანგელოზების ფრთები, ნაკეთები გვირგვინები, რასაც წარუტაცებია და დაუშონებია ავტორის გრძნობა-გონება. მაგრამ პოეტი კვლავ ეშვება მწარე სინამდვილემდე, რომ სამარადოდ მიწა-წყარილია ერისთავთა დიდების გვირგვინები... და ლექსის ბოლო სტროფებში მწარე გოდებაც გაისმის. მისი სულის ტკივილებს აორკეცებს საყვარელი მშობლის — მამის მოულოდნელი სიკვდილიც.

ამაოდ თვალთა ცრემლთა ნაკადნი

გარდმოსკდებიან,

უბრალოდ ჩემს გულს ვითა ნამი

ეპკურებიან,

ჩემში ეს ცრემლი დაგზნებული მაშინ

ჰქრებიან,

როს მის საფლავთა გროვა მტვერთა

დამეყრებიან.

მარიამ ერისთავი გარდაიცვალა თავის სო-

ფელ იკორთაში 1858 წლის აგვისტოში. ლაქრ-
ქალვისას იკორთის ტაძარში სიტყვა წარმოთქ-
ვა პროფ. ალ. ხახანაშვილის მამამ ბლალოჩინმა
სოლომონ ხახანაშვილმა, რომელმაც პოეტი ქა-
ლი დაახსიოთა უადრესად ნიჭიერ და სათნო
ადამიანად. იგი იყო, თქვა მან, „აღსავსე ყოვ-
ლის კეთილთვისებითა, გონიერებითა და სიმარ-
თლითა... მცირეწლოვნებითგანვე განსწავლული
და წვრთნილი მამისა მიერ თვისისა, სიბრძნის
მოყვარის ითანე ერისთავის მიერ ყოვლის კე-
თილის სწავლითა“. სოლომონ ხახანაშვილის
სიტყვა გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარის“ 1861
წლის ივნისის ნომერში.

მარიამ ერისთავმა თავისი ხანმოკლე, მაგრამ
მღელვარე და შინაარსიანი ცხოვრება სამშობ-
ლოზე ფიქრს მოახმარა. იგი პირველი ქართვე-
ლი პოეტი ქალია, რომელმაც გასულ საუკუ-
ნეში შემოაღო ქართული ლიტერატურის კა-
რები და ქართულ პოეზიაში თავისი მცირე
წვლილი შეიტანა.



საკგომ თეკნავა

ვეაკოჩის შემოქმედება და მისი ზიღოსოზიუიკი კომანი

ვეაკოჩი თანამედროვე ფრანგი პრიორესული მწერლის ეან ბრიულერის ლიტერატურული ფსევდონიშია. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მეორე მსოფლიო ომის სუსხიან წლებში, ლუი არაგონთან და ელზა ტრიოლესთან ერთად გაბედულად ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში.

1942 წელს პარიზში „შულამის“ გამოცემლობამ არალეგალურად გამოსცა ვეაკოჩის პირველი მოთხრობა „ზღვის ღუმელი“, რომელშიც მხილებულია პიტლერელი ფაშისტი ბანდიტების მხეცობა. „მწერალი უპირველეს ყოვლისა, — წერს ვეაკოჩი, — უნდა იყოს გაბედული, ყოველ ვითარებაში ილაპარაკოს ის, რასაც ფიქრობს და როგორც არ უნდა იყოს ანგარიშის გასწორება გულწრფელობისათვის“.

ვეაკოჩის კალამს ეკუთვნის მრავალი მოთხრობა, რომანი და პუბლიცისტური სტატია, რომლებშიც იგი ბოლომდე ამხილებს ტყუილს, უსამართლობას, ომის გამჩაღებლებს. „მე ვწერ იმისათვის, რომ ვამხილო ტყუილი და უსამართლობა. მე ვწერ აგრეთვე იმისათვის, რომ დავხმარო ჩემს მკითხველებს მათი ცხოვრების აზრის მოძებნაში“, — ამბობს ვეაკოჩი ერთ-ერთ სტატიაში.

ვეაკოჩი საბჭოთა კავშირის მეგობარია, თავის მეუღლესთან ერთად ხშირად ჩამოღის საბჭოთა კავშირში და ეცნობა ჩვენი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს. 1955 წლის ივლისში ვეაკოჩმა თავის მეუღლესთან ერთად იმოგზაურა სსრ კავშირში, ინახულა საქართველოც, დაათვალიერა მისი ღირსშესანიშნავი ადგილები, დაწერა სტატია საქართველოზე. ვეაკოჩი წერს, რომ იგი მოხიბლა საქართველოს კმაშლუცმა ბუნებამ და ნიჭიერი ქართველი

ხალხის გმირულმა წარსულმა და აწმყოში.

1957 წლის თებერვალში ვეაკოჩი კვლამ ეწვია მოსკოვს, სადაც მოაწყო ფრანგულრეპროდუქციის გამოფენა, რომელსაც საბჭოთა საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცა.

1952 წელს პარიზში გამოვიდა ვეაკოჩის საინტერესო ფილოსოფიური რომანი „დენატურებული ცხოველები“ (რუსული თარგმანის მიხედვით „ადამიანები არიან თუ ცხოველები“). ეს რომანი მწერალმა მიუძღვნა ცნება „ადამიანის“ განსაზღვრებას. წიგნს ეპიგრაფად წამღვარებული აქვს მთავარი გმირის მწერალდუგლას ტემპლმორის სიტყვები: „ყველა უბედურება ქვეყანაზე იმიტომ ხდება, რომ ღღემდე ადამიანებმა ვერ გააჩვეიეს, თუ რა არის ადამიანი, ვერ შეთანხმდნენ როგორი უნდა იყოს იგი“.

რომანში „დენატურებული ცხოველები“ ვეაკოჩი აგრძელებს ვოლტერის, დიდროსა და ფრანსის სახელოვან ტრადიციებს. იგი იწყება იმით, რომ დუგლას ტემპლმორის სახლში პაწაწინა ბავშვის გვამი აღმოაჩინეს. დუგლასს დაპკითხავს პოლიციის ინსპექტორი. დიდი კვლევებიების შემდეგ ნათელი გახდება, რომ ბავშვის მამაა დუგლასი და მკვლელობა ჩაუღენია მას. დუგლასი მაგიდის უჯრიდან ამოიღებს დოკუმენტს და წარუღვენს პოლიციის ინსპექტორს. „მე, ქვემოზე ხელის მომწერი, ე. კ. ვილიამსო, — ნათქვამია დოკუმენტში, — კოლვჯის ქვარტუჯის წევრი, ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერი, მედიცინის დოქტორი, ვადასტურებ, რომ დღეს დილის 4 საათზე და 30 წუთზე ადამიანის მსგავსი დედა მიმუნისაგან მივიღე მამრობითი სქესის ფიზიკურად ნორმალური ბავშვი. დედა მიმუნს ღერის ეჭახინა“.

„19... 19 დეკემბერს სიდნეიში მეცნიერული თვალსაზრისით მოეხდინე ამ დედა მიმუხის ხელოვნური განაყოფიერება; ახალდაბადებული ქვეყანაზე რომ ვაჩნდა, ღუგლას ტემპლმორს უნდა უშვალოდეთ“.

უნავე უკვე მონათლული ჰყავდათ და გატარებული რეგისტრაციაში როგორც „ჭერალდ-როლფ ტემპლმორი“, დედა კი საკუთარი სახელით „ახალი გენიეს მკვიდრი, დერი“.

მოკლე თავში მოთხრობილია ლონდონის მკვიდრის, დორან ფრენსისა და ღუგლას ტემპლმორის სიყვარულის მოკლე ისტორია.

მეცნიერული დაკვირვებების ჩასატარებლად ინგლისიდან ახალ გენეაში მიემგზავრება ექსპედიცია (ღუგლას ტემპლმორი, კრეხი, ვილიამსი, ვრიმი, სიბილა), რომელიც სწავლობს კლდის ცხოველებს, მიამუხნებს, თრობებს*, მათი თავის ქაღის ძელებს, გამოქვაბულებს. ექსპედიცია ბრუნდება ინგლისში ნადავლით, თრობებს, საიდუმლოდ ათავსებს ზოოპარკში.

ისინი ადამიანები არიან თუ თრობები? ამ საკითხის გადაწყვეტაზე დამოკიდებული თრობების შემდგომი ბედი. რომ მიიღწეონ თრობების ადამიანებად აღიარებას, რომანის გმირი ახალგაზრდა მწერალი ღუგლას ტემპლმორი აწყობს პროვოკაციას, კლავს პატარა თრობს. პროვოკაცია სენსაციად გადაიქცა. გაზეთმა „დეილი პოპულარმა“ თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა დერისა და დედალი თრობების პორტრეტები თავიანთი შვილებით. საკითხი მწვეველ დღისგა, თრობები ადამიანები არიან თუ მიამუხნები? ღუგლასი, რომელმაც ამ საწყაილი თრობების მამობა იკისრა, დამნაშავეა თუ გმირი? ღუგლასს ორდენი ერგება თუ სასრობელა?

ღუგლასი სასამართლოს გადასცეს და გაასამართლეს იმისათვის, რომ მან ადამიანური არსება მოკლა და პატემრობა მიუსაჯეს. ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. ღუგლასი ამტკიცებდა, რომ მან მოკლა არა ადამიანური არსება, არამედ მიამუხნი მსგავსი არსება.

ამჯერად ღუგლასის საქმეს განიხილავს ინგლისის პარლამენტი. მთავრობამ შეადგინა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა გამოემუშაოს ადამიანური პიროვნების კანონიერი განმარტება. უნდა გადაწყდეს საკითხი, ღუგლასმა მიამუხნი მოკლა თუ ადამიანი?

სამერის კომისიის დასკვნის საფუძველზე ინგლისის პარლამენტი მიიღებს კანონს, რომლის ძალით თრობებს უფლება მიენიჭათ იწოდონ ადამიანებად.

მაშინ ღუგლასის დამცველმა ჯეიმსმა განაცხადა, რომ ვინაიდან მკვლელობის მოხდენის

* თრობი (ბერძენი) — ადამიანის მსგავსი მიამუხნი. ამ სიტყვას პირობითად ხმარობენ სიბილა და გრიმი.

მომენტში მსხვერპლი ჯერ კიდევ ადამიანად არ იყო წოდებული, ბრალდებული ღუგლასი გამართლებულ უნდა იქნას. მართლაც, ღუგლასი ლასი პატემრობიდან გაათავისუფლეს. მთელი ინგლისელი ხალხი ღუგლასის გაათავისუფლებას აღფრთოვანებით შეხვდა. სასამართლო პროცესის მსვლელობაში ირკვევა, რომ არც ერთი ქვეყნის კანონში არ არის განსაზღვრება — რა არის ადამიანი. სასამართლო კი იძულებულია ექმბოს ეს განსაზღვრება.

რომანი მთავრდება იმით, რომ მოსამართლე არტურ დრეიპერი ღუგლას ტემპლმორს უჩვენებს ლიტერატურულ ყურნალ „მარგიოს“, რომელშიც ერთ-ერთი ავტორი წერდა: „დრო ბოლო მოეღოს ამ სულელურ ინტორიას, მე მხედველობაში თრობების ამბავი მაქვს“.

ავტორი ითვლისწინებს ფრანგი მკითხველის თავისებურებას და საბოლოო დასკვნა არ გამოაქვს. მის ძირითად იდეას ყურნალისტი ღუგლას ტემპლმორი და მოსამართლე არტურ დრეიპერი გამოხატავენ. ეს ორი გმირი კარგად იცნობს მარქსისა და ენგელის შეხედულებებს ადამიანებასა და ცხოველებზე, მათ შორის არსებობს განსხვავების ნიშანი — მხოლოდ ადამიანს აქვს ბუნების გარდაქმნის უნარი.

მეტად საინტერესო პერსონაჟია ვანკაიზენი. მისი სახით ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ ცდილობს რეაქტული ბურჟუაზია ყოველი ახალი მეცნიერული აღმოჩენა საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენოს და „მეცნიერულად“ გაამართლოს ადამიანთმძულე ევზორცული წადილი. ვერკორი უპირველეს ყოვლისა ილაშქრებს რასიზმის მეთოდოლოგიის წინააღმდეგ, ადამიანის მოღამის ერთიანობას რასის იერარქიით რომ ცვლის. იგი ფანტასტიკურ სიუჟეტს იმიტომ იყენებს, რომ ამხილოს რასიზმის იდეოლოგია და ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი.

ვერკორი ჭკუამახვილი სატირით თავს ეხსმის დიდი ბრიტანეთის პარლამენტარიზმს, მის „საკუროხვეველ მართლმსაჯულებას“, პოლიტიკანებს, ფარისევლებს. იყენებს რა ფანტასტიკურ სიუჟეტს, ავტორი ამხილებს რასიზმსა და ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმს იდეოლოგიას. მწერლის აზრით, „ჰუმმარტების კრიტიკიზმი“ ადამიანის გარეშე საღლაც ბუნებაში როდი არსებობს, იგი არც ღვთაებრივი სულით არ განისაზღვრება. „ჰუმმარტების კრიტიკიზმი“ გამომუშავება შეუძლიათ მხოლოდ ადამიანებს, რასაკვირველია, ყოველგვარი პარლამენტარული კომისიის გარეშე.

რომანში დასმულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი მორალურ-ფილოსოფიური ხასიათის პრობლემები. მწერალი მოხერხებულად აიძულებს მკითხველს დაფიქრდეს ადამიანის ვალდებულებებზე საზოგადოების წინაშე და საზოგადოების ვალდებულებებზე — პატივი სცეს

ადამიანთა უფლებებს, თავისუფლებასა და სოლიდარობას.

წიგნს წამძვარებული აქვს საბჭოთა კრიტიკოსის კ. ნაუმოვის წინასიტყვაობა, რომელშიც იგი ვერკორს სამართლიანად მიუთითებს ზოგიერთ შეცდომაზე. ასე, მაგალითად, რომანში „ადამიანური სოლიდარობა“ ატარებს აბსტრაქტულ და, შეიძლება ითქვას, ფორმალურ ხასიათსაც. ინგლისელ იმპერიალისტებს მიზნად რომ დაესახთ თრობები ცხოველებად გამოეცხადებინათ, მაშინ სამერის კომისია ადამიანის სულს ვანსაზღვრებას გამოიმუშავებდა, ანდა თრობებს რელიგიური სულის ნიშნად ცეცხლის თაყვანისცემას არ ჩაუთვლიდა; ამ შემთხვევაში კი „ადამიანური სოლიდარობა“ სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებას მიიღებდა და თრობები კანონიერ სამუშაო პირტუცვად გადაიქცეოდნენ. ადამიანის განსაზღვრების დროს ვერკორი გვერდს უვლის მის საზოგადოებრივ ბუნებას, მარქსიზმ-ლენინიზმი კი გვასწავლის, რომ ადამიანს ადამიანად ხდის

საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა და არა აბსტრაქტული „ადამიანური არსებობა“. რომანს ერთგვარი ხელოვნურობის დალიც აზის, მაგრამ მწერალი ამ ნაკლის გადალახვას ირონიით ახერხებს, რაც ფილოსოფიურ რომანში სავსებით დასაშვებია. ასე, მაგალითად, მეხუთე თავის ქვესათაურში ვკითხულობთ: „80 მილის მიმართულებით გადახრას ექსპედიცია სწორედ იმ ადგილას მიჰყავს, სადაც ეს ავტორს სურს“.

რომანში უფრო მეტად სილუეტები მოჩანს, ვიდრე სისხლსავსე სახეები. ეს უმთავრესად აიხსნება იმ განსაკუთრებული ამოცანით, რომელიც ეგრეთწოდებული „რწმენის რომანის“ წინაშე დგას.

ეს ნაკლოვანებანი ვერ ჩრდილავს ვერკორის რომანის ღირსებებს. იგი უდაოდ მალამბხატურული ნაწარმოებია, ღრმადაა გაყენებული პუმანისტური იდეებით. მწერალი შეურიგებელი პრინციპულობით ამხილებს სიყალბეს, იცავს სიმართლეს და იბრძვის მშვიდობის გამარჯვებისათვის დედამიწაზე.



ბიოგზი ჯინჭარაკაძე

სიყვამე „მედიცინის“ კვირეულისათვის

ძველებრძულ და ლათინურ ენებში გვხვდება მთელი რიგი სიტყვებისა, რომელთა ეტიმოლოგიის გახსნა საკუთრივ ამ ენების მეშვეობით შეუძლებელია და, სპეციალისტების აზრით, სხვა ენებისაგან უნდა მომდინარეობდნენ. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა „მედიცინა“.

ჩვენი დაკვირვებით, ეს სიტყვა ქართული წარმოშობისა უნდა იყოს და, ალბათ, წარმოსდგება ძველი კოლხეთის მითოლოგიური გმირი ქალბის მედიასა და ცირკეას (იგივე თირთა, კირკვა, კირკა) სახელებისაგან.

საგულისხმოა, რომ ძველებრძულ სამყაროში არც ერთი მითოლოგიური გმირი ისეთი პოპულარული არ ყოფილა, როგორც კოლხი მედია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ გმირ ქალზე არსებული მითები ჯერ კიდევ ყველა დეტალით არ არის შესწავლილი.

იმ მითოლოგიური გადმოცემებიდან, რომლებიც ბერძნულმა სამყარომ შემოგვიანხა მედიასა და არგონავტებზე, ჩვენი აზრით, ფრიად საყურადღებოა ორი მომენტი:

პირველი. არგონავტებმა ოქროს საწმისის გატაცება შეძლეს მხოლოდ და მხოლოდ მიწიერი გმირი ქალის მედიას და არა ბერიქნთა ღმერთების წყალობით, რომლებიც ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მათ. არგონავტებს ვერ უშველა ვერც მხებერპლმა, რომელიც კოლხეთის ღმერთებს შესწირეს.

მეორე. კოლხეთიდან უკანდაბრუნებისას საბერძნეთის რჩეულმა გმირებმა—არგონავტებმა ვერაფერი მოუხერხეს, ვერა და ვერ ძლიეს ერთადერთი გმირი ტალოსი. აქაც აუცილებელი გახდა მედიას დახმარება. მკვლევარ ჰეზუხის დასკვნით, მედიამ ტალოსი მოკლა მოტყულებით, რომელიც ბალახის ზემოქმედე-

ბით. მაშასადამე, ის, რაც ფიზიკური ძალით ვერ შეძლეს ბერძენმა გმირებმა, სამედიცინო-ფარმაცოლოგიური საშუალებით შეძლო მედიამ.

ყველაფერი ეს ხაზგასმულია თვით ბერძნულ წყაროებში, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან არავითარი საფუძველი არა გვაქვს რაიმე მიკერძოება დავწამოთ მათ. ძველი ბერძენებისათვის სრულიადაც არ უნდა ყოფილიყო საამაყო, რომ დამეციარებინათ საკუთარი ღმერთები, საკუთარი გმირები და განედიდებინათ უცხოელი ქალი. აი ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ოქროს საწმისისა და მედიას ვატაცება კოლხეთიდან მითოლოგიურ-სიმბოლური ასახვაა იმ უცილობელი ფაქტისა, რომ კოლხეთში უმაღლეს დონეზე მდგარა მკურნალობა-ფარმაცოლოგია. ამას ადასტურებს ზოგიერთი სხვა ფაქტიც.

ძველი ბერძნული მითოლოგიითვე ქვესკნელის გამგებლად ცნობილია კოლხეთის მეფის ჰაეტის მეუღლე ჰეკატე, ე. ი. მედიას დედა. საყურადღებოა ისიც, რომ ჰეკატეს ბაღში თურმე ოცდახუთი სამკურნალო მცენარე ხარობდა. აქ არ შეიძლება არ მოვიგონოთ პროფ. პ. ბერაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბერძნული „ასპოდელო“ — ჰეკატეს ბაღის სამკურნალო მცენარეთა პირველი მცენარე სხვა არაფერია, თუ არა ქართული „ასფოთოლა“. მაგრამ თუ ჰეკატე მკურნალო-ფარმაცოლოგი იყო, რატომ მიიჩნევდნენ მას ქვესკნელის (ჯოჯოხეთის) გამგებლად? იმიტომ, რომ ჰეკატეს შეეძლო თავისი წაშლით განეკურნა და მინი, ხოლო საწამლავით მოეკლა, ე. ი. ქვესკნელს გაეგზავნა. ამრიგად, ორფიკული არგონავტიკის ეს ნაწილიც მიუთითებს იმაზე, რომ ძველ კოლხეთში მკურნალობა-მედიცინა უმაღლეს დონეზე იდგა, ხოლო თვით თქმულება არგონავტებზე გულისხმობს არა მარტო ოქროს

* განხილვის წესით.



მოპოვების კოლხური წესის გატანას მაშინდელ მსოფლიოში, არამედ ქართული სახალხო მედიცინისაც, რომლის უდიდეს წარმომადგენლადაც მედია ჩანს. აი რა გვაფიქრებინებს, რომ სიტყვა „მედიცინის“ პირველი ნაწილი („მედი“) უცილობლად უკავშირდება მიმოლოგიურ მედიას სახელს. მაგრამ ასახსნელი რჩება სიტყვის მეორე ნაწილი „ცინა“.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი ძველბერძნული მიმოლოგიური სახე, კერძოდ ცირცეასი. ვადმოცემით, ცირცეა ყოფილა მეფე ჰაერის და, ე. ი. მედიას მამიდა და ისევე სახელგანთქმული მკურნალი, როგორც მედია-ოდისესის თანამებრძოლ მსღებღელთა მიღების დროს მას ლგინოში რალაც ჯადოსნური ბალახის წვენი შეუტრევია და საკვირველებანი მოუხდენია. მასვე ეზოში აწვებული ჰყოლია მგლები და ლომები, რომლებიც ძაღლებივით მოუთვინიერებია ჯადოსნური სასმელით. ერთი სიტყვით, ცირცეაც მედიასავით სახელგანთქმული მკურნალია და ორივეს ისე მიუქცევია ბერძენთა ყურადღება თავისი სამედიცინო განსწავლულობით, რომ მეცნიერების გარკვეული დარგისათვის მათი სახელი უწოდებიათ, მკურნალობა მედია-ცირცეის ხელობად მიუჩნევიათ: მედია-ცირცეა, მედი-ცირა, მედიცინა. აი ასეთი უნდა იყოს სიტყვა „მედიცინის“ ეტიმოლოგია.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ორი უცხოელი ქალის სახელი ბერძნულ სიტყვაში „მედიცინა“ შემთხვევით აირეკლა. ასეთი მოსაზრება, ჩვენი აზრით, სწორი არ იქნებოდა. ყველაფერი მოწმობს, რომ თვით საბერძნეთში მკურნალობა-ფარმაკოლოგია საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა. ბერძენი ჰიპოკრატე ისეთივე პირველი ექმი იყო, როგორც თალესი იყო პირველი ფილოსოფოსი. მკურნალებად ჩანან აგრეთვე ძველი ბერძნული ღმერთები (აპოლონი, ათინა, ზევსი და სხვ.) და ზოგიერთი ბერძენი გმირიც კი. მიუხედავად ამისა, მათი სახელები სიტყვაში „მედიცინა“ არც შემთხვევით და არც მანდასახულად არ არეკლია. აი ეს გვაფიქრებინებს, რომ შეუძლებელია ბერძნულსავე მიმოლოგიაში ცნობილი ორი უცხოელი ქალის, ისიც ორივე მკურნალის სახელი შემთხვევით არეკლილიყოს მასში. შეუძლებელია შემთხვევით მოეყარა თავი ამდენ შინაარსით მონათესავე ფაქტებს (მედიას სახელი, ცირცეას სახელი, მათი სამკურნალო საქმიანობა, მედიას დედის პეკატეს ბალი სამკურნალო მცენარეებით, დასასრულ, მედიას, ჰეკატესა და ცირცეას სისხლით ნათესაობა — სამივე არა მარტო კოლხე-

თიდან არიან, არამედ სისხლით ნათესავეებიც დედა-შვილი, მამიდა-ძმისშვილი, რალ-მული).

საგულსხმოა კიდევ ერთი ფაქტი. ბერძნულა მიმოლოგიის მიხედვით, მკურნალობას მისდევდნენ არა მარტო მედია, ცირცეა და ჰეკატე. არამედ მედიას და ქალქიონაც. მკურნალობა სცოდნია პრომეთესს, რომელიც იგივე ქართველი ამირანია. ესქილე თავის ტრაგედიაში „მეჩაქველი პრომეთე“ ამის თაობაზე წერდა:

კიდევ მისმინე: გაოცდები უთუოდ ძლიერ, თუ რა ხელობა, ოსტატობა გამოივლინე, აი მთავარი: სენ შეყრილი ვინმე თუ იყო, როდი იცოდა მისადები და წასაცხები მარგი წამალი სამკურნალო და ქლექებოდა, მე შევასწავლე სამკურნალო ბალახთა წვენის მალამო წამლის შეზავების უცნობი წესი, რათა კაცთაგან მით განმეგდო სენი ყოველი.!

ამ ნაწყვეტშიც ძლიერ კარგად ჩანს, თუ რა მაღალ დონეზე მდგარა სახალხო მედიცინა ძველ კოლხეთში, სადაც უკვე ესქილეს წინა-დროშიც სცოდნიათ შინაგანი და გარეგანი წამალი („მისადები“ და „წასაცხები“). ამიტომ შემთხვევით როდი აირეკლა სიტყვაში „მედიცინა“ კოლხელ ქალთა სახელები. სხვათაშორის, ბევრი რამ ძველი ქართული მედიცინიდან დღემდე შემოგვრჩა. საკმარისია მოგვგონოთ თუნდაც თურმანიძეთა ცნობილი მალამო, რომელიც მკურნალობის ფრიად ფეფქტურ საშუალებად ითვლება ჩვენს დროშიც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თავიანთი მალამოს საიდუმლოებას თურმანიძეები საუკუნეთა მანძილზე არა თუ სხვებს არ უმხელენ, არამედ თვით თავიანთი გვარის თუ ოჯახის წევრ ქალებსაც კი. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქმის ასეთ ტრადიციას საფუძვლად მარტო ის მიზანი ჰქონდეს, რომ მათი სამედიცინო ცოდნა მათივე გვარის სიამაყედ დარჩეს და სხვა გვარში არ გავიდეს. ჩვენი აზრით, საიდუმლოების დაცვის ამ ტრადიციაში გამოძახილს პოულობს არგონაეტებზე თქმულება და გულისხმობს შემდეგს: თუ მალამოს დამზადების საიდუმლოებას შეისწავლის ქალი, ვინ იცის, შეიძლება მედიასავით მასაც მოეწონოს ვინმე გარეშე პირი, უცხოელი, მედიასავით უღალატოს მამას და გასცეს საიდუმლოება.

თუ ყველა ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს სიტყვა „მედიცინის“ ქართული წარმომავლობა.

1 თარგმანი ა. ქუთათელისა, ხაზგასმა ჩემია — გ. ჯ.



ნილი ჩიქოვანი

საკავშომ ლიტერატურის ანგარიში

დაბადების ოთხმოცდაათი წელი შეუსრულდა ქართველი ხალხის ღირსეულ შვილს, ჩვენი კულტურისა და მწერლობის მოამბეცს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, სამაგალითო ქართველ ქალს — ნინო ნაკაშიძეს. ხალხის უსაზღვრო პატივი და გულწრფელი სიყვარული მოსავს მის სახელს. ნორჩი თაობის — ცხოვრების ამ უმრტი ნაკადულის მჩქეფარებითა და სვემზიანობით ხარობს, დღევანდელს და კვლავაც ახალგაზრდულად ძვერს მისი სპეტიკი მსცოვანი გული.

ნინო ნაკაშიძე სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა მამონ, როდესაც იმძღვრა „სიმაართის ხმამ“, „მონობის დასაბრუნებლად“ და „სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტრევეისა“ ჩვენს მაშულშიც გაისმა. იგი არ შეუშინდა მძიმე ტვირთს და მტკიცედ აუყვია ძნელად სავალ აღმართს, ეკალბარდით დაფარულ გზას.

ნინო ნაკაშიძე დაიბადა გურიაში, ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახეში, 1872 წლის პირველ იანვარს. ოჯახური გარემო იმთავითვე უნერგავდა ნინოს შრომისმოყვარეობას, კეთილსინდისიერებასა და კეთილგონიერებას. ცნობისმოყვარე გოგონა ბეჭითად აკვირდებოდა და სწავლობდა მშრომელი ხალხის დუხვირ ცხოვრებას. მასში აღშფოთებას იწვევდა გამრჩე, დაუღალავ და პატიოსან ადამიანთა ბედკრულობა, ერთი მუჟა უქნარების ზეიმი, უსამართლობა და თავგასულობა.

აი, ნინომ წარმატებით დაამთავრა ოზურგეთის ორკლასიანი სასწავლებელი და მამამ იგი თბილისის საბებიო ინსტიტუტში შეიყვანა. ნიჭიერი ნინო დედაქალაქის მოწინავე, პროგრესულად განწყობილ ახალგაზრდობის წრეში ტრიალებდა. 1892 წელს დაამთავრა ინსტიტუტი, ხოლო 1894 წელს მისთხოვდა შესანიშნავ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს — ილია ნაკაშიძეს და სა-

მუდამოდ მისი ერთგული მეგობარი, თანამოზრე და თანამებრძოლი გახდა.

1894 წელს ნინო მეუღლესთან ერთად მიემგზავრება პეტერბურგში, 1898 წელს — მოსკოვში. რუსეთშიაც, ისევე როგორც საქართველოში, ნინო მოწინავე, რევოლუციურად მოაზროვნე ადამიანთა წრეში; ეცნობა რუსეთისა და მსოფლიო ლიტერატურის დიდებს — ლევ ტოლსტოის და დიდი შთაბეჭდილებებით დატვირთული საქართველოში ბრუნდება.

1903 წელს ჟურნალ „კეალში“ იბეჭდება ნ. ნაკაშიძის პირველი მოთხრობა „ძიძა“. რომელმაც ავტორს დიდი სახელი მოუხვეჭა. ღარიბი გლეხის გაუხარელი ცხოვრება. მისი უპირო ვარამია ამ შესანიშნავი მოთხრობის თემა. ოჯახს გამოუფლმა გაკირვებამ აიძულა ახალგაზრდა ლამაზი ქრისტიანე გასცლოდა თავის კერას, მიეტოვებინა პირში და ქალაქში ძიძად წასულიყო. დიდხანს ტიროდა და, ბოლოს, ცივ მიწას ჩაეხუტა და ჩაწუნარდა დედის თბილ მკერდს მოწყვეტილი, დედის ტკბილ ძუძუს მონატრებული პაწაწინა „მაროია“. მალე მდიდარი ოჯახს ფუქსავატურმა გარემომ ქრისტიანე დალუპა. იგი დაუბრუნდა ოჯახს მორალურად განადგურებული, შეგინებული და სიკვდილამდე გაუხარული დარჩა.

„ძიძას“ მოჰყვა მთელი რიგი მოთხრობებისა, რომლებიც გულთბილად მიიღო მკითხველმა და დღესაც ინტერესით იკითხება. თავის ყველა ნაწარმოებში ნინო ამხილებდა მშრომელთა აუტანელ ხვედრსა და მის მიუზღებეს, უშიშრად იმადლებდა ხმას სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, შესანიშნავი, მძაფრი დრამატიზმითა და ცხოვრებისეული სიმაართლით აღსავსე პიესა „ვინ არის დამნაშავე?“ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე აიტაცა ქართულმა ეკრანმა და ჩვენი ეროვნული კინოხელოვნების სწორუ-



პოვარმა ვარსკვლავმა — ნატო ვაჩნაძემ სწორედ ამ ფილმში მოიპოვა ერთ-ერთი პირველი ბრწყინვალე გამარჯვება და ქართულ კინოს მისი დაბადების გარიტარებზე დიდების თავფურცელი მოუხატა.

ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად ნინო ნაკაშიძე დაუღალავ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იგი ვატაკეებით ემუშავებოდა ყოველ ახალ, ხალხის საკეთილდღეო წამოწყებაში და ყველა საქმეს თავისი შეუდრეკელი ნებისყოფისა და ნიჭიერების კვალს აჩნევდა, რის გამოც მეფის რეჟიმის დროს ორჯერ იყო დაპატიმრებული და გადასახლებაშიც იყო.

1904 წელს მარიამ დემურიას თაოსნობით დაარსდა საბავშვო ქუჩის „ნაკადული“, რომლის აქტიური თანამშრომელიც გახდა ნინო ნაკაშიძე. ხოლო 1910 წლიდან, დემურიას გარდაცვალების შემდეგ, ნინო ჩაუდგა სათავეში ქუჩის და ბოლომდე მისი უცვლელი რედაქტორი იყო.

„ნაკადულში“ თანამშრომლობდნენ გამოჩენილი მწერლები და პედაგოგები, რომლებიც ნორჩ თაობას უმდიდრეს სულიერ საზრდოს აწვდიდნენ. უნერგავდნენ სამშობლოსა და მშობლიური ენის სიყვარულს, პატიოსნებასა და პირდაპირობას, შრომისმოყვარეობასა და სამართლიანობას.

ნინო ვაიტაცა ბავშვთა სამყარომ და თავის მადლიანი კალამი ახლა მათთვის მომართა. ამ დროიდან მოკიდებული, ნინო ნაკაშიძემ დაიწყო ვიდეო დიდი და განუხომლად საყვარელი საბავშვო მწერლის სახელი.

რევოლუციამდელ საბავშვო მოთხრობებში (პირველი მოთხრობა „საწყალი ლევანი“ 1908 წელს დაიბეჭდა) ნინო მისთვის ჩვეული სიფაქიზითა და მხატვრული ძალმოსილებით გადმოგვცემს ბავშვთა ცხოვრების ნაირფერ სურათებს, ხაზს უსვამს სიღარიბის ბრტყალბეჭდებში მომწყვედი ულთა სულიერ სიწყინდესს, ზნეობრივ ღირსებებსა და ნიჭიერებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შექმნილ საბავშვო ნაწარმოებებში კი მოჩანს ჩვენი ქვეყნის ყვაობების ბედნიერი, ნათელი აწყობა, კიდევ უეტეთსი მომავალი, ახალი თაობის ლამაზი და შინაარსიანი სულიერი სამყარო („მამა გახარა“, „ახალი წლის დღისა“, „ყველამ მიულოცა“ და ბევრი სხვა). შესანიშნავია ზღაპრები, დამუშავებული მწერალი ქალის მიერ („მახობელა“, „მკედილი ჰეა და მეფე ოხ“, „ეინ დათესა პირველად ბური“ და სხვ.). ყველა მისი საბავშვო ქმნილება ერთ ჯიერ მიზანს — მოზარდი თაობის კომუნისტური სულიკეთებით აღზრდის საპატიო საქმეს ემსახურება.

ნინო ნაკაშიძის სახელთანაა დაკავშირებული 1921 წელს პირველი ქართული საბავშვო თეატრის დაარსება, 1925 წელს კი პირველი ქართული საბჭოთა საბავშვო ქუჩის „წითელი სხივი“, რომელსაც 1926 წლიდან „პიონერი“ ეწოდება.

ნინო ნაკაშიძის კალამს ეკუთვნის ლე ტოლსტოისა და ანდრესენის საბავშვო მოთხრობებისა და ზღაპრების საუცხოო თარგმანები.

მწერალ ქალს ახლი ურთიერთობა ჰქონდა და საქმიანი თანამშრომლობა აკავშირებდა თავისი დროის თითქმის ყველა გამოჩენილ ადამიანთან, ჩვენი ქვეყნის სასიქაღვლო მწერლებთან, პედაგოგებთან. ახლახან მათ შესახებ ძვირფასი მოგონებებით ვაამდიდრა ნინომ ჩვენი ერის მეშუარული ლიტერატურა.

თხზომიდათი წელი! ეს ცოტა დრო როდია! მაგრამ ხანგრძლივი ცხოვრების განვილილ გზას ნინო ამაყად გადაავლებს თვალს: წუთიც კი არ დაუკარგავს უქმად, არა თუ დღეები, თვეები ან წლები. იგი ხალხის სამსახურში აკიაფდა, ხალხის სამსახურში ვაჭლარავდა, შეესწრო ძველი სამყაროს ნგრევას, ახლის გამარჯვებასა და დამკვიდრებას. ნახა ზეიმი და შენება განახლებული ქვეყნისა და მის წინაშე გართხმული, სასიკვდილოდ დაჭრილი ომის ურჩხული, რომელიც კერასოდეს ვეღარ უნდა დაიძრას ადვილიდან.

ბედნიერია, ნამდვილად ბედნიერი ჩვენი საყვარელი მწერალი ქალი. იგი მოესწრო ყველა სასუქვარი ფაქრისა და ოცნების ახდომას, ამ დღეს, როცა ასე მკაფიოდ მოჩანს კომუნისტის კაშკაშა მწვერვალი, რომლისკენაც გვირული შემართებით მიიწევს მისი საყვარელი მშობლიური ხალხი.

მართალია, ბევრი მისი დაფიციყარი მეგობარი, თანამოკალმე და თანამებრძოლი ვერ შეესწრო ამ ბედნიერ ქამს. მაგრამ, როდესაც ჰქალარა მთაწმინდას წითელყელსახვევიანი გოგონები და ყმაწვილები მოედებთან ჯარად და ყყაჩოსავით წითელი ყვაილები საომრულში გახვეყენ ძვირფას წინაპართა ძეგლებს, — ნინოს ჰგონია დიდი ილიაც, აყაყიც, ვაყაყ, იაკობიც და ყველა, ყველა, ვისაც მათი ასეთი უღრუბლო ცხოვრებისათვის უმოღვწაყა, — მასაივთ ცხადად გრძნობენ და ვანიცდიან იმ დიდ სიხარულსა და კმაყოფილებას, დღეს ნინოს ეტლი ვეზომ უნაპირო შევებით რომ აუტსია.

იცოცხლე და იხარე კიდევ დიდხანს, ქართული საბავშვო მწერლობის ღვაწლმოსილი დედაქ! ქართველქალობა დაეკეთოს, ხალხის ბედნიერებისათვის გათვითრებული ტკბილი მოხუცი!



საერთო ჩანაწერები

ლევან გელაძე

ალექსანდრიიდან კაირომდე

13 სექტემბერი, 1961 წ. დილის 9 საათი. გემი პორტში შედის. ალექსანდრიაში ვართ. თვალწინაა მამულეთა და პირამიდების ქვეყანა. დროებით ვტოვებთ ჩვენს „ფელიქს ძერჟინსკის“. ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს მეორედ გავდივართ სამშობლოს საზღვრებს გარეთ. ამ შორეულ ცისქვეშ გემი „ფელიქს ძერჟინსკი“ სამშობლოა, დიდი ქვეყნის პატარა ნაწილია.

პორტის გასასვლელში შემოგვეგება ტანადი, სანდომიანი ქალი — ტურისტული საზოგადოების წევრი და გიდი. წარმოშობით იგი ავსტრიელი ყოფილა. ცოლად გაჰყოლია ეგვიპტელ ექიმს. ცოლიც და ქმარიც მუშაობდნენ კაიროს ერთ-ერთ კლინიკაში. ქმრის ლოგინად ჩავარდნის შემდეგ ცოლიც იძულებული გახდარა ხელი აეღო ექიმობაზე, რადგან ეგვიპტეში მუშაობა შეუძლია მხოლოდ იმ ექიმს, რომელმაც კარგად იცის არაბული ენა. იქ რეცეპტიც არაბულ ენაზე იწერება.

ვიღმა გავვაინო თავისი თითხმეტი წლის ვაჟიშვილი, რომელიც თავისუფლად ლაპარაკობდა გერმანულ, არაბულ, ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე.

დავბინავდით სასტუმრო „მეტროპოლში“, დავტოვეთ ხელბარგი და გავემართეთ ქალაქის დასათვალიერებლად.

ალექსანდრია თავისებური ქალაქია. აქ ვერ შეხვდებით ერთიანი მტკიცე სტილის სახლებს. ყველა თავისი გემოვნებით აშენებს. ათენის შემდეგ ალექსანდრია ნაკლებად გვზიბლავს, მაგრამ აქაც არის ბევრი რამ, რაც არა მარტო ათენში, მსოფლიოშიც არ შეგვხვდება. აი თუნდაც ალექსანდრიის აქვარაუმი.

არ მიტაცებს ზოოლოგია და არც ზოოლოგი-

ურ პარკებში ხეტიალი მიყვარს, მაგრამ ალექსანდრიის აქვარიუმის ნახვამ დამარწმუნა, რომ სილამაზისაკენ მისწრაფება თურმე არა მარტო ადამიანს, ცხოველებსაც აკეთილშობილებს.

თევზების უთვალავ სახეობას შორის განმაცვიფრა ფერადმა თევზებმა. ამ სახეობის თევზებს „სტილიაგები“ შევარქვით. შეიძლება მთელი დღეები იდგე და უტყვირო მათ, უტყვირო დაუსრულებლად. იმ რწმენით, რომ ოდესმე ერთხელ კიდევ ვნახავთ ამ ჯაღოქრულ სილამაზეს, დავტოვეთ აქვარიუმი და წავედით კატაკომბების დასათვალიერებლად.

მიჰქრის ავტობუსი და გავყურებთ ქუჩებს. ზოგი იდეალურად სუფთაა, ხოლო ზოგი ავსებულია ნაგვით. როგორც ჩანს, ყოველგვარ ნარჩენს პირდაპირ ქუჩაში ყრიან. მაგრამ ვინ არის გამკითხავი?

ქუჩებში ავტომანქანების ტევა ქირს, სულ უცხოური მარკისა. ისინი აქ ორმაგად ძვირია. რიგითი მშრომელისათვის ავტომანქანის ყიდვა მიუწვდომელი ოცნებაა. ალექსანდრიაში ფული აქვს მხოლოდ კარგ სპეციალისტს ან გაქნილ კომერსანტს.

ქუჩებში სულ სხვადასხვანაირად ჩაცმული ხალხი გვხვდება. ზოგს უკანასკნელ ევროპულ მოდაზე შეკერილი ტანსაცმელი აცვია, ზოგს კი ტილოს ხალათი გადაუცვამს მხოლოდ სიშიშვლის დასაფარად. ზოგი ფეხშიშველა მიიბიჯებს, ხოლო ზოგი „ფრანგულ“ ქუსლებზე შემდგარა.

ალექსანდრიის სასტუმროში კიდევ უფრო მძაფრად ვიგრძენით ქონებრივი და წოდებრივი უთანასწორობა. მოსამსახურეებად სასტუმროებსა და რესტორანებში მხოლოდ შვედნიანები მუშაობენ. ისინი შეჩვეული არიან თეიანთ



ხედრს და ძლიერ მოხდენილად, ფაქიზად ასრულებენ დაკისრებულ საქმეს. შაკეანიანი რესტორანში კარგი მიმტანი, ოჯახში — კარგი და მლაგებელი.

თურქიანი ეგვიპტელებს მიაჩნიათ, რომ შაკის რასა მოკლებულია დამოუკიდებელი ცხოვრებისა და აზროვნების უნარს, რომ მათ სჭირდებათ წინ გაძლიერება.

ალექსანდრიის პირველსავე ქუჩაში გავიარეთ თუ არა, დავარწმუნდით, რომ აქ მათხოვრობა ძლიერ გავრცელებულია. მათხოვრობს კაცი, ქალი, ბავშვი, ახალგვანადგმულიდან ღრმა მოხუცამდე. ვერ ვიტყვი, რაიმეს შოულობენ-მეთქი, რადგან ხელგამოწვდილი ბევრი დავინახე, მაგრამ მჩუქებელი თითქმის არა.

ერთ ქუჩაზე წამოვეყნეთ ხეობარ ბავშვს, რომელიც თხზვე დადიარა, როგორც ცხოველი. დავინახა თუ არა, ავეღვენე, დავგვიყო ვედრება, ორიოდ გროში მაჩუქეთო. მის მიამიტურ ცეკრას ვედარ გავუძელი და ჩემი მცირე კაპიტალიდან ცრტა რამ ვუწილადე. ასიოდ მეტრი რომ გავიარე, შემთხვევით უკან მოვიხედე და რას ვეღვადე — ხეიბარი ბიჭუნა ასკინილათი მიბროდა.

აქ ყველა მშვირბა და უტონელბა იცის, რომ მას ის ეკუთვნის, რასაც ან შრომით მიიღებს, ან აჩუქებენ. იგი არ მოიპარავს.

ავტობუსი შეჩერდა კატაკომბებთან. ავიღეთ ბილეთები და დავიწყეთ დოთვალერება. შესასვლელში დგას ე. წ. პომპეუსის სვეტი. სვეტის ქვეშ არის მრავალსართულიანი კატაკომბები, რომლებიც ჩვენს გრამდე დაახლოებით ხუთი ათას წელს აუშენებიათ. სვეტი მიაჩნიათ პომპეუსის აქ ყოფნის პატეოსაცემ ობელისკად, ხოლო კატაკომბები — იმპერატორ დიოკლიტიანეს საგვარეულო სამარხად.

მეორე დღეს, 14 სექტემბერს, ჩავსხედით ავტობუსებში და გავემართეთ ალექსანდრიის ცნობილი არქეოლოგიური მუზეუმის დასათვალიერებლად.

შევიღვართ მუზეუმში. თურქეთისა და საბერძნეთისაგან განსხვავებით, აქ ნებადართულია ფოტოფირზე გადაილო ყველაფერი, რასაც თვალს მოპარავ. აღარ ეტოვებთ ფოტოაპარატებს შესასვლელში.

დავათვალერეთ როზეტის ქვა, რომელიც ნაპოლონის ჯარისკაცებმა აღმოაჩინეს, ნელსონმა კი ინგლისში წაიღო და შემდეგ ისევ უკანვე ჩამოიტანეს. აქვე ვხვებით კატაკომბების აოღრებული ბრინჯაოს ძრახა და სხვა ცხოველების ქანდაკებანი. პირველად კატაკომბებში ეგვიპტელები თურმე მხოლოდ დეთაებრივ ცხოველებს მარხავდნენ.

აქვეა დღოფალი კლეოპატრას ძველი — მომკვდე ქალს ძუძუს თავიდან ვადმოსჩუქვს სისხლი. იქვე ახლოს ავღია შხამიანი გველი, რომელსაც ძუძუ დააკებინა თვითონ კლეოპატრამ, როცა ვაიფო თავისი საყვარლის ანტონი-

ოსის სიკვდილი. დიდ შთაბეჭდილებას იმპერატორ დიოკლიტიანეს შესანიშნავი ქანდაკება.

ყველა ტურისტი დიდი ხნით მიგვიზიდა აუზის მაკეტბა, რომელშიც იწმინდებოდა ნილოსის წყალი. აუზში შესული წყალი წრიული არხებით ჯერ მიედინებოდა პერიფერიიდან ცენტრისაკენ, შემდეგ ცენტრიდან პერიფერიისაკენ. ამ მანძილის გავლის შემდეგ მღვრიე ნილოსი ხდებოდა გამკვირვალე და სასმელად ვარგისი. შევიღვართ შემდგომ დარბაზში. იცვლება ეპოქაც და ექსპონატებიც. პირველად ვუცქვართ არაბეთის განთქმულ მუმოებს. ჯერ კიდევ ხუთი თუ შეიდი ათასი წლის წინათ ეგვიპტეში დამკვიდრებული იყო მიცვალებულის განსვენების ონა წესი: მუმოფიკაცია და კრემაცია. ფერფლს ინახავდნენ ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში. კრემაციაც და მუმოფიკაციაც მხოლოდ წარჩინებული ოჯახების მიცვალებულთა ხედრი იყო.

ამავე მუზეუმში ერთი დიდი ვიტრინა დამობილი აქვს ტანატურებს — იმდროინდელი აგრესტების მინიატურულ ბიუსტებს. ამ ვიტრინამ უფრო მეტად გამაოცა, როცა ამიხსენს, ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინათ ეგვიპტელ ქალებს ჰქონიათ ჩაცმისა და კოსმეტიკის იგივე და თითქმის უფრო მაღალი კულტურა, ვიდრე დღეს. აქვე დამონსტრირებულია კოსმეტიკისათვის საჭირო ჩხირები, დანები, მაკრატლები.

ალექსანდრიის მალაზიებში ვნახეთ იგივე მოდელის ფეხსაცმელი და ქალის ქოშები, რაც „მოდაში ჩყო“ ხუთი ათასი წლის წინათ. ვიღმა დასმინა, რომ ეგვიპტელი ქალები ცდილობენ აღადგინონ იგივე, ძველ ეგვიპტეში ცნობილი მოდელები და კოსმეტიკაო.

ტანატურებს თმები მოკლედ, ბიჭურად აქვთ შეჭრილი. ჩვენი ქართველი ტურისტი ქალები გაოცდნენ, როცა დაინახეს, რომ ძველი ეგვიპტელი ქალები თმებს მათზე უკეთესად და გემოვნებით იხვევდნენ. ზოგ მათგანს ახურავს პატარხ მოღური მანდილი. ფორმით ვერ გარჩევ იმ მანდილისაგან, რომელსაც დღეს ისურავენ ჩვენი ქალები. იმდროინდელი ქალები იყეთებდნენ მანიკურსა და პედიკურს. იღებავდნენ ტუჩებს.

შემდეგ დავათვალერეთ ეგვიპტის უკანასკნელი მეფის ფარუკის სასახლე. შევიღვართ ბაღში. მარმარილოს სასახლეს გარს აკრავს ნაყოფით დახუნძლული ბანანის ხეები. ლაღდ გავუშლიათ ტარტები ყუ თელი ნაყოფით დამშვენებულ ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ხეებს. რა ხილს ისურვებთ, აქ რომ არ იხილოთ, ეს მართლაც წაღკატია. ფარუკს სცოდნია ცხოველების გემო. გვიყურებ მარმარილოს სასახლეს, ვანმარტობენ მდგომ მუქფარვებთან ყოფილ ჰარამხანას და ვფიქრობ: ვინ შრომობდა და ვინ ცხოვრობდა!

ალექსანდრიიდან კურსი ავიღეთ კაიროსაკენ.



წინ გვიღვებს ბარაქობა სავსე ნილოსის ველი. ჩვენს ტურისტულ ავტობუსს მოაცილებს პოლიციის მინქანა. ასოც კილომეტრს აწვევებს სპილენძი. გზა სწორია, როგორც ლარი. შემხვედრი მინქანა არ აბრკოლებს სვლას, რადგან პარალელური გზა მიდის კაიროდან ალექსანდრამდე.

მიქქრის ავტობუსი. გავყურებთ მწვანე ველებს და გვაოცებს ეს მიწა თავისი ბარაქობით. ზოგან მკაა, ზოგან თესვა, ზოგან თონა. ერთმანეთს სცვლის სიმინდის ყანები, ბრინჯის, ბამბის და შაქრის ლერწმის პლანტაციები. ეგვიპტელებს უყვართ ღომი. ამიტომაც ასე ძლიერ გავრცელებულია აქ სიმინდის კულტურა. ჩემს თავს გვეკითხები, ქართულმა მამულქებმა ხომ არ ჩაიტანეს სიმინდის სიყვარული ეგვიპტეში? ვინ იცის, იქნებ ასეც მოხდა.

ნილოსის ნოყიერ ველებს რომ გავცქერო, მივიჩნის, როგორ არსებობენ ერთად ამ მდიდარ მიწაზე ასეთი წარმოუდგენელი სიღარიბე და ზღაპრული სიმდიდრე? ეგვიპტელი გლეხის — ფელაქის სახლი ყველაფერს ჰკავებს, ადამიანის საცხოვრებელს კი არა.

მთელი სოფელი წარმოადგენს ერთმანეთზე მიდგმული მიწურების გროვას. მიწურის ჰეირი იმდენად დაბალია, რომ ყველაზე ტანობრილი კაციც კი წელში მოუხრებლად შეგ ვერ შევა. მიწურში იშვიათად დაინახავ სკამს ან აღმოსავლურ ტახტს. ატალახებული ეზოები სავსეა ნაგვით და სიბინძურით. ამ სიბინძურეში უპატრონოდ დაეხეტებიან რაქიტინი შიშველი ბავშვები, გაძვალტყავებული, გავყვითლებული, როგორც კი უტყოს დაინახავი, მაშინვე მისცვივებებიან ჰოწყალების სათხოვნელად. ღღესაც ვერ დამაჯერებია, რომ ადამიანებს შეუძლიათ იცხოვრონ ასეთ ჯოჯოხეთურ გავირეებაში.

მთელ არაბეთში გავრცელებულია მტრედის კულტურა. ერთმანეთზე მიუყურო მიწურების გვერდით იველგან დაინახავ მაღალ, კონუსის ფორმის ქვიტკირის ნაგებობას, რომელსაც ყოველი მხრიდან დატანებული აქვს სათოფურების მსგავსი ნახევრები. ერთ წუთში მათგან ასამდე მტრედი გამოფრინდება სანავარდოდ.

გავიგეთ, რომ ეგვიპტელები მტრედს თვლიან ღვთიურ ფრინველად. მას მოაქვს დოვლათი და ბარაქა, თუმცა პირადად მე არ დამინახავს მტრედების მითანილი დოვლათი იმათ ოჯახებში, ვინც ასე თავს ეძღვება მათ.

მთელი ნილოსის ველი ნამდვილი ოაზისია. ამიტომ საყვირველი არ არის, რომ აქ მიწის ერთი გოჯიც კი არ არის აუთვისებელი. საყვირველი ისაა, რომ მთელ გზაზე ალექსანდრიიდან კაირომდე არსად არ დამინახავს მექანიზებული ხენა ან თესვა. კავი დღესაც ფრიად საჭირო „მანქანა-არაღს“ წარმოადგენს ფელაქისათვის, რომელიც ფეხშიშველა შრომობს ყანაში.

თითქმის ყოველ კილომეტრზე შეხედებით მრგვალ მანქანს. მასზე წრიულად მოძრაობს მუ-

შა პირუტყვი და ცალუდელა ჭაპანით ფრთხილად ლეხს ბორბალს, რომლის ფრთებზე მიხვედრულია წყლის ამოსახაავი კასრები. ბორბლის ტრილის დროს დაბალი ადგილიდან წყალი გადადის მაღალ ადგილას და შემდეგ მიედინება არხში. ასე რწყავენ დიდ ფართობს.

ალექსანდრიიდან კაირომდე გზატკეცილს მიჰყვება სანაოსნო არხი. უაფრო ანძები შორიდან ხმელი ხეების ტყეს მოგაგონებს, იმდენი ნაეია არხში.

გზა თანდათანობით იღვევა. საღამოს რვა საათია. მივადეკით ნილოსის ნაპირებს. ნილოსი ადიდებული და მღვრიეა. მიედინება და თითქოს არც მიედინება. გადავლახეთ ნილოსი და თვალწინ ვაძმოიღვარა შექარქელამათა მდინარე. კოკა-კოლა! ბეფსი-კოლა! ბანანები! — გაკვივის ათასი ხმა. ქუჩა სავსეა მზით გარუჯულთა ნიღვრით. ერთმანეთში არეულა ყველა სახის ტრანსპორტი და ყველა მოღაზე ჩაცმული ადამიანები.

საღამოს კაიროს თვალს ვერ გაუსწორებ. მთელი ქალაქი ჰკავებს შუქთა ზღვაში ჩაძირულ ხომალდს. თვრამეტ-ოცსართულიანი მძიმე სტილის სახლები, ლამაზი ვიტრინები, კაბარეები და კაფე-შანტანები გამცნობენ, რომ შენ მოხვდი მილიონერთა და მათხოვართა ქალაქში.

თითქმის ყველა ქალს შეუტრია თმები, მაგრამ გემოვნებით. დღევანდელ ეგვიპტელ ქალს რაიმე დეტალითაც კი ვერ შეამჩნევ, თუ იგი ოდესღაც ისლამის უბადრუკი მონა იყო. მოკლე, ვიწრო კაბები მუხლისთავეს ვერ უფარავთ. სახეები უპირალიბთ, ისედაც დიდ თველებს იხატავენ, რომ კიდევ უფრო ხიშორთვალად გამოიყურებოდნენ. ყველა ეგვიპტელი ქალის ოცნებაა ჰქონდეს თეთრი და სუფთა სახის კანი, ამიტომ მზეს ემალდება.

დღესანს ვიხედავთ ქუჩებში. გვათრობდა ყვის სურნელი. ყოველ ნაბიჯზე იხარშება აღმოსავლური სურნელოვანი ყავა, თუნბთუხებს ნარკოლე.

სასტუმრო „სკარაივის“ ვესტიბულში ჯერ კიდევ შერჩენილიყო ჩვენი, აქარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის აფიშა. როცა დაეკვირდით, სასტუმროს თანამშრომელმა შეგვცხა: „ჯორჯიენ“, „მამულქ“ და ხელები გაშალა ისე, რითქოს „განდაგანას“ ცეკვავსო. ჩვენთვის ყველაფერი გასაგები იყო და საამაყო. შთაბეჭდილებებით გაბრუებულთ გვიან ჩაგვეძინა.

თხუთმეტ სექტემბრის დილაადრიან გავეშურეთ პირამიდების დასათვალიერებლად, საღამოს ათ საათზე კი შევიკრიბეთ სასტუმროს ვესტიბულში. ვაწყობთ კოლექტიურ სვლას კაბარეში.

ავდივართ კიბეებზე. კედლებზე გამოფენილია კაბარეს მსახიობთა ფოტოსურათები.

შესასვლელში გამოგვეგებნენ კაბარეს მო-

სამსახურენი. ხელში შეგვაჩენეს ბილეთები. წავიძიდნენ.

ვაიღო კარები. მაშინვე შემოგვასკდა ჯახური მუსიკის ტალა. დარბაზი ნახევრად ჩაბნელებულია. შეუჩვენელი თვალი ვერაფერს ხედავს. მივაცილებს ვიღაც ახმახი შავკანიანი. „დასხედით“, გვეუბნება სუფთა ინგლისური ენით. მაგინდაზე დღეს ყვაილებით სავსე პატარა კალაია. თვალი შეეჩვია სიბნელეს. ეხედავთ, ლოკებში ვართ. ისმის ფუსფუსი. სიცილი. შეძახება. უცებ იგრიალა ტაშმა. ფარდა აიხადა. ზომიზიმებს სცენა. დარბაზი საფეხურებით უფროღება სცენას, სადა ჩამჭკრივებული მესაკრავენი სახე-ანთებული ელოდებიან ნიშანს. სცენაზე იღვრება მწვანე შუქი. დარბაზში ჩურჩულიც მიწყდა. უეცრად დაჰკრა მედოლემ, აწკრიალდა რკინის თევზები. სცენაზე გამოვარდა ახალგაზრდა ქალი და გრეხვით, უცნაური მიმიკით მიიჭრა მიკროფონთან. ორკესტრთან ერთად იგრიალა ტაშმა. ჩანს, ცნობილი მომღერალია. გადმოიღვარა რბილი, ხავერდოვანი ნახევრად ჯახური აღმოსავლური პანკები. სახის მიმიკა, ტანის რიტმული რხევა ორგანულად ერწყმის მუსიკის რიტმს. დარბაზი აღტაცებულია. ზოგი ყვაილებს ისვრის, ზოგი წერილებს. დროდადრო ქუხს ტაშმა, თითქოს ყავრის სახურავზე ხოშაკალმა გადაირბინაო.

მომღერალმა ერთი ღრმად შეისუნთქა, წელში უცნაურად დაიგრინა, შეჰყვირა და დამათვრა სიმღერა. თითქოს ისევ გადაირბინა ყავრის სახურავზე ხოშაკალმა.

ისევ ჩაბნელდა დარბაზი. ოფიციალტებს ტაბლებით შემოაქვთ ხან ღვინო, ხან ნამცხვრები, ხან ყავა, ხან კოქტეილი. ჩვენ ყავას შევექცევით კოქტეილით.

ისევ დაჰკრა მედოლემ. ახმიანდა კონტრაბასი. სცენა აავსო ცისფერმა შუქმა. გამოგოვმანდა მოცეკვავე გოგონათა ჯგუფი. დარბაზს ატყვევებს ქალიშვილების მოქნილი ტანი, სწორი, ჩამოქრული ფეხები. მაყურებელთა თვალი ხარბად ეწაფება ნიშიშველს. ორკესტრის ახალი შემადგენლობა უკრავს მოდერნიზებულ ჯახურ საცეკვაო მუსიკას. ქალები ცეკვავენ მსუბუქად, გრაციოზულად. მათ შეუძლიათ ყოველი უნთი და სხეულის ნაწილი ცალ-ცალკე ამოძრაონ მუსიკის რიტმზე. ცეკვავენ გატაცებით, თვდავიწყებით. დარბაზი ისევ ბორავს. გაისმის შეძახილები. სცენაზე ცვივა ყვაილები, ბარათები.

ისევ ბნელდება დარბაზი, დამკვრელები სცელობს საკრავებს. სცენას ეფრქვევა ყვითელი შუქი. ისმის საცეკვაო მელოდი. გამოდის ქალ-ვაი. ასრულებენ გულისამრევ ცეკვას. ამ საძაგლობას არც დარბაზი ხედება აღტაცებით. ჩვენი ტურისტები ქალები თვალზე ხელს იფარებენ...

მაყურებელთა შორის თავისუფლად დალაჯებენ კაბარეს იაფფასიანი ქალები. უკითხავად სხედებიან მაგიდებთან და აზრტულად სვამენ

მაგარ სასმელებს. გულისამრევია მათი საცეკვაო უკვლევი.

საცეკვაოდ გამოდის თვრამეტოლედ წლის არაბი გოგონა. იგი ასრულებს ეროვნულ „მუცლის ცეკვას“. ეს გოგონა კაბარეს ვირტუოზია, რაც ტანის პირველივე შერხევით გვაგრძნობინა. მის ცეკვაში ყველაფერი ბუნებრივია, მაგრამ ზოგჯერ ცოცხალ პანტომიმას სცელობს რიტმული, ნახევრად ჯახური მანკვა. ყოველი კუნთი თრთის, თვალს ატყვევებს ჰარმონიული როკვა. მუცლის კუნთების მოძრაობა ჰგავს გველის გადანაცვლებას ერთი ადგილიდან მეორეზე. გოგონა ხან ისე განერთხმება ძირს, გეგონება ცეკვაში სული ამოხდაო. მერე წამოვარდება, თმა ჩანჩქერივით ჩამოეშლება შიშველ მკერდზე, მხრებზე, შეარხვეს ტანს და ისევ იწყებს როკვას. არც ერთ დეტალს არ იმეორებს.

ბოლო ნომრად წარმოადგინეს არაბული ეროვნული სიმღერა. მღეროდა ოციოდე წლის გოგონა. ამით დამათვრდა ყველაფერი.

თექვსმეტ სექტემბერს დილაადრიან გამოვედით სასეირნოდ, სახეტიალოდ.

აგვიდღევა ხელგამოწვდილი პატარა გოგონა. გვეხვეწება, გვეუბნარება, რაიმე მაჩუქეთო. გვანიშნება, მშაიო. გულმა აღარ გამძილო, ერთი ცალი ფუნთუშა ვუყიდე. უცებ ხელიდან გამოიტყცა და გაჩერდა. ვანიშნე, ჰამე-მეჭქი. პირი არ ახლო, შემდეგ მიბრუნდა და შინ მოკურცხლა. ალბათ, იქ ვინმე უფრო მშვიდი ეგულბოდა.

დილის თერთმეტი საათია. ვათვალიერებთ კაიროს ეროვნულ მუზეუმს.

არაბეთის დღევანდელი ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს ეროვნული კულტურის აყვავებას, ნაციონალიზმის გაღვივებას. ეგვიპტელებს ციფრებიც კი თავიანთი, საყუთარი აქვთ. ვფიქრობ, ეს მეტისმეტია.

მივიდევით პირველ ვიტრინას. აქ გამოფენილია სხვადასხვა ებუქის ფარაონთა ყოფის ამსახველი ნივთები.

დავთვალიერებ ტუტანჰამონის დარბაზი. ეს ფარაონი ძლიერ ახალგაზრდა გარდაცვილია. ტახტზე ასულა ათი წლისა, ცამეტი წლისა კი ნამდვილი დიქტატორი გამხდარა. ვანუზრახას სხვა სარწმუნოების მიღება. ამისათვის შეთქმულთა ხელმწიფობით მოუწამლავს ცოლს. ვერ მოუხსრია პირამიდის მშენებლობის დამთავრება. დაუმარხავთ დაუმთავრებელ პირამიდაში. დროთა განმავლობაში დაკარგულა ქვიშაში.

1929 წელს ამერიკელ მეცნიერს კარ ვორლს მწყემსების დახმარებით შემთხვევით აღმოუჩენია ტუტანჰამონის აკლამა. აქ ინახებოდა მუშის რამდენიმე მილიარდი მანეთის განძთან ერთად.

ვიტრინებში მოჩანს ოქროს სავარძლები, ტახტები, საწოლები, აბაზანები, ტუტანჰამონის

ცოლის — ნეფერიტიის ოთახის, ტულეტის მოწყობილობანი. აქვე დგას ექვსი ბაჯალო ოქროს აკლამა. ეს აკლამები შედგმულიყო ერთმანეთში. შიდა აკლამაში ოქროს კუბოთი ესვენა ტუტანჰამონის გვამი. აკლამათა კედლები დაფარულია ოქრომჭედლობის განუმეორებელი ნიმუშებით. მათზე ასახულია ქეიფი, ნადირობა, ბრძოლები, ქორწილი.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ გვემგზავრეთ უძველეს ქალაქ მემფისში.

ისევ ვათვალიერებთ პირამიდებს, აკლამებს, კატაკომბებს. პირამიდები აგებულია ასუანის გრანიტით. ათასი კილომეტრიდან მოჰქონდათ ცამეტონიანი ქვები მონებს. ნილოსზე აცურებდნენ ტივებით.

დავბრუნდით მემფისიდან. გზად ჩავუარეთ მკედარ ქალაქს. ამ ქალაქის მკვიდრნი განსვენებულნი არიან. იგი არის ეგვიპტის წარჩინებულთა საგვარეულო სასაფლაო. ყველა შეძლებული ოჯახი იშენებს მარადიულ სამყოფელს. სასაფლაო ქუჩებად არის დაგეგმილი. შორიდან ნამდვილი ქალაქი გეგონება. მიცვალებულთა ჰირისუფლები აქ მოდიან პარასკევობით და დღესასწაულებზე. რჩებიან ორ-სამ დღეს, ლოცულობენ მიცვალებულთათვის. ვბრუნდებით კაიროში. ბანანების, პალმების

ტყე, მოლივლივე ნილოსი მიმზიდვალს ვასქას ქმნის.

ვისადილეთ კაიროს ვარეუბანში, ხეოფის პირამიდასთან ახლო.

დავთვალიერეთ მიწისქვეშა ტაძრები. კედლებზე ვნახეთ შესანიშნავი მხატვრობა. ექვსი ათასი წლის წინანდელ საღებავს დღემდე მოუღწევია. ერთ-ერთ კედელზე ასეთი დეტალი შევამჩნიე: ზის მწერალი და იწერს, ვინ რასაჩუქარი მიუტანა პატარძალს ქორწილის დღეს.

ასეთი წესი ზემო აქარაში დღემდე შემორჩა.

ისევ კაიროში ვართ. საბოლოოდ ვათვალიერებთ ქალაქს. ვიღებთ ფოტოსურათებს.

მალე ავიკარით ბარგი. გამოვეთხოვეთ სასტუმროს კეთილ მებატრონეს. ჩავსხედით აეტობუსებში. დაიწყო გზა ნილოსის ველის გავლით კაიროდან ალექსანდრიამდე. საღამოს შევიდა საათზე ჩავედით ალექსანდრიაში. დავუბრუნდით ჩვენს პატარა სამშობლოს „ფელიქს ძერეინსკის“.

გემი დაიძრა. გზა საკმაოდ გრძელია. საფიქრელი და საოცნებოც უღვევი. უკან მოვიტოვეთ კაირო, ალექსანდრია, ათენი, სტამბოლი, ვარნა, კონსტანცა და აი მშობლიურ მიწაზე ფეხი დავკარით. მემამ.

ჩემი სამშობლოს შესადარი ქვეყანა ჩვენს პლანეტაზე არა, არ ყოფილა!



აზიზ ახვლედიანი

ოლქა, ოლქობა

ფოლკლორული თუ ეთნოგრაფიული მასალების შეკრება-კვლევისას ყურადღებას იპყრობს თავის დროზე საკმაოდ გავრცელებული ტერმინი — ოლქა-ოლქობა. ცნობილი ხალხური ისტორიული ლექსი ჩახალოღ-ზენდიზელზე ასე იწყება:

ჰეი გიდი ჩახალოღლი, ერთხანაც ვიქროდა
ქარი,
შემოიღევ ოლქაობა, ხომ არ ქენი კი
ქიარი.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო ფიქსირებული „ლექსი ოლქობაზე“. ოლქობა მოხსენიებულია აგრეთვე ჩვენს მიერ ჩაწერილ ერთ-ერთ საყოფაცხოვრებო ლექსში:

ქალები ოლქას აწყობენ,
ველარ იყიდეს ფართალი.
ზაფხული გამოილია,
მომავალი ზამთარი.

ამავე ტერმინებს ვხვდებით ხალხურ გადმოცემებშიც.

„ხალხმა მოაწყო ოლქობა და ყველა სოფლის ხალხი თავს ვიყრიდით ჭიანათის მინდორზე, სადაც იქნებოდა 3.000 კაცამდე. კრებას ვერაერ ვერ დააკლდებოდა. ხინორიდან დაწყებული ყველა სოფლის კაცები თავს მოიყრიდნენ ხტუებანში ჭიანათის მინდორზე... ხალხი აზრს გამოთქვამდა...“ ან კიდევ: „საჭირო თუ იქნებოდა რამეზე ოლქობაში ღძაძებდა სოფელს და შეყრიდა ერთად. ამას ქვია ოლქა. ოლქაბააში ყველაი კაცი ვერ იქნებოდა, წინაი კაციდა ყოფილიყო“ (ს. ხალა, მემედ ახმედის ძე კახიძე, 80 წლის). „ოლქა ხალხის მოგროვებაა. თავს სადავო იყო საძოვრები და აქიდან ხალხი მოგროვდებოდა და წევდოდა

იქა. ამას ერქვა ოლქა. ოლქაზე ყველა კაცი ოცი წლის ზედაი წევდოდა“ (ს. კორტოხი, თევეფე რეშიდის-ძე ბოლქვაძე, 87 წლის).

საინტერესო და საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ოლქა არაერთგზის გვხვდება ე. ნინოშვილის რომანში „ჯანყი გურიაში“, როგორც თემობის, შეკრების გამოხატეული ცნება. ცხადია, რომ ეს სიტყვა ამ ფორმით გურიაში აპარიდან გადავიდოდა (ე. ნინოშვილი, „ჯანყი გურიაში“, თხზ., სრული კრ., ტ. 1, 1959 წ., გვ. 59, 80, 84, 104).

გასული საუკუნის 80-იანი წლების მდელეარების ერთმა მეთაურთაგანმა ბერიძემ თ. სახოკიას ასე ჩააწერინა: „მთელი ქვემო და ზემო აპარა ფეხზე დადგა, ვისაც თოფის აღება შეეძლო სულ ოლქად გავედიოთ...“ (თ. სახოკია, „მოგზაურობანი“, გვ. 229).

განთ „დროებაში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ კორექსონდენციაში ნათქვამია: „16 კაცისაგან შემდგარ საბჭოსთვის დაუვალებიათ ქობულეთის მართვა: ხალხი ოლქად ამდგარა. გარდა თავდგირიძისა, ყველამ პირი მივეციტ ერთმანეთს, რომ არაფერ საქმეში არ უღალატოთ ერთმა მეორეს... გუშინ ქობულეთის ქამეზედ ხუთასი კაცი ვიყავით შეყრილი“.1 იგივე გაზეთი უფრო მოგვიანებით წერდა: „სრულიად ქობულეთი ამჟამად ოლქათ არის ამდგარი და არც ფიქრობენ ახირებულად დამშვიდებას“.2

ტერმინები ოლქა-ოლქობა გვხვდება სხვა ჩანაწერებშიც. ჩვენ დავინტერესდით მათი რაობით და ახლა, როცა ხელთა გვაქვს ზოგიერთი ახალი ცნობა, გვინდა გამოვთქვათ მოსაზრება ამ საკითხის გარშემო, რათა მასზე მი-

1 აპარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 23. 1940 წ., ქესკინ ალის-ძე ნიკარაძისაგან ჩაიწერა აღ. ქათამაძე.

1 „დროება“, 1876 წ., № 15 (ცნობა მომაწოდა აბ. სურგულაძემ).

2 „დროება“, 1876 წ., № 25.



ვაციოთ ამ პრობლემით დაინტერესებულ მკვლევართა ყურადღება.

ოლქა თურქული სიტყვაა და ქართულად თემს ნიშნავს. საბას განმარტებით, თემი არის „ქვეყნის ერთი ნაწილი“; ხოლო „სიტყვის კონსი“ ქართულ-თურქულ ნაწილში იგი ამბობს: „თემი — ოლქა“.¹ თურქულ-რუსულ ლექსიკონშიც ოლქა განმარტებულია როგორც ქვეყანა, მხარე.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ სიტყვა „თემი“ ქართულ მწერლობაში დაახლოებით XII საუკუნეში გაჩნდა და იგი ხან სამეფოს, ხან ქვეყნის, ხან ხეობის მაგიერ იხმარებოდა.²

ამრიგად, ოლქა თემს ნიშნავს. ეს სრულიად უეჭველია. მაგრამ იგი უბრალო აღმინისტრაციული ტერმინი არ არის.

საქმე ისაა, რომ თემური წყობილება თავისი ხალხური მმართველობის თუ სხვა ფუნქციების გადმონაშთებით, საქართველოს მთელი მთიანეთის მსგავსად, აჭარამაც შემოინახა ბოლო დრომდე, რასაც ხელს უწყობდა სპეციფიკური სოციალურ-გეოგრაფიული პირობები. ცნობილი ქართველი მეცნიერის გ. მელიქიშვილის განმარტებით, თემის შენარჩუნებას საერთოდ ხელს უწყობდა სარწყავი წყლის საერთო მოხმარება, კოლექტიური პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე, განსაზღვრული თვითმმართველობის არსებობა, კულტურა კოლექტიური მომსახურების აუცილებლობამ.³ ამავე მიზეზით აჭარაშიც ოსმალთა საბოლოოდ დამკვიდრებამდე დაკონსერვებული იყო ამ სოციალური ინსტიტუტის გადმონაშთები. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალ. რომაძეც, განიხილავს რა დასახლებების ფორმებს ზემო აჭარაში, აღნიშნავს, რომ დასახლების ძირითადი ერთეული ძველად ხევი (თემი) იყო, რომელიც მცირერიცხოვანი დასახლებული პუნქტების ჯგუფს წარმოადგენდა.⁴

თურქ დამპყრობთა ბატონობის პერიოდში ხალხური მმართველობის ეს ფორმა (ოლქა, ოლქობა) აჭარაში რესტავრირებული სახით გვევლინება, რაც იმანაც განაპირობა, რომ თავისი მიუვალი მდებარეობით იგი მოწყვეტილი იყო გარესამყაროს. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში გ. ყაზბეგს, როცა გასულ საუკუნეში წერდა:

1 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949 წ.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 1919 წ., გვ. 9-10.

3 გ. მელიქიშვილი, საქართველოს ძველი ისტორიის საკითხისათვის, 1959 წ., გვ. 407.

4 ალ. რომაძე, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „შრომები“, I, 1960 წ., გვ. 16.

გეოგრაფიულმა მეცნიერებამ უნდა აღვნიშნავდეთ რომ ოსმალთა საქართველოს ზოგიერთ ნაწილზე, კერძოდ, შავშეთსა ან მთიან ლაზისტანზე უფრო ცოტა იცის, ვიდრე შიდაფრიკაზე. ეს სიტყვები საესეგებით შეეხებოდა იმდროინდელ აჭარასაც. ამიტომაც იყო, რომ აჭარალები საესეგებით უგულვებელყოფდნენ თავიანთ კერძო საქმეებში თურქებს. თავის მხრივ, თურქები სრულებითაც არ ზრუნავდნენ იმისათვის, თუ როგორ ცხოვრობდნენ აჭარალები. აი სწორედ ამის გამო, როგორც ვ. ლისოვსკი შენიშნავდა, აჭარის მოსახლეობამ თემცა მიიღო ისლამი, მაგრამ ასე თუ ისე მაინც შეინარჩუნა დამოუკიდებლობა საშინაო საქმეებში და არ ცნობდა თურქულ აღმინისტრაციას.² რა თქმა უნდა, დროდრო ამის გამო მას თავს ატყუებოდა სულთნის თურქეთის უსახტიკის რეპრესიები.

და აი, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ხალხი იძულებული იყო გამოენახა რაღაც ფორმა შენახვის მმართველობისა, რომელიც ამავე დროს დაუპირისპირდებოდა გარეშე თუ შინაურ მტრებს. ასეთ ფორმად კონსერვირებული თემი, იგივე ოლქა უნდა ქიეულიყო.

ოლქა, სწორ შემთხვევაში, ადათის ნორმებზე დაყრდნობით და გათვალისწინებით წყვეტდა მთელ რიგ სათემო საქმეებს. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ სახალხო მმართველობის ამ რთულ სისტემას აჭარაშიც ახასიათებდა ე. წ. „ფედერატიულ გაერთიანებათა პრინციპი“.³ როდესაც ტერიტორიული ერთიანობის საფუძველზე იქმნებოდა ცალკეული თემების (ხევიების), მეზობელი სოფლებისა და სოფლის შიგნით უახლოესი მეზობელი ოჯახების ლოკალური კავშირები. ყოველგვარ საკითხს, როგორც ეს ზეპირგადმოცემებიდანაც ჩანს, ოლქა წყვეტდა თავის კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა ყველა მამაკაცი და გადაწყვეტილებას იცნობდა ჩმის უმრავლესობით.

ვინ ხელმძღვანელობდა ოლქობას?

რა თქმა უნდა, მისი გაძლიერება ყველას არ შეეძლო. ამიტომ მას „წინაი კაცი უთავებდა“, რომელსაც ოლქობას უწოდებდნენ. როგორც წესი, იგი იყო ნდობითა და სათანადო ავტორიტეტით აღჭურვილი პირი, რომელიც გამოირჩეოდა სიბრძნითა და გამჭრიახობით.

1 გ. ყაზბეგი, სამი თვე სამკაშიდიანო საქართველოში (რუს. ენაზე), ზეიორგო, X, 1876 წ., გვ. 2.

2 ვ. ლისოვსკი, ჭოროხის მხარე (რუსულ ენაზე), 1887 წ., გვ. 31.

3 რ. ხარაძე-სოფლის თემი ბალყარეთში, მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, IX, 1960. გვ. 121.

თუ კი წინათ ოლქა სისტემატურად მოქმედ ხალხური მმართველობის ორგანოს წარმოადგენდა, მაშინ, ცხადია, მას ერთი მუდმივი მეთაურიც უნდა ჰყოლოდა, რომელიც, ალბათ, გავას ან ხევისთავის უფლებებით იქნებოდა აღჭურვილი. თავის დროზე, ჩვენი აზრით, ასეთ მეთაურად ე. წ. „დერებეგი“ უნდა ყოფილიყო, რომელთა შესახებ ზოგიერთი ცნობა ხალხურმა გადმოცემებმა შემოგვინახა (დერებეგი სიტყვა სიტყვით ხევის თავადს, ხევისთავს ნიშნავს). ეს „დერებეგები“, ჩვენი აზრით, იგივე „ხევის უფალნი“ არიან, რომლებიც, როგორც თვით სახელიც გვიჩვენებს, ხევის უფროსები უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ რა და რა საქმე ეკითხებოდა მათ, ამაზე არაერთი ცნობები არ მოგვეპოვება¹. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დერებეგი თურქულად ფეოდალს ნიშნავს, ხოლო დერებელიქ — ფეოდალიზმს, მაგრამ არსებული ხალხური გადმოცემები (ბუნდოვანი წარმოდგენა მათზე, როგორც ფეოდალებზე, გარკვეული გვარის დაუსახელებლობა,

აგრეთვე „ციხიყლაიების“² სიუხვე) საბჭოთა ველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დერებეგობა აჭარაში არ უკავშირდება ფეოდალიზმს.

ამრიგად, დერებეგობა, ისევე როგორც ოლქობა, ქართული სოციალური ინსტიტუტის გამომხატველი ცნება უნდა იყოს, ოღონდ თურქულ სიტყვიერ სამოსელში გახვეული. ვფიქრობთ აგრეთვე, რომ სწორედ „დერებეგები“ უნდა ყოფილიყვნენ თემის, ოლქას მმართველები, თუმცა, როგორც ეს გაზეთ „დროების“ ზემომოთანილი ცნობიდან დავინახეთ, არც კოლექტიური ხელმძღვანელობაა გამორიცხული, რაც, ალბათ, უფრო მოგვიანო ხანას ახასიათებდა.

2 ვისაც კი უმოგზაურია აჭარის ხეობებში, ყოველი ხეობის დასაწყისში აუცილებლად შეინიშნავდა ძველი ციხე-კოშკების ნანგრევებს, ე. წ. „ციხიყლაიებს“, რომლებსაც ბევრი, ჩვეულებრივ, თამარის სახელს მიაკუთვნებს, მაგრამ უფრო დაკვირვებულნი და ძველ გადმოცემათა მცოდნენი მათ „დერებეგობის“ დროს აშენებულ ციხეებად თვლიან. ეს ციხეები თავის დროზე არც ერთ ცალკე პირს არ ეკუთვნოდა და მათ აშენებდა ყოველი ხევი მომხდურთაგან თავდასაცავად.

1 ივ. ჯავახიშვილი, - დასახელებული ნაშრომი, გვ. 208.



შაგაშვი მამაკაძე

ერთი სახელისხმო ისტორიული ფაქტი

მას შემდეგ, რაც აჭარა თურქმა მოძალადეებმა დაიპყრეს, უკიდურესად შევიწროებულ მოსახლეობას არაერთხელ უცდია თავშესაფარი მიეღო გურიასა და იმერეთში. დამახასიათებელია, რომ რაც უფრო ძლიერდებოდა ოსმალთა ბატონობა, მით უფრო იზრდებოდა აჭარიდან საქართველოს სხვა კუთხეებში გადასახლებულთა რიცხვი.

1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით, გათვალისწინებული იყო მსურველთა თავისუფალი გადმოსვლა ოსმალეთიდან საქართველოში და პირიქით.

მართალია, დღესდღეობით ჩვენ არ მოგვეპოვება კონკრეტული ცნობები აჭარიდან ხალხის გურია-იმერეთში გადასახლების შესახებ, მაგრამ ასეთი ფაქტები ნამდვილად ყოფილა. ეს იქიდან ჩანს, რომ შემდგომ პერიოდში, როდესაც კავკასიის მმართველობა გადასახლებულებს უარს ეუბნებოდა მიღებაზე, მოტივად მოჰყავდა „ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დამთავრება“.

XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან განსაკუთრებით გახშირდა და გაძლიერდა აჭარელთა გურიაში გადასახლება, რაც ძირითადად გამოიწვია ე. წ. თანზიმატის განხორციელებამ და მოსახლეობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებამ. გურიაში აჭარელთა გადასახლების შესახებ ჩვენი ყურადღება მიიპყრო საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცულმა მასალებმა (მე-11 ფონდის 55, 501, 779, 2043 საქმეები). ამ მასალებიდან ირკვევა, რომ გურია-იმერეთში საცხოვრებლად გადადიოდნენ როგორც ცალკეული პირები, ისე მცირე და დიდი ჯგუფები.

პირველი ოფიციალური ცნობები გურიაში აჭარლების გადასახლების შესახებ ეკუთვნის 1836

წელს. ამ წლის 8 მარტს ბათუმში მცხოვრები ოცდაათი ოჯახი მისულა აჭარა-გურიის საზღვრებთან და სურვილი განუცხადებია რუსეთის ქვეშევრდომები გამხდარიყვნენ. მათი სიტყვიტ, ტრაპიზონის სანჯაყის ბეერ ოჯახსაც ჰქონია ასეთი სურვილი.

ამის თაობაზე იმერეთის მმართველი მეფისნაცვალს წერდა: „ასეთ საკითხებზე თუმცა თქვენი რამდენიმე მითითება გვაქვს, მაგრამ რამდენადაც ახლა 30 ოჯახია და სხვებსაც სურთ გადასახლება, გთხოვთ ნებართვას. თუ კი თქვენ თანახმა იქნებით, ჩემი აზრით, ჯობს მათი ქუთაისთან დასახლება“.

ამ წერილში საყურადღებოა ორი მომენტი: 1. როგორც ჩანს, იმერეთის მმართველს წინათ „რამდენიმე მითითება“ მიუღია ამ საკითხზე, ე. ი. გადასახლებას ადგილი ჰქონია 1838 წლამდეც, მაგრამ მცირე ჯგუფების სახით. ამას მოწმობს დოკუმენტის ის ადგილი, სადაც აღნიშნულია, რომ გადასახლებულთა რიცხვი „ახლა 30 ოჯახისაგან“ შედგებაო, ე. ი. მეტი ყოფილა, ვიდრე უწინ; 2. ამავე დოკუმენტიდან ჩანს, რომ გადასახლების მსურველნი სხვებიც ყოფილან და მოითხოვდნენ რუსეთის ადმინისტრაციად მზად ყოფილიყო მათ მისაღებად.

მაგრამ კავკასიის მმართველობამ თავშესაფარზე უარი უთხრა ლტოლვილებს იმ მოტივით, რომ 1829 წლის ადრიანოპოლის ტრაქტატით განსაზღვრული გადმოსახლების ვადა დამთავრდა და ლტოლვილთა მიღებას შეუძლია ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავებაო.

1838 წელსავე ამავე მოტივით უარით გაისტუმრეს ლტოლვილთა ჩვიდმეტი ოჯახისაგან შემდგარი ჯგუფი და თან გააფრთხილეს, რომ ასეთ დიდ პარტიებად გადმოსახლება შეუძლებელია, რომ რუსეთის ადმინისტრაცია საუკეთეს-



სო შემთხვევაში მხოლოდ ოთხი ოჯახისაგან შემდგარ ჯგუფს მიიღებდა.

ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების დაცვის მოტივით კავკასიის მმართველობა ქობულეთის ბევს ოფიციალურად სთხოვდა, რომ გადასახლებულები, რომლებსაც მათ დაუბრუნებდნენ, მკაცრად დაესჯა.

ორმოციან წლებში გურიის საზღვარზე გადასულა ლტოლვილთა ყველაზე უფრო დიდი ჯგუფი, რომელიც 254 სულისაგან შედგებოდა (145 მამაკაცი და 109 ქალი). ამ ჯგუფს მოჰყავდა 71 ცხენი, 447 მსხვილფეხა, 488 წვრილფეხა პირუტყვი და მოჰქონდა სხვა ქონება. გადავიდნენ თუ არა გურიის საზღვრებში, მათ განაცხადეს, აქ დასახლება და რუსეთის ქვეშევრდომობა გვესურსო. შემონახულია დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებითაა მითითებული გადასახლებულთა ვინაობა — სახელი, გვარი და სხვა ცნობები. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შევძელით დაგვედგინა, უკანვე გამოაბრუნეს ისინი თუ მიიღეს რუსეთის მფარველობაში.

1849 წელს ჩაქვში მღვდლმარტოვმა მოხდა, მაგრამ აჯანყებულები ვერ გაუმკლავდნენ ოსმალებს და გურიაში გადასვლა მოინდომეს. 150 ოჯახი მივიდა საზღვრებთან და მფარველობა ითხოვა. მათივე ცნობებით, ჰანეთიდან მიიღობოდა კიდევ 400-მდე ქართველი მაჰმადიანი, მაგრამ კავკასიის მმართველობას მათთვისაც უარი უთქვამს და უკანვე გამოუბრუნებია. ასევე უარით გამოუსტუმრებიათ 1894 წლის 17 მარტს 600 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი.

რაც შეეხება მცირე ჯგუფებით გადასახლებულებს, ორიდან ხუთ ოჯახამდე, მათ შესახებ მრავალ ცნობას ვხვდებით კავკასიის აღმინისტრაციის თუ სამხედრო პირთა მიმოწერაში.

საგულისხმოა, რომ ჩვეულებრივ მცირე ჯგუფებსაც კი უარს ეუბნებოდნენ მფარველობაზე, მაგრამ ლტოლვილნი ჩუმად მაინც თავს აფარებდნენ გურიას. გურულები მათ მფარველობდნენ, ხელს უწყობდნენ ოჯახის გამართვაში, ხვანათევსაში და ა. შ., მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ ოფიციალურად აუკრძალა ლტოლვილთა მიღება. ყოველივე ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რადგან დოკუმენტების სიტყვიერაც „ყველა მათგანს ნათესავები ჰყავდა გურიაში“. ასე მაგალითად, 1849 წლის ნოემბერში გურიაში გადასახლებულან ოთარ წითლიძის, ძმები თუმბე-

რიძეების, ჰუსეინ ხელაძისა და სხვათა ოჯახები. გვეხდება აგრეთვე რამდენიმე სპეციალური გვარისა, ან მოგვარეთა საკმაოდ მონრდონი ჯგუფებიც. მათ შესახებ არქივში დაცულია არაერთი მიმოწერა ოსურგეთის მაზრის უფროსისაყვარელიძესა და ქუთაისის გუბერნატორს შორის. კერძოდ, მაზრის უფროსს ავალებდნენ, უკანვე გაებრუნებინა ყველა გადმოსახლებული, თუ ქრისტიანობა არ ჰქონდათ მიღებული, ხოლო ქრისტიანებს თხოვდნენ ახსნა-განმარტებას. ამბების დასაზუსტებლად თბილისიდან სანდო მოხელეც კი გამოუგზავნით თარჯინით, რომელსაც თურქულიც და ქართულიც სცოდნია. მისთვის დაუვალებიათ, რომ ყველა ის ლტოლვილი, რომლებმაც ვერ მოასწრეს ქრისტიანობის მიღება, უკანვე გადაეცა ქობულეთის ბევისათვის იქვე მყოფი რუსეთის წარმომადგენლის თანდასწრებით. ერთ-ერთ წერილში ოსურგეთის მაზრის უფროსი თავს იმართლებდა, ნებართვის გარეშე გადმოსახლების მსურველი ექვსასი კაცი არ მივიღე და მცირე ჯგუფს მითუმჯობეს არ მივიღებო. დოკუმენტებიდან მართლაც ირკვევა, რომ როგორც ცალკეული პირები, ისე მთელი ოჯახები თუ მცირე ჯგუფები უკანვე გამოუბრუნებიათ, მაგრამ ლტოლვილნი ფარულად მაინც შესულან გურიის ფარგლებში და დათა გურიელის მამულში უპოვით თავშესაფარი. ლტოლვილები დათა გურიელის ცოლს, სამეგრელოს მთავრის დადიანის ასულს მოუწათლავს, ხოლო ნათლობის ცერემონიალი შემოქმედის ეკლესიის მღვდელს იოსებ ჩხარტიშვილს შეუსრულებია. მაგრამ მათი სამყოფელი არც ერთ მათგანს არ განუცხადებია. ამის გამო გუბერნატორი მოითხოვდა, რომ „დათა გურიელი სამავალითო დასჯის ღირსი“ უნდა გახდესო. მიუხედავად ამგვარი რეპრესიებისა, ბოლოს და ბოლოს ყველა ლტოლვილი გურიაში დარჩენილა.

ზემომოყვანილი ფაქტები, რა თქმა უნდა, ამომწურავი არაა, მაგრამ ისინი მაინც მოწმობენ, თუ როგორ აიძულებდა ოსმალთა მკაცრი რეჟიმი აჭარის მოსახლეობას მიგრაციებზე. საკუთარი მიწა-წყალი და გურიაში გადასახლებულიყო. თავისთავად ცხადია, გადასახლების მასშტაბი ვაცილებით დიდი იქნებოდა, რომ მეფის რუსეთს ლტოლვილთათვის მფარველობა გაეწია.





ადამიანი კოსმოსში

შორეულ წარსულში, როცა მეცნიერება და ტექნიკა არ იდგა ისეთ მაღალ დონეზე, როგორც დღეს, ადამიანები მხოლოდ ოცნებობდნენ კოსმოსში მოგზაურობაზე. ამ ოცნების ნაკვალევი მკაფიოდ ჩანს ზღაპრებსა და ლეგენდებში, რომლებიც თითქმის ყველა ხალხმა შექმნა. მათგან ყველაზე პოპულარულია ბერძნული ლეგენდა იკაროსისა და დედალონის შესახებ, რომლებმაც თითქოს ცვილით ზურგზე მიიმაგრეს ფრთები და ისე ახლოს მიფრინდნენ მზესთან, რომ ცვილი გადნა — იკაროსი ზღვაში ჩავარდა და დაიხრჩო. ერთ-ერთი ბერძნული ლეგენდის მიხედვით, გამოჩენილი მხედართმთავარი ალექსანდრე მაკედონელი ოცნებობდა, რომ არწივის ფრთებით გაფრენილიყო კოსმოსში.

სხვათაშორის, ლეგენდების დიდი ნაწილი შექმნილია მთვარეზე, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ იგი დედამიწის ყველაზე უახლოესი ციური სხეულია. გამოჩენილმა ბერძენმა მწერალმა ლუკიანემ, რომელიც ორი ათასი წლის წინათ ცხოვრობდა, თავისი რომანის გმირი მენიპე სწორედ მთვარეზე გააფრინა ფრინველის ფრთებით. შემდეგ მენიპემ დიდი გამბედაობა გამოიჩინა და გადაწყვიტა ვარსკვლავებსაც სტუმრებოდა, მაგრამ ღმერთი განრისხდა და ფრთები მოაცილა. ერთ-ერთი ჩინური ლეგენდის მიხედვით, ჩინელები დედამიწაზე თითქოს მთვარიდან გადმოსახლდნენ.

საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე, როდესაც მეცნიერება და ტექნიკა საკმაოდ განვითარდა, ადამიანებს აღარ აკმაყოფილებდათ ძველი ლეგენდები და თქმულებები და თავიანთი საუკუნეობრივი ოცნების განსახორციელებლად წამოაყენეს ტექნიკის გამოყენების იდეა.

ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ჟულ ვერნმა, მაგალითად, მთვარეზე თავისი გმირების გაგ-

ზაენისათვის „გამოიყენა“ სამასი მეტრი სიგრძისა და 2,5 დიამეტრის ქვემეხი, რომლის მუხტს ასორბოცდათი ტონა პიროქსიდინი შეადგენდა. ბევრმა სხვა მწერალმა-ფანტასტიკოსმა შექმნა სთავგადასავლო ნაწარმოებები, რომელთა გმირები კოსმოსში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა შემწეობით მოგზაურობდნენ, მაგრამ სამყაროში გაფრენა მაინც შორეულ ოცნებად რჩებოდა.

დროთა მსვლელობაში ადამიანებმა ბუნების ბევრ საიდუმლოებას ახადეს ფარდა, რამაც რეალურ ნიადაგზე დააყენა კოსმოსში გაფრენის ამოცანის გადაჭრა. ამ საქმეში განსაკუთრებით თვალსაჩინოა დიდი რუსი მეცნიერის კონსტანტინე ელუარდის-ძე ციოლკოვსკის ღვაწლი. მან მეცნიერულად დაასაბუთა, რომ შეიძლება ადამიანებმა იმოგზაურონ კოსმოსურ სივრცეში, ესტუმრონ სხვა ციურ სხეულებს, მაგრამ ამ მიზნით უნდა გამოიყენონ არა თვითმფრინავი ან ქვემეხები, როგორც ეს წინათ წარმოედგინათ, არამედ მრავალსაფეხურიანი რაკეტები. მხოლოდ რაკეტებითაა შესაძლებელი გადავლახოთ დედამიწის მიზიდულობის ძალა და მივალწიოთ სხვა ციურ სხეულებსო, ამბობდა კ. ე. ციოლკოვსკი.

ამყამად უკვე ასრულდა სახელოვანი მეცნიერის ეს გენიალური განჭვრეტა. ის, რაც წინათ ფანტაზიად და ოცნებად მიაჩნდათ, დღეს სინამდვილედ იქცა. ჩვენი სამშობლოს სახელოვანმა შვილებმა იური ალექსის-ძე გაგარინმა და გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვმა მრავალსაფეხურიანი რაკეტების საშუალებით განახორციელეს კაცობრიობის საუკუნეობრივი ოცნება — გაფრინდნენ კოსმოსში, წაყიდნენ იქ, სადაც ჯერ ადამიანი არ ყოფილა. ამ ისტორიული გაფრენით საბჭოთა კოსმონავთგებმა პრაქტიკულად დაამტკიცეს, რომ ადამიანს შეუძლია კოსმოსში ფრენა, მუშაობა და ცხოვრება.

რა თქმა უნდა, კოსმოსში ადამიანის გავრე-
ნისათვის არ კმაროდა მარტო მრავალსაფეხუ-
რიანი რაკეტების შექმნა, ამასთან ერთად აუ-
ცილებელი იყო ზოგიერთი სხვა ამოცანის გა-
დაწყვეტაც, რაც უმთავრესად ადამიანის ფი-
ზიოლოგიურ - ბიოლოგიურ თავისებურებებს
უკავშირდება.

როგორც ცნობილია, დედამიწის გარშემო
არსებობს ატმოსფერო, რომლის ათასკილომე-
ტროვანი ფენები ჩვენ გვიცავს მზის მაგნი-
სხივებისა და მეტეორების მოქმედებისაგან.
ცნობილია ისიც, რომ რაც უფრო შორდება
ადამიანი დედამიწის ზედაპირს, მით უფრო
შეიგრძნობს წნევისა და ტემპერატურის შემცო-
რებას. მაშასადამე, ვიდრე ადამიანი კოსმოსში
გაფრინდებოდა, საჭირო იყო შეგვექმნა მისთ-
ვის საჭირო თავდაცვითი პირობები. ერთ-ერთ
დიდ პრობლემას წარმოადგენდა აგრეთვე
კოსმონავტის მომარაგება ჰაერითა და საკვე-
ბით. ადამიანს შეუძლია რამდენიმე დღეს გაძ-
ლოს უწყლოდ და უსაკვებოდ, მაგრამ უკან-
დადოდ ერთ-ორ წუთსაც ვერ იარსებებს.

ასლა ყველა ეს პრობლემა გადაწყვეტილია. მაგნი-
კოსმოსური სხივებისაგან კოსმონავტის თავ-
დასაცავად ხომალდის კაბინასა და მინებს ამზა-
დებენ სპეციალური ნივთიერებისაგან, ამასთან
კოსმონავტს აცვია სავანგებო ქსოვილის კოს-
ტიუმი, ხოლო სუნთქვისათვის საჭირო ჰაერის
მარაგი მიაქვთ სპეციალური ბალონებით. პრო-
ბლემას აღარ წარმოადგენს სუნთქვისას წარმო-
შობილი მომაკვდინებელი ნახშირჟანგისაგან კა-
ბინის გასუფთავება. ჰერ კიდევ 1912 წელს კ.
ციოლიკოვსკიმ წამოაყენა წინადადება, რომ
კოსმოსში ფრენისას ბიოლოგიური წონასწო-
რობის დამყარებისათვის ხომალდის კაბინაში
მოეთავსებინათ მცენარეები. ეს წინადადება
დღეს წარმატებით ხორციელდება. რაც შეეხე-
ბა კოსმოსში მოგზაურთა საკვებით მომარაგე-
ბას, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა
აკადემიის რეკომენდაციით მათთვის მზადდება
სავანგებო საკვები, რომელიც მოთავსებულია
ტუბებში და იკავებს მცირე მოცულობას.

ცნობილია, რომ კოსმოსში მოგზაურებს
მოუწევთ იმ მრავალი უსიამოვნების დაძლევა,
რასაც იწვევს რაკეტის მოძრაობის თავისებუ-
ლება. სტარტის პირველივე წუთებში, როცა
რაკეტის სიჩქარე თანდათან იზრდება, კოსმო-
ნავტი გრძნობს გადატვირთვის მოქმედებას,
ე. ი. მისი წონა რამდენიმეჯერ დიდდება. წონის
გაზრდა ძლიერ საშიშია ადამიანის ორგანიზმი-
სათვის. დამძიმების გამო სისხლი ვეღარ აღწევს
ტვინამდე, ადამიანი კარგავს აზროვნების

უნარს, აგრეთვე მხედველობას, მთლიანად ან
ნაწილობრივ. ხანგრძლივი დაკვირვებების შედეგად
დღეად აღმოჩნდა, რომ რაკეტის სტარტის
დროს ადამიანები წონის ზრდას შედარებით
ადვილად იტანენ, თუ სავარძელში სხედან ნა-
ხევრად მწოლარე მდგომარეობაში. გარდა ამი-
სა, გადატვირთვის სიწინააღმდეგოდ იხმარება
სპეციალური კოსტიუმი.

მას შემდეგ, რაც გამოირთვება რაკეტის
ძრავი და ხომალდი დედამიწის გარშემო დაიწყ-
ებს ინერციით მოძრაობას, კაბინაში შექმნება
უწონობის მდგომარეობა. ადამიანს არ ემორჩი-
ლება ხელი და ფეხი. წონის დაკარგვის გამო
იგი ისე აცურდება ხომალდის კაბინაში, რო-
გორც თევზი ცურავს აქვარაუშში. როგორც
საბჭოთა კოსმონავტებმა პრაქტიკულად დაამტ-
კიცეს, უწონალობა არაა საშიში მოვლენა და
იგი გავლენას არ ახდენს ადამიანის შრომის
უნარსა და ფიზიოლოგიურ ფუნქციებზე. იური
ალექსის-ძე გაგარინი კოსმოსში უწონალობის
შეგრძნებას ასე გადმოგვცემს: „სავარძელი დე-
ტოვებ, კაბინის ჭერსა და იატაკს შორის ვიყავი
დაკიდულად. ამ მდგომარეობაში გადასვლა მე-
ტად მძორედ მოხდა. გრავიტაციის გავლენა
რომ გაქრა, თავი შესანიშნავად ვიგრძენი. ყო-
ველივე უცებ ადვილი გასაკეთებელი გახდა.
ხელ-ფეხი და მთელი სხეული თითქოს ჩემი
აღარ იყო, არაფერს იწონიდა. არც ზიხარ, არც
წევხარ, თითქოს დაკიდული ხარ კაბინაში“.

კოსმოსში მოგზაურობისას ექსპედიციის
წევრებს მოუწევთ კიდევ სხვა მრავალი წინააღ-
მდეგობის დაძლევა, მაგრამ სხვადასხვა დარგის
მეცნიერები კოსმოსში ფრენის პრობლემებს
ერთიანი ძალით ყოველმხრივ დადებითად
წყვეტენ. რა თქმა უნდა, დადგება დრო, როცა
კოსმოსში გაემგზავრება თითქმის ყველა მსურ-
ველი, მაგრამ დღეს უამრავი სიძნელის გამო
კოსმოსში გაფრენისათვის ადამიანს ესაჭიროე-
ბა სპეციალური მოზადება. კოსმოსში გასაგ-
ზავნი ადამიანებისადმი წაყენებულ მოთხო-
ვნებს დღესდღეობით ყველაზე უფრო მფრინავე-
ბი შეესაბამებიან. ამიტომ მომავალი კოსმო-
ნავტების შერჩევის მიზნით ჩვენს ქვეყანაში
ბევრმა მფრინავემა გაიარა სპეციალური შემოწ-
მება, რის შედეგად ჩამოყალიბდა ასტრონავტ-
თა წრე. აქ კოსმონავტები სწავლობენ რაკე-
ტული და კოსმოსური ტექნიკის საფუძვლებს,
კოსმოსური ხომალდის კონსტრუქციას, ასტ-
რონომიას, გეოფიზიკასა და კოსმოსურ მედი-
ცინას. ამასთან ერთად მომავალი კოსმონავტე-
ბი გადიან სპეციალურ წვრთნას, რომლის ძი-

რითადი ამოცანა ლაბორატორიულ პირობებში ან თვითფრინავის კაბინებში გაეცნონ და შეეჩვიონ კოსმოსური ფრენის პირობებს, ე. ი. განახორციელონ კოსმოსური ფრენის თავისებურებათა იმიტაცია.

წარმატებით დამთავრდა რა კოსმოსში აღმინის გაფრენის წინა, მოსამზადებელი ეტაპები, 1961 წლის 12 აპრილს კოსმონავტთა ჯგუფებიდან შერჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის მოქალაქე იური ალექსის-ძე გაგარინი, რომელმაც ხომალდით „აღმოსავლეთი-1“ დედამიწას 108 წუთის განმავლობაში შემოუარა და უვნებლად დაეშვა წინასწარ განკუთვნილ რაიონში. ამის შემდეგ არ გასულა ოთხი თვეც კი და 6 აგვისტოს მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი გახდა მეორე საბჭოთა კოსმონავტის გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვის გვირობა. მან ხომალდით „აღმოსავლეთი-11“ კოსმოსში იფრინა 25 საათსა და 18 წუთს და ამ ხნის მანძილზე დედამიწას 17-ჯერ შემოუარა ირგვლივ. ტიტოვმა კოსმოსში განვლო შეიდას ათას კილომეტრზე მეტი,

რაც უდრის მანძილს დედამიწიდან მთელს მსოფლიოს და უკან. აღსანიშნავია, რომ გერმანე ტიტოვი დედამიწაზე დაბრუნდა იმ ისტორიული ადგილის მახლობლად, სადაც დაშვება განახორციელა მსოფლიოში პირველმა კოსმონავტმა იური გაგარინმა.

საბჭოთა მეცნიერების ტრიუმფით დაიწყო კოსმოსის დაპყრობის ერა. კოსმოსში გაიკვალა ახალი გზები. ძნელია წინასწარ განვჭრიტოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის კოსმოსურ რეისებს. უეჭველია, რომ ჩვენი წარგზავნილები სხვა ციურ სხეულებზე მისვლით ერთბაშად გადაწყვეტენ იმ საკითხების ჯგუფს, რომელთა ამოხსნაზეც საუკუნეობით ოცნებობდნენ ადამიანები.

ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევები საფუძველს გვაძლევს მტკიცე რწმენა გამოვთქვათ, რომ ჩვენ ყველანი მოწმე ვიქნებით სხვა ციურ სხეულებზე ადამიანების გაფრენისა და მათი უკან მშვიდობიანად დაბრუნებისა.

ლ. ძნელაძე,

ბათუმის პლანეტარიუმის დირექტორი.

ნ. კოსტავა,

ბათუმის პლანეტარიუმის ლექტორი.



ზოგირითი შენიშვნა „უნიდაგოც“ ბაზო

როგორც ყოველ მკითხველს, მეც თვითუფ-
ლი ახალი ქართული წიგნის გაცნობისას უპირ-
ველეს ყოვლისა მინტერესებს, რას აძლევს
იგი ჩვენს სულსა და გულს, რა პრობლემები
დაისახა მწერალმა და როგორ გადაწყვიტა ისა-
ნი, ზრდის თუ არა წიგნი მკითხველს კომუნის-
ტური, პატრიოტულ-ინტერნაციონალური სუ-
ლისკვეთებით.

სწორედ ამ თვალსაზრისით მსურს ორიოდე
სიტყვა ვთქვა ვ. გოგოლაძის წიგნის „უნიდა-
გო“ შესახებ, რომელიც ამას წინათ გამოცე-
აჭარის სახელგამა.

პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც XXII
ყრილობამ მიიღო, — ეს არის კომუნისტური
საზოგადოების გაწლილი მშენებლობის მეცნიე-
რულად დასაბუთებული გეგმა. ჩვენს ხალხს
სწამს, რომ უახლოეს დროში შეიქმნება კომუ-
ნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მაგრამ არა მარტო მატერიალურ-ტექნიკური
ბაზა შეიქმნება, არამედ უკლებლად ყველა ადამ-
იანი ვახდება უაღრესად შეგნებულ, რომელიც
არა სხვისი კარნახით, რაღაც დისციპლინის აუ-
ცილებლობით იზრთობებს და შექმნის საარსებო
დოვლათს, არამედ მასში გამოუმავლება შრო-
მის ისეთი სიყვარული, ჩვევა, რომელიც უპირ-
ნახებს მას იზრთობს და აკეთოს საყოველთაო
საქმე, თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოე-
ბის წინსვლაში.

ამ გრანდიოზული პროგრამის წარმატებით
შესრულებისათვის ბრძოლაში მილიონობითა და
ათობით მილიონობით ადამიანს, თავადლებით
რომ იღვწიან საყოველთაო-სახალხო საქმისათ-
ვის, ფეხქვეშ ებლანდება მცირე ჯგუფი ადამი-
ანებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან განთა-
ვისუფლებული ძველი შეგნების გაღმონაშთე-
ბისაგან, არ უქადრისობენ ქურდ-ბაცაცობას,
მცონარეობენ, სჩადიან ათასგვარ სიყალბებს,
რათა უშრომლად ან იოლი გზით გამდიდრდნენ
და ფუფუნება არ მოაკლონ თავიანთ ოჯახებს.
ღიახ, ასეთი ადამიანები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ

არიან და ისინი მოქმედებენ დღისით, მზისით!
ამიტომ ჩვენი მწერლობის ვალია დაეხმაროს
საბჭოთა საზოგადოებრიობას ასეთი გზასაცდე-
ნილი ადამიანების გამოსწორებასა და ხელახალ
აღზრდაში. საჭიროა ჩავაფიქროთ ისინი და და-
ვარწმუნოთ, რომ მათი გზა მოლიბულოა, უფ-
სკრულისაკენ მიექანება, რომ ისინი ჩვენში დი-
ღანს ვერ იბოგინებენ და, რაც უფრო მალე
უქუაგდებენ ცხოვრების იმ წესს, რომელიც მათ
ახლა აგრერგად იზიდავთ, მით უკეთესია მათ-
თვის, მათი ოჯახებისათვის.

ვ. გოგოლაძის მოთხრობა „უნიდაგო“ სწო-
რედ ამ კეთილშობილურ მიზანს ისახავს. მისი
მოქმედი პირების ერთი, ძალზე უმნიშვნელო
ნაწილი თუ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, სა-
მაგიეროდ მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა
ინტელიგენცია, მთელი ჩვენი საზოგადოებრიო-
ბა პარმონიულად შრომობენ, იბრძვიან ახალი,
შესანიშნავი ცხოვრების დასამკვიდრებლად. ამი-
ტომ „უნიდაგოში“ აღწერილი პარაზიტები შევ-
ლაქასავით მოჩანან ჩვენი საზოგადოების ჯან-
სალ სხეულზე. ბუნებრივია, გჯერათ, რომ ადრე
თუ გვიან ეს „შავი ლაქები“ აუცილებლად ამო-
ძირკვეულ იქნებიან.

მაგრამ, როგორც უკვე მოვახსენეთ, მე არ ვა-
პირებ ყოველმხრივ განვიხილო ეს ნაწარმოები.
მსურს შევჩერდე მხოლოდ ეროვნული თვითმ-
ყოფადობის, თავმოყვარეობის, ქართველი კა-
ცის ღირსების შელახვაზე ამ ვიგინდარებისაგან,
რომლებიც იოლ ცხოვრებას ესწრაფიან და
არაფერ ადამიანურს, კაცურ-კაცურს ანგარიშს
არ უწევენ, თავი კი დიდ პატრიოტებად მოაქვთ
და საღვებგატელს არ იტყვიან, თუ საქართ-
ველო არ ახსენეს.

ქართველი კაცის ტრფიალი იყო, არის და მო-
მავალშიც დარჩება შრომის უსაზღვრო სიყვა-
რული, რაც მშვენიერად გამოთქვა დიდმა აკა-
კიმ:

„ქორი ვარ, სხვას რომ მოვსტაცო?!
რად გავიშვო პირი მე?
გარს შემოგველე ჩემს გუთანს,



ჩემი სახსრის სკრიპინა!

რაც ჩემი ურმის არ არის,

სახლში არ შემინანია,

ღმერთმა მამუროს, რაც ჩემის

ოვლით არ გამოიბანია!

ღიან, ასეა და მევახშეობა, ქურდ-
ბაცყობა, მექრთამეობა, წაუღეტა, სხვის ხარ-
ჯზე ცხოვრება უმძიმეს დანაშაულად და სირც-
ხვილად ითვლებოდა და ითვლება ჩვენი ხალხის
თვალში.

ჰოდა, როცა ახლა, ჩვენს ეპოქაში ქართველი
კაცის ეროვნული თვითშეგნება, მისი თავმოყ-
ვარეობა აგრერივად ამაღლდა, ანთ უმეტეს არ
უნდა ურცხვებოდეს იგი და არც ურიგდება
ისეთ ფაქტებს, როდესაც თითო-ორილა უსაქ-
მური, ქურდ-ბაცყა, მექრთამე თუ საეკლან-
ტი სახელს უტებს ერის ღირსებას, არცხვენს
ქართველი კაცის ნამუსს. ამიტომ „უნიადგომს“
მკითხველს ეზიზღება კომბინატორი ტიტე, რომელიც
მშრომელი კომპიუტერის ოჯახს, განახ-
ლებულ სოფელს გაექცა და თავი ქალაქს შეა-
ფარა. ქალაქში იგი დაუკავშირდა მისებრ გარე-
წარს, ვინც მეღვინე გალიფაქს და ხელი მიჰ-
ყო ფუქსავატურ ცხოვრებას.

მკითხველი გმობს ტიტეს, მეღვინის, ოლი-
ფანტის, გლაქტიონის, რუბენისა და სხვ. მოქმე-
დებას. ტურისტული ბაზის მახლობლად გახს-
ნილი რესტორანი იმის მაგივრად, რომ ეწეო-
დეს ქართული ეროვნული კერძების პროპაგან-
დას და საქართველოში ჩამოსულ არაქართველს
მისივე წარმოდგენა ქართულ კერძებზედაც
(განა ამ მიზნით არ არსებობენ მოსკოვში, ჩვე-
ნი დიდი ქვეყნის ცენტრში, ეროვნული რეს-
ტორანები და მაღაზიები?), ტიტე და მისი დამ-
ქაშები ამზადებენ რაღაც სუროგატს და ამ
გზით ხელს ითხოვენ. „მარცხენა შემოსავლის“
ეს მორტოალენი მომხმარებლებს ატუებენ
აგრეთვე ზომავში, წონავში, არ უბრუნებენ ხურ-
რდას... განა ვასაგები არ არის, ასეთი „პატრიო-
ტები“ როგორ სამსახურს უწევენ ქართველი
ადამიანის თავმოყვარეობას?

ახლა ღვინოს არ იკითხავენ?

პურ-ღვინის მოყვარულ ქართველი კაცის
ოჯახს ოდითგანვე თავი იმით მოჰქონდა, რომ
უმადლესი ხარისხის ღვინოს აყენებდა. ახლა,
როცა სამარკო ღვინოების დამზადების ახალ-ახა-
ლი ფუჭოკონსერვული მეთოდები დაიწერა, ხომ
მით თვით უნდა ამაღლდეს ქართული ღვინოს
ღირსება? მაგრამ ტიტეს, გლაქტიონის, მალაქის
ეს არ აღარდებთ. ისინი გამორჩენის მიზნით
ხელოვნურად აფუჭებენ ქართულ ღვინოს და
ისე გზავნიან ჩვენს ქვეყნის სხვადასხვა კუთ-
ხეში. რა თქმა უნდა, ძნელია კარგი წარმო-
დგენა შეუქმნავდეს ქართულ ღვინოზე იმადამი-
ანს, ვინც მათს „ნაწარმს“ დალევს. გლაქტიონ-
ისა და მალაქის თავიც კი მოაქვთ ღვინის ფა-
ლსიფიკაციით. ისინი დღედაღამ სულ იმის ცდა-
ში არიან, როგორმე „გაუფუჭებუნი“ თავიან-

თი „რეცეპტი“, რომლის გამოყენებით ღვინო
„ფხვნილი“ მეტა და მეტ წყალს გაირეცხება
ცხადი არ არის, რომ ასეთი საქციელით ისინი
ბლაღვევენ ჩვენს ერის ღირსებას, არცხვენენ ქა-
რთველი კაცის ნამუსის ქულს?

„უნიადგომი“ შესანიშნავად არის აღწერილი
ამ ვიგინდარების მოქმედება. ისინი არაფრის
წინაშე უკან არ იხევენ. მათ ფული, ავტომან-
ქანები, სასახლეები, სამკაულები, ქვივი და
დროსტარება, უკანასკნელ მოღაზე ჩაცმა-და-
ხურვა გაუხდიათ ფეტვიმად და არაფრად აგდ-
ებენ მამა-პაპათა ღირსების შელახვას, წუმბეში
ამოსვრას. კიდევ მეტი, მათი აზრით, ისინი
ცუდს არაფერს სჩადიან. ვის რას უშლიან, თუ
ღვინოში წყალს გაურევენ? ამაში რაა ცუდი!
და თუ ადამიანები მაინც გმობენ მათ მოქმედ-
ებას, გაურბიან მათს პურ-ღვინოს და ოჯახებს,
ერთგვარ ბოიკოტს უცხადებენ ასეთ კომბინა-
ტორებს, ისინი ამას მხოლოდ იმით ხსნიან,
რომ შურთ ჩვენი კარგი ცხოვრებათ.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი.

მიუხედავად დიდი მატერიალური შესაძლებ-
ლობისა, ეს „პატრიოტები“ თითო-ორილა
შვილს იჩენენ. „არ მსურს ბედნიერებაში მონა-
წილე ჰყავდეს ჩემს ტარიელსო“, — აცხადებს
ტიტე. ვასა კი ბედნიერი ტარიელი? იგი ისე-
თივე თავისაყოფი, ზვიადი და უხასიათო ადა-
მიანი გამოდგა, როგორც მისი მზრუნველი მამა
ტიტე. მან ცა ქულად და დედამიწა ქალამ-
ნად წარმოიღვინა, უბრუნველად, პარაზიტუ-
ლად ცხოვრობდა, ამიტომ კაცი ვერ დადგა
ცხოვრებას ისევე იოლად ვანშორდა, როგორც
იოლად ცხოვრობდა მამის ხარჯზე.

ქონების მოხვეჭით გატაცებული ტიტე არაფ-
რად აგდებს საქართველოში ოდითგანვე დამკ-
ვიდრებულ ჯანსაღ ტრადიციას — უმცროსის
პატივისცემას უფროსისადმი. მშობლების უსაზ-
ღვრო სიყვარულს შვილებისაგან. იგი მშობ-
ლებს წერილსაც კი არ უგზავნიდა, არ მიიღო
თბილისში მასთან სტუმრად ჩასული მამა. ყო-
ველივე ამის გამო ტიტემ საშინელი განსაცდ-
ელი განუწადა საბარლო მშობლებს. ისინი მკი-
თხაის მსხვერპლნი გახდნენ. და რამდენ რაიმეს
უნდა გაუხვას კაცმა ხაზი!

ვ. გოგოლაძის „უნიადგომ“ ბევრ გზასაცდ-
ნილს ჩააფიქრებს, დანახებს, რომ მათი მოქმე-
დება არათუ სწორი არ არის, ყოვლად მიუღ-
ებელია, საზიზღრობაა! ასეთი ადამიანები თავი-
ანთ ოჯახებს განსაცდელს უშმაადებენ მხოლოდ.
ბედნიერება, ოჯახური სიყვარული და ჰარმონია
არ შეიძლება შეიქმნას ნაძარცვი და ნაქურ-
დული ფულით. ბინძური გზით გამდიდრებული
ოჯახი საზოგადოებისაგან აუცილებლად გარი-
ყული აღმოჩნდება.

აი როგორ მიგვაჩინა ჩვენ ვ. გოგოლაძის
„უნიადგომ“ საჭირო და სასარგებლო წიგნად.

აკილარ აბაშიძე.



საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით რუსულ ენაზე გამოვიდა დოქ. ნ. ნიკაიძის მონოგრაფია „საბჭოთა აჭარა“ (ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება). ამით, შეიძლება თამამად ითქვას, არაქართველმა მკითხველმა მიიღო თანამედროვე მეცნიერების დონეზე მდგომი ვრცელი მონოგრაფიული ნაშრომი ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიურ-გეოგრაფიული პირობებისა და მდგომარეობის შესახებ.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება შესავლისა და შვიდი თავისაგან, რომლებიც თავისი ხასიათის მიხედვით აღგენენ ორ ძირითად ნაწილს.

პირველი თავი „ბუნებრივი პირობები“ მკითხველს აცნობს აჭარის ტერიტორიასა და საზღვრებს, რელიეფსა და გეოლოგიურ აღნაგობას, ჰავას, წყალს, ნიადაგებს, მცენარეულ საფარს და ცხოველთა სამყაროს. მაგრამ ავტორი როდი კმაყოფილდება მათი უბრალო აღწერით. იგი განაზოგადებს უმდიდრეს ფაქტობრივ მასალას და ნათეს ხდის, რომ რაც უფრო მაღალი წარმოების განვითარების დონე, მით უფრო მრავალფეროვანი ხდება ადამიანის კავშირი ბუნებასთან, მკვეთრად იზრდება საზოგადოების ბატონობა ბუნებაზე. ამით სარეცენზიო ნაშრომი მნიშვნელოვნად სცილდება ბუნებრივი პირობების ჩვეულებრივ აღწერილობას და „დარგობრივ“ შეზღუდულობას. წინის ეს ღირსება კიდევ უფრო ნათლად ჩანს მრმდევნო თავში, რომელიც ეთმობა აჭარის ბუნებრივი პირობებისა და რესურსების სამეურნეო შეფასებას. აქაც ავტორი არ კმაყოფილდება ბუნებრივ სიმდიდრეთა უბრალო ჩამოთვლით და მათი გამოყენების გაუმჯობესების მიზნით აყენებს მთელ რიგ პრაქტიკულ წინადადებებს.

ინტერესით იკითხება ნაშრომის მესამე თავი „აჭარის ისტორიიდან“. აჭარა საქართველოს სისხლბორცეული ნაწილია და ამიტომ ნ. ნიკაიძემ მის წარსულს სამართლიანად განიხილა მთელი საქართველოს ისტორიის საერთო ფონზე და მის ცხოვრებასთან ორგანულ კავშირში. დედა-სამშობლოს — საქართველოს მოწყვეტილი აჭარა საუკუნეთა მანძილზე თურქი დამპყრობლების უღელქვეშ გმინავდა. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად იგი თურქების მონობისაგან განთავისუფლდა, მაგრამ მეფის რუსეთის კოლონიად გადაიქცა და მთელ საქართველოსთან ერთად განიცადა თვითმპყრობელურ-კოლონიური ჩაგვრის სიმწვავე. მიუხედავად ამისა, ამბდბს ავტორი, რუსეთთან აჭარის შეერთებას უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამით აჭა-

რა მთელ საქართველოსთან ერთად გადაურჩა ეროვნულ და ფიზიკურ გადაგვარებას და კვლავ შევიდა საქართველოს ერთიან ოჯახში.

1921 წლის 18 მარტს აჭარის საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მართალია, აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ხოლო მისი მკვიდრი მოსახლეობა — აჭარლები ქართველები არიან, მაგრამ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს მხედველობაში ამ კუთხის ისტორიული წარსლის თავისებურება და მას ავტონომია მიაკუთვნეს. ეს ნაბიჯი მიზნად ისახავდა აჭარისათვის შეექმნა ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები, უზრუნველყო მთელი კუთხის სწრაფი დაწინაურება. ამრიგად, აჭარის ასს რესპუბლიკის შექმნას საფუძვლად არ დადებია ეროვნული ნიშანი, რასაც ზოგიერთი მკვლევარი როდი უწევს ანგარიშს. ამასთან დაკავშირებით უთუოდ პრინციპული მნიშვნელობა აქვს მონოგრაფიაში იმ ნაშრომთა კრიტიკას, რომელთა ავტორები აჭარლებს ქართველებისაგან გამოყოფით განიხილავენ (გვ. 64).

მეოთხე თავი მოგვითხრობს აჭარის მოსახლეობის, ყოფისა და კულტურის შესახებ. აჭარის მოსახლეობა 1926 წლის 132 ათასიდან 245,3 ათასამდე გაიზარდა 1959 წლისათვის. მათგან 72,8 პროცენტი ქართველებია, 13,4 პროცენტი — რუსები, 6,5 პროცენტი — სომხები, 2,4 პროცენტი — უკრაინელები, 2,3 პროცენტი — ბერძნები და ა. შ. ეს მონაცემები სრულ უფლებას აძლევს ავტორს, რომ აჭარას ნამდიდრად ინტერნაციონალური მხარე უწოდოს.

1939 წელთან შედარებით 1959 წელს უმაღლესი განათლების მქონეთა რიცხვი გაიზარდა 3,7-ჯერ, ხოლო საშუალო განათლების მქონეთა რიცხვი — 3,1-ჯერ. მოსახლეობის ყოველი ათასი მცხოვრებიდან ამჟამად უმაღლესი განათლება აქვს: ქალაქში ორმოცდაათ კაცს, სოფელში — თერთმეტს, ხოლო საშუალო განათლება ქალაქში — სამასამოცდაცხრამეტ კაცს, სოფელში — ორასერთ კაცს. მდიდარი და მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალების განზოგადების საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ აჭარის მშრომლებს მსოფლიო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცათ კულტურული აღორძინების უდიდესი შესაძლებლობა.

სარეცენზიო ნაშრომის უდიდესი ნაწილი, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, მიძღვნილია სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განხილვისადმი. მრეწველობის დარგებიდან ცალკე გამოყოფითაა გაშუქებული ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა და ლითონდა-



მუშავება, ნათობგადამმუშავებელი, ქიმიური, ელექტროტექნიკური, ხის დამმუშავებელი, საშენი მასალის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა. გარკვეული მრეწველობის პროდუქციის სტრუქტურა საკუთრებისა და დაქვემდებარების ფორმების მიხედვით. მოცემულია მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობის ზრდის დინამიკა.

დიდი ინტერესს იწვევს მონაცემები მეურნეობის საერთო პროდუქციაში ქალაქისა და სოფლის ხევედრითი წილის შესახებ. ავტორი კონკრეტული მაგალითების მოშველიებით ნათლად წარმოგვიდგენს აჭარის საკომლექსურ სოფლის სწრაფ აღმავლობას ინდუსტრიულ ბაზაზე, სოფელსა და ქალაქს შორის არსებითი განსხვავების თანდათან მოსპობას და ა. შ.

მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას მიუძღვნის აჭარის სპეციფიკური და მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის გაშუქებას. სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ, მდიდარმა ბუნებრივმა პირობებმა განსაზღვრეს აჭარის სოფლის მეურნეობის ნაირფერობა. აჭარაში კარგად ხარობს ციტრუსები, ჩაი, ტუნგო, ვაზი, მრავალნაირი ხეხილი, თამბაქო და სხვ. აქვე ყურადღებას იპყრობს მაჩვენებლები სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ. მიწათმოქმედების ხასიათის გარკვევისას ავტორი წარმოგვიდგენს რელიეფის თავისებურებებს, აყენებს აჭარის მთიანი რაიონების სოფლის მეურნეობის შემდგომი სპეციალიზაციისა და მექანიზაციის პრობლემებს.

ასევე საფუძვლიანად ახასიათებს ავტორი ტრანსპორტის ეკონომიურ-გეოგრაფიულ მნიშვნელობას და საკურორტო მეურნეობას, მათვე დროს იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საწარმოო ძალთა განლაგების სოციალისტური პრინციპისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების სხვადასხვაობის მიხედვით ჩამოყალიბდა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ზღვისპირა და შიდა მთიანი აჭარა, რომელიც თანამთხვევა მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დარაიონებას. ამით აიხსნება, რომ ნ. ნიჟარაძე ცალკე თავებად გამოყოფს „ზღვისპირა აჭარას“ და „შიდა მთიან აჭარას“.

ნაშრომი მდიდარია საგულდაგულოდ დამზადებული სქემებით, რუკებითა და სურათებით. დართული აქვს ლიტერატურული წყაროების სია.

ამავე დროს გვინდა აღვნიშნოთ წიგნის ზოგიერთი ნაკლი.

საკვირო იყო ავტორის მოეცა აჭარის ასს რესპუბლიკის სასოფლო საბჭოების დაჯგუფება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა ოდენობა; ნაშრომში გვერდი აქვს ავილი კავშირგამბეზობისა და საქონლბატონის ეკონომიურ-გეოგრაფიულ მაჩვენებლებს. დარღვეულია მონოგრაფიის პირველი და მეორე ნაწილების თანაფარდობა. ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა უკანასკნელი ორი თავის შემცირების ხარჯზე გაზრდილიყო პირველი ნაწილი, რითაც თავიდან ავიცილებდით გამეორებებს. დაზუსტებას საჭიროებს ზოგიერთი ცხრილის სათაური.

3. გორბილაძე,

ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

„უკვდავი სიცოცხლე“

გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა კრიტიკურ ერემია ქარელიშვილის საინტერესო მონოგრაფიული ნაშრომი „უკვდავი სიცოცხლე“ პოპულარული საბავშვო პოეტის შიო მღვიმელის შესახებ. საყმაწვილო ლიტერატურის ამ თვალსაჩინო მოღვაწეს წიგნის ავტორი სამართლიანად უწოდებს ქართული საბავშვო პოეზიის აკაკის. შესავალი, სადაც ხაზგასმულია შიო მღვიმელის დეაწლი ქართული საბავშვო მწერლობის განვითარებაში, გადმოგვიცემს მთელი წიგნის დედააზრს, მთავარ პათოსს. „შიო მღვიმელი ქართული საბავშვო პოეზიის აკაკია, — წერს ავტორი. — ძნელია მოინახოს მეორე პოეტი, რომელსაც ასე დრამა კვლი დაეჩინოს საბავშვო პოეზიის განვითარებისათვის, ასეთი პოეტურად მთავარი მემკვიდრის ნორჩ თაობაში. შიო მღვიმელმა შესანიშნავი საბავშვო პოეტის სახელი მოიხვეჭა იმ პერიოდში, როცა ჩვენი ლიტერატურის კორიფეები — ილია, აკაკი და ვაჟა მოღვაწეობდნენ... ამ დიდი მოგონების გავლენამ ხელი შეუწყო თეოგონალური ინიციატივის საკუთარი სიტყვა თქვეა, საკუთარი სახე შეექმნა, გამხდარიყო ქართული საბავშვო პოეზიის კლასიკოსი, მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი“.

ნაშრომის პირველ თავში „ეკლიანი გზა“ ავტორი გადმოგვიცემს შიო მღვიმელის ბიოგრაფიას.

პოეტის შემოქმედებითი ფორმირება მოხდა გორის საოსტატო სემინარიაში. ხალხოსნური იდეების გავლენამ და იმ ლიტერატურულმა გარემომ, რომელსაც ილია, აკაკი, გოგებაშვილი და ვაჟა-ფშაველა ქმნიდნენ, არსებითად განსაზღვრეს მომავალი პოეტის მხატვრულ-ესთეტიკური კედლი და მსოფლმხედველობა. ეს იყო იმის წინაპირობა, რომ პოეტური მადლით მო-

სილი ახალგაზრდა შოი მღვიმელი უმაღლე ვახ-
და დიდი მოქალაქეობრივი შეგნებისა და პატ-
რიოტული შემართების პოეტი, ბავშვთა გულის
მესაიდუმლე და მეგობარი.

შოი მღვიმელი თავისი ლექსებით ყოველთვის
მიზიდულად ელაპარაკებოდა ნორჩ მკითხვე-
ლებს ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე,
ყოველივე იმის შესახებ, რაც იტაცებდა და
აღლევებდა მოზარდ თაობას. ამიტომ იყო, რომ
ვაჟ-ფშავლა ქებით იხსენიებდა საბავშვო პო-
ეზიის ამ ჩუმ და მოკრძალებულ მუშაკს:

ბავშვთა გულის მესაიდუმლევ,
კურომობ მღვიმეში ჩუმადა,
ბავშვების ჭირი და ლხენა
გულს მიგაჩნია წყლულადა.

ერ. ქარელიშვილი ღრმად და საფუძვლიანად
აანალიზებს შ. მღვიმელის მრავალფეროვან შე-
მოქმედებას, არჩევს იმ სოციალურ, ეროვნულ
და მორალურ-ესთეტიკურ პრობლემათიკას,
რომელიც მკაფიო ასახვას პოულობდა პოეტის
ლირიკულ ლექსებსა და სიმღერებში. აქვე
ხაზგასმულია მათი პოლიტიკური სიმახვილე,
მაღალი პატრიოტული და ჰუმანისტური სუ-
ლისკეთება.

მომდევნო თავი „ბავშვთა გულის მესაიდუმ-
ლე“, რომელიც თითქმის წიგნის ნახევარს მოი-
ცავს, რელიეფურად წარმოგვიდგენს შოი მღვი-
მელის პოეტურ „მეს“, მისი შემოქმედებითი
შრომის საამაყო შედეგებს.

შ. მღვიმელის შემოქმედების განხილვისას
მკვლევარი არ ივიწყებს პოეტურ ფოლკლორს,
რომლის წიაღშიც ფესვს იდგამდა და იზრდე-
ბოდა ყოველი ქემშარტი ქართველი პოეტის
შემოქმედება. ხალხურობა, სისადავე და მუსი-
კალური ჟღერადობა შოი მღვიმელის ლექსების
განუყრელი თვისებებია იყო. ეს ლექსები დღე-
საც ინარჩუნებენ მომხიბვლელობას და მკითხ-
ველში აღძრავენ მაღალ ესთეტიკურ გრძნობებს.
ვაიხსენოთ თუნდაც ქართული საბავშვო პოე-

ზიის ერთ-ერთი ლირიკული შედევი „მეტიკეული
მერცხალი ვარ“.

მე ჰაჟია მერცხალი ვარ,
მოკიკიკი, მოალერსე,
ნეტავი რა დაგიშავე,
ქვემს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!
სიყვარულით, სიხარულით
მთები, ზღვები გადმოვლესე,
სანამ შენთან მოვიდოდი,
ერთხელაც არ დავიკვნესე.

შოი მღვიმელის პოეზიაში, როგორც ერ. ქა-
რელიშვილი წერს, აღძრული და მხატვრუ-
ლად გადაწყვეტილია ბავშვის იდეურ-მორალუ-
რი აღზრდის მთავარი საკითხები. ამიტომ ვუ-
წოდებთ ჩვენ მის პოეზიას „დიდ პოეზიას პა-
ტარებისათვის“.

მართალია, შოი მღვიმელის შემოქმედებითი
სტიქია საბავშვო პოეზია იყო, მაგრამ იგი ამავე
დროს გულგახსნით და გაბედულად ლაპარაკობ-
და იმ დიდ სოციალურ ტევილებზეც, რომლე-
ბიც აწუხებდა მთელ ხალხს, ყველა მოზარდსა
და მოქალაქეს. იმდროინდელი საზოგადოებრი-
ვი ცხოვრების უკუღმართობას და მანკიერებას
პოეტი დაუნდობლად ამხილდა დიდებისათ-
ვის დაწერილ ლექსებში. ამ საკითხს დაწვრილე-
ბით განიხილავს ნაშრომის ავტორი წიგნის მომ-
დევნო თავში „ლექსები დიდებისათვის“, რო-
მელიც დაწერილია საილუსტრაციო მასალია
ღრმა ცოდნითა და გემოვნებით.

ბოლო თავში „საბჭოთა საბავშვო პოეზიის
სათავეებთან“ გახსნილია ის აზრი, რომ შოი
მღვიმელი უჩვეულო აღფრთოვანებით შეეგება
ახალი ცხოვრების განთავადებს, ქართველი ხალ-
ხის სოციალურ და ეროვნულ განთავისუფლე-
ბას.

შოი მღვიმელის პოეზია, როგორც მართებუ-
ლად დასკვნის წიგნის ავტორი, იყო, არის და
დარჩება ნორჩი თაობის მორალურ-ესთეტიკური
აღზრდის დაუშრეტელ წყაროდ.



ი. ზრახველი

გარდამავალი ჯარიმა

ყველაზე ადრე გურამი დაჯარიმდა. მას გადაახდევინეს 50 კაპიკი. ადგილკომის თავმჯდომარემ გურამს უთხრა:

— რატომ ღელავ, გურამ? პაპიროსის ნამწვავი ხომ დააგდე იატაკზე?

— შემთხვევით გამივარდა ხელიდან...

— სულერთია. მერე და ვერ აიღე? აი, ამისათვის გაჯარიმებთ. მაგრამ ნუ შეწუხდები. შენ წესრიგის დაცვის პიონერი ხარ. გადაეცი ფული მდივანს. აი ქვითარიც.

— მიჩუქნია თქვენთვის ქვითარი...

— გურამ, შენ, ალბათ, არ იცი საქმის ვითარება. ადგილკომმა დაადგინა: დააწესოს გარდამავალი ჯარიმა სისუფთავის დარღვევისათვის. ეს ქვითარი გარდამავალია. იბოვი ვინმეს, ვინც დაარღვევს წესრიგს, დაჯარიმებ და მისცემ ამ ქვითარს... 50 კაპიკი შენი იქნება..., ე. ი. გაინაღდებ გადახდილ ჯარიმას.

გურამს ფულის დაბრუნების იმედი მიეცა.

— კი, მაგრამ იგი... ვისაც დავაჯარიმებ?

— მასაც ასეთივე უფლება ეძლევა. ქვითარში ეს წერია. თუ იბოვის წესრიგის დამრღვევს, დაჯარიმებს და დაიბრუნებს 50 კაპიკს...

— დაიცათ, დაიცათ...

გურამმა კეფა მოიფხანა, მოიფიქრა და ჰკითხა თავმჯდომარეს:

— მაშასადამე, თუ დავინახე, რომ ჩვენმა მუშაკმა პაპიროსის ნამწვავი ურნაში კი არ ჩააგდო, არამედ...

— იატაკზე, როგორც შენ... — ჩაუერთო სიტყვა ადგილკომის მდივანმა.

— არამედ, — განაგრძო გურამმა, — ჩაარჭო პალმის კასრში, უფლება მაქვს დავაჯარიმო?

— რა თქმა უნდა! — დაუდასტურა თავმჯდომარემ.

— პატივცემულო პავლე! გთხოვთ! მიბოძეთ ათი შაური. აი, ქვითარი.

პავლე, ადგილკომის მდივანი, რომელმაც ის-ის იყო უჯრამში შეინახა გურამისაგან მიღებული ათი შაური, შეცბა.

— პალმა ფანჯარასთან დგას, მე კი მაგიდასთან... რა შუაშია?

— პალმა მაგალითისთვის მოგახსენეთ. თქვენ კი პაპიროსის ნამწვავი აი, ამ ყვავილის ქილაში ჩაარჭვეთ. ინებეთ ქვითარი!

პავლე დიდად უკმაყოფილო დარჩა. მან პირველმა მისცა ხმა ადგილკომის სხდომაზე გარდამავალ ჯარიმას და ახლა პირველი თვითონ ჩავარდა. მაგრამ ფაქტი ჭიუტია: ნამწვავი მართლაც ქი-

ლაში ერქო. პავლემ გამოაღო უჯრა, ამოიღო გურამის ათშაურინანი...

— ბოდიში, — შეაჩერა გურამმა, — ჩემი ათშაურინანი... ყოფილი, რა თქმა უნდა... ახლა იგი ადგილკომისსაა. თქვენი ამოიღეთ საკუთარი ჯიბიდან.

პავლე კიდევ უფრო გაწითლდა. ფული ისევ უჯრაში ჩადო და ჯიბიდან საფულე ამოათრია. ყველამ იცოდა, როგორ უჭირდა პავლეს ფულის გაცემა, მაგრამ რა ექნა, თავმჯდომარე ხელში უტკეროდა. ჩააბარა გურამს ფული, ჩაიდო ჯიბეში ქვითარი და გავიდა დერეფანში.

„რა სირცხვილი ვკამე, — ფიქრობს პავლე, — ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი... კრებამ ერთხმად ამირჩია და... სისუფთავის დამრღვევი. არა, ეს სირცხვილი უნდა ამოვირეცხო. ქვითარი ჯიბეს მწვავს, უნდა როგორმე მოვიშორო“.

დერეფანში სიმშვიდე სუფევდა. მართალია, იატაკზე საკმაოდ ეყარა ნაწვევი, ქალაღის ნაგლეჯები, ტროლეიბუსის ბილეთები, ასანთის ღერები, მაგრამ სამწუხაროდ, არსად არ ჩანდა წესრიგის დამრღვევი.

პავლემ ორჯერ აიარ-ჩამოიარა დერეფანი, მაგრამ ვერაფერს ნახა. შემდეგ მიხვდა, რომ მისთვის, ადგილკომის პასუხისმგებელი მდივნისთვის, უხერხულაა სამუშაო საათებში დერეფანში უსაქმოდ ხეტიალი.

პავლე საგეგმო განყოფილებაში შევიდა. პაპიროსს არავინ წვედა. ყველა თავჩაღუნული მუშაობდა. პავლე უკვე უკან გამობრუნებას აპირებდა, რადგან საკბილო ვერავინ შეიგულა, როცა ლითონის კაკუნი მოესმა, მიიხედა იქითკენ და დაინახა: ეკონომისტი ლაურა დანით ფანქარს წვერს უთლიდა. პავლე შედგა. საინტერესოა, ლაურა რას უხამს ფანქრის ფურფუშელას? ლაურამ გაათავა ფანქრის წვერის გათლა, შეუბერა ქალაღს და ფურფუშელები იატაკზე დაყარა. პავლემ ამას ელოდა. მაშინვე მიიბრინა მასთან და საზეიმო ტონით მიმართა:

— დიდად პატივცემულო ლაურა! ინებებთ ქვითარი! მომეცით ორმთვიანი კაპიკი, თქვენ დაჯარიმებული ბრძანდებით!

და მიუთითა ყავისფერ იატაკზე, სადაც თეთრი ფურფუშელა მკაფიოდ მოჩანდა.

— რის ჯარიმა? — გულწრფელად გაიკვირმა ლაურამ.

— წაიკითხეთ ქვითარი...

ლაურამ წაიკითხა, ამოიღო ათშაურინანი და მიაჩეჩა ხელში.

— ჩემს მეტი ვერაფერს ნახეთ?

ამასობაში სამუშაო დღეც დამთავრდა. ყველანი სიხარულით მიიჩქაროდნენ ქუჩისკენ. მარტო ლაურა მიდიოდა დაღონებული. უკანასკნელი ათი შაური პავლემ წაიღო. მეტი ფული, სახლიდან არ წამოუღია. არც არავის ესესხა. იმედი ჰქონდა, ვინმეს დაჯარიმებდა და თავის ფულს დაიბრუნებდა, მაგრამ სამუშაო დღე ისე გავიდა, წესრიგის დამრღვევი ვერ იპოვა. ახლა ავტობუსის ბილეთის ფულიც არა აქვს.

ის იყო დაღონებული ვესტიბიულში შევიდა, რომ თვალები ერთბაშად გაუბრწყინდა. მის წინ გელა მიდიოდა.

გელა, მართალია, უკვე საფეთქელ-შეთებებული იყო, მაგრამ უცოლოა და ქალიშვილებს ჯერაც არ ამოურიცხავთ საქმროთა სიღან. თვითონაც მარაშიყე კაცის სახელი აქვს გავარდნილი; ალბათ იმიტომ, რომ ქალიშვილების სიამოვნება უყვარს.

— გელა! მომეცი ათი შაური! — მიმართა ლაურამ.

— პროფსაწვევრო დიდი ხანია გადავიხადე.

— არა, ჩემთვის...

გელამ მიიხედა, თვალი შეავლო ლაურას ლამაზ ფიგურას და ჯიბეს გაიკრა ხელი.

— შენთვის სულსაც არ დავიშურებ, ინებე.

ლაურამ ათშაურისი გამოართვა და რედკულში ჴკრა თავი. სამაგიეროდ ხელში ქვითარი შეაჩეხა.

— გაჯარიმებ, გელა! იატაკი მოანაგვიანე. რაც ამ თვეში ავტობუსის ბილეთები დაგიგროვებია ჯიბეში, სულ იატაკზე გადმოფერთხე. ურნა კი, ხომ ხედავ, აქვეა, კუთხეში.

ლაურამ ეშმაკურად გაუღიმა და ქუჩაში გავიდა.

გამტვრეული გელა გაკვირვებით მიაცილებდა ლამაზ ლაურას. ჯერ ერთი, დაიკარგა კინოში ამ საღამოს ერთად წასვლის სიამოვნება. ეს გეგმა მაშინვე დაებადა თავში გელას, როგორც კი ლაურამ ფული თხოვა. მეორეც, დაიკარგა ათი შაური. გელა ქალიშვილებს ანებივრებდა, მართალია, მაგრამ უაზროდ ათი შაურის დაკარგვას ასე ადვილად ვერ შეუტიგდებოდა. როცა ლაურა მიიმალა, ქვითარს დახედა, წაიკითხა დაჯარიმების წესი და ჩაიციხა. „ჩიტი მახეში თავისი ფეხით გაებმება“, ჩაილაპარაკა და გასწია.

მეორე დღეს გელა ხშირად გადიოდა დერეფანში. გუშინდელი ნაგავი დამლაგებელს გაეტანა. დღეს კი, ეტყობა, არაეინ აპირებდა იატაკზე ნაწმვავის დაყრას.

დერეფნის ბოლოში ლადო გამოჩნდა. იგი ჩვეულებრივ მხიარულად მიბიჯებდა და პაპიროსს მადიანად აბოლებდა. გელა კუთხეს ამოეფარა. ლადო, როგორც ყოველთვის, ერთს კიდევ მოქაჩავს და პაპიროსს ოსტატურად მიაწებებს ჭერს. ამით იყო იგი სახელგანთქმული.

გელა ცქერად გადაიქცა. ლადომ მართლაც გააბოლა უკანასკნელად, შემდეგ პაპიროსის ნაწმვავი თავისებურად მოიგდო თითებშორის... „ცერის ერთი გაკვრა, — ფიქრობდა გელა, — და ნაწმვავი ჭერზე იქნება მიკრული, ათი შაუ-

რი კი ჩემს ჯიბეში ჩავა“. მაგრამ ლომ ცერი არ გაკრა პაპიროსს, მოიხედა, დაინახა კუთხეში ურნა, მივიდა და ისეთი მოწიწებით ჩააგდო შიგნაწმვავი, თითქოს ეშინია, კედელს არ მოხვდეს და უნებურად იატაკზე არ დაეცესო.

იმედგაცრუებული გელა უკან გაბრუნდა და ბულალტერიისში შეუხვია. უკვე დღის მეორე ნახევარი იყო და წესრიგს არავინ არღვევდა. ბულალტერიის დიდი იმედი მაინც და მაინც არ ჰქონდა. მაგრამ იტყვიან — ცდა ბედის მონახევაო.

როგორც ყოველთვის, იგი მოანგარიშე თინასთან მივიდა, კომპლიმენტუთხრა და კინოზე ჩამოუგდო სიტყვა. „უდიბლომო სასიძოზე“ ხომ არ წამოხვალო.

— ორჯერ კი არა, ერთხელ ძლივს გავუქელი ბოლომდე, — უპასუხა თინამ. მაგრამ გელას მისი პასუხი არც კი გაუგონია. მან შენიშნა, რომ ბულალტერმა გიორგიმ რაღაც უწყისის წერა დაამთავრა, სიამოვნებით გაიღიმა, შავი ნაწერა დაქმუჭნა, დააბურთავა და ფანჯარაში ისროლა. გელა დაუყოვნებლივ მასთან გაჩნდა.

— გიორგი, გენაცვალე, ჩამოდი ორმოცდაათი კაპიკი. აი ქვითარი. გაჯარიმებ, ძმაო, რა ვქნა, წესრიგი ხომ დაარღვიო.

გიორგი ჯერ არ ეთანხმებოდა.

— არა, ძმაო, ადგილკომის დადგენილება ჩვენს დაწესებულებას გულისხმობს, მე კი ქუჩაში გადავაგდე. ეს ანგარიშში არ მიიღება...

— ხედავთ, ამხანაგებო, ჩვენს გიორგის? დაწესებულებაში, თურმე, კულტურული უნდა ვიყოთ, ქუჩაში კი უკულტურო. ოთახის დანაგვიანება არ შეიძლება, ქუჩისა კი, ხომ? თუ გინდა ადგილკომს ვკითხოთ, წამობრძანდით პავლესთან.

გიორგიმ უხალისოდ გადაიხანდა 50 კა-



პიკი, ქვითარი გულდასმით წაიკითხა და ჯიბეში ჩაიღო.

— არაფერია, — უთხრა გელას, — შენ ხომ გაასაღე, მეც გავასაღებ.

გავიდა ამის შემდეგ სამი დღე. ქვითარი ჯერ ისევ გიორგის აქვს. ისე გაჯიუტდნენ ამ დაწესებულების თანამშრომლები, რომ წესრიგის დარღვევა არავის სურს. პირდაპირ გული ერევა გიორგის, როცა დაინახავს ამხანაგს, რომელიც დაუზარებლად ადგება, მივაკუთხენში და ჩაადგებს დაკმუჭვნილ ქალღალს ურნაში. ოთახებსა და დერეფნებში ისეთი სისუფთავეა, თითქოს აქ არავინ დადის, არც თამბაქოს ეწევა და

არც ავტობუსის ბილეთებს აგროვიკის ჯიბეში.

დადის გიორგი ქვითრით ჯიბეში და ეძებს მსხვერპლს. ერიდეთ, ამხანაგებო. არ დაანაგვიანოთ იატაკი, დაიცავით სისუფთავე, თორემ ქორივით დაგეცემათ გიორგი და შეგაჩეჩებთ ხელში გარდამავალი ჯარიმის ქვითარს. საქმე ფულში როდია. არავის უნდა გახდეს წესრიგის უკანასკნელი დამრღვევი, უკანასკნელი უკულტურო. ეს აწუხებს გიორგისაც. ამიტომ უნდა როგორმე მოიშოროს წყეული ქვითარი. ვნახოთ, ვინ გამოიყვანს მას ამ სამარცხვინო მდგომარეობიდან.

გადმოაქართულა ზრ. ნუცუბიძემ.



ქურონალ „ლიტერატურული აჭარის“ 1961 წლის ნომრების ზინაარსი

ჩვენ ვიცხოვრებთ კომუნიზმში, № 5.
კომუნიზმი ჩვენი ზვალინდელი დღეა, № 6.

ლექსები

აღფენიძე ვლ. — ფადიმე, № 6.
ართილაყვა რ. — ჩანჩქერები, მთაში, № 2;
სოფლის იდილია, *** (დროს ცოდნია...), № 6.
ბააზოვი ა. — სტუმარი, № 4.
ბარამიძე დ. — ძველი საყდარი, № 4.
ბერიძე ი. — შენ მეუბნები..., იცი? არ
იცი..., № 1.
ბულისკერია ვ. — ტბასთან, № 4.
გელაძე ლ. — ცხრა მთას იქით, კახაბრის
ველიდან, მცხეთა, № 1; მარად სულში მიზი-
ხარ, ბეთანია, № 4; ძმობის სიმღერა, ხე, ნა-
რიყალა, არტანუჯი, ტყეში, № 6.
გვარიშვილი ნ. — ყოველ ახალ წელს, ფე-
ჩე, დედოფალი გამობრძანდა, ნაწნავეები, რუ-
ბაიებში, გვირილა, № 1; შენ იცოცხლე საქარ-
თველოვ!, № 3.
გორგანელი ვ. — პაპაჩემი, № 4.
გორგალაძე ზ. — შენი ბადიში, შენ კვლავ
ის მიწა წამოგაყენებს, № 5.
ვარშანიძე მ. — ფერად-ფერად მდღეოში,
მთები, № 1; შენი ბაში-აჩუცი ვარ, № 3; ახლა
ვაეო აჭარა?!, № 4.
თევზაძე ვ. — *** (პატარობისას მე და
ჩემი ძმა), № 2.
კვირიტიძე ა. — ადამიანი, № 6.
კლდიაშვილი გ. — სიმღერა, № 2.
მალაზრონია ნ. — დუმილი, ზამთარი, მე არ
მოგეკვდები, № 1; სიმღერად იქცა, № 3; თეი-
ონ ლენინი, თანატოლი, ქვიშხეთი, № 6.
მიქაუტაძე ა. — წინაბარი, № 2.
მუავია ქს. — ნუ მოაგონებ, თორემ უთქვე-
ნოდ რა მემღერება, № 2; პარტიის სიტყვა,
იციან ვარსკვლავები, № 4.
მუჭიერი ე. — განთიადისას, *** (მატარე-
ბლები წავლენ და მოვლენ), № 1; *** (ტყე-
ში თოვლი და ფანტაზიები...), № 4.
ნარხია ნ. — შენ რომ არ იყო..., № 2.
ნიქაბაძე ჯ. — ღამის სტუმარი, № 2.
ნუცუბიძე ლ. — გუნდა მესროლეთ! ბარა-
თი სოფელში, № 1; დღეა, № 6.
რამიშვილი თ. — პასუხი დედას, № 4.
როყვა შ. — დაბადების დღეს, *** (მივა-
ტოვებ ზღვა და მეგობრები...), № 4.

რუგოშვილი — გარწევს ლურჯი საქანელა,
№ 4.
რურუა პ. — რუხის ბრძოლა, გუბაზოულ-
თან, № 1; გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ, № 3.
სალუქვაძე გ. — მთიდან ქარი მოიმღერის,
იმა სუმაი სპორტის სასახლეში, *** (აბა ვის
ვეითხო...), *** (კრემლმა თორმეტჯერ ჩამოქ-
კრა ზარი), *** (ჩემი ოცნება), № 1; ომის
ღრუბლები, ჩემი გოგონა და აღუბლები; სა-
ბავშვო ეტლი, მზიანი დღე და ტროტუარი; დი-
დი დღე, *** (მოგონება...), *** (შენს
ოთახში...) № 6.
სალუქვაძე გული — *** (შენ ისე სადა
ხარ), საღამო ზღვაზე, *** (მოფრინდა მერც-
ხალი...), მემამუწე ბიჭი, *** (რას ქორაობენ),
№ 4.
სურმანიძე ა. — ნახე ჩემი მამულეთი, № 4.
შუბლაძე შ. — ჩემი მხარე, № 3; ვაჟას,
№ 4; ადამიანი და კოსმოსი, ენძელა, გამარჯ-
ვების დღეთა ძველად, ქართველ დედას, № 6.
ჩიკვილაძე ქს. — ჩემო მამულო, აჭარა, № 5.
ჩიტიშვილი შ. — *** (ო, ყვავილები...),
№ 6.
ჩხაიძე ა. — ჩემო აჭარავ, № 1; ფიქრები პი-
რველ სიყვარულზე, ჩიტუნები, № 2; ძველ
ამბავს ეტყევი ახალ მშენებლებს, № 3; ფოლა-
დის ქალაქი, რუსთავის დილა, მადლობა დი-
დი, № 6.
ქავჭავაძე ლ. — ნეტავ ვახსოვარ? *** (ეს
შენი თვალებია...), № 2.
ხალვაში ა. — შუქურა, № 2; ხიხაძის, ნა-
ძეები, № 4.
ხალვაში ფრ. — წაიღეთ, გათბით!... ჩურჩუ-
ლი, განდაგანა, ყვავი, *** (ბალახებისგან
შემშურდა...), № 5.
ჯალაღონია ნ. — მამა, დამიჯერებ თუ არა,
№ 2; მეურმე, *** (როგორ არ მინდა...), ***
(ვიცი, არა ხარ ისე ლამაზი), № 5.
ჯაყელი ა. — ვარ მდინარე, № 4; შავი მიწა
და ფერადი წყლები, ფრთავამილი არწივე-
ბის ჩეროები, ბაქოს ნავთი და ლამპიონები,
ვარზესმე, ქალავი, № 5.
ჯინჯარაძე ი. — დედას, № 2.
ჯინჯიხაძე დ. — ბალადა რუსთველზე, № 2;
შენ მეყოლები დასაფიცარი, № 4; სვეტიცხო-
ველი, № 6.



თარგმნილი ლექსები

თურქი პროგრესული პოეტების ლექსები (თარგმანი ნ. გვარამიას), № 5.
სმელიაკოვი ი. — ჩვენი ღერბი (თარგმანი შ. როყვასი), № 6.

მოთხრობები, ნოველები, ლეგენდები, მინიატურები, პიესები

აბაშიძე ი. — მოლა და მეთევზე, № 4.
გოგლიჩიძე ვ. — ზღვაში ნაპოვნი ბედნიერება, № 4.
გორგოლაძე მ. — ადამიანი, № 6.
დემურხანაშვილი ს. — პატარა ქალიშვილი, № 1.
თოღაძე შ. — რღვევა, № 3.
კაკიბაძე გ. — დედის გული, დარდს, აბა რა დაუღუგეს!, № 1; ბებია, № 6.
კასრაძე დ. — „ნიაივი მიუტანს ჩემს ამბავს“, № 4.
კვიციანი დ. — სარეცელი, № 1.
ლორია პ. — საფეხურებთან, № 2; სამშობლო, დედის ძუძუთი..., № 3.
მალაზონია ნ. — დედისერთა, № 4.
მოდებაძე ნ. — ოცნებები იმსხვერველიან რიყაუზე, № 4.
რუსიძე კ. — კაყის ნატეხი, № 5.
სანადირაძე გ. — რადსოღია ფოთოლცვენის ყამს, № 1; თუ შენ გიყვარვარ, № 6.
ურუშაძე გ. — სისხლიანი სურათი, № 1; ძმობის ძალა, № 4.
შერვაშიძე ა. — ვივა კუმბა! (ნაწყვეტი პიესიდან), № 5.
ჩხაიძე ალ. — ქუჩა, № 1.
ჩაყელი ჯ. — ჩრდილოეთის ციალი, № 1; მალარო და მატარებლები, № 3.

თარგმნილი მოთხრობები, ნოველები

ბარბიუსი ა. — სათნოება (ფრანგულიდან თარგმანი ი. არეშიძემ), № 5.
ბრანდერი პ. კ. — დუმილი ორი წუთით (თარგმანი ტ. ხინთიბიძემ), № 4.
კობინანი ნ. რ. — მისნის ერთი დღე (ინგლისურიდან თარგმანი ფრ. ფანჯავიძემ), № 5.
მკრტიანი პ. — უკვდავების ბალი (სომხურიდან თარგმანი გ. სარქისიანმა), № 6.
ფრანკი დ. — პორტრეტი (გერმანულიდან თარგმანი გ. კეჭელაძემ), № 2.
ჰემინგუეი ე. — კანარის ჩიტი ქალიშვილისათვის (ინგლისურიდან თარგმანი გ. მაჭუტაძემ), № 1.

ლექსები და აღმზიანები

ბელმეხი ს. — XXII ყროლობის დღეგატატი, № 5.
კობაღაძე დ. — სტიქიონთან მებრძოლი, № 3.
ლორია პ. — აქ ზაფხული ასეთია, № 5.
ჩაჩუა რ. — ბობოყათელი ქალიშვილი,

№ 3; დღეს ყროლობის დღეგატატის ბრეგატატი, № 6.

ცერცვაძე ი. — ოცდაათი წელი სამშობლოს საღარაჯოზე, № 3.
ჭეიშვილი ნ. — მამაცი ქართველი პარტიზანი, № 3.
ხოფერია ჯ. — ერთი გამოგონების ისტორია, № 4.

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

აბაშიძე პ. — რა იყო და რა არის, № 3.
ართილაყვა ზ. — ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ, № 1; ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, № 5.
ბარამიძე ნ. — ფილიპე მახარაძის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა, № 4.
დონაძე ვ. — ილია ჭავჭავაძე — კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი, № 4.
დუმბაძე ნ. — „არსენა მარაბდელის“ ზოგიერთი მხატვრული ხერხი, № 1.
ელიზბარაშვილი კ. — აჰარის მოსახლეობა და მისი ეროვნული შემადგენლობა, № 5.
კომახიძე დ. — მწვანე მშენებლობის გადაუდებელი პრობლემები, № 1.
კომახიძე რ. — წინსვლისა და აღორძინების ორმოცი წელი, № 3; ბუნება — ხალხის სამსახურში, № 5.
მშვიდლობაძე თ. — ლოგიკურის დიალექტიკობის შესახებ, № 5.
ნოღაიდანი ნ. — მშრომელი ქალის სახე აჰარის ხალხურ პოეზიაში, № 3.
სირაძე რ. — რევიზიონიზმი და დოგმატიზმი შეუთავსებელია მარქსიზმ-ლენინიზმთან, № 2.
ჭურბიძე შ. — პატრიოტული მოტივი გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ ლირიაში, № 2; სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, № 3.
ჩაგლიშვილი ალ. — პოეტური მადლისა და ლიტერატურული კრიტიკის საკითხები, № 2.
ჯორბენაძე პ. — ქართული ლიტერატურა საზღვარგარეთ, № 3; საზღვარგარეთელი მწერლობა ომისა და მშვიდობის შესახებ, № 6.

ლიტერატურული კალენდარი

ბოლქვაძე კ. — გენიალური მოაზროვნე და შემოქმედი, № 6.
დონაძე კ. — ვაჟა-ფშაველა და 1905 წლის რევოლუცია, № 3; დიდი ქართველი პროზაიკოსი, № 6.
მგელაძე ვლ. — ზაქარია ჭიჭინაძე აჰარაში, № 6.
მებუჯე ვ. — ვაჟა-ფშაველა — ყურნალისტი, № 4.
შერვაშიძე ა. — შეეჩვენო და საქართველო, № 2.
ჩიჭოვანი დ. — ვაჟა-ფშაველა და ხალხური შემოქმედება, № 4.
ჯორბენაძე პ. — დიდი ხელოვანის ტრაგედია, № 1.

პუბლიკაცია

სიხარულიძე ი. — რამდენიმე საბუთი სელიმ ხიმშიაშვილზე, № 2.

ჩაველიშვილი ალ. — შალვა დადიანის ერთი კერძო წერილი, № 1.

ფოლკლორი

ნოღაიძელი ჯ. — ფოლკლორული შენიშვნები, № 6.

ხელოვნება

კეჩაძე ვ. — ზოგი რამ ბათუმის თეატრზე, № 6.

ჭინჭარაძე გ. — კრიმანტული, № 2.

მოგონებანი

ლუკაშვილი ე. — შეხვედრები ქართველ მოღვაწეებთან, № 2.

ტურისტის ჩანაწერები

კობალაძე ფ., გაბისონია გ. — „მეგობრობისა და ძმობის წარმომადგენლად“, № 3.

კომისაროვა ქ. — მოგზაურის შთაბეჭდილებანი, № 6.

აზარის წარსულიდან

ახვლედიანი ა. — მახინჯაურის ეტიმოლოგიისათვის, № 2.

დოლიძე კ. — საბჭოთა პრესის ისტორიიდან აჭარაში, № 3.

მეგრელიძე შ., მაღლაკელიძე ს. — 1844 წლის აჯანყება აჭარაში, № 2.

სიხარულიძე ი. — მირიან კეკელიძე — მუსტაფა ხაზინადარი; სელიმ ხიმშიაშვილის საფლავი, № 6.

სურგულაძე ა. — მღვლეარება აჭარაში XIX საუკუნის 70-იან წლებში და ქართული პრესა, № 5.

შავაძე ი. — მთები შუის მოლოდინში, № 3.

შამილაძე ვ. — გვაროვნული წყობილების ერთი გადმონაშთის შესახებ, № 5.

ჩიჯავაძე ნ. — მაჭახელა, № 2.

ცქვიტარია პ. — ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის აჭარაში, № 1; ეროვნულ-განმათავისუფლებ-

ლი მოძრაობის მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში, № 3.

წიგნის თარო

არველაძე ს. — წიგნი დავით გურამიშვილზე, № 2.

ბიბილეიშვილი ი. — შ. იოსელიანის რჩეული, № 2.

გოგოლაძე ვ. — პ. აბაშიძის „წერილები“, № 2.

კვიციანი კ. — სიცოცხლისა და სიხარულის სტრიქონები, № 6.

მებუჯე გ. — ბავშვებზე და ბავშვებისათვის, № 5.

სანადირაძე ა. — ლევან გელაძის „ლექსები“, № 4.

სვანიძე მ. — საინტერესო ანტირელიგიური წიგნი, № 1.

შამელაშვილი რ. — საყურადღებო მონოგრაფია ზემოაჭარული დიალექტის შესახებ, № 6.

ჩაველიშვილი ალ. — პოეტის საფიციარი, № 5.

ცქვიტარია პ. — კრებული რევოლუციური მოძრაობის მოღვაწეებზე საქართველოში, № 5.

ხალვაში ს. — შეუღდრეკელი პატრიოტი, № 1.

ხმალაძე პ., შამელაშვილი რ. — ტექსტოლოგიური ლიტერატურის ახალი შენაძენი, № 4.

ხუნდაძე არკ. — განდევნილი — ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე, № 6.

სატირა და იუმორი

მიშველაძე რ. — საბავშვო ნაწარმოები, № 2.

სამსონია ა. — სტუდენტობა და სიყვარული, № 1.

შუბლაძე შ. — სარეკელა, № 1; ყოჩივარდა, № 2.

ჩხაიძე გრ. — სანთებელა; № 2, ძალად ნოვატორი, № 6.

საზღვარგარეთი

უცხოეთის კულტურული ცხოვრების ქრონიკა, № 2.

აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ახალი წიგნები:

ბ. გალდავა — დროის რაციონალურად გამოყენება გაკვეთილზე ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის პირობებში, მასწავლებლის გამოცდილება. რედ. ს. ბოლქვაძე, გვ. 40, ფასი 5 კაბ.

გ. ნებიერიძე, კ. ელიზბარაშვილი — საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული, რედ. ი. მარგველაშვილი, გვ. 158, ფასი 35 კაბ.

ი. დიასამიძე — აჭარის კურორტები და მათი განვითარების პერსპექტივები, რედ. ვ. გოგიბლაშვილი, გვ. 92, ფასი 40 კაბ.

ს. ჩიხლაძე — მაღალი წველის ოსტატი მეხფულე ბალაძე, რედ. ი. ცივაძე, გვ. 16, ფასი 3 კაბ.

დ. ბერუჩაშვილი — ციხისძირის კოლმეურნეობა აღმავლობის გზაზე, რედ. ი. ცივაძე, გვ. 40, ფასი 5 კაბ.

ვ. პატარაია — ჩაის მწვანე ფოთლის თვითღირებულების შემცირების საკითხისათვის, რედ. ს. ქუთათელაძე, გვ. 36, ფასი 10 კაბ.

აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. V, რედ. ხ. ახვლედიანი, გვ. 134, ფასი 70 კაბ.

აჭარის ექიმთა საზოგადოების შრომები, ტ. VI, რედ. ა. პერტია, გვ. 158, ფასი 50 კაბ.

ა. ლორია — ყელის, ყურისა და ცხვირის ჰიგიენა, რედ. დ. დიასამიძე, გვ. 22, ფასი 3 კაბ.

ჩ. ჩაყელი — გულის საუნჯე, რომანი, ნაწ. II, რედ. ც. წუწუნავა, გვ. 204, ფასი 45 კაბ.

ფ. ხალვაში — დათვის ხაფანგი, მოთხრობები, რედ. ნ. ნოლაიდელი, გვ. 118, ფასი 20 კაბ.

კ. რუსიძე — კაქის ნატეხი, მოთხრობები, თარგმანები, რედ. ნ. ნოლაიდელი, ც. წუწუნავა, გვ. 390, ფასი 75 კაბ.

ქ. ჭინჭარაძე — ვარდისუბნელი ქალ-ვაჟები, საბავშვო მოთხრობა, რედ. ც. წუწუნავა, გვ. 134, ფასი 20 კაბ.

ჩ. ჩხეიძე — შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში, რედ. თ. ოქროშიძე, გვ. 102, ფასი 55 კაბ.

ე. დოლიძე — გაიხარე, შვილო! საბავშვო მოთხრობები, რედ. ნ. მაღაზონია, გვ. 18, ფასი 5 კაბ.

კორნელი, რასინი, კალდერონი — პიესები, თარგმანი გ. სალუქვაძისა, რედ. თ. კვახაძე, გ. მეგრელიძე, გვ. 328, ფასი 60 კაბ.

მოლა ნასრედინის ანეკდოტები, თარგმანი ა. შონიასი, რედ. ა. ტოტოჩავა, გვ. 216, ფასი 40 კაბ.

რეშად ნური გიუნთეჟინი — ნარჩიტა, თარგმანი ნ. გვარიშვილისა, რედ. შ. ქუტიძე, რ. ბაქრაძე, გვ. 322, ფასი 1 მან.

ქმედითი პარტიული პროპაგანდისათვის — სტატიების კრებული პროპაგანდისტის დასახმარებლად, რედ. კ. დოლიძე, გვ. 140, ფასი 11 კაბ.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/II, 1962 წ. საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომცემლო 7 თაბახი, შეკვეთის № 00461, ემ 00651, ქალაქის ზომა 70X108. ტირაჟი 2000.

* * *

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობათა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია (ლუქსემბურგის, 22)

Ватумская типо-литография Грузглаволиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
(Батуми, ул. Р. Люксембург, 22)

67/85



3560 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ლიტერატურული აჭარა“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ